

მართლმსაჯულება **1**'23
კანონი

Justice and Law Legal Journal
#1(77) 2023

N1(77)'23

მართლმსაჯულება



კანონი

საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის სამეცნიერო-პრაქტიკული იურიდიული ჟურნალი
The Scientific-Practical Legal Journal of the Supreme Court of Georgia and the Association of Judges of Georgia

რედაქტორი ნინო ძიდიგური

რედაქტორის მოადგილე
ირმა ბექაური

ნომერზე მუშაობდა:
მარინე ვასაძე
დიზაინი:
ბესიკ დანელია



საპარტამენტო მოსამართლეთა
ასოციაცია
JUDGES ASSOCIATION OF GEORGIA



აკრძალულია აქ გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს წერილობითი ნებართვისა და წყაროს მითითების გარეშე.

სარედაქციო საბჭო:
დიანა ბერეკაშვილი
თამარ ზამბახიძე
მზია თოდუა
გიორგი მიქაუტაძე
ზურაბ ძლიერიშვილი
ჯონი ხეტურიანი

Editorial Board:
DIANA BEREKASHVILI
TAMAR ZAMBAKHIDZE
MZIA TODUA
GIORGI MIKAUTADZE
ZURAB DZLIERISHVILI
JONI KHETSURIANI

Editor:
NINO DZIDZIGURI

Deputy Editor:
IRMA BEKAURI

The issue was prepared by
MARINE VASADZE

Designed by
BESIK DANELIA

*English version of articles has been provided by Candidates
of Law faculty of Tbilisi State University*

უბკ (UDC) 340.11+340.130.5
მ-306

ISSN 1512-259X

- 5 ლავრენტი მაღლაკელიძე
სამართლებრივი შეცდომის კრატიკული მნიშვნელობა
სასამართლოს გადაწყვეტილებებში
-
- THE PRACTICAL SIGNIFICANCE OF LEGAL ERROR IN COURT DECISIONS
LAVRENTI MAGHLAKELIDZE
- 21 ლილი მსხილაძე
მტკიცების სტანდარტი ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებში
-
- STANDARD OF PROOF IN CASES OF VIOLENCE AGAINST WOMEN
LILI MSKHILADZE
- 35 თამარ იოსელიანი
საწარმოს ხელმძღვანელი ორგანოს (ხელმძღვანელი პირის)
დანიშვნის / გათავისუფლების წესი და დაცვის სამართლებრივი
გარანტიები „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით
-
- THE PROCEDURE FOR THE APPOINTMENT / DISMISSAL OF THE ENTERPRISE'S
GOVERNING BODY (LEADING PERSON) AND LEGAL GUARANTEES OF
PROTECTION ACCORDING TO THE LAW OF GEORGIA "ON ENTREPRENEURS"
TAMAR IOSELIANI
- 54 კონსტანტინე ხეცურიანი
საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი
-
- GEORGIA ACT OF INDEPENDENCE OF MAY 26, 1918
KONSTANTINE KHETSURIANI
- 63 ია ხარაზი
საქართველოს ახალი საბაჟო კოდექსი – გზა ევროკავშირის
საბაჟო კოდექსისაკენ
-
- THE NEW CUSTOMS CODE OF GEORGIA – THE WAY TO THE
CUSTOMS CODE OF THE EUROPEAN UNION
IA KHARAZI
- 79 ნინო ლომსაძე
საჯარო მმართველობაში მენეჯმენტის დანერგვისადმი
სამართლებრივი მიდგომები
-
- LEGAL APPROACHES TO THE INTRODUCTION OF MANAGEMENT IN
PUBLIC ADMINISTRATION
NINO LOMSADZE

- 94 ხვიჩა ბეგიაშვილი
პასუხისმგებლობა აგრესიის აქტისთვის ქართულ სისხლის
სამართალში და მისი განსჯადობის აქტუალური საკითხები
RESPONSIBILITY FOR AN ACT OF AGGRESSION IN THE CRIMINAL LAW OF
GEORGIA AND CURRENT ISSUES OF ITS ENFORCEMENT
KHVICHA BEGIASHVILI
- 127 კობა ბუაძე
ზოგიერთი მოსაზრება ორგანიზებული დანაშაულებრივი
ფორმირების ოპერატიული დამუშავების განსაკუთრებულობის
შესახებ
SOME OPINIONS ABOUT THE SPECIFIC NATURE OF THE OPERATIONAL
PROCESSING OF ORGANIZED CRIMINAL FORMATIONS
KOBABUADZE
- 138 ნათი გელოვანი
დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი
დანაშაულის სისხლის სამართლის საქმეზე მძიცივების პროცესი
და სტანდარტები
THE APPROVAL PROCESS AND STANDARDS FOR CRIMES COMMITTED ON
THE GROUNDS OF INTOLERANCE
NATI GELOVANI
- 157 თებეა გოგისვანიძე
ადგილობრივი და საერთაშორისო კანონმდებლობა როგორც
გენდერული თანასწორობის დაცვის მექანიზმი
LOCAL AND INTERNATIONAL LEGISLATION AS A MECHANISM FOR GENDER
EQUALITY PROTECTION
TEBEA GOGISVANIDZE
- 168 ლევან ბესელია
საგანგებო მდგომარეობის დროს ადამიანის უფლებათა
შეზღუდვისა და შეჩერების საკითხი საქართველოს
კონსტიტუციაში
THE QUESTION OF THE CONSTITUTIONALITY OF THE RESTRICTION AND
SUSPENSION OF HUMAN RIGHTS DURING THE STATE OF EMERGENCY
IN THE CONSTITUTION OF GEORGIA
LEVAN BESELIA

სამართლებრივი შეცდომის პრაქტიკული მნიშვნელობა სასამართლოს გადანყვეთილებებში

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის
36-ე მუხლის ანალიზი

ლავრენტი მალლაკელიძე

*სამართლის დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე*

შესავალი

შეცდომა სისხლის სამართალში ისეთი შემთხვევაა, როცა ამსრულებელი თავისი ქცევის ფაქტობრივ ან სამართლებრივ მხარეს არასწორად აღიქვამს. სამართლებრივი (აკრძალვაში) შეცდომა ნიშნავს, რომ მოქმედმა არ იცის თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა. ამ დროს პირი ცდება და ჰგონია, რომ ქმედება, რომელსაც სჩადის, აკრძალული არ არის.¹ ასეთი შეცდომის დადგენა ან კიდევ უარყოფა კი, უშუალოდ, პირდაპირ კავშირშია მართლწინააღმდეგობის შეგნების დასაბუთებასთან.²

თანამედროვე სისხლის სამართლის მოძღვრებაში ცნობილია, რომ დანაშაულის სისტემის სამივე: ქმედების შემადგენლობის, მართლწინააღმდეგობისა და ბრალის ეტაპზე შესაძ-

ლებელია, დამნაშავემ შეცდომა დაუშვას, რამაც საბოლოოდ, შეიძლება გავლენა მოახდინოს არა მართო სასჯელის სიმძიმეზე, არამედ დანაშაულის კვალიფიკაციაზეც.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 36-ე მუხლი პირდაპირ არეგულირებს სამართლებრივი (აკრძალვაში) შეცდომის საკითხს, რა დროსაც პირს არა აქვს მართლ-წინააღმდეგობის შეგნება. საკუთრივ ეს ნორმა კი, განთავსებულია სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 თავში, რომელიც ეხება ბრალის გამომრიცხველ და შემამსუბუქებელ გარემოებებს. გამომდინარე აქედან, შეცდომის დადასტურებისას, ერთ შემთხვევაში, შესაძლებელია პირის ბრალეულობა საერთოდ გამოირიცხოს და შესაბამისად, მას პასუხისმგებლობა არც კი დაეკისროს ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამო, ხოლო მეორე შემთხვევაში – ასეთი ვითარება ქმედების სუბიექტის პასუხისმგებლობის შემსუბუქების საფუძველი გახდეს. სწორედ ამიტომ, წინამდებარე სტატიაში განხილული იქნება სამართლებრივი შეცდომის არსი, მისი გავლენა ქმედების კვალიფიკაციაზე და პირის პასუხისმგებლობაზე, უფრო კონკრეტულად, მისატევებელი და მიუტევებელი შეცდომის პრაქტიკული მნიშვნელობა. აღნიშნული პრობლემა კი, გააანალიზდება სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე.

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 36-ე მუხლის ანალიზი

იურიდიულ ლიტერატურაში სამართლებრივი შეცდომა დოგმატურად, ფაქტობრივი შეცდომისაგან განსხვავებით, განსხვავებულად განიხილება. სახელდობრ, ფაქტობრივი შეცდომა, რომელიც შეიძლება პირმა დაუშვას ქმედების ობიექტური შემადგენლობის დესკრიფციულ და ნორმატიულ ნიშნებთან მიმართებაში, განზრახვის ერთ-ერთი – ცოდნის ელემენტის პრობლემასთანაა დაკავშირებული და ნიშნავს პირის მცდარ წარმოდგენას, მხოლოდ ქმედების ფაქტობრივ გარემოებებზე (შეცდომა ფაქტში).

რაც შეეხება სამართლებრივ შეცდომას, დოგმატურად იგი ბრალის ეტაპზე მოწმდება და დაკავშირებულია მართლწინააღმდეგობის შეგნების არსებობის პრობლემასთან. ამაზე მიუთითებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 36-ე მუხლიც, სადაც ვკითხულობთ, რომ თუ პირმა არ იცის, რომ ქმედება, რომელსაც სჩადის აკრძალულია, არ დაისჯება მაშინ, როცა შეცდომა მისატევებელია. ეს შეცდომა კი, მაშინ არის მისატევებელი, თუ შექმნილ ვითარებაში ამ პირმა არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა, რომ აკრძალულ ქმედებას სჩადიოდა. იმ შემთხვევაში, თუ დადგინდა, რომ ასეთი შეცდომა მისატევებელი არ არის და ის არ შეიძლება პირს ეპატიოს, მაშინ დღის წესრიგში დადგება მისი გაუფრთხილებლობითი დანაშაულის პასუხისმგებლობის საკითხი.

მაშასადამე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 36-ე მუხლი ცალსახად ადგენს, რომ პირი შეიძლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობიდან გათავისუფლდეს, თუ მოცემული იქნება ერთდროულად შემდეგი ორი წინაპირობა: (1) პირმა, დანაშაულის ჩადენის დროს, არ უნდა იცოდეს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ანუ პირს არ უნდა ჰქონდეს მართლწინააღმდეგობის შეგნება; (2) ეს შეცდომა უნდა იყოს მისატყვებელი.

კუმულაციურად ორივეს არსებობის შემთხვევაში კი, მოქმედი არ დაისჯება და პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდება. თუმცა, საკითხი არც ისე მარტივად გადასაწყვეტია, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს. კერძოდ, ამ შემთხვევაში, პრობლემურია პირველი წინაპირობის დასაბუთება, როცა პირს შეგნებული არა აქვს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ამგვარი შეცდომა უდავოდ ბრალის ეტაპზე ექვემდებარება განხილვას და პრობლემაც სწორედ მის ფარგლებში საჭიროებს გადაჭრას. აქედან წარმოიშობა ლოგიკური დასკვნაც – სამართლებრივი შეცდომის დროს, თუ ის მისატყვებელია, გამორიცხულია მართლწინააღმდეგობის შეგნება, რაც იწვევს ბრალის უარყოფას, ხოლო საბოლოოდ დანაშაულის გამორიცხვასა და პირის სასჯელისაგან გათავისუფლებას. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სსკ-ის 36-ე მუხლში მოცემული მართლწინააღმდეგობის შეგნება არის განზრახვის შემადგენელი ერთ-ერთი კომპონენტი,³ ამ უკანასკნელის უარყოფა კი, საბოლოოდ იწვევს განზრახვის მთლიანად გამორიცხვას და პასუხისმგებლობის დაკისრებას გაუფრთხილებლობისათვის.

კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლი, რომელიც განზრახვის ცნებას განსაზღვრავს, ცალსახად მიუთითებს, რომ მართლწინააღმდეგობის შეგნება, დანარჩენ ორ ნიშანთან – ცოდნასა და ნებელობასთან ერთად, განზრახვის თანაბარმნიშვნელოვანი ნიშანია. ამდენად, სსკ-ის მე-9 მუხლში მოცემული მართლწინააღმდეგობის შეგნება, რომელიც განზრახვის შემადგენელი ნაწილია და ასევე, ნაგულისხმევია 36-ე მუხლში, წარმოადგენს ერთი და იგივე კატეგორიას. გარდა ამისა, ეს ორი სხვადასხვა მუხლი, სამართლებრივი შედეგების თვალსაზრისითაც, იდენტურად წყვეტს ფაქტობრივი და აკრძალვაში შეცდომის საკითხს.

კერძოდ, პირველ შემთხვევაში, ფაქტობრივი გარემოებების არცოდნა გამორიცხავს განზრახვის ერთ-ერთ კომპონენტს – ცოდნას და შესაბამისად, განზრახვას, რის შემდეგაც, დღის წესრიგში პირის გაუფრთხილებლობისთვის პასუხისმგებლობა დგება.

მეორე შემთხვევაში, როცა აკრძალვაში შეცდომა მიუტყვებელია, გამორიცხება მართლწინააღმდეგობის შეგნება და მოქმედი ამ ვითარებაშიც შეიძლება გაუფრთხილებლობისთვის დაისაჯოს.

გამომდინარე აქედან, სსკ-ის მე-9 და 36-ე მუხლებში მოცემული „მართლწინააღმდეგობის შეგნება“ ერთი და იმავე შინაარსის შემცველი კატეგორიაა. უფრო კონკრეტულად რომ

ითქვას, ამ ორ განსხვავებულ მუხლში მოაზრებული უმართლობის შეგნება ერთი და იმავე მნიშვნელობისაა და ის უშუალოდ დაკავშირებულია განზრახვის ორ სხვა ნიშანთან – ცოდნისა და ნებელობის პრობლემასთან.

შესაბამისად, სამართლებრივი შეცდომის დროს, ისევე როგორც ფაქტობრივი შეცდომის დროს, თუ ეს შეცდომა რელევანტურად მიიჩნევა, გამოირიცხება მთლიანად განზრახვა (ცოდნა, ნებელობა და მართლწინააღმდეგობის შეგნება) და პირს პასუხისმგებლობა შეიძლება მხოლოდ გაუფრთხილებლობისათვის დაეკისროს. თუმცა, პრობლემურია ის გარემოება, რომ სისხლის სამართლის კოდექსი ხშირ შემთხვევაში, ამგვარი ქმედების გაუფრთხილებლობით დასჯადობას საერთოდ არ ითვალისწინებს, რის გამოც ქმედების სუბიექტი საბოლოოდ, მაინც „დაუსჯელი“ რჩება, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი შეცდომა მიუტევებელია.

აქედან გამომდინარე, საკითხავია, რამდენად სწორი და მართებულია ის გარემოება, რომ მიუტევებელი შეცდომის დროს, ისევე როგორც მისატევებელი შეცდომის შემთხვევაში, პირი საბოლოოდ, მაინც თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. ამ პრობლემის საილუსტრაციოდ კი, სასამართლო პრაქტიკიდან რამდენიმე შემთხვევას მოვიხმოთ.

II. სასამართლოს პრაქტიკა სამართლებრივი შეცდომის შესახებ

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ნორმები, როგორც ცნობილია, იყოფა ორ ნაწილად: კლასიკურ და დამატებით ნორმებად.⁴ პირველი მათგანი წარმოადგენს ისეთ კლასიკურ დელიქტებს, როგორცაა: მკვლელობა, ქურდობა და ა. შ. ნორმათა მეორე ჯგუფი კი, აერთიანებს ყველა იმ დანაშაულის შემადგენლობას, რომელსაც ბლანკეტური შინაარსი აქვს. ამ შემადგენლობებთან მიმართებით ხშირად საჭიროა სპეციალური განათლება, რომ ნორმის ადრესატი ნორმის შინაარსს ჩაწვდეს. ეს მოსაზრება თავის მხრივ, ნიშნავს, რომ სწორედ ბლანკეტური ნორმების არცოდნა შეიძლება იყოს აკრძალვაში შეცდომა და შესაბამისად, სამართლებრივი მნიშვნელობის მქონე. კლასიკურ დელიქტებთან მიმართებაში კი, ამგვარი შეცდომა, როგორც წესი, უმეტეს შემთხვევაში, ირელევანტურია.

1. მიუტევებელი სამართლებრივი შეცდომის პრაქტიკული მაგალითები

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ სისხლის სამართლის ერთ-ერთ საქმეზე საგადასახადო კოდექსის ცალკეული ნორმების შინაარსის არცოდნა აკრძალვაში შეცდომად ჩათვალა და გადასახადისათვის თავის არიდებაში (სსკ-ის 160-ე მუხლი, 1998 წლის 28 ნოემბრის რედაქცია) მსჯავრდებული პირი გაამართლა.⁵

საკაცაციო პალატის მიერ დადგენილ განჩინებაში ვკითხულობთ: საქმეზე თანდართული მტკიცებულებების ანალიზისა და მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე, სასამართლოს „ასეთ ვითარებაში სრულიად შეუძლებლად მიაჩნია საუბარი იმაზე, რომ მსჯავრდებულ ა.ტ.-ს განზრახული ჰქონდა, დაემალა მოგება და სხვა საგადასახადო ობიექტი, რის გარეშეც არ არსებობს სსკ-ის 160-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით (1998 წლის 28 ნოემბრის რედაქცია) გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობა. უკიდურეს შემთხვევაში, შეიძლება მხოლოდ იმის ვარაუდი, რომ ა.ტ. თავისი მცდარი წარმოდგენის გამო, არაჯეროვან სამართლებრივ საფუძველზე ახორციელებდა თავის ურთიერთობას იურიდიულ ფირმა „კვადროსთან“, საბაჟო და საგადასახადო ორგანოებთან, მაგრამ სისხლის სამართლის კოდექსის 36-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, როცა შეცდომა მისატყვევებელი არ არის, პირს შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა მხოლოდ გაუფრთხილებლობისათვის, თუ დასჯადია ამ ქმედების გაუფრთხილებლობით ჩადენა.“⁶

ბემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, ვინაიდან აღნიშნული შემთხვევის გამო გაუფრთხილებლობისათვის პირის პასუხისმგებლობა კანონმდებლობით გამორიცხულია, უზენაესმა სასამართლომ ქვედა ინსტანციის სასამართლოს განაჩენი ა.ტ.-ს მსჯავრდების თაობაზე გააუქმა და მსჯავრდებულის მიმართ სისხლის სამართლის საქმე საბოლოოდ შეწყვიტა.⁷

ანალოგიური გადაწყვეტილება მიიღო თბილისის საქალაქო სასამართლომ ასევე, სისხლის სამართლის ერთ-ერთ საქმეზეც, სადაც ადგილი ჰქონდა საქართველოს ტერიტორიაზე ნარკოტიკული ნივთიერების უკანონოდ შემოტანის ფაქტს.⁸ საქმის გარემოებები კი, შემდეგ შემთხვევას ეფუძნებოდა: გ.ბ.-მ საზღვარგარეთ ყოფნისას გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, უკანონოდ შეიძინა და შეინახა ნარკოტიკული საშუალება – 0,6477 გრამი ბუპრენორფინის შემცველი 81 ცალი ტაბლეტი, რაც 2019 წლის 06 მარტს, თბილისის საერთაშორისო აეროპორტის სასაზღვრო-გამშვები პუნქტის გამოვლით უკანონოდ შემოიტანა საქართველოში. აღნიშნული ნარკოტიკული საშუალებები, 2019 წლის 06 მარტს ამოღებულ იქნა გ.ბ.-საგან თბილისში, შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის საერთაშორისო აეროპორტის მოფრენის დარბაზში.

სასამართლომ განიხილა წარდგენილი სისხლის სამართლის საქმის მასალები, მოისმინა მოწმეთა ჩვენებები, გაანალიზა ისინი საქმეზე შეკრებილ და სასამართლო სხდომაზე მხარეთა მონაწილეობით გამოკვლეულ მტკიცებულებებთან ერთობლიობაში. თითოეული მტკიცებულება შეაფასა სისხლის სამართლის საქმესთან მათი რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით და საქმეზე გამოკვლეული ყველა მტკიცებულება ერთობლიობით – გ.ბ.-ს დამნაშავედ ცნობის შესახებ დასკვნისათვის საკმარისობის თვალსაზრისით, მიიჩნია, რომ სასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარის მიერ ვერ იქნა

წარმოდგენილი აშკარა, დამაჯერებელი და ერთმანეთთან შეთანხმებული საკმარისი მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დაადასტურებდა გ.ბ.-ს მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენის ფაქტს.

კერძოდ, სასამართლომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მიუთითა, რომ „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 36-ე მუხლის თანახმად, ის ვინც არ იცის, რომ ქმედება, რომელსაც სჩადის აკრძალულია, არ დაისჯება მხოლოდ მაშინ, თუ ეს შეცდომა მისატყვებელია. თავის მხრივ, შეცდომა მისატყვებელია, თუ შექმნილ ვითარებაში მან არ იცოდა და არ შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ სჩადიოდა აკრძალულ ქმედებას. თუმცა, მაშინაც კი, როცა შეცდომა არ არის მისატყვებელი, პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს მხოლოდ გაუფრთხილებლობისათვის, თუ ამ ქმედების გაუფრთხილებლობით ჩადენა ისჯება სისხლის სამართლის კოდექსით. ამდენად, აღნიშნული ნორმა ვრცელდება სწორედ სამართლებრივი (იურიდიული) შეცდომის პრობლემაზე და რელევანტურია მხოლოდ ბლანკეტურ დელიქტებთან მიმართებაში დაშვებული შეცდომის დროს. შესაბამისად, თუ პირმა არ იცოდა ან არ იცის კონკრეტული ნარკოტიკული ბლანკეტური ნორმის შინაარსი, მას მართლწინააღმდეგობის შეგნების არარსებობის გამო, არ შეიძლება დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა განზრახი დანაშაულის ჩადენისათვის.“

სასამართლოს მტკიცებით, საქმის არსებითი განხილვის დროს გამოკვლეული როგორც ბრალდების, ასევე დაცვის მხარის მტკიცებულებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, უტყუარად დადასტურებული იქნა, რომ ბრალდებულმა არ იცოდა მკურნალობისათვის განკუთვნილი პრეპარატ „სუბოტექსის“ საქართველოში შემოტანის სპეციფიკური წესი. იგი იყო უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელსაც არასდროს უცხოვრია საქართველოში, არ ჰყოლია ახლობლები, მეგობრები და ნაცნობები, არ გააჩნდა იურიდიული, სამედიცინო განათლება ანდა რაიმე სამართლებრივი კავშირი საქართველოსთან, წარსულში არასოდეს ჩაუდენია ნარკოტიკული სამართალდარღვევა. ქმედების სუბიექტს პრეპარატი „სუბოტექსი“ მოთავსებული ჰქონდა ხელჩანთაში, აბსოლუტურად თვალსაჩინო ადგილას და ამისათვის მას არ გამოუყენებია რაიმე სამალავი. მოთხოვნისთანავე მან შემოსავლების სამსახურის მუშაკებს წარმოუდგინა იგი და, პირველივე საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას განაცხადა, რომ ეს ნივთიერება გამიზნული იყო მხოლოდ პირადი მოხმარებისათვის. სასამართლოს მტკიცებით, იგი შეცდომით ფიქრობდა, რომ საქართველო იყო ევროპის კავშირის წევრი სახელმწიფო და აღიარებდა ევროპის ქვეყნებში დამკვიდრებულ სამართლებრივ წესრიგს, რომლის

ფარგლებშიც მკურნალობისათვის განსაზღვრული პრეპარატი „სუბოტექსის“ საზღვარზე გადაადგილება არ მოითხოვდა რაიმე დეკლარაციის შევსებას ანდა ნებართვის მიღებას.

შესაბამისად, სასამართლომ მიუთითა, რომ გ.ბ.-მ დაუშვა აკრძალვაში მიუტევებელი შეცდომა, რის გამოც, ქმედების ჩადენის დროს მას არ ჰქონდა მართლწინააღმდეგობის შეგნება, ე. ი. არ იცოდა, რომ პრეპარატ „სუბოტექსის“ შეძენა, შენახვა ასევე, მისი საზღვარზე შემოტანა ქართული კანონმდებლობის მიხედვით იყო აკრძალული, რაც თავისთავად, გამორიცხავს მის ქმედებაში განზრახი დანაშაულის ბრალის არსებობას, ხოლო ამ დანაშაულის გაუფრთხილებლობით ჩადენას კი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი საერთოდ არ ითვალისწინებს.

ამდენად, ყველა ზემოთ განხილულ შემთხვევაში, სასამართლომ სისხლისსამართლებრივი შეცდომა მიიჩნია, მიუტევებელ შეცდომად, თუმცა, სამართლებრივი შედეგი მაინც ისეთივე დადგა, როგორც ეს მისატევებელი შეცდომის დროს იქნებოდა. ანუ ორივე შემთხვევაში, ბრალდებული პირები საბოლოოდ, მაინც გამართლდნენ კანონში შესაბამისი რეგულაციის არარსებობისა გამო – ქართული კანონმდებლობა მსგავსი შინაარსის მქონე ნორმებით გათვალისწინებული დანაშაულის გაუფრთხილებლობით ჩადენას არ ითვალისწინებს.

2. მისატევებელი სამართლებრივი შეცდომის პრაქტიკული მაგალითები

მისატევებელი სამართლებრივი შეცდომის მაგალითებიც არცთუ ისე იშვიათია ქართულ სასამართლო პრაქტიკაში. ერთ-ერთი ასეთი გადაწყვეტილება კი, უზენაესმა სასამართლომ 2001 წელს გამოიტანა.⁹ საქმის მასალების მიხედვით, კ. ჩ.-ს ბრალი ედებოდა ნარკოტიკულ საშუალებეთა უკანონო შეძენა, შენახვა და გადაზიდვაში, ასევე საქართველოში ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შემოტანაში. სახელდობრ, ბრალდებული 1998 წლის აგვისტოდან იმყოფებოდა რუსეთის ფედერაციის კომის რესპუბლიკის ქ. უხტაში, საიდანაც 2000 წლის 30 ივნისს, მატარებლით ჩავიდა ქ. მოსკოვში. იქ გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან 657 რუსულ რუბლად უკანონოდ შეიძინა 0,05 გრამიანი 45 კაფსულა და 0,3 გრამიანი 3 ცალი აბი ნარკოტიკული საშუალება „ტრამალი“, საერთო წონით 3,15 გრამი. აღნიშნული უკანონოდ შეინახა პლასტმასის თეთრი ფერის კოლოფში წარწერით „უნდევითი“ და იმავე დღეს მოსკოვი-თბილისის ავიარეისით, ასევე, უკანონოდ გადმოვიდა და შემოიტანა საქართველოში. თბილისის აეროპორტში იგი დააკავეს სატრანსპორტო პოლიციის თანამშრომლებმა.

სოხუმის რაიონული და სოხუმის საქალაქო სასამართლოს 2000 წლის 26 დეკემბრის განჩინით, კ. ჩ. წარდგენილ ბრალდებაში გამართლდა, მის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არარსებობის გამო. აფხაზეთის ა/რ უმაღლესი სასამართლოს სისხლის

სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2001 წლის 15 თებერვლის განაჩენით, გაუქმდა სოხუმის რაიონული და სოხუმის საქალაქო სასამართლოს 2000 წლის 26 დეკემბრის გამართლებელი განაჩენი კ.ჩ.-ს მიმართ ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შენახვის ნაწილში და მის ნაცვლად დადგინდა გამამტყუნებელი განაჩენი.

უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამ იმჯელა აღნიშნულ საკითხზე და დაასკვნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, მსჯავრდებულს არ ჰქონდა და არც შეიძლებოდა ჰქონოდა მართლწინააღმდეგობის შეგნება, რადგან მან არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ პრეპარატი „ტრამალის“ შეძენით, შენახვითა და საქართველოში შემოტანით დანაშაულს რომ სჩადიოდა, ვინაიდან აღნიშნული პრეპარატი რუსეთის ფედერაციაში თავისუფალ გაყიდვაში იყო და მისი შეძენა და შენახვა რაიმე სახის სპეციალურ ნებართვასთან ან შეზღუდვასთან არ იყო დაკავშირებული. აღნიშნული გარემოება კი, უზენაესი სასამართლო მიუთითებდა სწორედ განზრახვის არარსებობაზე. სახელდობრ, სასამართლომ მიუთითა, რომ „კ.ჩ.-ს ქმედებაში მართლწინააღმდეგობის შეგნებისა და განზრახვის არარსებობა გამორიცხავს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონოდ შენახვა) გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას და ამდენად, სოხუმის რაიონული და საქალაქო სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი სწორია.¹⁰

მისატევებელი შეცდომის შემთხვევას ასევე, ჰქონდა ადგილი სისხლის სამართლის ერთ-ერთ საქმეში, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლომ განიხილა.¹¹ საქმის არსი კი, მდგომარეობდა შემდეგში: 2012 წლის 8 თებერვალს რეგისტრირებულ იქნა შპს ICC GEORGIA, რომლის საქმიანობის საგანს წარმოადგენდა კვების პროდუქტების იმპორტი და რეალიზაცია.

2012 წლის ნოემბერ-დეკემბერში შპს ICC GEORGIA-მ საფრანგეთის რესპუბლიკაში შეიძინა განსაკუთრებით დიდი ოდენობით – 300 კილოგრამი ნარკოტიკული საშუალება დამაძინებელი ყაყაჩო – PAPAVER SOMNIFERUM L.-ის თესლი, რომელიც სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო გამშვები პუნქტი – სარფის გავლით, ერთიანი მიზნითა და საერთო განზრახვით, ორ ეტაპად, 2012 წლის 28 ნოემბერს და 18 დეკემბერს უკანონოდ შემოიტანა საქართველოს ტერიტორიაზე.

2013 წლის 20 თებერვალს, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ შპს ICC GEORGIA-ს საწყობიდან ამოღებული იქნა 247.45 კგ. ზემოაღნიშნული ნარკოტიკული საშუალება, რომელიც სასამართლო ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, წარმოადგენდა დამაძინებელი ყაყაჩოს PAPAVER SOMNIFERUM L.-ის თესლებს და შეიცავდა ნარკოტიკულ საშუალება მორფინს – 1.4363 გრ. და ნარკოტიკულ საშუალება კოდეინს – 0.06405 გრამის ოდენობით.

გამომდინარე აქედან, აღნიშნული დანაშაულის ჩადენისათვის სახელმწიფო ბრალდებაში ზემოთ მითითებულ იურიდიულ პირს წარუდგინა ბრალდება საქართველოში ნარკოტიკული

საშუალებების უკანონოდ შემოტანა, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.¹²

მოცემულ შემთხვევაში, თბილისის საქალაქო სასამართლომ დაასკვნა, რომ ბრალდებული იურიდიული პირის წარმომადგენლებს არ ჰქონდათ და არც შეიძლებოდა ჰქონოდათ მართლწინააღმდეგობის შეგნება. უფრო კონკრეტულად, სასამართლომ განმარტა, რომ შპს ICC GEORGIA-ს წარმომადგენლებმა არაფერი იცოდნენ იმის შესახებ, რომ მათ მიერ შემოტანილი ყაყაჩოს თესლი შეიცავდა ნარკოტიკულ საშუალებას. მათი თქმით, აღნიშნულის შესახებ მხოლოდ საგამოძიებო ორგანოში მიყვანისას გაიგეს, რამდენადაც მათ აღნიშნული საქონელი საქართველოში შემოიტანეს არა როგორც ნარკოტიკული საშუალების შემცველი პროდუქცია, არამედ როგორც საკონდიტრო წარმოებაში გამოსაყენებელი ინგრედიენტი. სწორედ ამავ მიზნით იქნა მათ მიერ რეალიზებული შემოტანილი პროდუქციის ნაწილი.¹³

იმ პოზიციის დასადასტურებლად, რომ ყაყაჩოს თესლი გამოიყენებოდა საკონდიტრო წარმოებაში, დაცვის მხარემ მტკიცებულების სახით, სასამართლოს წარმოუდგინა შპს „გუდვილიდან“, შპს „ბისკვიტიდან“, შპს „გურმედან“ მიღებული ცნობებიც, რომელთა მიხედვითაც დასტურდებოდა, რომ ყაყაჩოს თესლი Papaver somniferum L ფართოდ გამოიყენებოდა საკონდიტრო საქმიანობაში და პურ-ფუნთუშეულის წარმოებაში დამატებითი ინგრედიენტის სახით.¹⁴

გარდა ამისა, დაცვის მხარემ სასამართლოს მტკიცებულების სახით ასევე, წარმოუდგინა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ გაცემული წერილი, სადაც განმარტებული იყო, რომ დამაძინებელი ყაყაჩოს თესლი არ მიეკუთვნებოდა ნარკოტიკული საშუალებების სიას, ხოლო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაცოქიმიის ინსტიტუტის მიერ გაცემული ცნობის მიხედვით, დამაძინებელი ყაყაჩოს მწიფე თესლი არ შეიცავდა ალკალოიდებს.¹⁵

ამდენად, არც საქონლის შემოტანამდე და არც მისი შემოტანის შემდეგ, არ არსებობდა ბრალდებული იურიდიული პირის წარმომადგენლების მხრიდან მისი, როგორც ნარკოტიკული საშუალების იმპორტისა და რეალიზაციის ბოროტი განზრახვა. გამომდინარე აქედან, სასამართლომ პოზიციით, მოცემულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა თავიდან აუცილებელ (საპატიებელ) შეცდომას, რა დროსაც პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ერთმნიშვნელოვნად გამოირიცხა განზრახი დანაშაულის ჩადენისათვის, რის გამოც ბრალდებული იურიდიული პირი მთლიანად გამართლდა წარდგენილ ბრალდებაში.¹⁶

სასამართლო პრაქტიკაში ასევე, ყოფილა ისეთი შემთხვევებიც, როცა სასამართლოს ზემოთ განხილული საქმის მსგავსი ვითარება მიუჩნევია ირელევანტურ, უმნიშვნელო

შეცდომად, რა დროსაც დღის წესრიგში აღარ დამდგარა ასეთი შეცდომის მიტევების თუ მიუტევებლობის საკითხი.

3. სამართლებრივად ირელევანტური, უმნიშვნელო შეცდომა

გემოთ განხილული გადაწყვეტილებისგან განსხვავებით, თბილისის სააპელაციო სასამართლომ ნარკოტიკულ საშუალებეთა უკანონო შექმნა, შენახვაში და ასევე, საქართველოში ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შემოტანაში ბრალდებული პირი დამნაშავედ სცნო.¹⁷ კერძოდ, 2021 წლის 16 ივლისს, ს.რ.-მა თბილისის საერთაშორისო აეროპორტის სასაზღვრო-გამშვები პუნქტის გამოვლით ინდივიდუალური საჭიროებისათვის ნარკოტიკული საშუალებების შემოტანის წესის დარღვევით, საქართველოში შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობის მიზნით, შემოიტანა ნარკოტიკული საშუალება – 0,31047 გრამი ბუპრენორფინის შემცველი ნივთიერებები. აღნიშნულის შემდეგ, ბრალდებულმა საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნისას ნარკოტიკული საშუალება – ბუპრენორფინის შემცველი ნივთიერებები, რომლებსაც ინახავდა იგი უკანონოდ ნაქირავებ სახლში, მოგვიანებით, უკანონოდ გაასაღა საქართველოს მოქალაქე გ. გ.-ზე.

მოცემულ შემთხვევაში, ბრალდებულმა თავი არ სცნო წარდგენილ ბრალდებაში დამნაშავედ და მიუთითა, რომ იგი საქართველოში ნამყოფი იყო რამდენჯერმე, ეს ნივთიერებები მას ადრე არაერთხელ ჰქონდა დადეკლარირებული თუმცა, ამ შემთხვევაში, აეროპორტში დეკლარაციის შევსება არეულობის გამო ვერ შეძლო, იყო ცუდად, აწუხებდა თავის ტკივილი და შემდეგ უკან მისვლა დაავიწყდა.

მან ასევე, განმარტა, რომ საერთოდ არ იცოდა აღნიშნული ქმედების სისხლისსამართლებრივი დასჯადობის შესახებ, პირიქით, ფიქრობდა, რომ ასეთი ქმედება შეიძლება მხოლოდ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად ჩათვლილიყო.

სააპელაციო სასამართლომ ბრალდებულის განზრახვასთან მიმართებით, მხედველობაში მიიღო მის მიერ სასამართლო სხდომაზევე გაკეთებული განმარტებები. კერძოდ, მსჯავრდებულმა სასამართლოზე დაადასტურა, რომ საქართველოში ნამყოფი იყო არაერთხელ და ნარკოტიკული საშუალებებიც (მკურნალობის მიზნით), ხშირად ჰქონდა დადეკლარირებული.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით კი, სასამართლომ ჩათვალა, რომ ს.რ.-ის ამ პოზიციით, ცალსახად დასტურდებოდა, რომ მას შეცნობილი ჰქონდა, საქართველოში შემოსვლასთან დაკავშირებით, ნარკოტიკულ საშუალებებზე სახელმწიფო კონტროლის გავლის აუცილებლობა. ასევე, დადგინდა იქნა ისიც, რომ ს.რ.-ის დანაშაულებრივი ქმედება საქართველოში გამოვლენილი იქნა მისი შემოსვლიდან რამდენიმე დღის შემდეგ,

სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლების მიერ ჩატარებული მისი პირადი და ბინის ჩხრეკის დროს. აღნიშნული გარემოებებმა კი, ერთობლიობაში, სასამართლო დაარწმუნა იმაში, რომ ს.რ.-ს შეგნებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი და იცოდა კიდევ აღნიშნული ქმედების აკრძალვის შესახებ, რის გამოც მის მიერ გაკეთებული განმარტება იმის თაობაზე, რომ მას არ ჰქონდა შეცნობილი ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი, ჩაითვალა ირელევანტურად.¹⁸

აღსანიშნავია, რომ მსგავსი პოზიცია გაიზიარა უზენაესმა სასამართლომ 2007 წელს, მის მიერ მიღებულ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაშიც. კერძოდ, სასამართლომ სისხლის სამართლის ერთ-ერთ საქმეზე სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის არცოდნა აკრძალვაში შეცდომად არ მიიჩნია და ჯაშუშობაში (საქართველოს სსკ-ის 314-ე მუხლის პირველი ნაწილი) მსჯავრდებული პირის მიმართ ქვედა ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი უცვლელად დატოვა.¹⁹

საქმეში არსებული გარემოებებით ირკვევა, რომ ი.ბ-მ უცხო ქვეყნისათვის გადაცემის მიზნით, დაუდგენელ ვითარებაში შეაგროვა საქართველოს სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია. კერძოდ, საქართველოს საზღვაო ფლოტის შემადგენლობაში შემავალი, ფოთის აკვატორიაში დისლოცირებული სამხედრო დანიშნულების გემების რაოდენობის, სახეობის, საბრძოლო მდგომარეობისა და სხვა ტექნიკური მახასიათებლების შესახებ და აღნიშნული მონაცემები წერილის სახით, საახალწლო მისალოც ბარათთან ერთად, გააგზავნა რუსეთში ვინმე ბ.ლ.-ს სახელზე.

აღნიშნული ქმედებისათვის ი.ბ-ს მსჯავრი დაედო სსკ-ის 314-ე მუხლის 1-ლი ნაწილით. მსჯავრდებულის ინტერესების დამცველის მიერ წარდგენილ საჩივარში, ადვოკატი ცდილობდა დაესაბუთებინა თავისი დაცვის ქვეშ მყოფის უდანაშაულობა. მისი მტკიცებით, მსჯავრდებულმა არ იცოდა იმ კონკრეტული ნორმატიული აქტის არსებობის შესახებ, რომლითაც დადგენილია საიდუმლოებას მიკუთვნებულ ინფორმაციათა ნუსხა. შესაბამისად, ბრალდებულს შეცნობილი არ ჰქონდა თავისი ქმედების აკრძალულობა. მას არ გააჩნდა მართლწინააღმდეგობის შეგნება, ამიტომ აღნიშნული შემთხვევა ბრალის გამომრიცხველ ერთ-ერთ გარემოებად – აკრძალვაში მისატყვებელ შეცდომად უნდა მიჩნეულიყო.²⁰

უზენაესმა სასამართლომ, საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, ადვოკატის ეს მოთხოვნა არ დააკმაყოფილა და მსჯავრდებულის მიმართ მეორე ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი უცვლელად დატოვა.²¹

მართლაც, ცალკეული სიტუაციებიდან გამომდინარე, შესაძლოა, პირს ქმედების განხორციელებისას არ ჰქონდეს მართლწინააღმდეგობის აქტუალური შეგნება.²² ამ კონკრეტულ მაგალითში კი, ერთი შეხედვით, სრულიად დასაშვებია ის ფაქტი, რომ პირმა არ იცოდეს იმ

ბლანკეტური ნორმის ბუსტი შინაარსი, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ინფორმაციის ნუსხას. თუმცა, უმართლობის შეგნებისთვის საკმარისია, მოქმედს შეგნებული ჰქონდეს მის მიერ ჩადენილი ქმედების სოციალური არსი, რომ მისი ქცევა ეწინააღმდეგება კონკრეტული დანაშაულის განხორციელების დროს საზოგადოებრივი წეს-წყობილებით დადგენილ მოთხოვნებს, საზოგადოებაში გაბატონებულ სამართლებრივ წარმოდგენებს.²³

უფრო კონკრეტულად, სამხედრო დანიშნულების გემების რაოდენობის, სახეობის, საბრძოლო მდგომარეობისა და სხვა ტექნიკური მახასიათებლების შესახებ ინფორმაციის მოპოვება იმ მიზნით, რომ შემდგომ ეს ინფორმაცია გადაეცეს უცხო ქვეყნის მოქალაქეს ან ორგანიზაციას, ზოგადად, დაუშვებელი საქმიანობაა. ამისათვის პირს არ სჭირდება ცალკეული კანონის თუ სხვა ნორმატიული აქტის კონკრეტული ცოდნა, არამედ სრულიად საკმარისია დამნაშავის მხრიდან იმის შეგნება, რომ მის მიერ ჩადენილ ქმედებას შესაძლოა სამართლებრივი გაკიცხვა მოჰყვეს.

ამდენად, ზემოთ მოტანილი ორივე მაგალითი დაკავშირებულია აკრძალვაში პირდაპირ შეცდომის პრობლემასთან. თუმცა, ორივე ეს შემთხვევა სასამართლომ მიიჩნია ირელევანტურ შეცდომად, რის გამოც, პირს პასუხისმგებლობა განზრახი დანაშაულის ჩადენისათვის დააკისრა. ეს კი, ერთი შეხედვით, გაურკვევლობის და, შეიძლება ითქვას, უსამართლობის განცდასაც კი, ტოვებდეს ქმედების სუბიექტში, რადგან მთელი აქცენტი ასეთ შემთხვევაში გადატანილია მოსამართლის ინდივიდუალურ, სუბიექტურ შეხედულებაზე.²⁴ კერძოდ, თუ სასამართლო, ბლანკეტური დელიქტების ჩადენისას, მიიჩნევს, რომ ადგილი არა აქვს რელევანტურ სამართლებრივ შეცდომას, მაშინ როცა, ობიექტურად, ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, შესაძლოა სახე იყოს სამართლებრივი შეცდომა, პირს პასუხისმგებლობა მთელი სიმკაცრით განზრახი დანაშაულის ჩადენისათვის დაეკისრება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ შეცდომა სასამართლოს მიერ რელევანტურად მიიჩნევა, მაშინ ქმედების სუბიექტი შეიძლება პასუხისმგებლობისაგან საერთოდ გათავისუფლდეს, მიუხედავად იმისა, ასეთი შეცდომა მისატყვებელი იქნება თუ მიუტყვებელი (ასე მაგალითად, თუ ჩადენილი იქნება ნარკოდანაშაული).

დასკვნა

საკითხის სრულყოფის მიზნით, მართებულია, მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში საკანონმდებლო ცვლილებების გზით მოხდეს შეცდომის პრობლემის ახლებური რეგულაცია, სახელდობრ, ამ შემთხვევაში გაზიარებული უნდა იქნას გერმანული სასამართლო პრაქტიკისა

და დოგმატიკის პოზიცია, რაც ასახულია კიდევ გერმანიის სსკ-ის მე-17 პარაგრაფში (აკრძალვაში შეცდომა).²⁵ აღნიშნული ნორმის შინაარსი კი შემდეგში მდგომარეობს:

- „1. თუ ქმედების ჩამდენ პირს ქმედების ჩადენის დროს შეცნობილი არა აქვს ამ ქმედების უმართლობა, ასეთ შემთხვევაში იგი მოქმედებს არაბრალეულად, თუ მას არ შეეძლო ამ შეცდომის თავიდან აცილება.
2. იმ შემთხვევაში, თუ პირს შეეძლო აკრძალვაში შეცდომის თავიდან აცილება, მაშინ მას შეიძლება მხოლოდ სასჯელი შეუმსუბუქდეს.“

სამართლებრივი შეცდომის ამგვარი ინტერპრეტაცია მართებულია, რადგან მართლწინააღმდეგობის აქტუალური შეგნების არარსებობა, ქმედების კვალიფიკაციაზე გავლენას არ უნდა ახდენდეს. ანუ ასეთ შემთხვევაში არ უნდა ირიცხებოდეს მთლიანად განზრახვა. ჩვენი აზრით და დოგმატური დასაბუთებით, შეცდომის თავიდან აცილების შემთხვევაში, პირს პასუხისმგებლობა არა გაუფრთხილებლობისთვის, არამედ ისევ განზრახი დანაშაულის ჩადენისთვის უნდა დაეკისროს. თუმცა, ეს შეიძლება გახდეს ბრალისა და შესაბამისად, სასჯელის შემცირების საფუძველი.

აკრძალვაში შეცდომის ამგვარი დეფინიციით შესაძლებელია, პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ლოგიკური დასაბუთება ბლანკეტურ დელიქტებში დაშვებული სამართლებრივი შეცდომის შემთხვევაშიც.

უფრო კონკრეტულად რომ ითქვას, როგორც ეს ზემოთ მოტანილი პრაქტიკული მაგალითებიდან და პრობლემის გაანალიზებიდან ჩანს, მოქმედი კოდექსის 36-ე მუხლის მიხედვით, თუ ამსრულებელმა ბლანკეტური დელიქტების დროს განზრახ განახორციელა მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ანუ განზრახ დაარღვია ბლანკეტური ნორმის მოთხოვნა ან აკრძალვა, მაგრამ მას არ ჰქონდა უმართლობის შეგნება, ე. ი. დაუშვა აკრძალვაში შეცდომა და ეს შეცდომა სასამართლომ თავიდან აცილებადად მიიჩნია, პირი საბოლოოდ პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება, მიუხედავად იმისა, რომ შეცდომა მიუტევებელია. ამის მიზეზი კი არის ის, რომ ბლანკეტური შემადგენლობის გაუფრთხილებლობით ჩადენა კოდექსში არ არის გათვალისწინებული. იგივე შედეგი დგება მისატევებელი შეცდომის შემთხვევაშიც. ამდენად, კანონის ამ რეგულაციის მიხედვით, ორივე ვითარებაში, როგორც თავიდან აცილებადი, ისე თავიდან აუცილებადი შეცდომისას, პირი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან საბოლოოდ, თავისუფლდება.

აღნიშნული მსჯელობის შედეგად კი, ლოგიკურად გამოდის დასკვნა, რომ საქართველოს სსკ-ის 36-ე მუხლში მოცემული ის სამართლებრივი შედეგი (გაუფრთხილებლობისათვის

პირის პასუხისმგებლობა), რომელიც დგება ბლანკეტური დელიქტებისას აკრძალვაში მიუტევებელი შეცდომის დროს, უმეტეს შემთხვევაში, თითქმის არარეალიზებადია. კლასიკურ დელიქტებში კი, აკრძალვაში შეცდომა, როგორც წესი, არასდროს იწვევს განზრახვისა და ბრალის გამორიცხვას, რადგან იგი ირელევანტურად მიიჩნევა.

ამ პრობლემის თავიდან აცილება შესაძლებელია, თუ პირს პასუხისმგებლობა, შეცდომის მიუტევებლობის შემთხვევაში, ისევ განზრახი დანაშაულის ჩადენისათვის დაეკისრება. თუმცა, ეს შეიძლება გახდეს მხოლოდ ბრალის და, შესაბამისად, სასჯელის შემცირების საფუძველი.

შენიშვნები:

- ¹ შეად. გამყრელიძე ო., საქართველოს სისხლის სამართლის განმარტება, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 253; ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, 2013, გვ. 220.
- ² მაღლაკელიძე ლ., სამართლებრივი შეცდომისა და მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებული შეცდომის ურთიერთგამიჯვნის საკითხისათვის, სამართლის ჟურნალი, №2, 2009, გვ. 94-109; მაღლაკელიძე ლ., განზრახვა და მართლწინააღმდეგობის შეგნება ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), 2013, გვ. 140-209; მაღლაკელიძე ლ., ბრალის გენეზისი ქართულ სისხლის სამართალში, ჟურ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №5, 2015, გვ. 90-105.
- ³ მაღლაკელიძე ლ., განზრახვა და მართლწინააღმდეგობის შეგნება ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), 2013, გვ. 208-209.
- ⁴ ქართულ სისხლის სამართალში ანალოგიურ მოსაზრებას არაერთი ავტორი ავითარებს, ასე მაგ., გამყრელიძე ო., საქართველოს სისხლის სამართლის განმარტება, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 254-255; ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, 2013, გვ. 220.
- ⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 18 ოქტომბრის №253-აპ განჩინება.
- ⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 18 ოქტომბრის №253-აპ განჩინება.
- ⁷ იქვე.
- ⁸ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 05 ივლისის გადაწყვეტილება №1/1590-19 საქმეზე, რაც ასევე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 12 ნომბრის გადაწყვეტილებით ძალაში იქნა დატოვებული.
- ⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 19 ივლისის №32-აპ განჩინება.
- ¹⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 19 ივლისის №32-აპ განჩინება, მსგავსი გადაწყვეტილება მიიღო უზენაესმა სასამართლომ სხვა სისხლის სამართლის საქმეებზეც, ასე მაგ., იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 10 მარტის №440-აპ განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 28 თებერვლის №36აპ-18 განჩინება.
- ¹¹ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილება სისხლის სამართლის №1/1608-13 საქმეზე. მიუხედავად იმისა, რომ სასა-

მართლომ, მოცემულ შემთხვევაში, მთელი აქცენტი ფაქტობრივ შეცდომაზე გაამახვილა, ჩვენი აზრით, ამ საქმეში ასევე, ადგილი ჰქონდა სამართლებრივ შეცდომასაც, ანუ ერთდროულად იყო მოცემული როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი შეცდომა, რაც თეორიულად სრულიად შესაძლებელია.

¹² იქვე.

¹³ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილება სისხლის სამართლის №1/1608-13 საქმეზე.

¹⁴ იქვე.

¹⁵ იქვე.

¹⁶ იქვე, ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული გამამართლებელი განაჩენი სააპელაციო სასამართლოს მიერ ძალაში იქნა დატოვებული, ხოლო უზენაეს სასამართლოში იგი აღარ გასაჩივრებულა ბრალდების მხარის მიერ. ამის შესახებ იხ.: თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 27 ივლისის განაჩენი №1/ბ-598-16 საქმეზე.

¹⁷ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 21 ივნისის განაჩენი №1ბ/423-22 საქმეზე.

¹⁸ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 21 ივნისის განაჩენი №1ბ/423-22 საქმეზე.

¹⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 14 სექტემბრის №438-აპ განჩინება.

²⁰ იქვე.

²¹ იქვე.

²² მართლწინააღმდეგობის აქტუალური და პოტენციური შეგნების შესახებ დაწვრილებით იხ.: მალლაკელიძე ლ., განზრახვა და მართლწინააღმდეგობის შეგნება ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), 2013, გვ. 87-92.

²³ იურიდიულ დოქტრინაში აღიარებულია, რომ ამ დროს პირს წაეყენება მოთხოვნა, გამოიჩინოს „კეთილსინდისიერი ძალისხმევა“, „დაძაბოს გონება“ და თუ იგი ამ დროს შეცდომას თავიდან ვერ აიცილებდა, მხოლოდ მაშინ გამოირიცხება ბრალი. გერმანულ სისხლის სამართალში არსებობს ტერმინი: „Gewissensanspannung;“ იხ.: R. Zaczyk, Der verschuldete Verbotsirrtum, JuS 1990, გვ. 893.

²⁴ მართალია, ასეთ შემთხვევაში სასამართლო ამგვარ გადაწყვეტილებას იღებს მესამე ობიექტური დამკვირვებლის, გონიერი ადამიანის პოზიციიდან გამომდინარე, როცა პირს არ შეიძლება სცოდნოდა ბლანკეტურად დადგენილი ესა თუ ის სავალდებულო ქცევის წესი, მაგრამ საბოლოოდ, ამ საკითხსაც მხოლოდ სასამართლო აფასებს და არა კანონმდებელი.

²⁵ იხ.: გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის მე-17 პარაგრაფი.

THE PRACTICAL SIGNIFICANCE OF LEGAL ERROR IN COURT DECISIONS

ANALYSIS OF ARTICLE 36 OF THE CRIMINAL CODE OF GEORGIA

LAVRENTI MAGHLAKELIDZE

Ph.D. of Law

Associate professor at the Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Judge of Tbilisi Court of Appeals

In the modern criminal law doctrine, at all three stages of the criminal system, it is possible for the criminal to make a mistake, which ultimately can affect not only the severity of the punishment but also the qualification of the crime.

A mistake in criminal law is a case where the perpetrator misperceives the factual or legal aspect of his conduct. A legal (prohibition) error means that the actor does not know the illegality of his action. At this time, the person is mistaken and thinks that the action he/she is committing is not prohibited.

Article 36 of the Criminal Code of Georgia directly regulates the issue of legal (prohibition) error, when the person is not aware of the legal contradiction. This very norm is placed in the 9th chapter of the Criminal Code, which deals with exculpatory and mitigating circumstances. Based on this, when confirming a mistake, in one case, it is possible to rule out a person's guilt and, accordingly, he is not even held responsible for the committed illegal act, and in the other case, such a situation becomes the basis for easing the responsibility of the subject of the action.

The present article discusses the essence of legal error, its influence on the qualification of action, and the responsibility of a person, more specifically, the practical significance of forgivable and unforgivable errors in court decisions is analyzed. After an in-depth review of the problem, the author proposes a legislative proposal on the new regulation of Article 36 of the Criminal Code of Georgia.

მთავრობის სტანდარტი ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე

ლილი მსხილაძე

თბილისის საქალაქო სასამართლოს

*სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე,
სამართლის დოქტორი*

2011 წლის 11 მაისს, სტამბოლში მიღებულ იქნა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია, რომელიც სტამბოლის კონვენციის სახელითაა ცნობილი. 2013 წლიდან 2021 წლამდე კონვენცია 34 სახელმწიფოს მიერ იქნა რატიფიცირებული. საქართველოში კონვენცია ძალაში შევიდა 2017 წლის 1 სექტემბერს.¹

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის მიზანია, დაიცვას ქალები ძალადობის ყველა ფორმისგან და აღკვეთოს, სისხლისსამართლებრივად დევნოს და აღმოფხვრას ძალადობა ქალების მიმართ და ოჯახში ძალადობა; ხელი შეუწყოს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრას და ქალებსა და მამაკაცებს შორის რეალური თანასწორუფლებიანობის ჩამოყალიბებას, მათ შორის, ქალებისთვის მეტი შესაძლებლობების მიცემის გზით; შეიმუშაოს კომპლექსური ხარჩოები, პოლიტიკური კურსი და ზომები ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად და დასახმარებლად...²

სახელმწიფოებს, რომლებიც გახდნენ ამ კონვენციის ხელშემკვრელი მხარეები, წარმოეშვათ ვალდებულება

მოეხდინათ შემდეგი ქმედებების კრიმინალიზება: ფსიქოლოგიური ძალადობა (კონვენციის 33-ე მუხლი); ადევნება (კონვენციის 34-ე მუხლი); ფიზიკური ძალადობა (კონვენციის 35-ე მუხლი); სექსუალური ძალადობა, მათ შორის, გაუპატიურება, ნებისმიერი ხასიათის არანებაყოფლობითი ქმედება, რომელსაც აქვს სექსუალური ხასიათი (კონვენციის 36-ე მუხლი); იძულებითი ქორწინება (კონვენციის 37-ე მუხლი); ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება (კონვენციის 38-ე მუხლი); იძულებითი აბორტი და იძულებითი სტერილიზაცია (კონვენციის 39-ე მუხლი); სექსუალური შევიწროება (კონვენციის მე-40 მუხლი); კონვენცია ასევე, მოიცავს ისეთ დანაშაულებს, როგორიცაა „ღირსების“ სახელით ჩადენილი დანაშაული (კონვენციის 42-ე მუხლი). კონვენციის ამოქმედების შემდეგ, საქართველოს სისხლის სამართლის მატერიალური კანონმდებლობა შესაბამისობაში მოვიდა კონვენციასთან და სისხლის სამართლის კოდექსში არაერთი საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა.

აღსანიშნავია, რომ თავად კონვენციაში იქნა ჩადებული პრევენციული ღონისძიებები, რომელიც გამოყენებული უნდა ყოფილიყო კონვენციის ამოქმედებისას, კერძოდ, კონვენციის მე-12 მუხლის თანახმად, მხარეებს დაეკისრათ ვალდებულება, მიეღოთ ყველა საჭირო ზომა ქალისა და მამაკაცის ქცევის სოციალურ და კულტურულ მოდელებში ცვლილებების დასაწესებად იმ მიზნით, რომ აღმოიფხვრას ის ცრურწმენები, ადათ-წესები, ტრადიციები და ყველა სხვა პრაქტიკა, რომლებიც ეფუძნება ქალთა არასრულფასოვნების იდეას ან ქალისა და მამაკაცის როლის სტერეოტიპულ წარმოდგენებს; მხარეებს უნდა მიეღოთ საჭირო ზომები საზოგადოების ყველა წევრის, განსაკუთრებით მამაკაცების და ბიჭების წასახალისებლად, რათა მათ აქტიური წვლილი შეეტანათ ამ კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ძალადობის ყველა ფორმის პრევენციაში; კონვენციის მე-13 მუხლის (საინფორმაციო-საგანმანათლებლო საქმიანობა) თანახმად, მხარეებს დაევალებათ ხელი შეეწყოს და რეგულარულად და ყველა დონეზე ჩატარებინათ საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიები, რათა ამაღლდეს ფართო საზოგადოების ცნობიერებისა და გაგების დონე, ამ კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ძალადობის ყველა ფორმის სხვადასხვა გამოვლინების, ბავშვებზე მათი შედეგებისა და ასეთი ძალადობის პრევენციის აუცილებლობის მიმართ; კონვენციის მე-14 მუხლის (განათლება) თანახმად, ამ მიზნით მხარეებს უნდა მიეღოთ ყველა საჭირო ზომა ისეთი საკითხების შესახებ პედაგოგიური მასალის ოფიციალურ სასწავლო პროგრამებში და განათლების ყველა დონეზე ჩასართავად, როგორიცაა, ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობა, არასტერეოტიპული გენდერული როლები, ურთიერთპატივისცემა, პიროვნებათაშორის ურთიერთობებში კონფლიქტების ძალადობის გარეშე მოგვარება, ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობა და პიროვნული ხელშეუხებლობის უფლება, რომლებიც გათვლილი იქნება მსმენელთა მზარდი განვითარების შესაძლებლობებზე; მხარეებს

უნდა მიეღოთ ყველა საჭირო ზომა პირველ პუნქტში მითითებული პრინციპების დასანერგად არაოფიციალურ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ასევე, სპორტში, კულტურული ღონისძიებების ჩატარების დროს, დასვენების პირობებში და მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში.

სტამბოლის კონვენციის გამოყენება აქტიურად დაინერგა ქართულ მართლმსაჯულებაში, მაგრამ შედეგი, რაც აღნიშნული კონვენციის აქტიურად ამოქმედების შემდეგ სისხლის სამართლის პოლიტიკას მოჰყვა, ცალკე ანალიზს საჭიროებს.

სამწუხარო ფაქტია, რომ საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე ცალმხრივად წარიმართა კონვენციის მოქმედება, აქცენტი გაკეთდა ქალთა მიმართ ძალადობრივი ქმედებების გამოვლენაზე და მკაცრ დასჯით პოლიტიკაზე, ხოლო უგულებელყოფილ იქნა ის პრევენციული ღონისძიებები, რომელიც გამოყენებული უნდა ყოფილიყო კონვენციის ამოქმედებისას, ქალისა და მამაკაცის ქცევის სოციალურ და კულტურულ მოდელებში ცვლილებების დანერგვის მიზნით, რაც მიიღწეოდა საინფორმაციო-საგანმანათლებლო საქმიანობით და განათლებით, მაგრამ ამ კუთხით, სათანადო ღონისძიებები არ გატარებულა. კონვენციის ამოქმედებიდან 5 წლის შემდეგ, შეიძლება ითქვას, საქართველოში ქალთა მიმართ მიმართულმა დანაშაულებმა უფრო მოიმატა, ოჯახის ინსტიტუტს სერიოზული საფრთხე შეექმნა, ხოლო ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემა ვერ მოგვარდა და საკითხის ეფექტიანად გადაწყვეტამ კომპლექსური მიდგომის აუცილებლობა დააყენა.

ოჯახური დანაშაული

სტამბოლის კონვენციით დაცული საკითხებიდან საქართველოში, დღეს ყველაზე მეტად გავრცელებულია ოჯახური ძალადობის დანაშაულები. თბილისის საქალაქო სასამართლოს სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ოჯახურ დანაშაულთან დაკავშირებით მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2018 წელს, მსჯავრდებულ იქნა 600 პირი, გამართლდა 53; 2019 წელს – მსჯავრდებულ იქნა 790 პირი, აქედან 86 გამართლდა, 2020 წელს – მსჯავრდებულ იქნა 750 პირი, 79 გამართლდა, 2022 წელს (15 დეკემბრის მდგომარეობით) – მსჯავრდებულ იქნა 789 პირი, 99 გამართლდა.

სტატისტიკას თუ მივყვებით ცხადი ხდება, რომ ოჯახში ძალადობის საკითხებზე, რაც უფრო მკაცრი მიდგომა გატარდა სახელმწიფოს მხრიდან, მით უფრო იმატა ამგვარი დანაშაულების რიცხვმა. საკითხი ნამდვილად საჭიროებს კვლევას კრიმინოლოგიური თვალსაზრისით და კომპლექსურ მიდგომას, მხოლოდ სამართალდამცავების აქტიურობით და სასამართლოს მკაცრი დასჯითი პოლიტიკით, ცხადია, პრობლემის გადაწყვეტა არ

ხდება. ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემის გადაწყვეტის უმთავრეს გზად კონვენციით გათვალისწინებული პრევენციული ღონისძიებების, კერძოდ, როგორც ქალებისთვის, ასევე მამაკაცებისთვის ცნობიერების ამაღლება წარმოადგენს, ოჯახური დანაშაულის საქმეებზე ოჯახის წევრთა მხრიდან ოჯახის არსის სწორად გაგება და აღქმა არის აუცილებელი, რაც განათლებით და სამთავრობო თუ არასამთავრობო სექტორების აქტიურობით უნდა იქნას მიღწეული.

საგულისხმოა, რომ ოჯახური ძალადობების აღკვეთის მიზნით, ქართულ კანონმდებლობაში სტამბოლის კონვენციის ამოქმედებამდე იქნა შემოტანილი რეგულაციები. კერძოდ, 2012 წლის მაისში, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შევიდა ცვლილება და მოხდა ოჯახში ძალადობის კრიმინალიზაცია. სსსკ-ის 11¹ მუხლით შემოტანილ იქნა – პასუხისმგებლობა ოჯახური დანაშაულისთვის, რომლითაც განისაზღვრა ოჯახის წევრთა წრე და კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩამონათვალი.

ოჯახში ძალადობის სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებამდე მიჩნევას წინ უსწრებდა 2006 წლის 25 მაისს კანონის მიღება „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ,“ ამ კანონის მიზანს შეადგენდა:

- ა) ოჯახის წევრთა უფლებრივი თანასწორობის აღიარებით მათი უფლებებისა და თავისუფლების დაცვის, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ხელშეუხებლობის, ოჯახური ღირებულებების დაცვის საკანონმდებლო გარანტიების შექმნის უზრუნველყოფა;
- ბ) ოჯახში ძალადობის გამოვლენის, აღკვეთისა და თავიდან აცილებისათვის ეფექტიანი საკანონმდებლო მექანიზმების შექმნა;
- გ) ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სისტემის შექმნა;
- დ) ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის საფუძვლების შექმნა;
- ე) ოჯახში ძალადობის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით სხვადასხვა ინსტიტუტებს შორის თანამშრომლობის უზრუნველყოფა;
- ვ) მოძალადეთა სარეაბილიტაციო ღონისძიებების ხელშეწყობის უზრუნველყოფა.

ამჟამად, ამ კანონის სახელწოდებაა – „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ.“ 2017 წლის 1 ივნისიდან კანონის მიზნებში შევიდა ცვლილებები და დღეის მდგომარეობით ამ კანონის მიზანს შეადგენს:

- ა) ოჯახის წევრთა უფლებრივი თანასწორობის აღიარებით მათი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ხელშეუხებლობის, ოჯახური ღირებულებების დაცვის საკანონმდებლო გარანტიების შექმნის უზრუნველყოფა;
- ა¹) ქალთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის, ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური და ეკონომიკური ხელშეუხებლობის საკანონმდებლო გარანტიების შექმნის უზრუნველყოფა;
- ბ) ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის გამოვლენისათვის, აღკვეთისა და თავიდან აცილებისათვის ეფექტიანი საკანონმდებლო მექანიზმების შექმნა;
- გ) მსხვერპლთათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სისტემის შექმნა;
- დ) მსხვერპლთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის საფუძვლების შექმნა; ე) ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის თავიდან აცილებისათვის და ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად სხვადასხვა ინსტიტუტს შორის თანამშრომლობის უზრუნველყოფა;
- ვ) მოძალადეთა დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექციისკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობის უზრუნველყოფა.

შეიძლება ითქვას, კანონი, რომელიც შექმნისას მიზნად ისახავდა ოჯახური ძალადობის აღმოფხვრას, შემდეგში არსებითად ორიენტირებული გახდა ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრაზე და ეს პირდაპირ აისახა სათაურშიც. აღნიშნულით სახელმწიფომ გამოხატა მზაობა ქალთა უფლებების განსაკუთრებულად დაცვის, რაც უარყოფითად აისახა ოჯახის ინსტიტუტზე – ოჯახის, რომელიც საზოგადოების განვითარების უძველესი ინსტიტუტია და მისი როლი სახელმწიფოს მართვაში იმდენად მნიშვნელოვანია, რომ გასული საუკუნის 70-იან წლებში საქორწინო და საოჯახო კოდექსიც კი, იქნა მიღებული;³ იურისპრუდენციაში საოჯახო სამართალი სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია და მისი არსი ოჯახის წევრების ყოფა-ცხოვრების ერთიანობაში, ურთიერთმხარდაჭერაში და მორალურ პასუხისმგებლობაში გამოიხატება. კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ თანაბრად იცავდა ოჯახის ყველა წევრის ინტერესებს, მაგრამ საკანონმდებლო ცვლილებებით აქცენტი გაკეთდა ქალთა მიმართ ძალადობაზე და ძირითადად, ამ კუთხით წარიმართა დანაშაულთა გამოვლენა, მაშინ როდესაც ოჯახში ძალადობა არ გულისხმობს მხოლოდ ქალზე ძალადობას და ოჯახური ძალადობის მსხვერპლი შეიძლება გახდეს მამაკაცი, ბავშვი, მოხუცი, სხვა ნათესავები, რომელთა გამოვლენა ნაკლებად ხდება. საგულისხმოა, რომ ძირითადად, ხდება ფიზიკური, ფსიქოლოგიური და

სექსუალური ძალადობების გამოვლენა და ნაკლები ყურადღება ეთმობა ოჯახში ძალადობის ისეთი ფორმების გამოვლენას, როგორცაა, ეკონომიური ძალადობა, იძულება, უგულვებელყოფა, რომლებიც არანაკლებ აქტუალურია. დღეს უამრავი მოხუცი და ბავშვი საჭიროებს დახმარებას, რომლებიც ოჯახის წევრების უგულვებელყოფის გამო გახდნენ ეკონომიკური თუ სხვაგვარი ძალადობების მსხვერპლები, მაგრამ მათი უფლებების დაცვაზე თითქმის არავინ აპელირებს, ამგვარ ქმედებებზე დამნაშავეების გამოვლენა იშვიათად ხდება და მხოლოდ ძალადობის მსხვერპლი ქალების დაცვაზე იქნა ეს კანონმდებლობა მორგებული.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ქალთა მიმართ არსებული დანაშაულების გამოვლენა, ზოგ შემთხვევაში, ბოროტად არის გამოყენებული ე. წ. „მსხვერპლების“ მხრიდან. სისხლის სამართლის საქმეებზე მსხვერპლი ქალების ოდენობის ზრდა, შესაძლოა, გარკვეულწილად, მსხვერპლის მხრიდან სხვადასხვა მიზანს ისახავდეს. ერთ-ერთ ფაქტორად შეიძლება განხილულ იქნას საქართველოდან მიგრაციაში მიმავალ იმ ქალთა კატეგორიის ზრდა, რომლებიც ქალთა მიმართ ძალადობის საფუძვლით თავშესაფარს ითხოვენ სხვა ქვეყნებში. ქვეყნის დატოვების და სხვა ქვეყანაში ცხოვრების უფლების კონვენცია არის ლეგალური გზა, რადგან კონვენციის მე-ნმ მუხლი ეხება თავშესაფრის მოთხოვნას გენდერული ნიშნის საფუძველზე, რომლითაც ქალთა მიმართ ძალადობა გენდერული ნიშნით აღიარებულია როგორც სამართლებრივი დევნის ფორმა ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის 1A(2) მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში, რა დროსაც გათვალისწინებულია გენდერული ფაქტორი და როდესაც დგინდება, რომ არსებობს სამართლებრივი დევნის საშიშროება ერთი ან რამდენიმე ასეთი საფუძვლის გამო, მთხოვნელებს ენიჭებათ ლტოლვილის სტატუსი მოქმედი დოკუმენტების შესაბამისად.

ფაქტობრივად, კონვენციის აქტიურად ამოქმედების შემდეგ, სამთავრობო თუ არასამთავრობო სექტორი, მასმედია, სოციალური ქსელი და ზოგადად, ყველა საინფორმაციო საშუალება აქცენტირებულია ქალთა უფლებების დაცვაზე. კონვენციით დასახული მიზნების მიღწევა გახდა საფუძველი ამგვარი კატეგორიის დანაშაულებზე ბრალდების მტკიცების სტანდარტის შეცვლის მცდელობის, სისხლის სამართლის საპროცესო მართლმსაჯულების ფუნდამენტური პრინციპების იგნორირების და სტამბოლის კონვენციაზე დაყრდნობით მკაცრი სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის გატარებისა. ქალთა მიმართ ძალადობის გამოვლენის და რეაგირების მაღალი სტანდარტი წინააღმდეგობაში მოვიდა უდანაშაულო პირის მსჯავრდების თავიდან აცილების საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპთან „in dubio pro reo,“ რომლის თანახმადაც, დაუშვებელია პირის მსჯავრდება საეჭვო ხასიათის მტკიცებულებების საფუძველზე. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მტკიცების სტანდარტად განიხილავს „გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს“ და განმარტავს, რომ ასეთი

მტკიცება შეიძლება გამომდინარეობდეს საკმარისად ძლიერი, ნათელი და ურთიერთდაკავშირებული დასკვნებიდან, რომლებიც უდავო, საკმარისად მტკიცე და ზუსტ ხასიათს ატარებს და არ შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ თეორიულ ჰიპოთეზას.⁴ სხვა უამრავი განმარტების მოტანა არის შესაძლებელი იმის დასტურად, თუ რაოდენ მაღალი მტკიცებითი სტანდარტი აქვს სასამართლოს პირის დამნაშავედ ცნობის მიზნით.

მტკიცებულებათა ამგვარმა მაღალმა სტანდარტმა განაპირობა უზენაესი სასამართლოს განმარტება იმის თაობაზე, რომ ყველა კატეგორიის საქმეებზე და მათ შორის, სტამბოლის კონვენციის საფუძველზე კრიმინალიზირებულ ქმედებებზე, უნდა მოქმედებდეს მტკიცებულებათა ერთიანი სტანდარტი. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ საქმეში N144აპ-21 (2021 წლის 21 მაისი) აღნიშნა, რომ „საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ (სტამბოლის კონვენცია) მიზნად ისახავს ქალების დაცვას ყველა ფორმის ძალადობისაგან. იმავდროულად, სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 პუნქტის იმპერატიული დანაწესის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს და ყოველგვარი ეჭვი, რომელიც კანონის შესაბამისად ვერ დადასტურდება ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს. საქართველოს სსსკ-ის 269-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არ შეიძლება გამამტყუნებელ განაჩენს საფუძველად დაედოს ვარაუდი, ხოლო სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის და 82-ე მუხლის შესამე ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას, რაც სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-13 ნაწილის თანახმად, გულისხმობს მტკიცებულებათა ისეთ ერთობლიობას, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა პირის ბრალეულობაში.“ აღნიშნული განმარტებით და სამართლებრივი დასაბუთებით, უზენაესმა სასამართლომ მკაფიოდ განაცხადა, რომ მიუხედავად იმისა, თუ რა კატეგორიის დანაშაულთან გვაქვს საქმე, აუცილებელია განაჩენი ემყარებოდეს მტკიცებულებათა ერთობლიობას.

საყურადღებოა, რომ საქართველოში ოჯახური დანაშაულობების მკვეთრი ზრდით, ქალთა უფლებების დაცვის მაღალი ხარისხით და მოძალადის მიმართ ფაქტობრივად „ნულოვანი ტოლერანტობის“ გამოყენებით ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემის გადაჭრა ვერ ხდება და კვლავ პრობლემად რჩება, მით უფრო, იქმნება რისკები მოძალადის მხრიდან უფრო მძიმე დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენის, რისი უამრავი მაგალითიც არსებობს. შესაბამისად, საკითხი მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას და სწორ სამართლებრივ ხედვას, რადგან დღეს, როცა გენდერულ თანასწორობაზე აქცენტირებული მთელი სამყარო, რაც მისასაღმებელია,

ქალთა უფლებების წინა პლანზე წამოწევით არ მოხდეს სხვათა უფლებების დისკრედიტაცია და არ დავდგეთ სქესთა შორის უფლებრივი ბალანსის დარღვევის წინაშე.

ფილოსოფოს მერი უოლსტონკრაფტდს ეკუთვნის გამოთქმა – „სულს, გონებას და ზნეობას სქესი არ აქვს.“ ასევე, სამართალსაც, რომელიც ადამიანის სულიერი მოღვაწეობის შედეგია, გონიერებასა და ზნეობრიობაზე არის დამყარებული, არ უნდა დაუწესდეს სქესთან დაკავშირებული დოგმები. მართლმსაჯულების ვალდებულებაა აკონტროლოს ქალთა უფლებების დაცვის ხარჯზე არ მოხდეს სხვა პირთა უფლებების შელახვა და ამის გარანტია სამართლიანი სასამართლო პროცესების ჩატარებაა, რა დროსაც გამოტანილი ყოველი გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობას და თუ მტკიცების ეს სტანდარტი არ იქნება სახეზე, ისე როგორც ყველა სხვა კატეგორიის დანაშაულზე, მათ შორის, ქალთა მიმართ ჩადენილ ოჯახურ დანაშაულებზე, გამოტანილი უნდა იქნას გამამართლებელი განაჩენი.

სქესობრივი დანაშაულები

სტამბოლის კონვენციით არის დაცული ქალთა მიმართ ჩადენილი სქესობრივი დანაშაულები. კონვენციის 36-ე მუხლის თანახმად, სისხლის სამართლის დანაშაულად უნდა ჩაითვალოს წინასწარგანზრახული ქცევის შემდეგი ფორმები: ა. სხვა ადამიანის სხეულში, მისი თანხმობის გარეშე, სექსუალური ხასიათის ვაგინალური, ანალური ან ორალური შეღწევის განხორციელება სხეულის ნებისმიერი ნაწილის ან საგნის გამოყენებით; ბ. ადამიანთან, მისი თანხმობის გარეშე, სექსუალური ხასიათის სხვა აქტების განხორციელება; გ. სხვა ადამიანის იძულება, მისი თანხმობის გარეშე, მესამე პირთან განხორციელოს სექსუალური ხასიათის აქტები. თანხმობის მიცემა უნდა მოხდეს ნებაყოფლობით, პიროვნების ნების თავისუფალი გამოხატვის შედეგად, გარემომცველი პირობების გათვალისწინებით.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ საკითხზე მომუშავე ჯგუფების მხრიდან არის მცდელობა, მართლმსაჯულებამ ამგვარი კატეგორიის დანაშაულთა მიმართ მტკიცების განსხვავებული სტანდარტი დანერგოს. სექსუალური ძალადობის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასამართლო განხილვის სახელმძღვანელოში, რომელიც განკუთვნილია გამომძიებლის, პროკურორის და მოსამართლეებისთვის, მითითებულია, რომ: არ უნდა არსებობდეს სექსუალური ძალადობის მსხვერპლის მიერ წარმოდგენილი ჩვენების სხვა მტკიცებულებებით გამყარების ცალსახა მოთხოვნა, რათა ეს ჩვენება მიჩნეული იყოს გამამტყუნებელი განაჩენისათვის სანდოდ, დამაჯერებლად და საკმარისად... ორი მტკიცებულების მოთხოვნა ნიშნავს, რომ სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალისა ან გოგონას ჩვენება,

დამაჯერებელი და სანდოც რომ იყოს თუ სხვა მტკიცებულებით არ გამყარდება, დამოუკიდებლად ვერასოდეს დაედება საფუძვლად მსჯავრდებას. ეს არის კიდევ ერთი მაგალითი, თუ როგორ ეზღუდებათ მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა გაუპატიურებისა და სხვა სახის სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ქალებს სამართლებრივი ნორმის ფორმალისტური განმარტების გამო. ამ ტიპის საქმეებზე ორი მტკიცებულების ბარიერის დაწესება საქმის არსებით განხილვას შეუძლებელს ხდის, ვინაიდან მსხვერპლი ქალების სხვა მტკიცებულებით გაუმყარებელი საჩივრები სასამართლოში ვერ მიდის.⁴⁵

უნდა აღინიშნოს, რომ სქესობრივი კატეგორიის დანაშაულებებზე მართლმსაჯულება განსაკუთრებით გულისხმიერებას იჩენს მსხვერპლთა მიმართ. საკასაციო პალატამ საქმეში N253აპ-15 აღნიშნა, რომ სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, როგორც წესი, არ არის საჯარო ხასიათის და არ გამოირჩევა თვითმხილველ მოწმეთა სიმრავლით, მითითებულ საქმეებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაზარალებულის ჩვენების თანმიმდევრულობა და შესაბამისობა სხვა მტკიცებულებებთან და ისეთი მოტივის არარსებობა, რამაც სასამართლოს შესაძლებელია აფიქრებინოს დაზარალებულის მიკერძოებულობის შესახებ ბრალდებულის საწინააღმდეგოდ. პრაქტიკაში ყოფილა ისეთი საქმეებიც, როდესაც გაუპატიურების საქმეზე დაზარალებულს არ მიუცია ჩვენება და სასამართლოს გამოუტანია გამამტყუნებელი განაჩენი. თბილისის საქალაქო სასამართლომ საქმეში #1/1261-22 დამნაშავედ სცნო გ. მასში, რომ გ.-მ ეჭვიანობის ნიადაგზე მეგობარ გოგოს მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა, ძალით შეათრია საძინებელ ოთახში, დააჩოქა და მისი ნების საწინააღმდეგოდ დაამყარა ორალური გზით სექსუალური აქტი. აღნიშნულ საქმეზე დაზარალებულმა, სავარაუდოდ, შიშის ან/და ბრალდებულის ახლობლების ზეწოლის შედეგად, სასამართლოს არ მისცა ჩვენება. აღსანიშნავია, რომ დაზარალებული არ მიეკუთვნებოდა იმ პირთა კატეგორიას, რომელსაც უფლება ჰქონდა ესარგებლა სსსკ-ის 49-ე მუხლით და არ მიეცა ბრალდებულის საწინააღმდეგო ჩვენება, შესაბამისად, დაზარალებულის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის გამო.

კონკრეტულ საქმეში სასამართლო დადგა ამგვარი ფაქტის წინაშე – გაუპატიურების საქმეში სასამართლოს ჩვენება არ მისცა დაზარალებულმა, ხოლო ბრალდებული თავს არ ცნობდა დამნაშავედ, მაგრამ საქმეში იყო ვიდეოჩანაწერი, რომელიც ორალური სქესობრივი კავშირის დროს მობილური ტელეფონის კამერით გადაიღო ბრალდებულმა (რასაც ბრალდებული არ ხდოდა სადავოდ, მისივე განმარტებით, ეს იყო ამგვარი ფორმით ნებაყოფლობითი სქესობრივი კავშირი), ირიბი მტკიცებულებებით იკვეთებოდა, რომ ვიდეოკამერით გადაღებით ბრალდებული ემუქრებოდა დაზარალებულს მის სხვადასხვა სოციალურ ქსელებში

გამოქვეყნებით. ეს ვიდეოჩანაწერი შემდგომში ბრალდებულის მიერ იქნა წაშლილი, მაგრამ კომპიუტერული ექსპერტიზით აღდგენილი. საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე ვიდეოჩანაწერის გამოკვლევისას, სასამართლოსთვის აშკარა გახდა თუ როგორ ძალადობრივად ხდებოდა დაზარალებულთან ორალური სქესობრივი კავშირის დაჭერა, შესაბამისად, სასამართლოსთვის მხოლოდ ეს ვიდეოჩანაწერი, სხვა არაპირდაპირ მტკიცებულებებთან ერთად, აღმოჩნდა საკმარისი, რომ დადასტურებულად მიეჩნია გ-ს ბრალდება გაუპატიურებაში. ანუ აღნიშნული საქმე მაგალითია მართლმსაჯულება თუ როგორ იცავს ძალადობის მსხვერპლი ქალების ინტერესებს და თუნდაც შიშის თუ სხვა ფაქტორების გამო, დაზარალებულის მიერ ჩვენების მიუცემლობის შემთხვევაშიც კი, დამნაშავე არ რჩება დაუსჯელი.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ „როდესაც საკმარისად ძლიერი მტკიცებულებაა წარმოდგენილი და არ არსებობს ამ მტკიცებულების უტყუარობის რისკი, მისი სხვა მტკიცებულებებით გამყარების საჭიროება შესაბამისად, არის დაბალი.“⁶⁶ ამდენად, საქართველოს სასამართლოებში დღეს მოქმედი პრაქტიკაც არ მიიჩნევს საჭიროდ, რომ მაინცდამაინც პირდაპირი მტკიცებულებების ერთობლიობა გვექონდეს საქმეში, მაგრამ აქ მნიშვნელოვანია იმ მტკიცებულების წონადობა, რაც სასამართლოს დაარწმუნებს წარდგენილ ბრალდებაში პირის ბრალეულობაში. აღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ ყველა კატეგორიის საქმეზე, მათ შორის, ქალთა მიმართ ძალადობის საქმეზე, მართლმსაჯულებისთვის მნიშვნელოვანია წარმოდგენილი მტკიცებულების წონადობა.

სისხლის სამართლის N1/3376-22 საქმეში, სასამართლომ უდანაშაულოდ სცნო და გაამართლა ბრალდებული მ. ბ. არასრულწლოვანის მიმართ გაუპატიურებისა და გარყვნილი ქმედების ბრალდებაში, ამ საქმეში დაზარალებული არასრულწლოვანი აცხადებდა წლების წინ ბრალდებულის მხრიდან მის მიმართ სქესობრივი დანაშაულის ჩადენის თაობაზე, რაც გოგონამ უამბო ბრალდებულის მიმართ უარყოფითად განწყობილ ერთ ახლობელს, რომლის განცხადებაც გამოძიების დაწყების და ბრალდებულის დაპატიმრების საფუძველი გახდა; ფსიქოლოგიური დასკვნის მიხედვით, არასრულწლოვანს აღენიშნებოდა ფსიქიკური აშლილობა. ფაქტობრივად, ამ საქმემ ვერ დააკმაყოფილა გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად საჭირო გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი და ბრალდებულის მიმართ გამოტანილ იქნა გამამართლებელი განაჩენი.

ცხადია, რაც არ უნდა მძიმე ბრალდება იყოს, მხოლოდ დაზარალებულის ემოციური ჩვენება და მისგან ნაწარმოები მტკიცებულებები არ იძლევა გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად საჭირო მტკიცების სტანდარტს. შესაბამისად, მტკიცებულებათა გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის დაუცველად, მოძალადედ შეირაცხოს ბრალდებული, ამგვარი მიდგომა ყველა კატეგორიის საქმეზე, მათ შორის, ქალთა მიმართ ჩადენილ სქესობრივ დანაშაულებზე,

აშკარად საფრთხეს უქმნის მტკიცების სტანდარტს და უარყოფითად აისახება მართლმსაჯულების საქმიანობაზე.

დასკვნა

სისხლის სამართლის მატერიალური კანონმდებლობა ადგენს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს – დანაშაული, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსით, არის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება, მაგრამ დანაშაულებრივი ქმედების დადგენა და დამნაშავის გამოვლენა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის სფეროს განეკუთვნება და უნდა მოხდეს კანონით დადგენილი წესით. ქალთა მიმართ ჩადენილ ძალადობრივ დანაშაულებებთან მიმართებაში ის ტენდენცია, რომ დაზარალებული ქალი აცხადებს მის მიმართ სქესობრივი დანაშაულის, ოჯახური ძალადობის ან სტამბოლის კონვენციით დაცული სხვა დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის შესახებ და დაზარალებულის ჩვენების და მისგან ნაწარმოები მტკიცებულებების გარდა, სხვა მტკიცებულება საქმეში არ არის, ამგვარი მოცემულობა სასამართლოსთვის ვერ იქნება საკმარისი რწმენის შესაქმნელად და მით უმეტეს, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის დასაკმაყოფილებლად, ბრალდებულის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად.

საკმარის და უტყუარ მტკიცებულებათა არარსებობის გამო, გამამართლებელი განაჩენის გამოტანა არ უნდა იქნას იმგვარად განმარტებული და შეფასებული, რომ ქვეყანაში ქალთა უფლებების დაცვა სათანადოდ არ ხდება. როგორც ყველა სხვა საქმეში და მათ შორის, ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებში, სასამართლოსთვის აუცილებელია პირის დამნაშავედ ცნობისთვის ჰქონდეს რელევანტური, დასაშვები და უტყუარი მტკიცებულებათა ერთობლიობა და მხოლოდ ერთი პირის – დაზარალებული ქალის ჩვენება, რაც არ უნდა მძიმე ხასიათის ქმედებას შეეხებოდეს, ასევე, ემოციური და დამაჯერებელი იყოს, ვერ ჩანაცვლებს გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისთვის საჭირო გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს.

ისიც საგულისხმოა, რომ ამგვარი კატეგორიის საქმეებში ყოველთვის არსებობს ძალადობის განმეორებითი ჩადენის რისკი, მაგრამ ამ რისკმა არ უნდა გადაწონოს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით და საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული ბრალდებულის უფლება და მართლმსაჯულების ვალდებულება, რომ გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს უტყუარ მტკიცებულებებს, ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.

შენიშვნები:

- ¹ გახდა პირველი სახელმწიფო, რომელმაც 2012 წლის მარტში, კონვენციის რატიფიცირება მოახდინა. ასევე, თურქეთი გახდა პირველი და ერთადერთი სახელმწიფო, რომელიც ხელშეკრულებიდან გამოვიდა 2021 წლის 20 მარტს მისი დენონსაციის შემდეგ და 2021 წლის 1 ივლისს თურქეთში კონვენციის მოქმედება შეწყდა.
- ² ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია, მუხლი 1-ლი, პირველი ნაწილი.
- ³ შენიშვნა: საქართველოში საქორწინო და საოჯახო კოდექსი მიღებულ იქნა 1970 წლის 18 ივნისს და ძალადაკარგულად გამოცხადდა 1997 წლის 25 ნოემბერს.
- ⁴ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტლებები საქმეებზე: „ელ მარსი ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიის წინააღმდეგ, პუნქტი 151 (El-Masri v The Former Yugoslav Republic of Macedonia); ჰასანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, პუნქტი 48 (Hassan v The UK).
- ⁵ სექსუალური ძალადობის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასამართლო განხილვის სახელმძღვანელო 2021, გვ. 73-74.
- ⁶ ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილება Khan v. the United Kingdom App no 35394/97
12 მაისი, პარ. 35-37.

STANDARD OF PROOF IN CASES OF VIOLENCE AGAINST WOMEN

LILI MSKHILADZE

Tbilisi City Court criminal law cases board judge

Ph.D. of Law

On September 1, 2017, the Council of Europe Convention on the Prevention and Suppression of Violence against Women and Domestic Violence entered into force in Georgia, the same as the Istanbul Convention. After its implementation, the substantive legislation of criminal law of Georgia came into compliance with the convention, and a number of legislative changes were introduced in the criminal law code.

The analysis of the operation of the Convention in Georgia reveals that the use of the Convention was actively introduced in the Georgian justice system, but the result of the criminal law policy after the active implementation of the Convention requires a separate analysis.

It is noteworthy that the implementation of the Convention on cases of violence against women in Georgia was carried out unilaterally, the emphasis was placed on the detection of violent acts against women and the policy of harsh punishment, while the preventive measures that should have been used during the implementation of the Convention were neglected which were to be used to introduce changes in the social and cultural models

of the behavior of men and women, which was achieved through informational and educational activities, but no appropriate measures were taken in this regard. 5 years after the implementation of the Convention, it can be said that crimes committed against women in Georgia have increased, the institution of the family has faced a serious threat, and the problem of violence against women has not been solved. Obviously, the effective solution to the issue necessitated a complex approach.

The article reviews what standard there should be for alleging domestic and sexual violence protected by the Convention. In general, crimes of this category are not characterized by a preponderance of the evidence, but there is no doubt that, as in all other cases, including cases of violence against women, it is necessary for the court to have an agreed standard of the totality of evidence beyond a reasonable doubt necessary to convict a person with a guilty verdict. In cases of this category, there is always a risk of repeated violence, but this risk should not outweigh the rights of the accused guaranteed by the European Convention on Human Rights and the Constitution of Georgia, and the obligation of justice, that the guilty verdict is based on infallible evidence.

საწარმოს ხელმძღვანელი ორგანოს (ხელმძღვანელი პირის) დანიშვნის/ გათავისუფლების წესი და დაცვის სამართლებრივი გარანტიები „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით

თამარ იოსელიანი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის

*იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი,
თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანაშემწე*

შესავალი

ისეთ ქვეყნებს, როგორცაა მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატები (შემდგომში – აშშ), გერმანია და ინგლისი განვითარებულ ეკონომიკასთან ერთად, განვითარებული სამართლებრივი სისტემებიც აქვთ, რაც კარგი მაგალითია განვითარების გზაზე მყოფი ქვეყნებისთვის, მათ შორის, საქართველოსთვის. ეს ქვეყნები საქართველოსთვის მნიშვნელოვან ეკონომიკურ პარტნიორებს წარმოადგენენ და მათი სამართლებრივი სისტემების ცოდნა და გაზიარება არამარტო მნიშვნელოვანია, არამედ საჭიროცაა ქვეყნის ეკონომიკის წინსვლისთვის.

სრულყოფილად ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკის შექმნისა და ვაჭრობის წახალისების ერთ-ერთ ფუნდამენტურ საფუძველს ეფექტიანი კორპორატიული სამართლის არსებობა წარმოადგენს.¹

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს მოქმედი კანონი პირველად, 1994 წელს იქნა მიღებული. თავდაპირველმა რედაქციამ დროთა განმავლობაში არაერთი ცვლილება განიცადა. კანონის შემუშავების შემდგომ პერიოდში, კორპორატიული ურთიერთობების მოცულობისა და სირთულის ზრდამ, ასევე, ბიზნესსექტორის სწრაფმა განვითარებამ, საჭირო გახადა უფრო დეტალური, თანამედროვე მოთხოვნებსა და გამოწვევებზე მორგებული რეგულაციების შემუშავება.²

საქართველოში საკორპორაციო სამართალმა, მისი შექმნის დღიდან, განვითარების რამდენიმე ეტაპი გაიარა: ა) 1994 წლიდან 2008 წლამდე; ბ) 2008 წლიდან 2021 წლამდე და გ) 2021 წლიდან დღემდე.

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის ახალი რედაქცია, რომელიც 2021 წლის 02 აგვისტოს იქნა მიღებული საქართველოს პარლამენტის მიერ, მზადყოფნას გამოხატავს ევროპული საკორპორაციო სამართლებრივი პრინციპებისა და ინსტიტუტების საქართველოს ეკონომიკაში დამკვიდრებისთვის.³

ახალი რედაქციით ჩამოყალიბებულ „მეწარმეთა შესახებ“ კანონში სრულად იქნა გაზიარებული 2014 წელს, ევროკავშირთან ხელმოწერილი ასოცირების ხელშეკრულების XXVIII დანართის „საკორპორაციო სამართლის“ ნაწილში მითითებული დირექტივები.

აღსანიშნავია, რომ 2021 წლის რეფორმით, საქართველო დაუბრუნდა მის ბუნებრივ ევროპულ ორბიტას ამ სფეროში, ხოლო საკორპორაციო სამართალი, როგორც დამოუკიდებელი დარგი, კვლავ დაეფუძნა კანონისმიერ ხასიათს.⁴ ახალი კანონი ითვალისწინებს როგორც იმპერატიულ, ისე დისპოზიციურ ნორმებს. იმპერატიული ნორმები გამოიყენება მაშინ, როდესაც საქმე ფუძემდებლური საკორპორაციო სამართლებრივი პრინციპების უზრუნველყოფასა და რეალიზებას ემსახურება და როდესაც სახეზეა სააქციო საზოგადოების სამართლებრივი ფორმა. სხვა შემთხვევაში უზრუნველყოფილია თავისუფლების პრინციპი, რაც უმეტესწილად საწესდებო ავტონომიაში გამოიხატება.⁵ აღსანიშნავია, რომ უმთავრესი პრინციპი, რომელიც წინა პლანზე არის წამოწეული ახალი კანონით, სახელშეკრულებო თავისუფლებისა და კერძო ავტონომიის პრინციპებია.

წინამდებარე სტატიის ინტერესის სფეროა კორპორაციის მმართველობითი რგოლის ისეთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილის სამართლებრივი რეგულირება, როგორიცაა ხელმძღვანელი ორგანო (პირი). კერძოდ, თუ რას წარმოადგენს ხელმძღვანელი ორგანო (პირი) კორპორაციაში, რა ადგილი უჭირავს და დაცვის რა საშუალებები აქვს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის ახალი რედაქციით, მნიშვნელოვნად დაიხვეწა დირექტორის (ხელმძღვანელი პირის) ინსტიტუტი და ის დაუახლოვდა განვითარებული ქვეყნების სტანდარტს.

კორპორაციულ სამართალში მოქმედი პრეზუმციები და პრინციპები ცხადყოფს, რომ კორპორაციის ხელმძღვანელი პირის (დირექტორის) მიერ მიღებული გადაწყვეტილებები უნდა იყოს რაციონალური და გონივრული, ემსახურებოდეს ერთადერთ მიზანს – კორპორაციის საუკეთესო ინტერესებს.

დირექტორი უნდა მოქმედებდეს იმ რწმენით და შეგნებით, რომ მისი მოქმედება, თუ საქმიანობა ხელსაყრელია საწარმოსათვის და რა თქმა უნდა, უნდა იყოს საზოგადოების ინტერესების შესაბამისი.

საწარმოს ხელმძღვანელის უფლებები და მოვალეობები, მისი მოქმედების არეალი, განსაზღვრულია როგორც „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით, ისე იმ კომპანიის წესდებით თუ ინსტრუქციებით, რომლის ხელმძღვანელობასა და საქმიანობის წარმართვასაც იგი ახორციელებს.

2021 წლის 02 აგვისტოს მიღებულმა „მეწარმეთა შესახებ“ კანონმა, როგორც აღინიშნა, მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა მანამდე მოქმედ კანონში. განსაკუთრებით თვალშისაცემია ცვლილებები ხელმძღვანელი ორგანოს (პირის) დანიშვნა-გათავისუფლებასთან მიმართებაში. სწორედ ამ კუთხით, აქტუალურია საკითხი იმის შესახებ, არის თუ არა სრულყოფილად წარმოჩენილი და დარეგულირებული ხელმძღვანელი ორგანოს (პირის) უფლებები საწარმოს მართვისას, არის თუ არა კანონით გათვალისწინებული დაცვის გარანტიები, როგორია და რა სახის ურთიერთობას განეკუთვნება ხელმძღვანელი ორგანოს (პირის) საქმიანობა საწარმოში, არის თუ არა სრულყოფილი სასამსახურო ხელშეკრულება, წარმოადგენს თუ არა იგი დამოუკიდებელ დოკუმენტს, თუ დანიშვნის სამართლებრივი აქტის დანართია, რას ნიშნავს ხელმძღვანელი ორგანოს (პირის) გათავისუფლება „ნებისმიერ დროს“ და „ყოველგვარი დასაბუთების გარეშე“ და რამდენად არის დაცული – კეთილსინდისიერი, გონიერი და საწარმოს განვითარებაზე ორიენტირებული ხელმძღვანელი პირი ახალი „მეწარმეთა შესახებ“ კანონის თანახმად.

სამეწარმეო, კორპორაციული სამართლის საკითხებით დაინტერესებული პირების (მეცნიერების, მკვლევარების) უმრავლესობა, რაც სასამართლო პრაქტიკითაც დადგენილია, ემხრობა იმ აზრს, რომ პარტნიორებსა და საწარმოს ხელმძღვანელ პირს შორის არსებული ურთიერთობა, ასევე, ხელმძღვანელი პირის საქმიანობა მიეკუთვნება ვალდებულებით (დავალების ხელშეკრულების) ურთიერთობას, კორპორაციულსამართლებრივ ურთიერთობებთან ერთად.

ამ ურთიერთობებში მაქსიმალური უფლებებით სარგებლობენ ხელმძღვანელი პირის თანამდებობაზე დამნიშვნელი პირები (საწარმოს დამფუძნებლები) და აქვთ შეუზღუდავი უპირატესობები, რაც თუნდაც იმაში გამოიხატება, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს

კანონი აძლევს მათ საშუალებას, როცა უნდათ „ნებისმიერ დროს“ და ამასთან, „ყოველგვარი დასაბუთების გარეშე“ თანამდებობიდან გაათავისუფლონ კეთილსინდისიერი მუშაკი. ხელმძღვანელ პირს კი, იმავე კანონმა წაართვა უფლება დასვას კითხვა, რატომ ათავისუფლებენ, რა საფუძველი არსებობს მისი გათავისუფლებისთვის. აღნიშნული ამკარად ცხადყოფს არათანასწორ მდგომარეობას, რაც საწარმოს პარტნიორს/პარტნიორებს და ხელმძღვანელ პირს შორის „მეწარმეთა შესახებ“ კანონით არის დადგენილი. წინამდებარე სტატიაში გაანალიზებულია მოქმედი კანონმდებლობით, ხელმძღვანელი ორგანოს (პირის) შრომითსამართლებრივი მდგომარეობა და კატეგორია, მისი ფუნდამენტური უფლებების დაცვა, დაფუძნებული თანასწორუფლებიანობაზე და ის, რომ ყველა ადამიანს, ყველა დასაქმებულს თუ დაქირავებულს უფლება უნდა ჰქონდეს მინიმუმ, მოითხოვოს გათავისუფლების საფუძველები, ახსნა-განმარტება, თუ მიიჩნევს, რომ მისი სამსახურიდან დათხოვის ობიექტური საფუძველი არ არსებობს.

1. ხელმძღვანელი ორგანო (ხელმძღვანელი პირი)

საკორპორაციო სამართალში და ზოგადად, სამეწარმეო ურთიერთობებში ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს საწარმოს მართვა წარმოადგენს, რომლის გარეშე საუბარიც კი, ზედმეტია მასზე, როგორც საწარმოზე, როგორც სამართალურთიერთობის სუბიექტზე.

საწარმო, რომელიც თავისი საქმიანობით შედის სამეწარმეო ურთიერთობებში, წარმოადგენს ერთიან ცოცხალ ორგანიზმს და ასეთ სახეს მას აძლევს იმ ფიზიკურ პირთა ერთობლიობა, რომლებიც რაიმე ფორმით დაკავშირებულნი არიან საწარმოსთან, იქნებიან ესენი დამფუძნებელ-პარტნიორები, ხელმძღვანელი პირები თუ საწარმოში დასაქმებული ადამიანები და ა. შ.

საწარმო სუბიექტი მას შემდეგ, რაც იგი ჩამოყალიბდება და ფუნქციონირებას შეუდგება, ხდება იმ საზოგადოების და იმ სახელმწიფოს ორგანული, შემადგენელი ნაწილი, სადაც თავის საქმიანობას ახორციელებს და რომლის მიზანსაც წარმოადგენს პირადი ქონებრივი თუ არაქონებრივი სარგებელი, ასევე, საზოგადოებისთვის მაღალი ხარისხის და უსაფრთხო პროდუქციის მიწოდება.

მართალია, საწარმო სუბიექტი კერძო ხასიათისაა და სახელმწიფო არ ერევა მის შექმნასა და ჩამოყალიბებაში, არ განსაზღვრავს მის მიზნებსა და საქმიანობას, არ ერევა მის მართვაში, მაგრამ კერძოსამართლებრივი ბუნების მიუხედავად, გვერდზე ვერ გადგება და კონტროლის მიღმა ვერ დატოვებს სუბიექტის საქმიანობას კანონიერების კუთხით. სწორედ, ამიტომაც საწარმო, როგორც იურდიული პირი გახდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმ-

გებლობის სუბიექტი. ე. ი. იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს საქმიანობა გასცდა მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებს და მისმა საქმიანობამ დანაშაულებრივი სახე მიიღო, საწარმო ხდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სუბიექტი. რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებლობის ქვეშ ექცევიან ის პირები, რომლებიც ქმნიან იურდიულ პირს, როგორც სამართლის სუბიექტს. დგება ხელმძღვანელი პირის თუ პირების, როგორც იურდიული პირის საქმიანობის განმახორციელებელი პირების პასუხისმგებლობის საკითხი. პასუხისმგებლობა კი, შეიძლება სხვადასხვა სანქციით გამოიხატოს, თვით იურდიული პირის, როგორც საწარმოს გაუქმების ან საქმიანობის აკრძალვის ჩათვლით.⁶

სწორედ, ამიტომაც მეწარმე სუბიექტის ხელმძღვანელი ორგანოს (ხელმძღვანელი პირის) საკითხი იძენს დიდ მნიშვნელობას, რათა მეწარმე სუბიექტმა თავისი საქმიანობა ააგოს კეთილსინდისიერებასა და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებისა და მათი დაცვის პრინციპებზე.

2021 წლის 2 აგვისტოს მიღებული იქნა „მეწარმეთა შესახებ“ ახალი კანონი, სადაც განსხვავებულად იქნა ჩამოყალიბებული მთელი რიგი დებულებები. კანონში შეტანილი იქნა ცვლილებები, რომელთაგან ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცვლილებას საწარმოს ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული ცვლილებები წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ მიღებულმა ცვლილებებმა ვერ მოახერხა ერთგვარი ბალანსის შექმნა პასუხისმგებლობასა და დაცვის გარანტიების კუთხით, იმ უფლება-მოვალეობებთან მიმართებაში, რაც არსებობს ან შეიძლება მომავლში წარმოიშვას საწარმოს ხელმძღვანელ პირსა და საწარმოს დამფუძნებელ-პარტნიორებს შორის.

სამეწარმეო საზოგადოებაში ხელმძღვანელი ორგანოს (ხელმძღვანელი პირის) საქმიანობას და მათ შორის ურთიერთობას ეხება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 41-ე, 42-ე, 43-ე, 44-ე და 45-ე მუხლები. აღნიშნული მუხლებით განსაზღვრულია საწარმოს ხელმძღვანელი ორგანოს (ხელმძღვანელი პირის) წარმომადგენლობითი უფლებამოსილების, შემადგენლობის და გადაწყვეტილებათა მიღების წესი, ხელმძღვანელი პირის თანამდებობაზე დანიშვნის, გათავისუფლებისა და სასამსახურო ხელშეკრულების დადების საკითხები.

მართალია, დღეს მოქმედ „მეწარმეთა შესახებ“ კანონში აღარ გვხვდება ტერმინი „დირექტორი“ და იგი ჩანაცვლებულია ახალი ტერმინით „ხელმძღვანელი ორგანო/ხელმძღვანელი პირი“ თუმცა, შინაარსობრივად, სამართლებრივი თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი განსხვავება ამ ორ ტერმინს შორის არ არის.

„სამეწარმეო საზოგადოებაში ხელმძღვანელობითი საქმიანობის განხორციელების უზრუნველსაყოფად სამეწარმეო საზოგადოებას უნდა ჰყავდეს ხელმძღვანელი ორგანო. ამ ორგანოს უფლებამოსილება, აგრეთვე მის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი განისაზღვრება კანონითა და წესდებით. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში ხელმძღვანელობის უფლება აქვს ყველა პარტნიორს. კომანდიტურ საზოგადოებაში ხელმძღვანე-

ლობის უფლება აქვთ პერსონალურად პასუხისმგებელ პარტნიორებს (კომპლემენტარებს), თუ პარტნიორთა გადაწყვეტილებით სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელად სხვა პირი არ დაინიშნება. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, სააქციო საზოგადოებაში, კოოპერატივში ხელმძღვანელობის უფლება აქვს/აქვთ ხელმძღვანელ პირს/პირებს.⁴⁷

სამეწარმეო საზოგადოების წესდებით შეიძლება განისაზღვროს ხელმძღვანელობის სახეები.⁸ ხელმძღვანელობის სახეები გადაწყვეტილების მიღებისა და საზოგადოების მესამე პირებთან წარმოდგენის უფლებამოსილებათა ფარგლებში, განსხვავდება ერთმანეთისაგან. ხელმძღვანელობის სახეებია: ერთპიროვნული ხელმძღვანელობა, ერთობლივი ხელმძღვანელობა და რამდენიმე პირის მიერ ერთობლივი ან ცალ-ცალკე ხელმძღვანელობა.⁹

1.2. ხელმძღვანელი ორგანოს (პირის) ფუნქცია და შემადგენლობა

საკორპორაციო სამართალში ხელმძღვანელობის ინსტიტუტი ფართო გაგებით გამოიყენება და ის გარკვეულწილად, შეიძლება გაუტოლდეს საზოგადოების მართვას. საზოგადოების მართვა თავის მხრივ, მოიცავს სამეწარმეო საზოგადოების მართვას მისი ყველა სტრუქტურული ორგანოს მეშვეობით, დაწყებული პარტნიორთა საერთო კრებიდან დამთავრებული დირექტორატით.¹⁰ თუმცა, ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა რიგ შემთხვევებში, ერთმანეთისგან განსხვავებულია.¹¹

საწარმოში ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობის განმახორციელებელი პირი არის დირექტორი, რომელიც აირჩევა პარტნიორთა საერთო კრებაზე. არჩევის შემდგომ მასთან იდება სასამსახურო ხელშეკრულება¹² და რეგისტრირდება რეესტრში, რითიც იძენს სახელწოდებას მხრიდან ლეგიტიმურად აღიარებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის სტატუსს.¹³

ზოგადი მოცემულობით, ხელმძღვანელობა მოიცავს წარმომადგენლობას, თუმცა, წარმომადგენლობა განიმარტება, როგორც მესამე პირებთან სპს-ის წარმოდგენის უფლება.¹⁴ წარმომადგენლობითი უფლებამოსილება უშუალოდ მესამე პირებთან სპს-ის წარმოდგენის შესაძლებლობაში ვლინდება.¹⁵ აღნიშნულის საპირწონედ, ხელმძღვანელობაში უფრო ფართო გაგება მოიაზრება, რომელიც გულისხმობს არა მხოლოდ საზოგადოების მესამე პირებთან ურთიერთობაში წარმოდგენას, არამედ სამეწარმეო საზოგადოების შიდა ორგანიზაციულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას.¹⁶

სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო/ხელმძღვანელი პირი წარმოადგენს სამეწარმეო საზოგადოებას მესამე პირებთან ურთიერთობაში და მისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მესამე პირებთან ურთიერთობაში შეუზღუდავია.¹⁷

ხელმძღვანელობით და წარმომადგენლობით უფლებამოსილებათა შორის განმასხვავებელი სამართლებრივი ვერტიკალი გადის საზოგადოების სახელით გადაწყვეტილების მიღებისა და მესამე პირებთან ურთიერთობაში წარმოდგენის უფლებაზე.¹⁸

1.3. ხელმძღვანელი ორგანის (პირის) თანამდებობაზე დანიშვნა და გათავისუფლება

საქართველოში მოქმედი ძველი კანონით ნათლად არ იყო გაწერილი, თუ რის საფუძველზე წარმოიშობოდა ურთიერთობა კომპანიასა და დირექტორს შორის. დირექტორთან სამართლებრივი ურთიერთობა მყარდებოდა ორი სამართლებრივი აქტის საფუძველზე, დანიშვნის ბრძანებით და სასამსახურო ხელშეკრულებით. თუმცა, საწარმოს მიმართ ვალდებულებების წარმოშობისათვის დანიშვნის ბრძანება საკმარისი იყო.

დირექტორის დანიშვნის შესახებ ბრძანება განიხილებოდა როგორც „საკორპორაციო სამართლებრივი აქტი.“¹⁹ დანიშვნის აქტის საფუძველზე, დირექტორი თავად იქცეოდა კომპანიის აღმასრულებელ ორგანოდ, რომელიც შრომით ურთიერთობაში შედიოდა სხვა თანამშრომლებთან, ამგვარად იგი განსხვავდებოდა შრომის სამართალში არსებული ურთიერთობებისგან. აღნიშნულიდან გამომდინარე, დავის არსებობისას, საკითხის გადაწყვეტის დროს, დირექტორის დაქირავებასთან მიმართებაში არ გამოიყენებოდა შრომის კოდექსი, რაზეც საქართველოს სასამართლო პრაქტიკა ჯერ კიდევ, საკანონმდებლო ცვლილებებამდე მიუთითებდა.²⁰

ხელმძღვანელი პირის (ორგანოს) გათავისუფლების საკითხთან მიმართებაში, ჯერ კიდევ, დიდი ხნის წინათ იქნა დადგენილი აშშ-ის სასამართლო პრაქტიკის მიერ, რომ დირექტორის გათავისუფლება კორპორაციის არსებობისა და საქმიანობის ჩვეული დამახასიათებელი თვისებაა. ასევე, დამკვიდრებული წესის თანახმად, სასამართლო უფლებამოსილია გაათავისუფლოს დირექტორი დაკავებული პოზიციიდან, თუ მის მიერ ჩადენილ იქნა სამართალდარღვევა და შესაბამისად, დარღვეულ იქნა ვალდებულება.²¹

დირექტორის გათავისუფლება დაკავებული პოზიციიდან, სათანადო საფუძვლის არსებობის გარეშე, როგორც წესი, დაშვებული არ არის, თუ კანონმდებლობით ან/და კომპანიის წესდებით ასეთი რამ პირდაპირ გათვალისწინებული არ არის.²²

ბრიტანეთში სასამართლო უფლებამოსილია გაათავისუფლოს დირექტორი დაკავებული პოზიციიდან, თუ გარემოებები აჩვენებენ, რომ იგი ამ პოზიციისათვის შეუსაბამოა.²³

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესახებ გერმანიის კანონის თანახმად, აქციონერები უფლებამოსილნი არიან უბრალო უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე თანამდებობიდან გაათავისუფლონ დირექტორი. მათ ამის უფ-

ლებამოსილება აქვთ რაიმე საფუძვლით ან ყოველგვარი საფუძვლის გარეშე. კომპანიის წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს კონტრაქტით გათვალისწინებულ ვადაში დირექტორის უსაფუძვლოდ გათავისუფლების აკრძალვას თუმცა, არ შეიძლება აკრძალულ იქნას დირექტორის გათავისუფლება საფუძვლის არსებობის შემთხვევაში და ასეთი ჩანაწერი ნებისმიერ შემთხვევაში ბათილია.²⁴

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოების, კოოპერატივის ხელმძღვანელ პირს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საერთო კრება, თუ მისი დანიშვნა არ განეკუთვნება სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილებას.“ ამ მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, – „საერთო კრება, ხოლო სამეთვალყურეო საბჭოს არსებობის შემთხვევაში – სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია ნებისმიერ დროს გაათავისუფლოს თანამდებობიდან ხელმძღვანელი პირი შესაბამისი საფუძვლის მითითების გარეშე. ნებისმიერი შეთანხმება, რომელიც ამ დებულებას ეწინააღმდეგება, ბათილია.“ მაშასადამე, აღნიშნული ჩანაწერი არის კანონის იმპერატიული ნორმა. აღნიშნული იმპერატიული ჩანაწერი წინამდებარე კანონის ავტორებმა დაასაბუთეს იმ გარემოებით, რომ ხელმძღვანელი ორგანოს წევრის დანიშვნა და გათავისუფლება შესაბამისი ორგანოს სრულ დისკრეციას მიეკუთვნება და ამ უფლების ნებისმიერი შეზღუდვა ბათილია.²⁵

იმპერატიული შინაარსით და ფორმით გადმოცემული „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 44-ე მუხლის მე-3 ნაწილის ჩანაწერი ზედმეტად მკაცრია და წინააღმდეგობაში მოდის ფუნდამენტურ უფლებებთან, თავისუფალ ნებასთან, რის დასაცავადაც არსებობენ როგორც შიდა სამართლებრივი აქტები, ასევე კონსტიტუცია და საერთაშორისო აქტები თუ კონვენციები. სამეწარმეო ურთიერთობაში ხელმძღვანელი პირის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხი შეიძლება განხილული იქნას ორი მიმართულებით: ა) საწარმოს ხელმძღვანელის თანამდებობა და საქმიანობა რომელ სამართლებრივ ურთიერთობის მიკუთვნება და ბ) რას ნიშნავს ნებისმიერ დროს თანამდებობიდან ხელმძღვანელი პირის საფუძვლების მითითების გარეშე გათავისუფლება.

ა) ერთიანი აზრი არც ჩვენთან და არც საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობასა თუ სამეცნიერო წრეებში არ არსებობს იმის შესახებ, თუ რომელ სამართლებრივ ურთიერთობას განეკუთვნება საწარმოს ხელმძღვანელი (დირექტორის) პირის საქმიანობა. არ არსებობს კონკრეტული ნორმა, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა განხილულიყო და გადაჭრილიყო დავა, რომელიც ხელმძღვანელის გათავისუფლების შემთხვევაში წამოიჭრობოდა.

მეცნიერთა ერთი ნაწილი ავითარებს აზრს, რომ საწარმოსა და ხელმძღვანელს შორის წარმოშობილი ურთიერთობა არ განეკუთვნება შრომითსამართლებრივ ურთიერთობას,

მეორე ნაწილი კი, მყარად ვერ დგას ამ მოსაზრებაზე, მესამე ნაწილი გარკვეული კუთხით მიუთითებს როგორც შრომით ურთიერთობაზე, ასევე კერძოსამართლებრივ ურთიერთობაზე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ გადახრა საგრძნობია, რომ ეს ურთიერთობა კერძოსამართლებრივ ხასიათს უფრო ატარებს, ვიდრე ვთქვათ, შრომითსამართლებრივ სახეს.

რაც შეეხება სასამართლო პრაქტიკას, აღსანიშნავია, რომ უზენაეს სასამართლოს არაერთი გადაწყვეტილება აქვს მიღებული, სადაც გათავისუფლებასთან დაკავშირებით, დირექტორსა და ორგანიზაციას შორის წარმოშობილი დავა განხილული აქვს სამოქალაქო კოდექსის, კერძოდ, დავალების ხელშეკრულების მარეგულირებელ ნორმებზე დაყრდნობით. უზენაესი სასამართლოს განმარტებით, საწარმოსა და დირექტორს შორის ურთიერთობა წესრიგდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით და სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმებით. კერძოდ, განმარტებულია: „საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს, რომ საწარმოს დირექტორთან იდება სასამსახურო ხელშეკრულება და შესაბამისად, განსახილველ დავაზე მსჯელობისას, მეწარმეთა კანონის ნორმებთან ერთად, გამოყენებული უნდა იქნას არა შრომითი ურთიერთობების, არამედ დავალების ხელშეკრულების მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმები (სსკ-ის 709-ე და 710-ე მუხლები)“, „დავალების ხელშეკრულება ის სამართლებრივი საშუალებებია, რომლის მეშვეობითაც პირს შეუძლია მიანდოს თავის რწმუნებულს იურიდიული მომსახურების გაწევა, პარტნიორთა კრებაზე მონაწილეობის მიღება, ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ოპერაციების წარმოება და ა.შ. ამ ხელშეკრულების საგანია რწმუნებულის მიერ ერთი ან რამდენიმე მოქმედების შესრულება. მარწმუნებელმა შეიძლება დაავალოს რწმუნებულს, როგორც იურიდიული, ისე ფაქტობრივი მოქმედების შესრულება.“²⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ასეთი განმარტების ფონზე, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განსხვავებული პოზიცია. კერძოდ, ერთ-ერთ საქმეში, სადაც მხარეებს წარმოადგენდნენ ა(ა)იპ „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების“ გათავისუფლებული დირექტორი და ერთ-ერთი მუნიციპალიტეტის გამგეობა, რომელმაც ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, თანამდებობიდან გაათავისუფლა დირექტორი, განსხვავებული განმარტება გააკეთა სააპელაციო პალატამ. აღნიშნული გადაწყვეტილება საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ მან არაკომერციული, არასამეწარმეო ორგანიზაციასა და დამსაქმებელს, მუნიციპალიტეტის გამგეობას შორის წარმოშობილი დავა შეაფასა არა, როგორც კერძოსამართლებრივი, ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა დაფუძნებული დავალების ხელშეკრულებაზე, არამედ შეაფასა, როგორც შრომითსამართლებრივი ურთიერთობა. სააპელაციო სასამართლოსთვის განმსაზღვრელი აღმოჩნდა გარემოება, რომ ა(ა)იპ არ იყო სამეწარმეო, კომერციული ხასიათის ორგანიზაცია, არ იყო მოგებაზე ორიენტირებული, ვერც დირექტორი და ვერც

ორგანიზაციაში დასაქმებული პირები ვერ ღებულობდნენ და ვერც მიიღებდნენ მოგებას იმ საქმიანობიდან, რასაც კანონით ეწეოდნენ და რაც კანონით გათვალისწინებული არ იყო. ამასთან, თვით მხარეებს შორის ურთიერთობა შეფასებული იქნა, როგორც შრომითსამართლებრივი ურთიერთობა. ამიტომაც, მოსამართლემ დავის გადაწყვეტისას გამოიყენა არა კერძოსამართლებრივი ნორმები, არამედ შრომითსამართლებრივი ნორმები.²⁷

ბ) „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის 3-ე ნაწილის მიხედვით: „საერთო კრება, ხოლო სამეთვალყურეო საბჭოს არსებობის შემთხვევაში – სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია ნებისმიერ დროს გაათავისუფლოს თანამდებობიდან ხელმძღვანელი პირი, შესაბამისი საფუძვლის მითითების გარეშე. ნებისმიერი შეთანხმება, რომელიც ამ დებულებას ეწინააღმდეგება, ბათილია.“

კანონის 44-ე მუხლის მე-3 ნაწილში კანონმდებლის ნება გადმოცემულია იმპერატიული ფორმით, რითაც ილახება ადამიანის თავისუფალი ნების გამოხატვის პრინციპი, რადგან კონკრეტულ სიტუაციაში, კონკრეტული აუცილებლობიდან გამომდინარე, გამორიცხული არ არის თავისი შინაგანი ნების საწინააღმდეგოდ პირი დათანხმდეს თანამდებობაზე დანიშვნას, მიუხედავად იმისა, იცის ნებისმიერ დროს შეიძლება „აფეთქდეს“ ნაღმი, რომელიც კანონმდებელმა 44-ე მუხლში, საწარმოს სასარგებლოდ ჩადო. კანონის ეს დათქმა არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს მხარეებს და აშკარად გამოკვეთილია და კანონით გარანტირებულია საწარმოს უპირატესობა და განუსაზღვრელი უფლებები, იმოქმედოს დანიშნული ხელმძღვანელი პირის მიმართ, როგორც უნდა და როცა უნდა, ნებისმიერ დროს გაათავისუფლოს დაკავებული პოზიციიდან, თავი „არ შეიწუხოს“ გათავისუფლების საფუძვლების, მიზეზების მითითებით და შემდგომ იმის მტკიცებით ობიექტური იყო ეს საფუძვლები თუ სუბიექტური, სამართლიანი თუ უსამართლო და ა. შ. ხელმძღვანელ პირს კი, არანაირი დაცვის ბერკეტი, დაცვის მექანიზმი არ გააჩნია. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონს სრული დუმილი აქვს გამოცხადებული კეთილსინდისიერი ხელმძღვანელი პირის დასაცავად. უფრო მეტიც, ხელმძღვანელ პირს მოჭრილი აქვს სხვა გზებიც, აზრი ეკარგება უსამართლოდ გათავისუფლების შემთხვევაში, სარჩელით მიმართოს სასამართლოს, რადგან წინასწარ იცის, სასამართლო როგორც „ბერლინის კედელი“ ისე აღიმართება გათავისუფლებული ხელმძღვანელი პირის წინააღმდეგ და „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 44-ე მუხლზე დაყრდნობით უარს ეტყვის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. ამიტომ ხელმძღვანელი პირი, ყოველგვარი შედავების გარეშე უსიტყვოდ უნდა დაემორჩილოს საერთო კრებას, თუ სამეთვალყურეო საბჭოში მყოფ იმ „აბეზარ ბიჭებს“, რომლებსაც სურთ დირექტორის (ხელმძღვანელი პირის) თანამდებობაზე დანიშნონ მეგობარი, ნათესავი, შვილი, სიძე თუ ნებისმიერი სასურველი პირი არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს, რადგან „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 44-ე მუხლის გამოყენებით, სასურველ შედეგს მიიღებენ.

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის 44-ე მუხლის მე-3 ნაწილის ჩანაწერით იგნორირებულია ადამიანი, რომელიც როგორც საწარმოს ხელმძღვანელი პირი, დიდი პასუხისმგებლობის მატარებელი, კეთილსინდისიერად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას, ღებულობდა ისეთ ზომებს, რაც სასიკეთო იყო საწარმოსათვის და მხოლოდ იმიტომ, რომ საწარმოს დამფუძნებელ-პარტნიორს, საერთო კრებას თუ სამეთვალყურეო საბჭოს გაუჩნდა სურვილი თანამდებობიდან ყოველგვარი დასაბუთებისა და მიზეზების მითითების გარეშე გაათავისუფლოს პირი, სხვა არაფერია თუ არა „მონობა, არა კლასიკური გაგებით, არამედ თანამედროვე პირობებში „შელამაზებული,“ „დაფარული.“

პირი, რომელიც თანამდებობაზე დანიშნა, მობილიზებული ხდება, დანიშვნის მთელი დროის განმავლობაში უხელმძღვანელოს საწარმოს, იფიქროს, იზრუნოს და იმუშაოს იმ მიმართულებით, რომ ორგანიზაციას სიკეთე მოუტანოს, გააძლიეროს იგი ეკონომიკურად, გაზარდოს მისი კაპიტალი. დირექტორი არ უნდა იმყოფებოდეს მუდმივ მოლოდინის რეჟიმში, არ უნდა ჰქონდეს განცდა, როდის გაუჩნდება სურვილი დამნიშნავ პირს, თუ ორგანოს გაათავისუფლოს იგი თანამდებობიდან. ხელმძღვანელი პირი კი, ვალდებულია „უსიტყვოდ“ დაემორჩილოს. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონმა აბსოლუტური უფლებებით აღჭურვა საწარმო მაშინ, როდესაც მინიმალურადაც კი, არ დაიცვა კანონით განსაზღვრული ვადით დანიშნული კეთილსინდისიერი, გონიერი, პატიოსანი, კვალიფიციური და საწარმოს ინტერესებზე ორიენტირებული ხელმძღვანელი პირი, რომლის უკანაც დგას ადამიანი. საწარმოსათვის ნებისმიერ დროს, ყოველგვარი დასაბუთებისა და მიზეზების გარეშე, ხელმძღვანელი პირის გაათავისუფლებით ილახება მისი შრომითი უფლებები, მისი ავტორიტეტი, ღირსება, ადგება მატერიალური და მორალური ზიანი. კანონის 44-ე მუხლის ამგვარი სახით არსებობამ გააჩინა იმის ალბათობა, რომ საწარმოს ხელმძღვანელის თანამდებობაზე დანიშნულმა პირმა მთელი თავისი გამოცდილება, ცოდნა და კეთილსინდისიერება იქითკენ კი არ მიმართოს, როგორც წარმატებები მოუტანოს საწარმოს, არამედ გაუჩინა განცდა, რომ უფრო მეტად იზრუნოს იმაზე, რათა მუდმივად იმყოფებოდეს საწარმოს დამფუძნებლებთან კარგ ურთიერთობაში, ამოს მათ, მიიღოს არა ისეთი გადაწყვეტილება, რაც მას სწორად მიაჩნია და საწარმოს ინტერესს გამოადგება, არამედ ისეთი როგორც დამნიშვნელებს მოეწონებათ. 44-ე მუხლის, როგორც კერძო სამართლის, საწარმოო ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმის უარყოფითი ნიშანი იმაშიც ვლინდება, რომ მე-3 პუნქტის ბოლოში იმპერატიული ფორმითაა მოცემული და ხმალივითაა აღმართული წინადადება: „ნებისმიერი შეთანხმება, რომელიც ამ დებულებას ეწინააღმდეგება, ბათილია.“ აღნიშნული წინადადებით საბოლოოდ, გაფორმდა საწარმოს უპირატესობა დანიშნულ ხელმძღვანელ პირთან მიმართებაში. ამით კანონმდებელმა ყველა შესაძლებლობა წაართვა ხელმძღვანელ თანამდებობაზე დასანიშნ

პირს, გამოეთქვა თავისი მოსაზრება, გამოეხატა ნება და საწარმოსათვის შეეთავაზებინა, თუნდაც უმნიშვნელო, მაგრამ მაინც სხვაგვარი შეთანხმება გათავისუფლების საკითხთან მიმართებაში.

1.4. სასამსახურო ხელშეკრულება

ახალი კანონი ითვალისწინებს კიდევ ერთ სიახლეს—სასამსახურო ხელშეკრულება. ხელმძღვანელი პირის თანამდებობაზე დანიშვნის გადაწყვეტილების მიღების შემდგომ—პარალელურად, კორპორაციასა და ხელმძღვანელ პირს შორის იდება სასამსახურო ხელშეკრულება, რომელზეც არ ვრცელდება შრომის სამართლის დებულებები. სასამსახურო ხელშეკრულების დადების ნებაყოფლობითობაზე კანონი არ უთითებს, შესაბამისად ივარაუდება, რომ ყველა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას და სააქციო საზოგადოებას აქვს გასაფორმებელი ასეთი სასამსახურო ხელშეკრულება. სასამსახურო ხელშეკრულებაში გაწერილი უნდა იყო ხელმძღვანელი პირის ანაზღაურების წესი, უფლება-მოვალეობები და სხვა. იგი არ წარმოადგენს შრომით ხელშეკრულებას და მასზე ვრცელდება სამოქალაქო კოდექსის ნორმები. იმ შემთხვევაში, თუ სასამსახურო ხელშეკრულებაში არ არის მოცემული ინფორმაცია ხელმძღვანელი პირის საქმიანობის ანაზღაურების შესახებ, ივარაუდება, რომ იგი თავის საქმიანობას უსასყიდლოდ ახორციელებს. ხელმძღვანელი პირის თანამდებობიდან გათავისუფლება ავტომატურად იწვევს სამეწარმეო საზოგადოების მიერ მასთან დადებული სასამსახურო ხელშეკრულების მოშლას, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.²⁸ ე. ი. ხელმძღვანელ პირთან მიმართებაში არსებობს ორი დოკუმენტი: პირველი — დანიშვნის გადაწყვეტილება (ბრძანება) და მეორე, სასამსახურო ხელშეკრულება, სადაც არაფერია ნათქვამი ხელმძღვანელი პირის დანიშვნა-გათავისუფლებაზე, არამედ იქ საუბარია ანაზღაურებაზე, ანაზღაურების ფორმაზე, ოდენობაზე, სამსახურებრივ პრივილეგიებზე და ა. შ. აქედან გამომდინარე, სახეზეა ორი დოკუმენტი, რომლებსაც სხვადასხვა დატვირთვა და სხვადასხვა იურიდიული ძალა აქვს. ხელმძღვანელი პირის თანამდებობაზე დანიშვნის საფუძველია საერთო კრების ან სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილება (ბრძანება), ხოლო სასამსახურო ხელშეკრულება კი, წარმოადგენს ამ გადაწყვეტილების (ბრძანების) დანართს, რითაც განსაზღვრულია ხელმძღვანელი პირის ანაზღაურების საკითხი, ოდენობა, პერიოდულობა, უფლებები, მოვალეობები და ა. შ.

ის გარემოება, რომ სასამსახურო ხელშეკრულება დაიდება ხელმძღვანელ პირთან მხოლოდ მას შემდეგ, რაც პირი დაინიშნება თანამდებობაზე, ადასტურებს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 45-ე მუხლის მეორე ნაწილიც, სადაც მითითებულია, რომ ხელმძღვანელ პირთან სასამსახურო ხელშეკრულებას სამეწარმეო საზოგადოების სახელით, დებს სამეთვალყურეო საბჭოს ის თავმჯდომარე ან საერთო კრების ის თავმჯდომარე, რომელიც თავმჯდომარეობდა იმ კრებას, რომელმაც ხელმძღვანელი პირის თანამდებობაზე დანიშვნის გადაწყვეტილება

(ბრძანება) მიიღო. ვინაიდან, სასამსახურო ხელშეკრულება არ შეიცავს დათქმას ხელმძღვანელი პირის თანამდებობაზე დანიშვნის ან გათავისუფლების შესახებ და არ წარმოადგენს თანამდებობაზე დანიშვნის საფუძველს, ხელშეკრულების მოშლა ვერ უნდა გახდეს ხელმძღვანელი პირის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველი და არც ხდება, რაზეც თავად მუხლი მიუთითებს. ვინაიდან, სასამსახურო ხელშეკრულების მოშლა და მისი არსებობა-არარსებობა გავლენას არ/ვერ ახდენს პირის თანამდებობაზე ყოფნა/არყოფნის საკითხზე, დავის არსებობისას, სასამართლოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში მსჯელობა სასამსახურო ხელშეკრულების რაობისა და იურიდიული მნიშვნელობის თაობაზე ვფიქრობთ, არასწორია. პრაქტიკაში არ მოიპოვება გადაწყვეტილება, სადაც დავის საგნად მითითებული იქნებოდა სამეთვალყურეო საბჭოს ან საერთო კრების მიერ თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და ამ გადაწყვეტილების კანონიერებაზე მსჯელობა (ოქმები). მსჯელობა წარმოებს მხოლოდ სასამსახურო ხელშეკრულებაზე და ამ ხელშეკრულების მიხედვით ხდება სასამართლოების მიერ განსაზღვრა, თუ რა სახის სამართლებრივ ურთიერთობას მიეკუთვნება აღნიშნული ხელშეკრულება.

მნიშვნელოვანია, 45-ე მუხლის პირველ პუნქტში არსებული ჩანაწერიც, რომ სასამსახურო ხელშეკრულებაზე „არ ვრცელდება შრომის სამართლის დებულებები.“ საინტერესოა, რატომ დასჭირდა კანონმდებელს იმპერატიული ფორმით მუხლში ჩაწერა ამგვარი წინადადება.

აღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ სასამსახურო ხელშეკრულება არ არის ის დოკუმენტი, რომელიც პირს ნიშნავს თანამდებობაზე ან ათავისუფლებს თანამდებობიდან. ის მხოლოდ შეიცავს ინფორმაციას ხელმძღვანელი პირის ანაზღაურების, მისი ოდენობის, ფორმის, უფლება-მოვალეობების თუ პრივილეგიების შესახებ და წარმოადგენს თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების დანართს, რომლის გარეშეც ის არაფერს წარმოადგენს და მხოლოდ ფარაჩინა ქალაქია. შესაბამისად, სასამსახურო ხელშეკრულების მოშლა სადავო ვერ გახდება სამოქალაქო კანონმდებლობით, ვინაიდან მთავარ დოკუმენტად რჩება საერთო კრების/სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. სამეწარმეო სუბიექტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან მიმართებაში კი, საკითხის განხილვა კორპორაციულსამართლებრივი ურთიერთობაა და ამ ურთიერთობისას წარმოშობილი დავის განხილვა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით წარმოებს.

დასკვნა

წინამდებარე სტატიაში შევეცადეთ გვეჩვენებინა მოქმედი კანონმდებლობით, ხელმძღვანელი ორგანოს (პირის) შრომითსამართლებრივი მდგომარეობა. დადებითი და უარყოფითი მხარეები, რაც გააჩნია ახალ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონს ხელმძღვანელი ორგანოს (პირის) დანიშვნა-გათავისუფლებასთან მიმართებაში.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კანონის 44-ე მუხლის მე-3 ნაწილის იმპერატიული შინაარსით და ფორმით გადმოცემული ჩანაწერი (ხელმძღვანელი ორგანოს (პირის) გათავისუფლება „ნებისმიერ დროს“ და „ყოველგვარი დასაბუთების გარეშე“, „ნებისმიერი შეთანხმება, რომელიც ამ დებულებას ეწინააღმდეგება, ბათილია“), გედმეტად მკაცრია. იგი წინააღმდეგობაში მოდის ფუნდამენტურ უფლებებთან, თავისუფალ ნებასთან, რის დასაცავადც არსებობენ როგორც შიდა სამართლებრივი აქტები, ასევე კონსტიტუცია და საერთაშორისო აქტები თუ კონვენციები. უმჯობესი იქნებოდა მსგავსი ჩანაწერი ყოფილიყო დისპოზიციური და არა იმპერატიული, როგორც ახალ „მეწარმეთა შესახებ“ კანონშია, ვინაიდან აღნიშნული საკითხი დისკუსიის საგანია. ცალსახად, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე პირის გათავისუფლება დაკავებული თანამდებობიდან, როგორც კერძოსამართლებრივ ინტერესსაც არ უნდა ემსახურებოდეს ეს – არასამართლიანია, რომელმაც მომავალში დავის შემთხვევაში, შეიძლება წარმოშოს გარკვეული სახის პრობლემები და სასამართლოს მოუწვევს ინდივიდუალურად, ე. წ. *contra legem*²⁹ განმარტოს თითოეული შემთხვევა სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე, რაც საკანონმდებლო ხარვეზის სახეს მიიღებს.

მიზანშეწონილია, ამერიკაში დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, ქართული კანონმდებლობაც უშვებდეს იმის შესაძლებლობას, რომ წესდებით განისაზღვროს დირექტორის გათავისუფლების საფუძველი. კერძოდ, გათავისუფლების შესაძლებლობა გაუფრთხილებლობის ან უხეში გაუფრთხილებლობის გამო და წესდებაში ასეთი ჩანაწერის არსებობის შემთხვევაში, დირექტორის უსაფუძვლოდ, ნებისმიერ დროს გათავისუფლება არ უნდა იყოს შესაძლებელი.

სტატიაში ასევე, ყურადღება იქნა გამახვილებული „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლით გათვალისწინებულ სიახლეზე, ე. წ. „სასამსახურო ხელშეკრულებაზე“, რომელიც არ არის ის დოკუმენტი, რომელიც პირს ნიშნავს თანამდებობაზე ან ათავისუფლებს თანამდებობიდან. ის მხოლოდ შეიცავს ინფორმაციას ხელმძღვანელი პირის ანაზღაურების, მისი ოდენობის, ფორმის, უფლება-მოვალეობების თუ პრივილეგიების შესახებ და წარმოადგენს თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების დანართს, რომლის გარეშეც ის არაფერს წარმოადგენს და მხოლოდ ფარატიანა ქალაქია. შესაბამისად, სასამსახურო ხელშეკრულების მოშლა სადავო ვერ გახდება სამოქალაქო კანონმდებლობით, ვინაიდან მთავარ დოკუმენტად რჩება საერთო კრების/სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. სამეწარმეო სუბიექტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან მიმართებაში კი, საკითხის განხილვა კორპორაციულსამართლებრივი ურთიერთობაა და ამ ურთიერთობისას წარმოშობილი დავის განხილვა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით წარმოებს.

შენიშვნები:

- ¹ განმარტებითი ბარათი „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/268673> [22.05.2022].
- ² განმარტებითი ბარათი „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/268673> [22.05.2022].
- ³ ბურდული ი., მახარობლიშვილი გ., თოხაძე ა., ზუბიტაშვილი ნ., ალადაშვილი გ., მაღრაძე გ., ეგნატაშვილი დ., საკორპორაციო სამართალი, მეორე გადაამუშავებული გამოცემა, გამომც. იურისტების სამყარო, თბ., 2022, გვ. 19-20.
- ⁴ ბურდული ი., მახარობლიშვილი გ., თოხაძე ა. და სხვები, საკორპორაციო სამართალი, მეორე გადაამუშავებული გამოცემა, გამომც. იურისტების სამყარო, თბ., 2022, გვ. 50.
- ⁵ იქვე, გვ. 50.
- ⁶ ამ საკითხზე დაწვრილებით იხილეთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XVIII თავი, იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, 22.07.1999, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=241> [27.05.2022].
- ⁷ ბურდული ი., მახარობლიშვილი გ., ეგნატაშვილი გ., გიგუაშვილი გ., თანამედროვე ქართული სამეწარმეო სამართლის განვითარება (რეფორმის ძირითადი ასპექტები), 2016, გვ. 86.
- ⁸ იქვე, გვ. 50.
- ⁹ დვალიძე ი., მახარობლიშვილი გ., სამეწარმეო საქმიანობის თავისუფლება და სისხლის სამართლით დაცული სამართლებრივი სიკეთე (სამეცნიერო-პრაქტიკული კომენტარი), 2016, გვ. 122-124.
- ¹⁰ ბურდული ი., სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი II, 2013, გვ. 355-356.
- ¹¹ ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის ურთიერთმიმართების თაობაზე, იხ.: დვალიძე ი., მახარობლიშვილი გ., სამეწარმეო საქმიანობის თავისუფლება და სისხლის სამართლით დაცული სამართლებრივი სიკეთე (სამეცნიერო-პრაქტიკული კომენტარი), 2016, გვ.125-126.
- ¹² სპს-ის შემთხვევაში, სასამსახურო ხელშეკრულება ხელმძღვანელ პირთან იდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელმძღვანელად ინიშნება მოწვეული პირი და არა პარტნიორი. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტი.
- ¹³ ბურდული ი., სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი II, 2013, გვ. 363.
- ¹⁴ ბურდული ი., მახარობლიშვილი გ., თოხაძე ა., ზუბიტაშვილი ნ., ალადაშვილი გ., მაღრაძე გ., ეგნატაშვილი დ., საკორპორაციო სამართალი, მეორე გადაამუშავებული გამოცემა, გამომც. იურისტების სამყარო, თბ., 2022, გვ. 173, იხ.: Rosin, Closten, Agency, Partnerships and Limited Liability Companies, 2003, 23. 397.
- ¹⁵ ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 2000, 59-60.
- ¹⁶ ბურდული ი., მახარობლიშვილი გ., თოხაძე ა., ზუბიტაშვილი ნ., ალადაშვილი გ., მაღრაძე გ., ეგნატაშვილი დ., საკორპორაციო სამართალი, მეორე გადაამუშავებული გამოცემა, გამომც. იურისტების სამყარო, თბ., 2022, გვ. 174.
- ¹⁷ საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ კანონი 42 (I) მუხლი.
- ¹⁸ ბურდული ი., მახარობლიშვილი გ., თოხაძე ა., ზუბიტაშვილი ნ., ალადაშვილი გ., მაღრაძე გ., ეგნატაშვილი დ., საკორპორაციო სამართალი, მეორე გადაამუშავებული გამოცემა, გამომც. იურისტების სამყარო, თბ., 2022, გვ. 175.
- ¹⁹ მიგრიაული რ., შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და დირექტორს შორის სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობა და დასრულება (შედარებითი ანალიზი გერმანულ სამართალთან) შურ. ნოტარიტი, სანოტარო და კერძო სამართლის მიმოხილვა, პრაქტიკა, თბ., 2003, გვ. 31.
- ²⁰ ბაქაძური ნ., გელტერი მ., ცერცვაძე ლ., ჯულელი გ., რედაქტორი – ასოცირებული პროფ., სამართლის დოქ. ცერცვაძე ლ. LLM., MLB, ოქტომბერი, 2019, საკორპორაციო სამართალი. სახელმძღვანელო იურისტებისათვის, გვ. 78.

- ²¹ ცერცვაძე ლ., დირექტორის მოვალეობები კომპანიების შერწყმისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), გამომც. იურისტების სამყარო, თბ., 2016, გვ. 89, იხ.: Branson, Corporate Governance, The Michie Company-Law Publishers, Virginia, 1993, 105, 107.
- ²² იქვე, გვ. 89, იხ.: Barnes, Dworkin, Richards, aw For Business, 12th Ed, McGraw-Hill Education, New York, 2014, 517.
- ²³ იქვე, გვ. 90, იხ.: Loos, (Edit) Winckler, Ripin, United States of America in: Directors' Liability: A Worldwide Review, Kluwer Law International and International Bar Association, Alphen aan den Rijn 2006, 304
- ²⁴ იქვე, გვ. 88, იხ.: Meister, Heidenhain, Rosengarten, The German Limited Liability Company, 7th Ed, Verlag C.H. Beck, Munchen, 2010, 51.
- ²⁵ განმარტებითი ბარათი „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე, <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/268673> [22.05.2022].
- ²⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილებები საქმე №ას-655-611-2017, 11.07.2017; საქმე №ას-895-845-2015, 29.01.2016; საქმე №ას-560-535-2016, 02.09.2016; საქმე №ას-918-884-2016, 10.07.2017; საქმე №ას-1203-2018. 25.04.2019.
- ²⁷ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება, საქმე №2ბ/9341-2019, 05.03.2021.
- ²⁸ საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, 02/08.2021, 45-ე მუხლი.
- ²⁹ განმარტება contra legem უპირატესობას ანიჭებს არა კანონს, არამედ სამართალს, რომელიც გამომდინარეობს კონსტიტუციური მართლწესრიგიდან და უზრუნველყოფს კონკრეტული შემთხვევის სწორ, სამართლიან გადაწყვეტას. განმარტება contra legem, ასევე, იძლევა სოციალურ სინამდვილეში მიმდინარე ცვლილებების გათვალისწინებისა და მათზე დროული რეაგირების შესაძლებლობას.

ნორმატიული აქტები:

1. საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ 02/08/2021;
2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი 22/07/1999;
3. განმარტებითი ბარათი „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/268673>

სამეცნიერო ლიტერატურა:

1. ბაქაძური ნ., გელტერი მ., ცერცვაძე ლ., ჯუღელი გ., რედაქტორი – ასოცირებული პროფ., სამართლის დოქ. ცერცვაძე ლ., LL.M., MLB, ოქტომბერი, საკორპორაციო სამართალი სახელმძღვანელო იურისტებისათვის, 2019;
2. ბურდული ი., საექციო სამართლის საფუძვლები, ტომი II, 2013;
3. ბურდული ი., მახარობლიშვილი გ., ეგნატაშვილი დ., გიგუაშვილი გ., თანამედროვე ქართული სამეწარმეო სამართლის განვითარება (რეფორმის ძირითადი ასპექტები), 2016;
4. ბურდული ი., მახარობლიშვილი გ., თოხაძე ა., ბუბიტაშვილი ნ., ალადაშვილი გ., მალრაძე გ., ეგნატაშვილი დ., საკორპორაციო სამართალი, მეორე გადამუშავებული გამოცემა, გამომც. იურისტების სამყარო, თბ., 2022;
5. დვალაძე ი., მახარობლიშვილი გ., სამეწარმეო საქმიანობის თავისუფლება და სისხლის სამართლით დაცული სამართლებრივი სიკეთე (სამეცნიერო-პრაქტიკული კომენტარი), 2016;
6. მიგრიაული რ., შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და დირექტორის შორის სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობა და დასრულება (შედარებითი ანალიზი გერმანულ სამართალთან) უურ. ნოტარიატი, სანოტარო და კერძო სამართლის მიმოხილვა, პრაქტიკა, თბ., 2003;

7. ცერცვაძე ლ., დირექტორის მოვალეობები კომპანიების შერწყმისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), გამომც. იურისტების სამყარო, თბ., 2016;
8. ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 2000.

სასამართლო პრაქტიკა:

1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება, საქმე №2ბ/9341-2019, 05.03.2021;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება, საქმე №ას-1203-2018, 25.04.2019;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება, საქმე №ას-655-611-2017, 11.07.2017;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება, საქმე №ას-918-884-2016, 10.07.2017;
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება, საქმე №ას-560-535-2016, 02.09.2016;
6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება, საქმე №ას-895-845-2015, 29.01.2016.

ინტერნეტ რესურსი:

1. <https://www.matsne.gov.ge/>
2. <http://prg.supremecourt.ge/>
3. <http://library.court.ge/login.php?geo&authorisation>>
4. www.parliament.ge

THE PROCEDURE FOR THE APPOINTMENT/DISMISSAL OF THE ENTERPRISE'S GOVERNING BODY (LEADING PERSON) AND LEGAL GUARANTEES OF PROTECTION ACCORDING TO THE LAW OF GEORGIA "ON ENTREPRENEURS"


TAMAR IOSELIANI

*Ph.D. student of the Faculty of Law and Social Sciences
at the East European University
Assistant to the judge of the Tbilisi Court of Appeals*

Western developed countries such as the United States of America, Germany, and England have developed legal systems along with developed economies, which is a good example for developing countries, including Georgia. These countries are important economic partners for Georgia, and knowledge and sharing of their legal systems are not only important but also necessary for the development of the country's economy.

Since its creation, Corporate Law in Georgia has gone through several stages of development: a) from 1994 to 2008; b) from 2008 to 2021, and c) from 2021 to the present.

With the new edition of the Law "On Entrepreneurs", which was adopted by the Parliament of Georgia on August 2, 2021, the



directives specified in the "Corporate Law" part of Annex XXVIII of the Association Agreement signed with the European Union in 2014 were fully accepted.

The present article discusses the legal regulation of such an important constituent part of the corporation's management ring, such as the governing body (individual). In particular, what is the governing body (individual) in the corporation, what place does it occupy and what means of protection does it have.

As mentioned, the Law "On Entrepreneurs" adopted on August 2, 2021, made significant changes to the law in effect before that. The changes in relation to the appointment and dismissal of the governing body (individual) are especially noticeable. It is in this context that the issue of whether the rights of the governing body (individual) in the management of the enterprise are fully presented and regulated, whether there are guarantees of protection provided by law, what kind of relationship the activities of the governing body (individual) belong to in the enterprise, Is the employment contract complete, is it an independent document, or is it an attachment to the legal act of appointment, what does it mean to dismiss a managing body (individual) "at any time" and "without any justification" and to what extent the conscientious, reasonable and focused on the development of the enterprise leader is protected under the new Law on Entrepreneurs.

It can be argued that the record conveyed by the imperative content and form of Article 44, Part 3 of the Law (dismissal of the governing body (individual) "at any time" and "without any justification", "any agreement that contradicts this provision is void"), is too strict. It contradicts the fundamental rights and free will, for the protection of which there are domestic legal acts, as well as the constitution and international acts or conventions. It would be better if such a record were dispositional and not imperative, as in the new law "On Entrepreneurs," since the mentioned issue is a subject of discussion.

In the article, attention is also focused on the so-called innovation provided by Article 45 of the Law of Georgia "On Entrepreneurs" "Employment contract", which is not a document appointing or dismissing a person. It only contains information about the head person's remuneration, its amount, form, rights, and privileges, and is an annex to the decision on appointment to the position, without which it does not represent anything. Consequently, the termination of the employment contract cannot be contested under civil law, since the main document remains the decision made by the general assembly/supervisory board. In relation to the decisions taken by the entrepreneurial entity, the discussion of the issue is a corporate legal relationship, and the discussion of the dispute arising in this relationship is conducted according to the Georgian law "On Entrepreneurs".

საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი

კონსტანტინე ხეცურიანი

სამართლის მაგისტრი

საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი¹ საქართველოს პირველი კონსტიტუციურსამართლებრივი დოკუმენტია, რომელმაც არა მხოლოდ აღადგინა რუსეთის იმპერიის მიერ გაუქმებული ქართული სახელმწიფოებრიობა, არამედ ამასთანავე, სათავე დაუდო თანამედროვე რესპუბლიკური მმართველობის დამკვიდრებას საქართველოში.

დამოუკიდებლობის აქტის პირველი ნაწილი დეკლარაციული ხასიათისაა და მასში ლაკონიურადაა გადმოცემული საქართველოს სახელმწიფოებრიობის განვითარების ისტორიული ეტაპები, რუსეთში იმჟამად შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობა და „თავის ძალღონის ამარად“ დარჩენილი საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების მიზეზები და მიზნები. კერძოდ, მასში ნათქვამია: „ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შეჭქმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელი განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს.“²

დამოუკიდებლობის აქტის მეორე ნაწილი ძირითადად, კონსტიტუციურ-სამართლებრივი ნორმებისაგან შედგება.

პირველი პუნქტი საქართველოს ხალხს სუვერენულ უფლებათა მატარებლად აცხადებს (სახალხო სუვერენიტეტი), რაც ნიშნავს, რომ ამიერიდან საქართველოს ხალხს უფლება აქვს, თავად განსაზღვროს თავისი პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების ბედი, შექმნას დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფო. ამ უფლების საფუძველზე ამავე პუნქტში გაცხადებულია, რომ ამიერიდან „საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.“ ამით აღიარებულია საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტი, რაც გულისხმობს საქართველოს ხელისუფლების უზენაესობას ქვეყნის საშინაო საქმეებში და რომელიმე სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლობას საერთაშორისო ასპარეზზე.³ საგულისხმოა, რომ დამოუკიდებლობის აქტის ამ პუნქტში სახალხო და სახელმწიფო სუვერენიტეტი ერთადაა წარმოდგენილი, რაც გასაგებია, რადგანაც თუ ერი (ხალხი) მოიპოვებს პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, მაშინ ადგილი აქვს ეროვნული (სახალხო) და სახელმწიფო სუვერენიტეტის ერთმანეთთან შერწყმას.⁴

დამოუკიდებლობის აქტის მე-2 პუნქტი საქართველოს სახელმწიფო მმართველობის ფორმას განსაზღვრავს. „დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკაა“ – იმპერატიულადაა გაცხადებული დამოუკიდებლობის აქტში. ტერმინთა თანაწყობა – „დემოკრატიული რესპუბლიკა“ ერთდროულად მიუთითებდა იმაზე, რომ მონარქიული სახელმწიფოებრიობის სამიათასწლოვანი ისტორიის მქონე ქართული სახელმწიფო, მისთვის აქამდე უცნობი, რესპუბლიკური მმართველობის ფორმით უნდა ჩამოყალიბებულიყო და ამასთან, ეს სახელმწიფო ტოტალიტარული, დიქტატორული რეჟიმის ანტიპოდი უნდა ყოფილიყო. დემოკრატია ხომ საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის ისეთი ფორმაა, სადაც ხალხი სახელმწიფო ხელისუფლების ერთადერთი წყაროა და ამავე დროს, უზრუნველყოფილია მისი ფართო მონაწილეობა ხელისუფლების განხორციელებაში. რაჟდენ არსენიძე წერდა: „ჩვენ გვინდა რესპუბლიკა დემოკრატიული, ე. ი. ისეთი, სადაც ხალხი, დემოსი იქნება საზოგადოებრივ საქმის მმართველი და გამგე, კანონმდებელი და აღმასრულებელი. სიტყვა „რესპუბლიკა“ ამნაირათ აღნიშნავს ფორმას სახელმწიფოსას, სიტყვა „დემოკრატიული“ კი, ეხება შინაარსს.“⁵

დამოუკიდებლობის აქტის მე-3 პუნქტში გადმოცემულია საქართველოს ნება, გახდეს ნეიტრალური სახელმწიფო. „საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა“ – აღნიშნულია დამოუკიდებლობის აქტში. მიუხედავად ქართული სახელმწიფოს ასეთი სამშვიდობო მისწრაფებისა, „მუდმივი ნეიტრალიტეტის“ სტატუსით სახელმწიფოს აღჭურვა მხოლოდ საკუთარი სურვილით არ ხდება. ამ საკითხს გააჩნია მნიშვნე-

ნელოვანი საერთაშორისოსამათლებრივი ასპექტი და მისი მინიჭება სახელმწიფოსათვის დამოკიდებულია საერთაშორისო თანამეგობრობის თანხმობაზე, რომელიც ფორმდება სათანადო საერთაშორისო ხელშეკრულებით.⁶ ამიტომ მუდმივი ნეიტრალიტეტის ცალმხრივად გამოცხადება, თავისთავად, იურიდიულ შედეგებს არ იწვევს. სწორედ ამის გამო დამოუკიდებლობის აქტის ეს პუნქტი იურიდიულ ლიტერატურაში მიჩნეული დეკლარაციულ დებულებად.⁷

დამოუკიდებლობის აქტის მე-4 პუნქტი საერთაშორისო ურთიერთობებში საქართველოს მონაწილეობის ძირითად პრინციპებს ეხება. მასში ნათქვამია, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა კეთილმეზობლურ ურთიერთობებს დაამყარებს საერთაშორისო თანამეგობრობის ყველა წევრთან, განსაკუთრებით კი, მოსაზღვრე სახელმწიფოებთან. სახელმწიფოების მშვიდობიანი თანაარსებობის ეს განაცხადი საგულისხმოა არა მხოლოდ იმ თვალსაზრისით, რომ იგი საქართველოს საგარეო პოლიტიკის სამშვიდობო ხასიათზე და სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის სურვილზე მიუთითებს, არამედ იმითაც, თუ როდის, რა ეპოქაში იყო ეს დეკლარირებული და სახელმწიფოს სამოქმედო ორიენტირად დადგენილი. ეს ის პერიოდია, როდესაც საერთაშორისო სამართალში პროგრესულ პრინციპებთან ერთად, ბევრი რეაქციული საწყისი მოქმედებდა, კერძოდ, ომის უფლება, დაპყრობის უფლება, კოლონიალიზმის ლეგალიზაცია და სხვა.⁸ საგულისხმოა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ეს დებულება, რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, გაეროს წესდებით საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთ ძირითად პრინციპად (*ius cogens*) იქნა აღიარებული.

დამოუკიდებლობის აქტის მე-5 პუნქტი საქართველოს მოქალაქეებისათვის ადამიანის ძირითადი უფლებებით სარგებლობის მტკიცე გარანტიებს ქმნის. მასში ნათქვამია, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თანასწორად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა.

თანასწორობა, როგორც ცნობილია, სამართლის ფუძემდებლური პრინციპია და უწინარეს ყოვლისა, თანაბარი უფლებებით სარგებლობის უფლებას გულისხმობს.⁹ სამართლის ეს პრინციპი იმ ეპოქისათვის არადაძაბავსათებელი, შესაშური სისრულით არის წარმოდგენილი. საქმე ისაა, რომ იმჟამად მსოფლიოს ქვეყნებში ჯერ კიდევ, პრობლემური იყო, მაგალითად, ქალისა და მამაკაცის თანასწორობის საკითხი, განსაკუთრებით საარჩევნო უფლებებით სარგებლობისას. დამოუკიდებლობის აქტიდან კი, უშუალოდ გამომდინარეობდა, რომ ქალებსა და მამაკაცებს თანაბარი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები ჰქონდათ. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპებიდან (*ius cogens*) ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის პრინციპი

ყველაზე „ახალგაზრდა“ და იგი მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოყალიბდა,¹⁰ ე. ი. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის მიღებიდან რამდენიმე ათეული წლის შემდეგ.

დამოუკიდებლობის აქტის მე-6 პუნქტი საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა საკითხს ეხება და მასში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული საქართველოს სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, განვითარების თავისუფალი ასპარეზი გაუხსნას მის ტერიტორიაზე მოსახლე ერებს, რაც პრაქტიკულად გულისხმობს სახელმწიფოს მიერ სათანადო პირობების შექმნას, რათა ეროვნულმა უმცირესობებმა შეძლონ თავისუფლად განავითარონ თავიანთი კულტურა, მისდიონ თავის რელიგიას, ტრადიციებს, ჩვეულებებს, გამოიყენონ თავისი ენა საჯარო და პირად ცხოვრებაში, მიიღონ განათლება ამ ენაზე, აქტიურად ჩაერთონ ქვეყნის საზოგადოებრივ, ეკონომიკურ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. როგორც ვხედავთ, დამოუკიდებლობის აქტი საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების ინტერესების დაცვის რეალურ გარანტიას ქმნის.¹¹

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ბოლო მე-7 პუნქტი ადგენს საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების მოწყობის პრინციპებს. მასში, კერძოდ, ნათქვამია, რომ დამფუძნებელი კრების მოწვევამდე, საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს გაუძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით და მის წინაშე პასუხისმგებელი დროებითი მთავრობა. აქედან რამდენიმე დასკვნის გაკეთება შეიძლება:

პირველი, დამოუკიდებლობის აქტი ადგენს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა სისტემას, რომელიც დამახასიათებელია მმართველობის საპარლამენტო მოდელისათვის;

მეორე, სახელისუფლებო სტრუქტურაში არ არის გათვალისწინებული სახელმწიფოს მეთაურის ინსტიტუტი;

მესამე, სახელმწიფო ხელისუფლების ეს ორგანოები დროებითია და იმოქმედებენ დამფუძნებელი კრების მოწვევამდე;

მეოთხე, არჩეული იქნება მაღალი ლეგიტიმაციის მქონე წარმომადგენლობითი ორგანო – დამფუძნებელი კრება. დამფუძნებელი კრების არჩევამდე წარმომადგენლობითი ორგანო – ეროვნული საბჭო შეივსება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, მისი გამოცხადებიდან საქართველოს პირველი კონსტიტუციის მიღებამდე (1921 წლის 21 თებერვალი), ერთადერთი საკონსტიტუციოსამართლებრივი აქტი იყო, რომელიც ადგენდა საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების მოწყობისა და სხვა უმნიშვნელოვანეს კონსტიტუციურსამართლებრივ პრინციპებს.

დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე, ხალხის მიერ უშუალოდ არჩეულმა დამფუძნებელმა კრებამ თავის პირველსავე სხდომაზე, 1919 წლის 12 მარტს, ხელმეორედ დაამტკიცა დამოუკიდებლობის აქტი, რამაც ამ აქტს კიდევ მეტი ლეგიტიმურობა შესძინა.¹²

დამოუკიდებლობის აქტი მტკიცე „იურიდიული ბაზა და ფუნდამენტი“ გახდა საქართველოს პირველი კონსტიტუციის შემუშავებისათვის.¹³ დემოკრატიული საქართველოს პირველ კონსტიტუციაში ასახვა ჰპოვა დამოუკიდებლობის აქტის თითქმის ყველა დებულებამ.

დამოუკიდებლობის აქტის დებულებები სახალხო და სახელმწიფო სუვერენიტეტის, დემოკრატიული რესპუბლიკის, როგორც საქართველოს პოლიტიკური წყობილების ფორმის შესახებ (პირველი და მე-2 პუნქტები) გადმოცემულია კონსტიტუციის პირველ მუხლში. დამოუკიდებლობის აქტით გათვალისწინებული საქართველოს ვალდებულება, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე უზრუნველყოს ადამიანის უფლებები (მე-5 პუნქტი), დეტალურად არის მოწესრიგებული კონსტიტუციის მე-3 („მოქალაქის უფლებანი“) და მე-13 („სოციალ-ეკონომიკური უფლებანი“) თავებში. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მცხოვრები ერების უფლებების უზრუნველყოფის შესახებ დამოუკიდებლობის აქტით გათვალისწინებული საქართველოს პოზიტიური ვალდებულება (მე-6 პუნქტი) სრულყოფილად არის გადმოცემული კონსტიტუციის მე-14 თავში („ეროვნულ უმცირესობათა უფლებები“). დამოუკიდებლობის აქტით დადგენილი საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების მოწყობის საპარლამენტო მოდელი (მე-7 პუნქტი) სრულად არის გაზიარებული კონსტიტუციის მე-4 და მე-5 თავებში, რომლებიც საქართველოს ხელისუფლების ორგანიზაციის ფორმად საპარლამენტო რესპუბლიკას ამკვიდრებენ.

საქართველოს გეოპოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, კონსტიტუციაში არ იქნა გათვალისწინებული დამოუკიდებლობის აქტის დებულება საქართველოს მუდმივი ნეიტრალიტეტის შესახებ (მე-3 პუნქტი).¹⁴

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ პირველი კონსტიტუციის პროექტზე მუშაობისას, დამოუკიდებლობის აქტს განიხილავდნენ როგორც მომავალი კონსტიტუციის შესავალ ნაწილს, ერთგვარ პრეამბულას. საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე პავლე საყვარელიძე ამასთან დაკავშირებით წერდა: „ჩვენი დღევანდელი სახელმწიფოებრივ-უფლებრივი არსებობა ემყარება ამ დამოუკიდებლობის აქტს. ეს არის თუ გნებავთ ჩვენი კანონთა კანონი, ჩვენი კონსტიტუციათა კონსტიტუცია. ეს დიდებული აქტი... ერთიანად უნდა შევიდეს საქართველოს კონსტიტუციაში, როგორც შესავალი კარი, რაც სახელმწიფოს დაფუძნების აქტს დაუკავშირებს საკონსტიტუციო კანონმდებლობას და მთლიან ხასიათს მისცემს მთელ კონსტიტუციას.¹⁵ მართალია, დამოუკიდებლობის აქტი არ იქნა შეტანილი კონსტიტუციის ტექსტში როგორც მისი შესავალი, პრეამბულა, მაგრამ მათ შორის ორგანული კავშირის გამო, საქართველოს პირველი კონსტიტუციის ტექსტი ყოველთვის ქვეყნდებოდა დამოუკიდებლობის აქტთან ერთად.¹⁶

1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე, საქართველოს თანამედროვე, დემოკრატიული რესპუბლიკის მშენებლობა, სამწუხაროდ, 1921 წლის 25 თებერვალს შეწყდა

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს მიმართ განხორციელებული აგრესიის, ოკუპაციისა და რიგით მეორე ანექსიის შედეგად.

საქართველო მთელი 70 წლით იქნა ინკორპორირებული რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის – საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში.

საბჭოური სისტემის კრიზისისა და ეროვნული მოძრაობის გააქტიურების შედეგად, საქართველოს კომუნისტური ხელისუფლება იძულებული გახდა 1990 წლის 28 ოქტომბერს საბჭოთა სივრცეში პირველად, ჩაეტარებინა ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს მრავალპარტიული, დემოკრატიული არჩევნები. ქართველმა ხალხმა ამ არჩევნებში მხარი დაუჭირა იმ პოლიტიკურ ძალებს, რომელთა საპროგრამო ამოცანა იყო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა.

ახალარჩეულმა უზენაესმა საბჭომ 1991 წლის 31 მარტს ქვეყნის დამოუკიდებლობის საკითხი საყოველთა-სახალხო კენჭისყრაზე – რეფერენდუმზე გაიტანა, რათა ხალხს თავად მიეღო გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ. აქ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ხელისუფლების არა მარტო ის განზრახულება, რომ რეფერენდუმით მიღებულ გადაწყვეტილებას უმაღლესი იურიდიული ძალა ექნებოდა და მისი გაუთვალისწინებლობა, ვისგანაც უნდა ყოფილიყო იგი, ხალხის ნების უგულებელყოფად აღიქმებოდა, არამედ ისიც, თუ როგორ იყო სარეფერენდუმო კითხვა დასმული. კერძოდ, რეფერენდუმზე ხალხს პასუხი უნდა გაეცა შემდეგ კითხვაზე: „თანახმა ხართ თუ არა, აღსდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?“

ამ კითხვიდან აშკარად ჩანს, რომ აქ საუბარია არა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაზე, არამედ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენაზე, რომელიც საქართველომ 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის მიღების შემდეგ მოიპოვა. გამომდინარე აქედან, თუ ქართველი ხალხი სარეფერენდუმო კითხვაზე დადებით პასუხს გასცემდა, მაშინ თანამედროვე საქართველო უშუალო სამართალმემკვიდრე გახდებოდა საქართველოს პირველი რესპუბლიკისა, რომელიც 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე შეიქმნა.

რეფერენდუმის შედეგები მართლაც შთამბეჭდავი იყო. საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე.¹⁷

რეფერენდუმის შედეგების გათვალისწინებით, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1991 წლის 9 აპრილს მიიღო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის

აღდგენის აქტი,¹⁸ რომელშიც ჩაწერილია: „1990 წლის 28 ოქტომბერს, მრავალპარტიული, დემოკრატიული გზით არჩეული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, ეყრდნობა რა, 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმით გამოხატულ საქართველოს მოსახლეობის ერთ-სულოვან ნებას, აღდგენს და საქვეყნოდ აცხადებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას საქართველოს დამოუკიდებლობის 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე.“

საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი ყველაზე უფრო ლეგიტიმური კონსტიტუციურსამართლებრივი დოკუმენტია საქართველოს ისტორიაში. მისი იურიდიული ძალა დადასტურებულია: საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ (1918 წლის 26 მაისი), საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ (1919 წლის 12 მარტი), საყოველთაო-სახალხო კენჭისყრით – რეფერენდუმით (1991 წლის 31 მარტი) და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ (1991 წლის 9 აპრილი). იგი მუდამ იქნება ის უპირველესი და უმთავრესი კონსტიტუციურსამართლებრივი საფუძველი, რომელზედაც დგას თანამედროვე ქართული სახელმწიფოებრიობა.

შენიშვნები:

- ¹ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, 1918-1921, გამომც. ივერთა მხარე, თბ., 1990, გვ. 3-4.
- ² იქვე.
- ³ სახალხო და სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ იხ.; ალექსიძე ლ., თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, გამომც. იურისტების სამყარო, თბ., 2013, გვ. 81-83.
- ⁴ ალექსიძე ლ., მით ნაშრომი, გვ. 83.
- ⁵ არსენიძე რ., დემოკრატიული რესპუბლიკა, ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები, ზვიად კორძაძის გამომცემლობა, თბ., 2016, გვ. 40.
- ⁶ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადების პერიოდისათვის საერთაშორისო ხელშეკრულებით შევიცარიას ჰქონდა მუდმივი ნეიტრალიტეტის სტატუსი (1815 წლიდან). იხ.: ალექსიძე ლ., თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, გამომც. იურისტების სამყარო, თბ., 2013, გვ. 408-409; თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, ლექსიკონი-ცნობარი, თბ., უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2003, გვ. 193-194.
- ⁷ ცნობილაძე პ., საქართველოს კონსტიტუციური სამართალი ორ ტომად, ტ. 1, თბ., 2004, გვ. 95-96.
- ⁸ ალექსიძე ლ., მით ნაშრომი, გვ. 74-75.
- ⁹ გონაშვილი ვ., ერემაძე ქ., თევდორაშვილი გ., კახიანი გ., კვერენჩილაძე გ., ჭილაძე ნ., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, გამომც. მერიდიანი, თბ., 2017, გვ. 34-35.
- ¹⁰ ალექსიძე ლ., მით ნაშრომი, გვ. 69.
- ¹¹ ნიშნდობლივია, რომ ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის შესახებ სახელმწიფოს ეს ვალდებულებები საერთაშორისო სამართლებრივ აქტებში სრულყოფილად აისახა მხოლოდ გასული საუკუნის 90-იან წლებში (იხ.: რონა კ.მ. სმიტი, ადამიანის საერთაშორისო უფლებები, მეორე გამოცემა, მთარგმნელი მანანა კობიაშვილი, გამომც. სეზანი, 2005, გვ. 446-463).
- ¹² ხალხის მიერ არჩეული დამფუძნებელი კრებისაგან განსხვავებით, ეროვნული საბჭო, რომელმაც 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი მიიღო, არ იყო საყოველთაო და თანასწორი არჩევნების გზით შექმნილი წარმომადგენლობითი ორგანო და ამდენად ნაკლები ლეგიტიმურობა გააჩნდა. დამფუძნებელი კრების მიერ დამოუკიდებლობის აქტის დამტკიცების შემდეგ, მის სტამბურ ვარიანტს 101-მა პიროვნებამ მოაწერა ხელი (იხ.: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921), ენციკლოპედია-ლექსიკონი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2018, გვ. 111).
- ¹³ ქანთარია ბ., კონსტიტუციონალიზმის ფუნდამენტური პრინციპები და მმართველობის ფორმის სამართლებრივი ბუნება პირველ ქართულ კონსტიტუციაში, გამომც. სამართალი, თბ., 2013, გვ. 65-66.
- ¹⁴ ქანთარია ბ., მით ნაშრომი, გვ. 66; ბენდიაშვილი ალ., საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.), თბ., 2001, გვ. 174; მაცაბერიძე მ., საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია, შემუშავება და მიღება, თბ., 2008, გვ. 125. საგულისხმოა, რომ კონსტიტუციის პროექტში (მე-2 მუხლი) სახელმწიფოს ნეიტრალიტეტის პრინციპი წარმოდგენილი იყო უფრო ფართოდ, ვიდრე დამოუკიდებლობის აქტში, კერძოდ, პროექტი აღიარებდა საქართველოს ნეიტრალიტეტს ზოგადად და არა მხოლოდ ომიანობის დროს (იხ.: ქანთარია ბ., მით ნაშრომი, გვ. 66).
- ¹⁵ საყვარელიძე პ., საქართველოს კონსტიტუციისთვის, ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები, ზვიად კორძაძის გამომცემლობა, თბ., 2016, გვ. 306.
- ¹⁶ გეგენავა დ., ქანთარია ბ., ცანავა ლ., თევზაძე თ., მაჭარაძე მ., ჯავახიშვილი პ., ერქვანია თ., პაპაშვილი თ., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მესამე გამოცემა, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2015, გვ. 32-33.
- ¹⁷ რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 90,3 პროცენტმა, აქედან საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას მხარი დაუჭირა 98,9 პროცენტმა. იხ.: გონაშვილი ვ., ერემაძე ქ., თევდორაშვილი გ., კახიანი გ., კვერენჩილაძე გ., ჭილაძე ნ., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, გამომც. მერიდიანი, თბ., 2017, გვ. 69.
- ¹⁸ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, 1991, N4, მუხლი 291.

GEORGIA ACT OF INDEPENDENCE OF MAY 26, 1918

KONSTANTINE KHETSURIANI

Master of Law

The Act of Independence of Georgia of May 26, 1918, is the first constitutional-legal document of Georgia, which not only restored the Georgian statehood abolished by the Russian Empire but also laid the foundation for the establishment of modern republican governance in Georgia.

In the Act of Independence: the Georgian people are declared to be the bearers of sovereign rights (people's sovereignty), and Georgia is a full-fledged independent state (state sovereignty), the form of government is defined as a "democratic republic", the peaceful foreign policy of Georgia and the country's permanent neutrality are recognized, without any discrimination, all civil and political rights are guaranteed for citizens. Also, the rights of national minorities living in Georgia. The Act of Independence establishes the system of bodies of the state government of Georgia, which was in effect before the adoption of the first constitution of Georgia (February 21, 1921).

The individual provisions of the Act of Independence were highly progressive for that era, and after some years they became universal.

The Act of Independence of Georgia of May 26, 1918, will always be the first and most important constitutional-legal foundation on which modern Georgian statehood is based.

საქართველოს ახალი საბაჟო კოდექსი – გზა ევროკავშირის საბაჟო კოდექსისაკენ

ია ხარაში

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლისა და დიპლომატიის ფაკულტეტის და ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის მიმართულების პროფესორი

ახალი საბაჟო კანონმდებლობა, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1-ლი სექტემბრიდან, სრულად პასუხობს ევროკავშირის საბაჟო კანონმდებლობის სტანდარტებს, რაც მნიშვნელოვანი სტიმული გახდება ევროკავშირიდან ინვესტიციების მოსაზიდად და ხელს შეუწყობს ქართული ბიზნესის ინტეგრაციას ევროკავშირის ბაზარზე. ახალი საბაჟო კოდექსით გამარტივებულია საქართველო-ევროკავშირის შორის საბაჟო პროცედურები, კერძოდ: კერძო სექტორს გარკვეულწილად, შეუმცირდა საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებული დანახარჯები, საქართველოსა და ევროკავშირის ბიზნესის წარმომადგენლებისთვის შექმნილია ერთნაირი საბაჟო რეგულირების გარემო, საქონლის საბაჟო გაფორმების მარტივი და სამართლიანი წესები. საბაჟო კანონმდებლობა ითვალისწინებს მნიშვნელოვან სიახლეებს საბაჟო პროცედურების გამარტივების მიმართულებით: შემოსულია მარტივი

გაფორმების ახალი წესები და დეკლარირების ფორმები; შექმნილია გადახდილი იმპორტის გადასახადის დაბრუნების შესაძლებლობა; საბაჟო გადაწყვეტილების მიღების დროს, მაქსიმალურადაა გათვალისწინებული მეწარმის ინტერესები; შესაძლებელია გარანტიის ახალი სახის (თავდებობა) გამოყენება; შექმნილია მნიშვნელოვანი წინაპირობა, ბიზნესმა გამარტივებული საბაჟო პროცედურებით ისარგებლოს ევროკავშირსა და სხვა ქვეყნებში. ამასთან, საბაჟო კანონმდებლობაში შენარჩუნებულია ყველა ის პოზიტიური ცვლილება, რაც რეფორმების შედეგად განხორციელდა საგადასახადო და საბაჟო ვალდებულებების ერთიანი/გამარტივებული ადმინისტრირების მიმართულებით, მათ შორისაა: გადასახადის გადამხდელის ერთიანი ბარათი (საგადასახადო და საბაჟო), „სივრცეში“ და „საზღვარზე“ არსებული ბედმეტობის ურთიერთჩათვლა, ერთიანი სახაზინო კოდი საგადასახადო/საბაჟო ვალდებულებების შესასრულებლად, გასაჩივრებისა და საგადასახადო შეთანხმების ერთიანი სისტემა.¹

საბაჟო სისტემის მეშვეობით, სახელმწიფო ახორციელებს ქვეყნის ეკონომიკის რეგულირებას. ეფექტიანი, მობილური საზოგადოების შექმნა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ძირითადი პრობლემაა, რომლის გადაწყვეტის კონცეფცია, როგორც წესი, სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით განისაზღვრება.

ამ აზრით, საბაჟო პოლიტიკა შეიძლება განახორციელოს სახელმწიფომ და მისმა შესაბამისმა ორგანოებმა. ამასთან, საბაჟო პოლიტიკის რეალიზაციის ინსტრუმენტები და საბაჟო საქმიანობის განხორციელების საშუალებები უშუალოდ ეხება საქონლის ექსპორტსა და იმპორტთან დაკავშირებული დამოუკიდებელი მეურნე-სუბიექტების ფართო წრის ინტერესებს. ისინი შეიცავენ საბაჟო ურთიერთობათა მონაწილეების ქცევის უშუალოდ და ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრულ იურიდიულ წესებს, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში, არ შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით.

სწორედ ამ მოსაზრებით დამუშავდა ევროკავშირის საბაჟო კოდექსთან (EEC), ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბაჟო კოდექსი, რომელიც მასთან დაკავშირებულ კანონქვემდებარე აქტებთან² ერთად, ძალაში 2019 წლის 1 სექტემბრიდან შევიდა.

საბაჟო კოდექსში გამოვყოფდით შემდეგ მომენტებსა და თავისებურებებს, რომლებიც არსებითია საბაჟო სამართლის დღეს მოქმედი კოდექსისათვის: მიღებული ინსტიტუციური მიდგომა სისტემური სახით წარმოდგენილ ძირითად პრობლემებზე ყურადღების გამახვილების საშუალებას იძლევა. ინსტიტუციურ პრობლემებს მიეკუთვნება: საბაჟო საქმე; საბაჟო პოლიტიკა; საერთაშორისო საბაჟო ინტეგრაცია; საბაჟო ორგანოები; საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების გადაადგილება; საბაჟო გაფორმება;

საბაჟო კონტროლი; სპეციალური საბაჟო პროცედურები; საბაჟო სტატისტიკისა და საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (შემდეგში – სეს ესნ)³ წარმოება; წმინდა სამართალდამცავი ბლოკი; კონტრაბანდა და საბაჟო სამართალდარღვევებისათვის პასუხისმგებლობა და სხვ.⁴

„საგარეო ვაჭრობაში რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში არსებულმა სახელმწიფო მონოპოლიამ გარკვეულად შეაფერხა საბაჟოსამართლებრივი მეცნიერების განვითარება. საქართველოში მისი განვითარება მხოლოდ სახელმწიფოებრიობის აღდგენისთანავე, XX საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო. საბაჟო ორგანო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ინსტიტუტი არ არსებობდა, არ არსებობდა ნორმატიული ბაზა და მინისტრთა კაბინეტის წერილებით რეგულირდებოდა საბაჟო ტექნოლოგიის საკითხები.⁵ 1992 წლებიდან არის მცდელობა საბაჟო კოდექსის შექმნისა. მომზადდა და გამოიცა ნორმატიული აქტები, რომლებმაც განსაზღვრეს საბაჟო საქმიანობის სწორი, მიზანმიმართული ფუნქციონირება. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმება, საქართველოში საბაჟო საქმიანობის ქვეყნის გლობალურ ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციისათვის. ასოცირების შეთანხმება კომპლექსური დოკუმენტია, რომელიც ძალაში 2016 წლის ივლისში შევიდა. ასოცირების ხელშეკრულება „ითვალისწინებს საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (Deep and Comprehensive Free Trade Area – DC FTA) ჩამოყალიბებას. „ასოცირების შესახებ შეთანხმებაში“ ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხების განხორციელება ქმნის ევროკავშირის შიდა ბაზარზე საქართველოს ეტაპობრივი ეკონომიკური ინტეგრაციის რეალურ მექანიზმს.“⁶

რა არის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცე?

(DC FTA) თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებისგან (free trade agreement) განსხვავებით, ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის სივრცე გულისხმობს როგორც სატარიფო, ასევე არასატარიფო ბარიერების⁷ აღმოფხვრას და არეგულირებს ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო სპექტრს (მაგ., სურსათის უვნებლობა, პროდუქციის უსაფრთხოება, კონკურენციის პოლიტიკა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, საბაჟო საკითხები, სახელმწიფო შესყიდვები და სხვა). ვაჭრობის შესახებ სხვა შეთანხმებებისგან განსხვავებით, DC FTA გულისხმობს ვაჭრობის სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობისა და ინსტიტუტების ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის შესაბამის რეგულაციებთან და ადმინისტრირების მექანიზმებთან.“⁸

რა სარგებელს ითვალისწინებს DC FTA?

საქართველო-ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს: ევროკავშირის ბაზრის მოთხოვნებთან თავსებადი სავაჭრო სისტემის ფორმირებას; გამჭვირვალე, სტაბილური ბიზნესგარემოს ჩამოყალიბებას; საქართველოს საინვესტიციო მიმზიდველობისა და შესაბამისად, უცხოური ინვესტიციების ზრდას; ქვეყნის მდგრად განვითარებასა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებას; ახალი საწარმოებისა და საექსპორტო პროდუქციის შექმნას; ადგილობრივი წარმოების მასშტაბების ზრდის კვალობაზე ახალი სამუშაო ადგილების შექმნას; ქართული პროდუქციის საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირებასა და გაფართოებას; ქართველი ექსპორტიორებისთვის ექსპორტთან დაკავშირებული ხარჯების შემცირებას; ქართველი მომხმარებლისთვის უსაფრთხო და უვნებელი პროდუქტის მიწოდებას; ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვას; სახელმწიფო ადმინისტრირების ორგანოების განვითარებას ევროპული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად; ზოგადად, ეკონომიკური ზრდის სტიმულირებასა და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას: მოკლევადიან პერსპექტივაში მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდას 1,7 %-ით, გრძელვადიან პერსპექტივაში – 4,3 %-ით. მოკლევადიან პერსპექტივაში ექსპორტის 9%-ით, იმპორტის 4,4%-ით, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში კი, ექსპორტის 12 %-ით, ხოლო იმპორტის 7,5%-ით ზრდას.⁴⁹

რას ითვალისწინებს DC FTA საბაჟო სფეროში?

საბაჟო სფეროში კანონმდებლობის დაახლოების შედეგად, საქართველოს საბაჟო რეგულაციები დაუახლოვდება ევროკავშირის პროგრესულ რეგულაციებს. განხორციელდება მჭიდრო თანამშრომლობა საქართველოსა და ევროკავშირის საბაჟო ადმინისტრაციებს შორის, რაც ხელს შეუწყობს საქართველო-ევროკავშირის შორის ექსპორტ/იმპორტის პროცედურების გამარტივებას, გამჭვირვალე და პროგნოზირებადი გარემოს შექმნას. საგადასახადო სფეროში კი, ეფექტიანი მმართველობის გაძლიერებას, ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების, ვაჭრობის განვითარებისა და დამატებითი ინვესტიციების მოზიდვის მიზნით.

„ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე (DC FTA) არის ასოცირების შესახებ შეთანხმების უმნიშვნელოვანესი ნაწილი, რომელიც საქართველოში წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების სექტორისათვის ხსნის ევროკავშირის ბაზარს. DC FTA 2014 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა. ამით საქართველოში წარმოებულ

საქონელს გაეხსნა მსოფლიოს უმსხვილესი ბაზარი, რომელიც ამ ეტაპზე აერთიანებს 28 ქვეყანას და 500 მილიონზე მეტ მომხმარებელს. ევროკავშირის ბაზარი ასევე ნიშნავს:

- სტაბილურ ბაზარს;
- ღია თამაშის წესებს;
- დისტრიბუციის გამართულ ქსელს;
- მზარდ ფასებს სურსათზე;
- მზარდ მოთხოვნას ნატურალურ პროდუქტებზე.¹⁰

საქონლით თავისუფალი (უტარიფო და ტექნიკური შეზღუდვებისგან თავისუფალი) ვაჭრობა ხელს შეუწყობს საქართველოში წარმოებული პროდუქციის საექსპორტო პოტენციალის ზრდას ევროკავშირის ქვეყნებში და შესაბამისად, ეკონომიკურ ზრდას საქართველოში. მსგავსი პროგნოზის გაკეთების საშუალებას იძლევა ევროკავშირსა და საქართველოს შორის არსებული სავაჭრო ურთიერთობის დინამიკაც, რომლის მიხედვით, საქართველოდან ევროკავშირში განხორციელებული ექსპორტი ყოველწლიურად იზრდება და ოფიციალური მონაცემებით, 600 მილიონზე მეტ დოლარს შეადგენს.¹¹

„DC FTA ითვალისწინებს საქართველოს საბაჟო სისტემაში ევროკავშირში მოქმედი სისტემის მსგავსი საბაჟო პროცედურების დანერგვას. მიზანი საქართველოსა და ევროკავშირის ბიზნესის წარმომადგენლებისთვის ერთნაირი საბაჟო რეგულირების გარემოს შექმნაა, რომელიც საქართველოს მეწარმეებს მისცემს საშუალებას მინიმუმამდე შეამცირონ დანახარჯები საქონლის ექსპორტისას. მთლიანობაში, პროცესი ოთხწლიანი ეტაპით განისაზღვრა და მას საქართველოს მთავრობა ეტაპობრივად განახორციელებდა, კერძოდ: ახალი საბაჟო კოდექსი, რომელიც შესაბამისობაში იქნებოდა ევროპულ კოდექსთან; ტრანზიტის საბაჟო პროცედურისას განსახორციელებელი რეგულაციები, კერძოდ: საქართველოს საბაჟოს მიერ გაცემული სატრანზიტო დოკუმენტაცია და გარანტია, იმოქმედებს როგორც ევროკავშირში, ისე შვეიცარიაში, ნორვეგიასა და თურქეთში. გადამზიდავები ვალდებულნი აღარ იქნებიან, განმეორებით მოიპოვონ გარანტია ან ტრანზიტის ქვეყნის საბაჟოსთვის გააფორმონ დამატებითი დოკუმენტები საქონლის საქართველოს ტერიტორიიდან დანიშნულების ადგილამდე გატანის შესახებ; იმ შემთხვევაში, თუ საზღვარზე შეიქმნება სადავო სიტუაცია, ევროკავშირის საბაჟო სტრუქტურები გაატარებენ ყველა საჭირო ღონისძიებას, რათა მოხდეს საქონლის დროული გაშვება, ხოლო გადასახდელების გადახდა გადავადდება და დაეჭვმდებარება კანონით გათვალისწინებულ გადახდის უზრუნველყოფელ ღონისძიებებს.¹² საჭიროების შემთხვევაში, საქონლის გაშვებისათვის ბიზნესოპერატორმა უნდა წარადგინოს გარანტია,

როგორცაა თავდებობა ან დეპოზიტი; აღარ იქნება სავალდებულო საბაჟო ბროკერების გამოყენება, გადაზიდვისწინა შემოწმების ან დანიშნულების ადგილზე შემოწმების ჩატარება; მოსაკრებლებისა და გადასახდელების დაკისრება მოხდება მხოლოდ იმპორტიორის მოთხოვნის საფუძველზე იმ შემთხვევაში, თუ ის მოითხოვს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული სამუშაო პირობების, საათებისა და ადგილებისაგან განსხვავებული პირობებით მომსახურების გაწევას. ამ შემთხვევაში, მოსაკრებლებისა და გადასახდელების:

- ოდენობა არ გადააჭარბებს მიწოდებული მომსახურების ხარჯებს;
- გამოთვლა არ განხორციელდება ადვალორულ პრინციპზე დაყრდნობით, ანუ არ იქნება დაკავშირებული საქონლის საინვოისო ღირებულებასთან;
- ახალი სახით დაწესება არ მოხდება, ვიდრე აღნიშნული ინფორმაცია საჯაროდ არ გამოქვეყნდება;
- საბაჟო ვალდებულებებთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შენახვის ვადა იქნება 3 წელი, ნაცვლად 6 წლისა.¹³

„ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ ხელშეკრულებამ ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა საქართველო, რომელმაც აიღო ვალდებულება, რომ ქართული საბაჟო პროცედურები ევროპულ რეგულაციებს დაუახლოოს და საბაჟო სისტემაში ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის (აეო) კონცეფცია დაწეროს. საქართველო ვალდებულია, მოახდინოს საბაჟო სფეროში კანონმდებლობისა და პროცედურების დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასა და პროცედურებთან. ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის (აეო) კონცეფცია წარმოადგენს ევროკავშირის საბაჟო რეგულირების ერთ-ერთ მთავარ საკითხს.“¹⁴

„აეო პროგრამა გაცილებით მაღალ მოთხოვნებს უყენებს მასში მონაწილეობის მსურველ კომპანიებს „ოქროს სიის“ პროგრამასთან შედარებით. აღნიშნული მოთხოვნები უკავშირდება საბაჟო კანონმდებლობის დაცვის (კანონმორჩილების) კარგ ისტორიას; საქონლის ტრანსპორტირებისა და კომერციული აღრიცხვის სათანადო სისტემების არსებობას, რომელიც იძლევა სრულფასოვანი საბაჟო კონტროლის განხორციელების შესაძლებლობას; ფინანსურ მდგრადობას და გადახდისუნარიანობას; საკუთარი საქმიანობის ფარგლებში დაწერული უსაფრთხოების სტანდარტებს.“¹⁵ ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის კონცეფციის განხორციელების გეგმა შემუშავებულია საქართველოსა და ევროკავშირს შორის, გეგმა გაწერილი იყო 2015-2018 წლებზე და იძლეოდა საშუალებას, რომ 2018 წლის მდგომარეობით, აეო-ს პროგრამას სრულფასოვნად ჩაენაცვლებინა დღეს მოქმედი „ოქროს სიის“ პროგრამა.¹⁶

ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორი თანამედროვე ევროპული საბაჟო კონცეფციაა, რომელიც კომპანიებს გამჭვირვალედ და კანონმორჩილად წარმართული საქმიანობის განხორციელებაში ეხმარება. ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის კონცეფცია დაფუძნებულია საბაჟოსა და ბიზნესს შორის პარტნიორობაზე. პირი, რომელიც დააკმაყოფილებს მოთხოვნებს, მიიღებს სტატუსს. სტატუსის შესაბამისად, იგი ისარგებლებს სხვადასხვა გამარტივებებით/უპირატესობებით და საბაჟოსთან ერთად, მჭიდროდ განაგრძობს მუშაობას საერთაშორისო მიწოდების ჯაჭვის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსი მოიცავს:

- ავტორიზაციას საბაჟო გამარტივებისათვის – მის მფლობელს აძლევს საშუალებას, ისარგებლოს გარკვეული გამარტივებული საბაჟო ფორმალობებით (AEOC);
- ავტორიზაციას დაცვისა და უსაფრთხოებისათვის – მის მფლობელს აძლევს უფლებას, ისარგებლოს დაცვასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გარკვეული შეღავათებით (AEOS). პირს უფლება აქვს ერთდროულად ფლობდეს ორივე სახის ავტორიზაციას.

რას ნიშნავს ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორისათვის საერთაშორისო მიწოდების ჯაჭვი?

საერთაშორისო მიწოდების ჯაჭვი იწყება საქონლის წარმოების პროცესიდან და სრულდება საქონლის სხვა ქვეყანაში საბოლოო მიმღებთან მიწოდებით. შესაბამისად, საერთაშორისო მიწოდების ჯაჭვში მოიაზრება ყველა ჩართული მხარე, რომელიც საქონლის A პუნქტიდან B პუნქტამდე საერთაშორისო გადაადგილებაში მონაწილეობს. ნებისმიერ პირს, რომელიც ჩართულია საერთაშორისო მიწოდების ჯაჭვში და მისი საქმიანობა დაკავშირებულია საბაჟო ფორმალობებთან, შეუძლია მოითხოვოს ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსი. ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორი შეიძლება გახდეს როგორც მსხვილი, ისე საშუალო და მცირე კომპანია, ვინაიდან შერჩევის კრიტერიუმებში კომპანიის ბრუნვის მოცულობა არ არის განმსაზღვრელი და ა. შ.¹⁷

„ევროკავშირის ბაზარი მიმზიდველია თავისი მოცულობითა და მსყიდველუნარიანი მოსახლეობით, მაგრამ ამავე დროს, მას დაწესებული აქვს სურსათის უვნებლობის საკმაოდ მაღალი სტანდარტები. აღნიშნული სტანდარტების გათვალისწინება მოუწევთ იმ კომპანიებს, რომელთაც სურთ საქართველოდან ევროკავშირში სურსათის ექსპორტი. ამისთვის, მათ კარგად უნდა შეისწავლონ კონკრეტული პროდუქტის მიმართ არსებული მოთხოვნები და რეგულაციები და ექსპორტის განხორციელებამდე იზრუნონ შესაბამისი დოკუმენტაციის

მომზადებაზე. ამ პროცესში ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ევროკავშირის შესაბამისი ინსტიტუტების მიერ აღიარებული ლაბორატორიების არსებობას საქართველოში, რომლებსაც ექნებათ პროდუქტის შემოწმებისა და სერტიფიცირების უფლებამოსილება.¹⁸ მაგრამ აქვე ისიც გასათვალისწინებელია, რომ ევროკავშირს მაღალი სტანდარტები აქვს დაწესებული მის ქვეყნებში შეტანილი საქსპორტო საქონლის შესაბამისობის სტანდარტებთან, განსაკუთრებით, თუ ეს საკვებ პროდუქტებს ეხება. ამიტომ ექსპორტიორებმა, უვნებლობასთან ერთად, ყურადღება უნდა მიაქციონ საქონლის ხარისხს, რომელსაც სავაჭრო ქსელები აწესებენ. ხარისხის სტანდარტი უშუალოდ სავაჭრო ქსელზე ან დისტრიბუტორზე დამოკიდებული, ამიტომ ექსპორტიორებმა წინასწარ უნდა მიიღონ აღნიშნული ინფორმაცია პარტნიორებისგან ევროპაში. ბოლო წლებში, მზარდი მოთხოვნა შეინიშნება პროდუქტებზე, რომლებიც მოყვანილია ეკოლოგიურად სუფთა გარემოში. საქართველოს, თავისი ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, აქვს შესაძლებლობა ამ კუთხით, საკუთარი ადგილი დაიკავოს ევროკავშირის ბაზარზე და მომხმარებელს საქართველოს მწარმოებლებმა შესთავაზონ მაღალი ხარისხის ნატურალური პროდუქტები. პასუხისმგებლობა სურსათის უვნებლობაზე ხომ ბიზნესოპერატორს ეკისრება და თავისი საქმიანობის ფარგლებში მან უნდა უზრუნველყოს სურსათის უვნებლობა წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ყველა ეტაპზე.

როგორც აღვნიშნეთ, საბაჟო კანონმდებლობა, რომელიც მაქსიმალურადაა მიახლოებული ევროკავშირის საბაჟო კოდექსთან და ევროკავშირის საბაჟო კანონმდებლობის ბევრი რეგულაცია შემოდის ქვეყანაში, რომელიც უთუოდ სასიკეთოდ წაადგება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას – ვითარდება საზოგადოებასა და სახელმწიფოში არსებული მოვლენებისა და ფენომენების ურთიერთკავშირისა და ურთიერთქმედების ობიექტური კანონზომიერების შესაბამისად. დროისა და კონკრეტული სიტუაციის კარნახთან ერთად, საბაჟო სამართალი ითვალისწინებს წარსულის მოწინავე ტრადიციებს, მემკვიდრეობის პრინციპებს, საერთაშორისო გამოცდილებასა და პრაქტიკას. ეს ქართული საბაჟო კანონმდებლობის ძირითადი ბერკეტი, საფუძველი და ქვაკუთხედი.¹⁹

განსაკუთრებული, ფუძემდებლური მნიშვნელობა საბაჟო კანონმდებლობის ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის, საქართველოს კონსტიტუციას ენიჭება. მასში ჩადებულია დემოკრატიული და ცივილიზებული პრინციპები, საქართველოს დემოკრატიისა და სამართლებრივი სისტემების და მისი ცალკეული დარგების, მათ შორის საბაჟო სამართლის განვითარების საფუძველი. საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულა, მე-6, მე-7, 67-ე და რიგი სხვა მუხლები ქმნიან სამართლის ახალი დარგების წარმოშობისა და განვითარების ხელსაყრელ ნიადაგს (მხედველობაში გვაქვს საბაჟო სამართალი, საგადასახადო სამართალი, მუნიციპალური სამართალი, ეკონომიკური სამართალი, ჰუმანიტარული სამართალი

და სხვ.). ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იქცევს კონსტიტუციის მე-7 მუხლი, რომლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება: „...საგარეო პოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობები, საგარეო ვაჭრობა, საბაჟო და სატარიფო რეჟიმები.“ აღნიშნულმა მუხლმა გამოკვეთა საქართველოს საბაჟო პოლიტიკა, რომელიც არის სახელმწიფოს მიერ დადგენილი ერთგვარი „თამაშის წესები“ საბაჟო სფეროში, რომლის „მიზანი გაცვლით განპირობებული განაწილების მართვაა.“²⁰ საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლისა და საბაჟო კოდექსის შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფოს უმაღლეს გამგებლობაში შედის საბაჟო რეგულირება. საბაჟო რეგულირებისა და თავისებურებათა გასარკვევად, კონცეპტუალური მნიშვნელობა აქვს კონსტიტუციის ზემოთ აღნიშნულ მუხლს.

საბაჟო პოლიტიკას ქმნის საქართველოს კონსტიტუცია, საბაჟო კოდექსი, საგადასახადო კოდექსი, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს #257 ბრძანება „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ (თანდართული დანართებით) და სხვა.

საბაჟო პოლიტიკის განხორციელება საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას განეკუთვნება.

საბაჟო კოდექსი კონსტიტუციის შესაბამისად, განსაზღვრავს საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანასა და საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან დაკავშირებულ წესებსა და საბაჟო ფორმალობებს, საბაჟო დავის გადაწყვეტის წესს, საბაჟო სამართალდარღვევის სახეებს და ამ სამართალდარღვევების ჩადენისათვის პასუხისმგებლობას.²¹

საბაჟო პოლიტიკა ეს არის სახელმწიფოს, როგორც იძულების ორგანოს მიერ მისი კანონებით და სხვა ნორმატიული აქტებით შექმნილი ეკონომიკური გადაწყვეტილებების ურთიერთობის სისტემა. საქართველოს საბაჟო პოლიტიკის მიზნებია: საქართველოს ეკონომიკური სუვერენიტეტისა და ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვა, საქართველოს ეკონომიკის განვითარების სტიმულირება და შიდა ბაზრის დაცვა, საქართველოს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების სტიმულირება, საქართველოს საშინაო და საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის სხვა ამოცანების განხორციელება. საბაჟო კოდექსში განსაზღვრულია საბაჟო პოლიტიკის მიზნები, მაგრამ არ არის გამოკვეთილი დეფინიცია „საბაჟო პოლიტიკა.“

საქართველოს საბაჟო პოლიტიკა ვითარდება საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებისა და პრაქტიკასთან ჰარმონიზაციისა და უნიფიკაციის მიმართულებით. აქ, ამ შემთხვევაში, უპირველესი პრიმატი განეკუთვნება ევროკავშირის საბაჟო კოდექსს და საბაჟო პროცედურების გამარტივებისა და ჰარმონიზაციის საერთა-

შორისო (კიოტოს) კონვენციას, რომელიც ხელმოწერილ იქნა ქ. კიოტოში, 1973 წელს და საქართველო 2018 წლიდან გახდა ამ კონვენციის მონაწილე ქვეყანა. ეს კონვენცია ერთგვარად აწესებს საერთაშორისო სტანდარტებს საბაჟო რეგულაციებთან მიმართებაში, თუ როგორ უნდა განხორციელდეს საბაჟო პროცედურები. აღნიშნულ დოკუმენტს მიერთებულია 112 სახელმწიფო და შესაბამისად, მისი რატიფიცირების შემდეგ, საქართველო გახდა 113-ე ქვეყანა, რომელიც აღიარებს ზოგად პრინციპებს, ზოგად ჩარჩოს საბაჟო პროცედურებისა და ამ დოკუმენტზე დაფუძნებული საბაჟო კანონმდებლობა ამ ქვეყნებში.“ საქართველო ამ კონვენციასთან მიერთებით, მნიშვნელოვან განაცხადს გააკეთებს იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენი საბაჟო პროცედურები სრულად შესაბამისობაში იქნება უკვე აღიარებულ საერთაშორისო, მსგავსი ტიპის სტანდარტებთან. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ეს დაგვეხმარება უცხოურ ინვესტიციებთან მიმართებაში, იქიდან გამომდინარე, რომ ინვესტორისთვის ძალიან კარგად არის ცნობილი საბაჟო პროცედურები და შესაბამისად, ნაცნობი თამაშის წესები ყველასთვის მისაღებია. კონვენციასთან მიერთება საშუალებას იძლევა, რომ საქართველომ, როგორც ხელშემკვრელმა მხარემ, მონაწილეობა მიიღოს კონვენციის ხელშემკვრელი მხარისთვის სამართლებრივად სავალდებულო სტანდარტების შემდგომ შემუშავება/განახლების პროცესში. იგი ორმხრივი და მრავალმხრივი ვაჭრობის შესახებ სამომავლო მოლაპარაკებების წარმოებისას, მნიშვნელოვნად ამარტივებს საბაჟო პროცედურებს და ა. შ.

საქართველოს ტერიტორიაზე დაუშვებელია საბაჟო საზღვრის, საბაჟო გადასახადების, მოსაკრებლებისა და საქონლის მომსახურებისა და ფინანსური სახსრების თავისუფლად გადაადგილებისათვის რაიმე დაბრკოლების დაწესება. საქონლისა და მომსახურების გადაადგილების შეზღუდვები შეიძლება შემოღებულ იქნას კანონის შესაბამისად, თუ ეს აუცილებელია ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ბუნებისა და კულტურულ ფასეულობათა დასაცავად.

საქართველოს კონსტიტუციის მუხლები ქმნიან საბაჟო სამართლის განსაზღვრულ და არსებით კონსტიტუციურსამართლებრივ საფუძვლებს, წანამძღვრებს. ამასთან, კონსტიტუციაში არის უფრო ვრცელი და საფუძვლიანი რეგულირებისა და იმ კონსტიტუციური დებულებებისა და ნორმების დამაგრების შესამჩნევი რეზერვები, რომლებიც საბაჟო საქმესა და საბაჟო სამართალს ეხება.

საბაჟო კოდექსი საბაჟო სამართლის საკითხების კოდიფიცირებული აქტია. თანამედროვე საბაჟო კოდექსი XI წიგნის, XXXIII თავის და 214 მუხლისაგან შედგება. იგი საკმაოდ დიდი მოცულობის, სრულმასშტაბიანი კოდიფიცირებული საბაჟო კანონია. ამ კოდექსით განსაზღვრულია საბაჟო საქმის სამართლებრივი, ეკონომიკური და საორგანიზაციო საფუძვლები და მიმართულია ეკონომიკური სუვერენიტეტისა და ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვაზე,

მსოფლიო მეურნეობასთან საქართველოს ეკონომიკური კავშირების აქტივიზაციაზე, მოქალაქეთა, ბიზნესოპერატორებისა და სახელმწიფო ორგანოების უფლებათა დაცვის უზრუნველყოფაზე, მათ მიერ საბაჟო საქმის დარგში ვალდებულებათა შესრულებაზე.

როგორც ვხედავთ, 2019 წლის საბაჟო კოდექსში წარმოდგენილია საბაჟო ორგანოებისათვის ნიშანდობლივი და მათი საქმიანობისათვის დამახასიათებელი პრობლემების, მიმართულებების, ფუნქციების და ასევე, საბაჟო სფეროში ორგანოების, ორგანიზაციების, იურიდიული და ფიზიკური პირების მრავალფეროვანი სპექტრი.

საბაჟო კოდექსში რეალიზებულია რისკების მართვის კონცეფცია, რომელიც მიღებულია განვითარებული სახელმწიფოების საბაჟო კანონმდებლობაში. ეს ნიშნავს: საბაჟომ უნდა გააკონტროლოს არა ყველაფერი, რაც მისი გავლით მოძრაობს, არამედ უნდა აირჩიოს მიზნები, რომლებიც ასე თუ ისე დაკავშირებულია ეკონომიკის, უსაფრთხოების, ჯანმრთელობის, ინტელექტუალური საკუთრების რისკებთან. საქართველო სახელმწიფო საბაჟო კოდექსში ჩამოყალიბებული დებულებებით აღიარებს საკუთარ პრინციპებსა და საბაჟო პროცედურების შესახებ კიოტოს კონვენციაში ჩადებული მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის პრინციპებს.

არის კი, მზად ასეთი კარდინალური ცვლილებებისთვის საქართველოს საბაჟო?

2019 წლის საბაჟო კოდექსი გამოირიცხავს საგარეო ვაჭრობის მონაწილეთა პასუხისგებაში მიცემის რაიმე სასამართლოს გარეშე პროცედურებს; საშუალებას იძლევა ადგილზე, საბაჟო ორგანოში გადაწყდეს დავები საბაჟო ორგანოებსა და მონაწილეებს შორის. საგარეო ვაჭრობის მონაწილეთა საჩივრებზე მათი მიღებისთანავე ყველა ახსნა-განმარტებაზე რეაქციას დაუყოვნებლივ იძლევა საბაჟო ორგანოს უფროსი ან მისი შემცვლელი პირი.

ევროკავშირის საბაჟო კანონმდებლობისაგან ფუნდამენტური დებულებების რეცეფცირებით ქართული საბაჟო კოდექსი – არის პირდაპირი მოქმედების კანონი. მისი ფუნდამენტური დებულებები მიმართულია ქვეყნის უფრო მეტ ჩართულობაზე მსოფლიო გლობალურ სავაჭრო სივრცეში, აფართოებს პრეფერენციებს საბაჟო დაბეგვრაში და ა. შ.

„უკანასკნელ წლებში საგარეო ვაჭრობის მსხვილმა მონაწილეებმა მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგეს თავიანთი საქმიანობის ცივილიზაციის გზაზე და ისინი უფრო გამჭვირვალენი გახდნენ. ეს ეხება სხვადასხვა საქონლის იმპორტის ბაზარს. თუ ეს გამსხვილება კიდევ გაგრძელდება და იმპორტიორები ჩრდილიდან გამოვლენ, თავად განუცხადებენ საბაჟო ორგანოებს საკუთარი საქონლის შესახებ და გადაიხდიან საბაჟო გადასახდელებს – ყოველივე ეს გააჯანსაღებს საგარეო ვაჭრობას და კიდევ უფრო განავითარებს გამჭვირვალე ბიზნესს.“²²

თანამედროვე პირობებში საბაჟო სამართლის სამართლებრივი საფუძველია კონსტიტუცია და საქართველოს საბაჟო კოდექსი – საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის განვითარებისა და სრულყოფის ახალი ეტაპი. გამომდინარე აქედან, საბაჟო კოდექსის სადღეისო ცვლილებები მრავალფეროვანი და ჯეროვანია. მასში თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე ახლებურადაა გააზრებული „საბაჟო პროცედურები,“ რომელიც მოიცავს საბაჟო საქმიანობის მრავალფეროვან მიმართულებებს, მათ შორის, ქვედანაყოფებს: საბაჟო კონტროლი; ვაჭრობაში დამცავი ღონისძიებები; საქონლის საბაჟო ღირებულება; საბაჟო ვალდებულება და იმპორტის გადასახდელის გადახდის უზრუნველყოფის გარანტია; საქონლის საბაჟო პროცედურაში მოქცევა; სპეციალური საბაჟო პროცედურები და სხვა.

გემოთქმულიდან გამომდინარე, ახალი საბაჟო კანონმდებლობით, რომელშიც ფუნდამენტურადაა ასახული ევროკავშირის საბაჟო კანონმდებლობის, ასოცირების შეთანხმებიდან გამომდინარე ფუნდამენტური მოთხოვნები, შესაძლებელი გახდა საბაჟო პროცედურების გამარტივება. კერძოდ: იმპორტის გადასახადის დაბრუნება ან/და ჩათვლა; საქართველოში გადახდილი იმპორტის გადასახადი არ აისახება სატრანსპორტო საშუალების სარეალიზაციო ფასში, რაც უთუოდ სასიკეთო ხელშეწყობა იქნება იმპორტიორებისათვის გაიაფილონ საზღვარგარეთ მისი რეალიზაცია; იმპორტის გადასახადი გაანგარიშდება საბაჟო დეკლარაციაში შემავალი საქონლის იმპორტის გადასახადის უმაღლესი განაკვეთის მიხედვით, რაც ბუნებრივია ადმინისტრირების ხარჯებს შეუმცირებს იმპორტიორებს სახელმწიფოს მხრიდან; ასევე, ადმინისტრაციული ხარჯების შემცირებას მოემსახურება: დეკლარანტმა საბაჟო დეკლარირება მოახდინოს საკუთარ ჩანაწერებში მონაცემების შეტანით, რითაც მოხდება დეკლარირების ავტომატური სისტემის დანერგვა საბაჟო სფეროში; საქართველოში დაინერგება ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესის ნდობის უფრო მაღალი ხარისხის არსებობას, რაც ასევე, გულისხმობს ქართული ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის აღიარებას ევროკავშირის ქვეყნებში და რომელიც ჩაანაცვლებს „ოქროს სიას;“ საბაჟო კანონმდებლობაში გაჩნდა საბაჟო პროცედურის მფლობელის დეფინიცია და პროცედურის მფლობელს მიეცა შესაძლებლობა, საბაჟო პროცედურასთან დაკავშირებული უფლებები გადაეცეს სხვა პირს; საბაჟო ორგანოს მიერ მისაღები გადაწყვეტილება, რომელმაც შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს გადამხდელზე, წინასწარ ეცნობება აღნიშნულ პირს, გადამხდელის მხრიდან არგუმენტების გათვალისწინების მიზნებიდან გამომდინარე და ა. შ.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმ სასიკეთო ცვლილებებისა, რაც ასახულია თანამედროვე საბაჟო კანონმდებლობაში და რაც უთუოდ წაადგებათ პირველ ყოვლისა, ბიზნეს-ოპერატორებს – საბაჟო პროცედურების გამარტივებით, გამარტივებული ადმინისტრირების

წესებით, საქონელი ნაკლები გადასახადების გადახდით გადაადგილონ საბაჟო საზღვარზე – საბაჟო კოდექსს და მასთან მიბმულ კანონქვემდებარე სამართლებრივ აქტებში გარკვეული ხარვეზები კვლავაც შეინიშნება, რაც ადეკვატურად შეაფასებდა ყველა საერთაშორისო თუ რეგიონულ დონეზე საბაჟო სამართლისა და საბაჟო საქმის განვითარებისა და ცვალებადობის აქტუალურ საკითხებს.

საქართველოს ახალი საბაჟო კანონმდებლობა, რომელიც მაქსიმალურადაა მიახლოებული ევროკავშირის საბაჟო კანონმდებლობას, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას ძირითადად, პასუხობს იმ გამოწვევებს, რომლის წინაშეც დგას დღეს საბაჟო სამსახურები, რომლებიც ძირითადად, ორიენტირებულნი არიან საბაჟო ზედამხედველობისა და საბაჟო კონტროლის განხორციელებაზე, ქვეყნის საბაჟო საზღვარზე საქონლისა თუ სატრანსპორტო საშუალების გადაადგილებისას, რისკების დაცვის მიზნით. საბაჟო კოდექსი და მასთან მიბმული კანონქვემდებარე აქტები თანამედროვე საბაჟო ინფრასტრუქტურასთან ერთად, სრულად პასუხობს ევროსტანდარტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, რითაც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებაში.

ბუნებრივია, ერთ სამეცნიერო სტატიაში რთულია წარმოადგინო ის მთავარი ფუნდამენტური დებულებები, რაც ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებიდან გამომდინარე აისახა დღეს მოქმედ საბაჟო კანონმდებლობაში. ამასთან, განვიხილოთ ის ხარვეზები და ნაკლოვანებები, რაც ჯერ კიდევ შეინიშნება საბაჟო კანონმდებლობაში და შესაბამისობაშია მოსაყვანი ევროკავშირის საბაჟო/საგადასახადო კანონმდებლობასთან, რაც გარკვეული დაბრკოლებაა ბიზნესოპერატორებისათვის – გამარტივებული საბაჟო პროცედურებით ისარგებლონ. აღნიშნულზე სამომავლოდ, სხვა სტატიებში გვექნება საუბარი ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ქართული საბაჟო კანონმდებლობის ასოცირებასთან დაკავშირებით.

შენიშვნები:

- 1 საბაჟო კოდექსი, [https://matsne.gov.ge/ka/document/view/4598501? publication =6](https://matsne.gov.ge/ka/document/view/4598501?publication=6)
- 2 მხედველობაშია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანება „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე.“ <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5275000?publication=0>
- 3 სეს ესნ – საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურა, რომელიც მომზადებულია „საქონლის აღწერის და კოდი-რების ჰარმონიზებული სისტემის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციის 2017 წლის რედაქციის საფუძველზე. ხოლო საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ 2020 წლის 18 ნოემბერს №275 ბრძანებით დამტკიცდა „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურა (სეს ესნ).“ აღნიშნული ნომენკლატურა დეტალიზებულია თერთმეტი ნიშნით, ეროვნული ეკონომიკის სპეციფიკის გათვალისწინებით. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურა (სეს ესნ) გამოიყენება საბაჟო ან/და საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრისათვის, ვაჭრობაში დამტკიცებული დონისძიებების, აკრძალვებისა და შეზღუდვების დონისძიებების განსახორციელებლად, სტატისტიკური აღრიცხვის წარმართვის და სტატისტიკური ინფორმაციის გაცვლის სრულყოფისათვის.
- 4 ხარაზი ი., საბაჟო სამართალი, თბ., 2010, 7; ხარაზი ი., საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, თბ., 2021, 15; ხარაზი ი., ევროპული მოდელის საქართველოს საბაჟო კოდექსის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლები, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამეცნიერო რეფერირებული ჟურნალი „სპექტრი“, 2021, #5.
- 5 იქვე.
- 6 „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ გამკვლევი (ხშირად დასმული კითხვები), თებერვალი, 2014, 7, <http://www.parliament.ge/uploads/other/22/22585.pdf>.
- 7 მაგ.: კვოტირება, ლიცენზირება, მინიმალური და მაქსიმალური ფასების დაწესება და ა. შ.
- 8 იქვე.
- 9 ECORYS და CASE-ის კვლევა, ოქტომბერი, 2012 „Trade Sustainability Impact Assessment in support of negotiations of a DCFTA between the EU and Georgia and the Republic of Moldova.“
- 10 DCFTA-ს მოთხოვნები პირველადი წარმოებისთვის, გამკვლევი, ნ. <https://mepa.gov.ge/Ge/Page/DCFTARoadmap>
- 11 იქვე.
- 12 დაწვრ. „ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორე მხრივ, საქართველოს შორის“, <https://mfa.gov.ge/>
- 13 საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შენახვის ვადამაც 3 წელი შეადგინა, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა.
- 14 ხარაზი ი., საბაჟო სამართალი, მეორე ნაწილი, თბ., 2021, 333.
- 15 ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა AUTHORIZED ECONOMIC OPERATOR PROGRAM IMPLEMENTATION ACTION PLAN, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტი „მმართველობა განვითარებისათვის“, 2015, (USAID G4G, https://pdf.usaid.gov/pdf_docs/PA00KRVX.pdf
- 16 იქვე.
- 17 ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის შესახებ სრულად იხ.: ხარაზი ი., საბაჟო სამართალი, მეორე ნაწილი, 2021; ასევე, „ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის

გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორე მხრივ, საქართველოს შორის,“ <https://mfa.gov.ge/>

¹⁸ ხარაზი ი., დასახ. ნაშრ. გვ. 8.

¹⁹ იქვე.

²⁰ ხარაზი ი., საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, 2021, 18-19.

²¹ საქართველოს საბაჟო კოდექსი, მ. 1. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4598501?publication=2>

²² ხარაზი ი., საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, 2021, 18.

ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს 2019 წლის საბაჟო კოდექსი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4598501?publication=6>
2. „ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორე მხრივ, საქართველოს შორის,“ <https://mfa.gov.ge/>
3. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანება „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე,“ <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5275000?publication=0>
4. ინსტრუქცია საბაჟო კონტროლის შესახებ (დანართი №2), ინსტრუქცია „საქონლის დროებითი შენახვის შესახებ“ (დანართი №6), ინსტრუქცია „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ“ (დანართი №8), <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4884926?publication=0>

მონოგრაფიები:

1. ხარაზი ი., საბაჟო სამართალი, თბ., 2010;
2. ხარაზი ი., საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, თბ., 2021;
3. სამეცნიერო სტატია:
4. ხარაზი ი., ევროპული მოდელის საქართველოს საბაჟო კოდექსის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლები, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამეცნიერო რეფერირებული ჟურნალი „სპექტრი,“ 2021, #5

ინფორმაცია-მასალები:

1. „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ გზამკვლევი (ხშირად დასმული კითხვები), თებერვალი, 2014, 7, <http://www.parliament.ge/uploads/other/22/22585.pdf>
2. ECORYS და CASE-ის კვლევა, ოქტომბერი, 2012 „Trade Sustainability Impact Assessment in support of negotiations of a DCFTA between the EU and Georgia and the Republic of Moldova“
3. AUTHORIZED ECONOMIC OPERATOR PROGRAM IMPLEMENTATION ACTION PLAN, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტი „მმართველობა განვითარებისათვის“, 2015, (USAID G4G, https://pdf.usaid.gov/pdf_docs/PA00KRVX.pdf)

THE NEW CUSTOMS CODE OF GEORGIA – THE WAY TO THE CUSTOMS CODE OF THE EUROPEAN UNION

IA KHARAZI

*Professor of Law and Diplomacy Faculty of Sokhumi State University
Law Department of Kutaisi State University*

The article talks about the main features of the customs legislation of Georgia, which is closer to the EU customs legislation, the important incentives that will contribute to attracting investments from the EU, and the integration of Georgian business into the EU market; Georgia-European Union simplified customs procedures; on the creation of a unified customs regulation environment; on the introduction of simple and fair rules for customs clearance of goods; on the important innovations that will be implemented in the direction of simplification of customs procedures (introduction of new rules for simple registration and declaration forms); the possibility of a refund of paid import duty; usage of a new type of guarantee (Suretyship); Introduction of a unified system of appeal and tax agreement, etc.).

საჯარო მმართველობაში მენეჯმენტის დანიერბვისადმი სამართლებრივი მიდგომები

ნინო ლომსაძე

*საჯარო მმართველობის დოქტორი,
თბილისის სააპელაციო სასამართლოს
ანალიტიკური სამსახურის კონსულტანტი*

შესავალი

სამართლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფოს ფუნქციონირება წარმოუდგენელია თანამედროვე საჯარო მმართველობის სამართლებრივი მენეჯერული მიდგომის გარეშე. საჯარო მმართველობის განმახორციელებელ სამართლებრივ საფუძვლებს ქმნის ორგანიზაციული მოწყობა და საქმიანობის სამართლებრივი ფორმები.

საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ძირითად სფეროს საჯარო მმართველობის სისტემა მოიცავს, რაც გავლენას ახდენს ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაზე. იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფო მართვის მთავარი ტვირთი საჯარო მმართველობაზე მოდის, აუცილებელია მენეჯერული პრინციპების ეფექტიანი მიდგომების გამოყენება.

საჯარო მმართველობა წარმოადგენს გადამწყვეტი მნიშვნელობის სფეროს სახელმწიფო მართვის გამართული, წარ-

მატებული და ეფექტიანი საქმიანობისთვის, სადაც მკაცრად არის დაცული იერარქიული პრინციპები და იერარქიული დაქვემდებარების წესები. საჯარო მმართველობის სისტემა დისციპლინათშორისი სფეროა, რომელიც აერთიანებს მეცნიერებას, გამოცდილებას, მმართველობით ხელოვნებას.

საჯარო მმართველობის სისტემის ძირითადი პრინციპული ღირებულებები კანონის უზენაესობა და მოქალაქეთა უფლებების დაცვაა, რასაც საჯარო მმართველობის სამართლებრივი, პოლიტიკური, მენეჯერული და კულტუროლოგიური მიდგომები განაპირობებს. აქედან გამომდინარე, საჯარო მმართველობის სისტემის სფერო წესრიგდება კანონისა და სამართლის მეშვეობით, მენეჯერული პრინციპების გამოყენებით.

საჯარო მმართველობაში მაღალი პროფესიული სტანდარტების არსებობა მოხელეს ავალდებულებს კონსტიტუციის, კანონების, მორალურ-ეთიკური პრინციპების დაცვას, რადგან სამსახურებრივი საქმიანობის შესრულებისას, შესაძლოა გარკვეული დილემის წინაშე აღმოჩნდეს. საზოგადოების ნდობის ამაღლების მნიშვნელოვანი წინაპირობა გამართული და საზოგადოების საჭიროებებზე მორგებული სისტემის ფუნქციონირებაა.¹

საჯარო მმართველობაში მენეჯერული პრინციპების მიდგომებთან ერთად, მნიშვნელოვანია მორალურ-ეთიკური პრინციპები, რომელიც ქცევის უმთავრეს მარეგულირებელ წესს წარმოადგენს სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას, მისი მთავარი ვალდებულებაა მორალურ-ეთიკური ნორმების დაცვა და კანონის ფარგლებში სამართლიანი გადაწყვეტილებების მიღება.

სწორედ ამიტომ, ხელისუფლებასა და საზოგადოებას რა განსხვავებული აზრიც არ უნდა ჰქონდეს, მიდგომა მორალურ-ეთიკური პრინციპების დაცვის შემთხვევების მიმართ, ერთგვაროვანია და მისი მიზანია უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შემთხვევების აღმოფხვრა.

ახალგაზრდა დემოკრატიის ქვეყნებში (მათ შორის, საქართველოში), საჯარო მმართველობის სისტემაში მენეჯერული პრინციპების თეორიის მნიშვნელობა ეფექტიანი მართვისა და განვითარების მიზნით დიდი ხანია ცნობილია, განსხვავებით მათი პრაქტიკაში იმპლემენტაციის საკითხისაგან.²

სწორედ, მენეჯერული მიდგომის ამოცანაა, ეფექტიანად გამოიყენოს მრავალი ადამიანის შეთანხმებული მოქმედება, რომლებიც მრავალფეროვანი რესურსების გამოყენებით ქმნიან პროდუქციას და ამ პროცესში ახორციელებენ მომსახურებას. ასეთ პირობებში, საჯარო მოხელე ექვემდებარება სამართლებრივ სახელმწიფოსა და კონსტიტუციურ მოთხოვნებს.

საჯარო მმართველობის სისტემაში მენეჯერული პრინციპების მიდგომების შესწავლისას, უნდა გაირკვეს, თუ როგორ წესრიგდება საჯარო მმართველობის სისტემის საქმიანობა, რომლის მეშვეობით სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ფუნქციები ხორციელდება.

1. საჯარო მმართველობაში მენეჯერული პრინციპების ძირითადი მიდგომების ზოგადი დახასიათება

საჯარო მმართველობაში მენეჯერული პრინციპების გამოყენება არის მართვის პროცესის ერთ-ერთი ფუნქცია, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ორგანიზაციის მიზნების არჩევა და მათი მიღწევის გზების დამუშავება. საჯარო მმართველობის სისტემაში მენეჯერული პრინციპები ზოგადი სახით შეიძლება განისაზღვროს, როგორც მართვის პროცესის მიმართ ამოსავალი ნორმები, წესები და კანონზომიერებები, რომლებიც გამომდინარეობენ საზოგადოების განვითარების დონიდან. შესაბამისად, „მენეჯმენტი არის ისეთი ინტეგრირებული დისციპლინა, რომელიც მოიცავს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებსა და ადამიანთა ქცევას, საზოგადოებრივ წყობას და ინტელექტუალურ მოთხოვნებს, რომელსაც კვებავს ეკონომიკა, ფსიქოლოგია, მათემატიკა, პოლიტიკური თეორია, ისტორია და ფილოსოფია.“³ მენეჯმენტი გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე წოდებისა და პრივილეგიის გამოყენება.

საჯარო მმართველობის სისტემის ღირებულებებს კანონის უზენაესობა, მოქალაქეთა უფლებების დაცვა, სამართლებრივი, კულტუროლოგიური და მენეჯერული მიდგომები განაპირობებს.

მენეჯმენტი ეხება ადამიანებს და მათ ცხოვრებას. მართვის და საქმის გაძღოლის უნარი სასიცოცხლოდ აუცილებელია ნებისმიერი ადამიანისათვის, რადგან იგი თანაბრად გამოსადეგია, როგორც სამუშაო ადგილზე, ისე საოჯახო მეურნეობაში მოვალეობათა შესრულებისას. ყოველი ჩვენგანი თითქმის ყოველდღიურად იღებს გადაწყვეტილებებს და აკეთებს არჩევანს, მოიპოვებს რესურსებს და მოქმედებს დასახული მიზნის მისაღწევად. შესაბამისად, ყოველი ადამიანი ყოველდღიურად საკუთარი ცხოვრების მენეჯერია. ასევეა საზოგადოების წინაშე მდგარი მიზნების მიღწევისა და ამოცანების გადაწყვეტის პროცესშიც, მართვის პრინციპების დაცვა და რეალიზაცია ხელს უწყობს მათ ეფექტიან და ნაყოფიერ გადაწყვეტას.

საჯარო მმართველობაში მენეჯერული პრინციპების სამართლებრივმა მიდგომამ შორს მიმავალი გავლენა იქონია საჯარო მენეჯმენტზე, რაც მიზნად ისახავს ზემოდან ქვევით მიზნების და მონაცემებზე დაფუძნებულ გაზომვას, რაც ხაზს უსვამს პირად პასუხისმგებლობას და შედეგების მიღწევას.⁴

მენეჯერული პრინციპების შინაარსზეა დამოკიდებული საქმიანობის, წარმოების თუ მომსახურების ეფექტიანობა, კონკურენტუნარიანობა, პოტენციური შესაძლებლობების ზრდა, სრულიად ახალი შესაძლებლობებისა და პროცესების შექმნა. საბოლოოდ, მენეჯმენტის პრინციპების დანერგვა და მისი სრულყოფილი რეალიზაცია არის ძირითადი პროცესი, რომელიც ამოძრავებს და განკარგავს ყველა რესურსს. იმისათვის, რომ ეფექტიანად⁵ და ეფექტურად

მართო სისტემა, მხოლოდ კანონმდებლობისა და საკუთარი უფლება-მოვალეობების ცოდნა არ კმარა. რა თქმა უნდა, მართვისთვის აუცილებელია, საჯარო მოხელეს ჰქონდეს სათანადო პიროვნული თვისებები, როგორც ზნეობრივ-მორალური, ისე მენეჯერული თვალსაზრისით.

ამასთან, მენეჯერულ პრინციპებზე დაყრდნობით, შესაძლებელი უნდა იყოს სხვადასხვა თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებით, ობიექტურად შეფასდეს პიროვნებისა თუ ორგანიზაციის საქმიანობის შედეგები.

2. საჯარო მმართველობა მენეჯერული თვალთახედვით

საჯარო მმართველობაში მართვის მენეჯერული პრინციპების რეალიზაციის შედეგი, როგორც უმთავრესი მამოძრავებელი ფაქტორი, აისახება ყველასა და ყველაფერზე. ამ ვითარებაში, მთავარი პრობლემების წყარო არის საზოგადოების მიზნების, მსოფლმხედველობითი პრინციპების, ინტერესების და სხვა უამრავ ბუნებრივ ფაქტორს შორის არსებული რადიკალური და კანონზომიერი განსხვავებები, რაც აფერხებს მენეჯმენტის პრინციპების რეალიზებას და ხდის მას ხისტს და მოუქნელს.

ორგანიზაციის მართვის „უნივერსალური“ პრინციპები ჩამოაყალიბა ფრანგმა მეცნიერმა ანრი ფაიოლმა (1841-1925), რომელიც ამბობდა, რომ „მართავდე, ეს ნიშნავს მიგყავდე საწარმო დასახული მიზნისაკენ შენს ხელთ არსებული ყველა რესურსის გამოყენებით.“⁶ მან ჩამოაყალიბა მართვის 14 ძირითადი პრინციპი, რომელთა დაცვაც განაპირობებს მართვის ეფექტიანობას. ეს პრინციპებია:

შრომის დანაწილება – იგი გულისხმობს ადამიანური რესურსის რაც შეიძლება მეტად ეფექტიანად გამოყენებას. ეს მიიღწევა სამუშაოს რაციონალურად გადანაწილებით მომუშავე პერსონალზე, მათი შესაძლებლობების და სამუშაოს მიზნების პრიორიტეტულობის მიხედვით;

უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა – უფლებამოსილება პასუხისმგებლობას უნდა შეესაბამებოდეს – ბრძანებების გამცემი კი, პასუხს უნდა აგებდეს მის შედეგზე;

დისციპლინა – თანამშრომელსა და ფირმას შორის მიღწეული შეთანხმება აუცილებლად უნდა შესრულდეს. ხელმძღვანელის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა მიაღწიოს შეთანხმებას ფირმასა და თანამშრომელს შორის, რომელიც იქნება განსაზღვრული ქცევის წესი კონკრეტულ სიტუაციაში;

ერთმმართველობა – მუშაკი მითითებებს უნდა იღებდეს მხოლოდ ერთი ხელმძღვანელისაგან;

ხელმძღვანელობის ერთობა – ყველა ჯგუფი, რომელიც მოქმედებს ერთიანი მიზნის ფარგლებში, გაერთიანებული უნდა იყოს ერთიანი გეგმით და მათ უნდა ხელმძღვანელობდეს ერთი პირი;

პირადი ინტერესების საერთოსადმი დაქვემდებარება – ერთი თანამშრომლის ან თუნდაც გარკვეული ჯგუფის ინტერესები არ უნდა აღემატებოდეს უფრო დიდი მასშტაბის ინტერესებს, რაშიც შეიძლება მოიაზრებოდეს ამავე კომპანიის ან/და სხვა ორგანიზაციის ინტერესები;

პერსონალის სამართლიანი ანაზღაურება – იმისათვის, რომ მივალწიოთ მუშაკთა ერთგულებასა და მხარდაჭერას, ისინი თავიანთი მუშაობისათვის სამართლიან გასამრჯელოს უნდა იღებდნენ;

ცენტრალიზაცია და დეცენტრალიზაცია – მმართველობითი საქმიანობის ეფექტიანობის ასამაღლებლად ძალაუფლების კონცენტრაციის და დანაწილების, ცენტრალიზაციის და დეცენტრალიზაციის რაციონალურად გამოყენება;

სკალარული ჯაჭვი – ეს არის პიროვნებათა რიგი, რომლებიც ხელმძღვანელ თანამდებობებზე იმყოფებიან, დაწყებული უმაღლესიდან და დამთავრებული ყველაზე დაბალი რანგის ხელმძღვანელით.

ორგანიზაციის ინტერესებიდან გამომდინარე, მასში უნდა არსებობდეს შესაბამისი იერარქიული სისტემა და ყველა უნდა აკეთებდეს თავის განსაზღვრულ საქმეს;

სამართლიანობა – მმართველები მომსახურე პერსონალთან სამართლიან დამოკიდებულებაში უნდა იყვნენ და პატივს სცემდნენ თითოეულ მათგანს, რაც პერსონალის ლოიალურობასა და ერთგულებას უზრუნველყოფს;

კადრების დაბალი დენადობა და პერსონალის სამუშაო ადგილის სტაბილურობა – კადრების მაღალი დენადობა ორგანიზაციის ეფექტიანობას ამცირებს და დამატებით ორგანიზაციულ დანახარჯებს განაპირობებს, ასევე, ცუდი მართვის ნიშანია;

ინიციატივა – ხელმძღვანელმა ქვეშევრდომებს საშუალება უნდა მისცეს გამოავლინონ თავიანთი პოტენციალი, მან ყოველთვის უნდა მოუსმინოს და გაიგოს თითოეული თანამშრომლის აზრი, რაც ხელს შეუწყობს სამოქმედო გეგმის შედგენას და მის ეფექტიან რეალიზაციას;

კორპორაციული სული – იმისათვის, რომ საწარმო (ორგანიზაცია) იყოს ძლიერი და ეფექტიანი, მისი ყველა თანამშრომელი ერთ მუშტად უნდა იყოს შეკრული და ერთიანად მოქმედებდეს.

მენეჯერული პრინციპების რეალიზება, მათი გამოყენების სტილი და მეთოდები – ეს ყველაფერი დამოკიდებულია დროზე, ვითარებაზე და პერსონალის ფიზიკურ და ინტელექტუალურ მოთხოვნებზე. ასეთ დროს გასათვალისწინებელია, თუ რა არის რეალობა, რას ნიშნავს დროსა და სივრცეში მენეჯმენტი, რა აღიქმება მოტივაციის წყაროებად და ასე შემდეგ.

XX საუკუნის დასაწყისში ფ. ტეილორი განსაზღვრავდა იდეალური ადამიანის თვისებების ნაკრებს: „ჭკუა, განათლება, სპეციალური ან ტექნიკური ცოდნა, ფიზიკური მოქნილო-

ბა და ძალა, ტაქტი, ენერჯია, თავდაჯერებულობა, კეთილსინდისიერება, წინდახედულობა და გონიერება და ჯანსაღი აზრი, ჯანმრთელობა.⁴⁷ იკვლევდა რა, ორგანიზაციაში დაბალი ეფექტიანობის გამომწვევ მიზეზებს, ფ. ტეილორი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ შრომის წარმოების ზრდის მთავარი ბარიერი ორგანიზაციებში მენეჯმენტის არასახარბიელო დონე იყო. იგი მართვის პროცესის ანალიზის შედეგად, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ეფექტიანი მართვა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ მართვის პროცესი განხორციელდება მკაცრად განსაზღვრულ პრინციპებზე დაყრდნობით. ფ. ტეილორის მტკიცებით, თუ უძველეს ორგანიზაციებში მართვის პროცესში მთავარი ადგილი ადამიანებს, კერძოდ, მმართველებს ეკუთვნოდა, მომავალში მათი ადგილი მართვის სისტემის ჩამოყალიბებას უნდა შეეცვალა.⁸

აღსანიშნავია, ჰენრი ჰანტის ღვაწლი, ის ფ. ტეილორის მსგავსად, მივიდა იმავე დასკვნამდე, რომ ორგანიზაციებში ხელმძღვანელობის დაბალი დონე ხელს უშლის შრომის მწარმოებლობა, თუმცა მისგან დამოუკიდებლად, ფ. ჰილბრეტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა შრომის რაციონალიზაციას და ამა თუ იმ სამუშაოს განხორციელებისათვის საჭირო „საუკეთესო ხერხის“ ძიებას. ლ. ჰილბრეტის კვლევის ობიექტი იყო შრომის პროცესის ადამიანური ასპექტები. იგი არის პირველი, რომელმაც ამ საკითხებს და მათ მნიშვნელობას მართვის განხორციელების პროცესში ყურადღება მიაქცია და ამით საფუძველი შეუქმნა მართვის ფსიქოლოგიური ასპექტების და პერსონალის მუშაობის საკითხების კვლევას.

მენეჯერული პრინციპების არსებობა და განვითარება წარმოუდგენელია ფილოსოფიასთან, ფსიქოლოგიასთან, იურიდიულ მეცნიერებებთან, ეთიკასთან, ესთეტიკასთან, მათემატიკასთან, ლოგიკასთან, კიბერნეტიკასთან და ინფორმატიკასთან უშუალო კავშირურთიერთობის გარეშე.⁹ სწორედ მათი მეშვეობით არის შესაძლებელი მართვაზე, როგორც პროცესზე, საერთო მიზნების მისაღწევად, ადამიანთა ერთობლივი ძალისხმევის აუცილებლობიდან გამომდინარე, რეალისტური შეხედულებების დაფუძნება. საჯარო მმართველობაში მენეჯერული თვისებები და პრაქტიკული გამოცდილება მრავალწილად დამოკიდებულია ქცევის მართებული სტრატეგიის არჩევასა და წარმატებულ საქმიანობაზე.

მენეჯმენტის ფილოსოფიის აღიარებული კორიფეები – ტეილორი, ფორდი, სლოუნი, როკფელერი, მუნი იყვნენ მენეჯმენტის დიდი პრაქტიკოსები, რომლებმაც უზრუნველყვეს და განსაზღვრეს საკუთარი კომპანიების სამეწარმეო სტრატეგია და საქმიანი წარმატება.¹⁰

მენეჯერთა პრაქტიკული საქმიანობის ანალიზის თანახმად, დ. მაკგრეგორმა განსაზღვრა მართვის პროცესის ეფექტიანობის ძირითადი წინაპირობები და ჩამოაყალიბა თეორია X და თეორია Y.¹¹

X-თეორია – ადამიანს შრომის მიმართ თანდაყოლილი ზიზღი ახასიათებს და სადაც ეს შესაძლებელია, ყველგან ცდილობს საქმისთვის თავის არიდებას. მას ყოველთვის ძალისხ-

მევის გარეშე სურს სიამოვნების მიღება. ამიტომაც საჭიროა, ზეწოლით, იძულებით, დასჯის მუქარითა და კონტროლით ვაიძულოთ ადამიანი, წვლილი შეიტანოს ორგანიზაციული მიზნების მიღწევის საქმეში.

Y-თეორია – სამუშაოში ფიზიკური და გონებრივი ჩართულობა ისევე ბუნებრივია ადამიანისთვის, როგორც თამაში და დასვენება. თუ ადამიანი საქმეში აზრს ხედავს, თუ მისი შრომის მიზანი მის საკუთარ მიზნებს ემთხვევა, იგი შეძლებს რეზულტატის მიღწევას და საკუთარი თავის გაკონტროლებას. ადამიანი ბუნებით გამომგონებელი და შემოქმედია. მთავარია, შექმნის საშუალება მისცე.

ერთ-ერთი პირველი, რომელიც დაინტერესდა ადამიანთა მოთხოვნილებებით, იყო ა. მასლოუ. მისი შრომებიდან პირველად გახდა ცნობილი ხელმძღვანელებისათვის, რომ ადამიანთა მოთხოვნილებები იყო რთული და გავლენას ახდენდა მოტივაციაზე. მან მოთხოვნილებები დაყო ხუთ კატეგორიად. ბიჰევიორისტების (ქცევითი მიდგომების მიმდევრების) შეხედულებებზე დაყრდნობით, მოთხოვნილებები შეიძლება დაჯგუფდეს შემდეგნაირად: ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები; მომავლის რწმენისა და უსაფრთხოების მოთხოვნილებები; სოციალური მოთხოვნილებები; პატივისცემის მოთხოვნილებები; თვითგამოხატვის მოთხოვნილებები.¹² სწორედ ამ თეორიაზე დაყრდნობით სხვადასხვა რანგის მენეჯერებმა დაიწყეს იმის გაცნობიერება, რომ მოტივაცია განისაზღვრება მოთხოვნილებათა ფართო სპექტრით. კონკრეტული ადამიანის მოტივაცია ხელმძღვანელმა უნდა დაუქვემდებაროს ორგანიზაციის მიზნებს, ე. ი. მან უნდა მისცეს მუშაკს შესაძლებლობა, დაიკმაყოფილოს მოთხოვნილებები მთელი ორგანიზაციის მიზნების შესაბამისი ქმედებებით.

განვითარებად ქვეყნებში (მათ შორის, საქართველოში), იქ სადაც მენეჯერები გონებით, აზროვნებით და ქცევით ჯერ კიდევ, ინდუსტრიულ ეპოქაში არიან ჩარჩენილნი, სადაც ჭარბობს ე. წ. პედანტიზმის და დათრგუნვის ავტორიტეტები, მოიკოჭლებს ინიციატივის გამოვლენა, დელეგირებები, იქ პირდაპირ თანამედროვე, მოქნილი მენეჯმენტის დებულებები განწირულია. შესაბამისად მმართველობის სტილი ისეთი უნდა იყოს, რომ აკმაყოფილებდეს პერსონალის ინტელექტუალურ და ფიზიკურ მოთხოვნებს, თუმცა ამასთან ერთად, ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა მოხდეს გადასვლა კლასიკურიდან თანამედროვე მენეჯმენტზე. ამიტომაც უწოდებენ მენეჯმენტს ევოლუციურ პროცესს.

3. საჯარო მმართველობა და თანამედროვე მოქნილი მენეჯმენტი

თანამედროვე მენეჯმენტში, რომელიც ინიციატივაზე, წახალისებაზე და არა მხოლოდ მატერიალურ მოტივაციაზე დაფუძნებული, სადაც პერსონალს საკუთარი აზრის გამოთქ-

მის საშუალება ეძლევა, სადაც გუნდური მუშაობა და ურთიერთდამოკიდებულების მაღალი საფეხურია, სადაც ლიდერს ხალისით, იძულების გარეშე მიჰყვებიან, ასეთ ორგანიზაციებში პერსონალი უფრო ერთგულია, უფრო შედეგიანია და ორგანიზაციაც ბაზარზე უფრო კონკურენტუნარიანია და კრიზისიდან გაცილებით იოლად ამოდის.¹³

საჯარო მმართველობის სისტემის საქმიანობაში აუცილებელია, მენეჯერს შეეძლოს დაგვემოს ორგანიზაციის საქმიანობის მიზნები და მოქმედებები, ჰქონდეს მოტივაცია, შეეძლოს კონტროლი სამუშაო პროცესის შესრულების დროს, სამუშაოს შესრულების შედეგზე და ხარისხზე, ასევე, შეეძლოს შეცდომების კორექტირება, ორგანიზება გაუწიოს თანამშრომლებისთვის ეფექტიან მუშაობას, კოორდინაცია გაუწიოს კავშირების დამყარებას მიზნების მისაღწევად, რადგან კოორდინაცია პროცესების სისწრაფისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია.¹⁴

საჯარო მმართველობაში თანამედრო მენეჯმენტი უზრუნველყოფს პროცესისათვის ყველა საჭირო ფუნქციის საკმარის რესურსს, რადგან თუ რომელიმე მნიშვნელოვანი ფუნქცია არასაკმარისი აღმოჩნდება, იგი ავტომატურად გაართულებს/დაამძიმებს პროცესებს, რამაც შეიძლება საერთოდ შეწყვიტოს პროცესები ან მისი შედეგები შეამციროს არასაკმარისი ხარისხით ან მოცულობით. საჯარო მმართველობაში მენეჯერები პასუხისმგებლები არიან ორგანიზაციული სტრუქტურის შექმნაზე, ფუნქციების დადგენასა და მის შესრულებაზე. ასევე, არიან გადაწყვეტილების მიმღებები.

საჯარო მმართველობაში წარმატებულ, ეფექტიან სისტემას მენეჯმენტის როლი ქმნის. სწორედ, ორგანიზაციის მართვა, ორგანიზაციის მიზნებისა და მოვალეობების დროულად შესრულება, კომუნიკაციის უნარი, თანამშრომლების გაგება და პატივისცემა, მოსმენის უნარი, მაღლიერების გამოხატვის უნარი და თანამშრომლების ამოქმედება მათი საუკეთესო შესაძლებლობებისკენ, იწვევს ეფექტურ მენეჯმენტს.¹⁵

საჯარო მმართველობაში მართვისას, ყურადღება უნდა მიექცეს ადამიანურ ურთიერთობებს, მათ მოტივირებას და სტიმულირებას. პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს მხოლოდ ორგანიზაციის ინტერესებს. განვითარებულ ქვეყნებში დღეს სწორედ ასეა, რადგან თანამედროვე ადამიანი არჩევანში თავისუფალია და ის თავად წყვეტს თუ რა, რისთვის და რატომ უნდა. სწორედ იმისათვის, რომ ორგანიზაცია განვითარდეს, საჭიროა მომუშავე პერსონალის და ორგანიზაციული ინტერესების თანხვედრა, ახალი მიდგომა ორგანიზაციის მართვისადმი, ახალი მიზნების ამოცანების განსაზღვრა, მუდმივი ძიება და პირველობისკენ სწრაფვა.

ჩვენი ქვეყნის საჯარო მმართველობის სისტემაში მეტ-ნაკლებად ჯერაც არსებობს მართვის კლასიკური, ხისტი სტილი მენეჯერული პრინციპების რეალიზაციის კუთხით. კერძოდ: მენეჯერები, რომლებიც არც კი ცდილობენ გაზარდონ თანამშრომლებში გუნდური სულისკვეთება,

ინიციატივა, წახალისება, რასაც უმეტესწილად, სამსახურის და შემოსავლის დაკარგვის შიშით თანამშრომლები ეგუებიან ყოველდღიურ დაძაბულ, მძიმე, ხისტ მმართველობას.¹⁶

საჯარო მმართველობის სისტემაში მენეჯმენტის ეფექტიანი საქმიანობის მთავარი ფაქტორი ადამიანებია. ამ პრინციპის გათვალისწინება მოითხოვს არამართო მეცნიერულ მიდგომას, არამედ მისი გამოყენების ხელოვნებას კონკრეტულ სიტუაციებში. თითოეულ პერსონალს ახასიათებს ქცევის განსაკუთრებული მანერა, გააჩნია ფასეულობებისა და შრომისადმი მოტივაციის თავისი სისტემა და ა. შ. იმისათვის, რომ საჯარო მართვაში მომუშავე ადამიანებმა თავიანთი ძალისხმევა წარმართონ მიზნების მისაღწევად, მენეჯერები მუდმივად უნდა იყვნენ ურთიერთკავშირში მათთან და შექმნან პირობები პერსონალის პოტენციალის სრულად გამოვლინებისა და გამოყენებისათვის.

მენეჯერული პრინციპები და მათი რეალობაში რეალიზაცია უზრუნველყოფს იმ ჩარჩო-პირობებს, რომლებიც ახალი იდეების აღმოჩენისთვის, მათი აღიარებისა და განხორციელებისთვისაა აუცილებელი.

4. საჯარო მმართველობაში მორალურ-ეთიკური პრინციპები

საჯარო მმართველობაში მენეჯერული პრინციპების მიდგომებთან ერთად, მნიშვნელოვანი უპირატესობა მორალურ-ეთიკური პრინციპების დაცვას ენიჭება. საჯარო მმართველობის სისტემაში პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან ერთად, მნიშვნელოვანია თავისუფალი, მშვიდი, წყნარი სამუშაო გარემო, რადგან მართვაში ხელმძღვანელის დამოკიდებულება არ უნდა გასცდეს მორალურ-ეთიკური ნორმების სტანდარტებს.

საჯარო მმართველობის სისტემაში მორალურ-ეთიკური პრინციპების დაცვა სავალდებულო მოთხოვნებია, რომელიც განსაზღვრავს ქცევის იმგვარ წესებს, რომელთა დაცვაც და გათავისებაც სავალდებულოა სისტემაში დასაქმებულ პირთათვის, რადგან დაუცველობის შემთხვევაში, მივიღებთ არაეთიკურ სისტემას, რომელშიც სამსახურებრივი საქმიანობის შესრულებისას, არ იქნება ყურადღება გამახვილებული საჯარო მმართველობის სისტემისა და საზოგადოების ინტერესებზე.¹⁷

საზოგადოება მრავალფეროვანია, რაც იწვევს დადებითისა და უარყოფითის, მორალურისა და ამორალურის, ეთიკური და არაეთიკურის არსებობას. საჯარო მმართველობის სისტემაში მორალურ-ეთიკური პრინციპების დაცვა და მაღალი პროფესიული სტანდარტების არსებობა საზოგადოების ნდობის ამაღლების მნიშვნელოვანი წინაპირობაა, რადგან აღნიშნული ხელს უწყობს სისტემის გამართულ და საზოგადოების საჭიროებებზე მორგებულ ფუნქციონირებას.

საჯარო მმართველობის სისტემა მოხელეს კონსტიტუციის, კანონების, მორალურ-ეთიკური პრინციპების დაცვას ავალდებულებს, რადგან სამსახურებრივი საქმიანობის შესრულებისას, შესაძლოა გარკვეული დილემის წინაშე აღმოჩნდეს.

საჯარო მმართველობის სისტემა, უპირველეს ყოვლისა, სამართლებრივი საზოგადოებრივი ნორმების შესაბამისად, მორალურ-ეთიკურ ფარგლებში მოქმედებს. შესაბამისად, მაშინაც კი, როდესაც მოხელე არ იმყოფება თავის სამუშაო ადგილზე, იგი ვალდებულია ყველგან გაუფრთხილდეს როგორც თავის, ასევე კოლეგებისა და დაწესებულების რეპუტაციას.¹⁸

მორალურ-ეთიკური პრინციპების დაცვა საჯარო მმართველობის სისტემაში ფუნდამენტურ კავშირშია კანონიერებისა და ერთგულების დაცვის პრინციპებთან, რომლის დაცვაც ევალება სისტემას. საჯარო მმართველობის მართვაში მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება, თანხვედრაში უნდა იყოს კანონმდებლობასთან და მორალურ-ეთიკურ პრინციპებთან.

სწორედ ამიტომ განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს საჯარო მმართველობის სისტემაში ადამიანური უნარების, ასევე ფიზიკური, ემოციური, გონებრივი შესაძლებლობების და მორალურ-ეთიკური პრინციპების დაცვა.

საჯარო მმართველობის სისტემაში მორალურ-ეთიკური პრინციპების დაცვა და საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობა წარმოადგენს სისტემის განვითარების გასაღებს, რადგან საჯარო მმართველობამ, რომელიც საზოგადოების მოთხოვნებს ეფუძნება, ისეთი ქმედებები არ უნდა დაუშვას, რომლებიც შეამცირებს მის მიმართ საზოგადოების ნდობის ხარისხს.

5. საჯარო მმართველობაში მართვის ეფექტურობა და უკუკავშირი

საჯარო მმართველობის სისტემაში მენეჯერულ საქმიანობაში აუცილებელია, მენეჯერმა დაგეგმოს ორგანიზაციის საქმიანობის მიზნები და მოქმედებები, ორგანიზება გაუწიოს თანამშრომლებისთვის ეფექტიან მუშაობას; კოორდინაცია გაუწიოს კავშირების დამყარებას მიზნების მისაღწევად, რადგან კოორდინაცია პროცესების სისწრაფისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია; გააჩნდეს მოტივაცია, შეეძლოს კონტროლი სამუშაო პროცესის შესრულების დროს, სამუშაოს შესრულების შედეგზე და ხარისხზე, ასევე, შეეძლოს შეცდომების კორექტირება, კავშირისა და უკუკავშირის ფორმების დადგენა.

საჯარო მმართველობის სისტემაში უკუკავშირის რგოლის არსებობა განსაზღვრავს, რომ მართვა მუდმივად უნდა კონტროლდებოდეს, რადგან საჯარო მმართველობის სისტემა მრავალ სერვისს ახორციელებს, რომლის ეფექტურობის განსაზღვრა შემდეგ ელემენტებს მოიცავს: რესურსების განაწილება; პერსონალის მართვა; მოტივაცია; ფუნქციების განაწილება; კონტროლი; ზედამხედველობა და ა. შ.

საჯარო მმართველობის სისტემა უკუკავშირის გარეშე შეიძლება უმართავი გახდეს და ეფექტურობა ვეღარ განისაზღვროს. ხელისუფლების შტოების ეფექტურობის ძირითად კატეგორიებს წარმოადგენს შედეგიანობა და ეფექტურობის მაჩვენებლების ინდიკატორები.¹⁹

საჯარო მმართველობის მენეჯერული პრინციპების მიდგომების ეფექტურობის უზრუნველყოფისთვის და მისი შედეგიანობის მაჩვენებლების შემუშავების დროს უნდა ხედვოდეს საზოგადოებრივი აზრის მონიტორინგი, საინფორმაციო-საკომუნიკაციო პროცესების და უკუკავშირის სისტემის გამოყენება. საჯარო მმართველობაში მართვის ეფექტურობა განისაზღვრება აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებათა, მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების, ცალკეული სახელმწიფო მოსამსახურეების და სახელმწიფო სამსახურის სისტემაში გარკვეული ფუნქციების მატარებელი სხვა პირების საქმიანობის ეფექტურობით.

უკუკავშირის რგოლის ეფექტურობისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია დამოუკიდებელ ექსპერტთა ინსტიტუტი, ექსპერტებისა, რომლებსაც ხელეწიფებათ საჯარო მმართველობის სისტემის ეფექტურობის პრობლემების კვლევა და შეფასება. ექსპერტმა უნდა გამოიტანოს საკუთარი დასკვნა, რომელიც ეფუძნება ჩატარებული კვლევის შედეგებს, საკუთარ ცოდნას და შინაგან რწმენას. ამავე დროს, აუცილებლად უნდა არსებობდეს მკაფიო მოთხოვნები დამოუკიდებელ ექსპერტთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიმართ, რაც შეიცავს: პროფესიული განათლების დონეს, მუშაობის გამოცდილებას სპეციალობის მიხედვით, პროფესიულ ცოდნას, უნარ-ჩვევებს. უკუკავშირის რგოლში საჭიროა გამოყენებულ იქნას დარგში არსებული პროფესიონალების ცოდნა და გამოცდილება, რაც განსაკუთრებით ინტენსიურად უნდა იქნას გამოყენებული სისტემაზე მმართველი ზემოქმედებების (გადაწყვეტილებების) იმპლემენტაციის შედეგების პროგნოზირების მიზნით. ამასთან, შესაძლებელი უნდა იყოს, სხვადასხვა თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებით, ობიექტურად იქნას შეფასებული პიროვნებისა თუ ორგანიზაციის საქმიანობის შედეგები.

დასკვნა

საჯარო მმართველობისთვის, როგორც სახელმწიფოს საქმიანობისთვის, აუცილებელია მმართველობის ორიენტაცია ისეთ ღირებულებათა სისტემაზე, იდეებზე, მიდგომებზე, მოსაზრებებზე, მსოფლმხედველობაზე, რომელიც განსაზღვრავს თუ რამდენად შეესაბამება მმართველობის კონკრეტული სტილი იმ პრინციპებს, რომელიც დადგენილია მოქმედ დროსა და სივრცეში.

სწორედ, საჯარო მმართველობით საქმიანობაში მენეჯერული პრინციპების სამართლებრივი მიდგომების გამოყენება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ორგანიზაციის სასურველი პროექტირების და მისი მიღწევის ეფექტიანი გზების განსაზღვრაში.

საჯარო მმართველობის სისტემის შინაარსში მთავარი რგოლი სახელმწიფოს სამსახური-სადმი ვალდებულებაა, რადგან საჯარო მმართველობა და მართვა წარმოადგენს განსაკუთრებულ პოლიტიკურ პროცესს, ქვეყნის დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირებაში და საჯარო სამსახურის სისტემა მოითხოვს დემოკრატიული ფასეულობების დაცვას.

საჯარო მმართველობის სისტემაში მენეჯმენტის მხრიდან მენეჯერული პრინციპების ეფექტიანად გამოყენება ასევე, მოიცავს რესურსების სწორად გადანაწილებას და შიდა კოორდინაციის უნარს, რაც მართვის ფუნქციის აუცილებელ, მუდმივმოქმედ მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენს მართვაში.

მენეჯერული პრინციპების მიდგომები მმართველობის პირობებში ახდენს ორგანიზაციის სისტემაზე უკუკავშირს, რაც აყალიბებს სხვადასხვა მოთხოვნებს, მოლოდინებს და საბოლოოდ, იწვევს ორგანიზაციის მიზნების მიღწევას.

მენეჯერული პრინციპების სამართლებრივი მიდგომების გამოყენება მაშინ არის ეფექტიანი და წარმატებული საჯარო მმართველობაში, როდესაც დემოკრატიული ფასეულობების, ლიდერების, მენეჯერების – ხელმძღვანელების მიერ მორალურ-ეთიკური ადამიანური მენეჯმენტის პრინციპები გამოიყენება.

შენიშვნები:

- ¹ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის კომენტარები, 2018.
- ² ხუბუა გ., ზომერმანი კ. პ., საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები, 2016.
- ³ ბარათაშვილი ე., თაკალანძე ლ., აბრალავა ა., მენეჯმენტი და ადმინისტრირება, თბ., 2007.
- ⁴ Theories of Managerialism October 1, 2021 | Political Science Beth Simone Noveck.
- ⁵ საერთოდ, უნდა განვასხვავოთ ტერმინები „ეფექტური“ და „ეფექტიანი“, რომლებიც ხშირად ერთი და იგივე მნიშვნელობით იხმარება. ჩვენი შეხედულებით, იმ შემთხვევაში, როდესაც ვსაუბრობთ ორგანიზაციის ან პიროვნების საქმიანობის მიერ მიღწეულ ან მისაღწევ შედეგებზე, სჯობს გამოვიყენოთ ტერმინი „ეფექტიანი“ ანუ შედეგობრივი. ხოლო როდესაც ვსაუბრობთ საქმის ემოციურ, გარეგნულ მხარეზე ან გვსურს ემოციურად გამოვხატოთ შთაბეჭდილება, მაშინ აჯობებს ტერმინი „ეფექტური“, მაგ.: გოგონას ეფექტური გარეგნობა აქვს, მუსიკოსმა ნაწარმოები ეფექტურად შეასრულა. საწარმო ეფექტიანად მუშაობს.
- ⁶ Файоль А., Эмерсон Г., Тэйлор Ф., Форд Г., Управление – это наука и искусство, М., 1982.
- ⁷ ბარათაშვილი ე., ქოქიაური ლ., მენეჯმენტის პრინციპები, თბ., სტუ-ს გამომცემლობა, 2010.
- ⁸ Файоль А., Эмерсон Г., Тейлор Ф., Форд Г., Управление – это наука и искусство, М., 1982.
- ⁹ ბალათურია გ., ოვსიანიკოვა ნ., კიბერნეტიკული მეთოდის გამოყენების შესაძლებლობა საჯარო მმართველობაში, ჟურ. ხელისუფლება და საზოგადოება, 2017, № 1(41).
- ¹⁰ დოლონაძე შ., იაშვილი გ., საჯარო სამსახური საქართველოში: რეფორმები, გამოწვევები – ელექტრონული მართვა, გამომც. ცის ნამი, 2013.
- ¹¹ Douglas McGregor, Theory X and Theory Y, 1960.
- ¹² Abraham H. Maslow Motivation and Personality 1954 by Harper & Row, Publishers, Inc. Copyright©1970 by Abraham H. Maslow Reprinted from the English Edition by Harper & Row, Publishers 1954.
- ¹³ იზორია ლ., თანამედროვე სახელწიფო, თანამედროვე ადმინისტრაცია, 2009.
- ¹⁴ ხუბუა გ., ზომერმანი კ.პ., საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები, 2016.
- ¹⁵ Effective Management | Functions, Characteristics and Tips, December 4, 2020 By Hitesh Bhasin Filed Under: MANAGEMENT.
- ¹⁶ გურგენიძე ვ., საჯარო-პოლიტიკური მმართველობის თეორია და პრაქტიკა, 2014.
- ¹⁷ საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესის განსაზღვრის შესახებ, საქართველოს მთავრობის დადგენილება №200, თბ, 2017 წლის 20 აპრილი.
- ¹⁸ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის კომენტარები, 2018.
- ¹⁹ დოლონაძე შ., იაშვილი გ., საჯარო სამსახური საქართველოში: რეფორმები, გამოწვევები – ელექტრონული მართვა, გამომც. ცის ნამი, 2013.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ხუბუა გ., ზომერმანი კ. პ., საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები, თსუ-ს ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამოცემები, ტომი 3, თბ., 2016.
2. დოლონაძე შ., იაშვილი გ., საჯარო სამსახური საქართველოში: რეფორმები, გამოწვევები – ელექტრონული მართვა, გამომც. ცის ნამი, 2013.

3. ბალათურია გ., ოვსიანიკოვა ნ., კიბერნეტიკული მეთოდის გამოყენების შესაძლებლობა საჯარო მმართველობაში, ჟურ. ხელისუფლება და საზოგადოება, 2017, № 1(41).
4. ბარათაშვილი ე., ქოქიაური ლ., მენეჯმენტის პრინციპები, სტუ-ს გამომცემლობა, თბ., 2010.
5. იმორია ლ., თანამედროვე სახელმწიფო, თანამედროვე ადმინისტრაცია, 2009.
6. გურგენიძე ვ., საჯარო-პოლიტიკური მმართველობის თეორია და პრაქტიკა, 2014.
7. საჯარო მმართველობის კულტურა საქართველოში, სოციოლოგიური კვლევა, თბ., 2017. ცარციძე დ., ბესელია გ., ხუციშვილი გ., ყალიჩავა კ., http://lawlibrary.info/ge/books/giz20017geCulture_of_Public_Administration.pdf– [28.12.2022].
8. ბარათაშვილი ე., თაკალანძე ლ., მენეჯმენტის საფუძვლები თბ., 2010.
9. შუბლაძე გ., მღებრიშვილ ბ., წოწოკოლაური ფ., მენეჯმენტის საფუძვლები, თბ., 2008.
10. ბალათურია გ., ბალათურია ო., სტრატეგიული დაგეგმვა სახელმწიფო მართვისა და ბიზნესის ამოცანებში, 2009.
11. Файоль А., Эмерсон Г., Тэйлор Ф., Форд Г., Управление – это наука и искусство, М., 1982
12. Douglas McGregor, Theory X and Theory Y, 1960.
13. Abraham H. Maslow, Motivation end Personality 1954 by Harper & Row, Publishers, Inc. Copyright © 1970 by Abraham H. Maslow, Reprinted from the English Edition by Harper & Row, Publishers 1954
14. Rosendloom/ Kravchuk/Clerkin, public Administration (Understanding Management, politics, end Law in the public Sector, 2015; Konig, Moderne offentliche Verwaltung, 2008, 46 ff.
15. Theories of Managerialism October 1, 2021| Political Science Beth Simone Noveck.
16. Effective Management| Functions, Characteristics and Tips, December 4, 2020 By Hitesh Bhasin Filed Under: MANAGEMENT.



LEGAL APPROACHES TO THE INTRODUCTION OF MANAGEMENT IN PUBLIC ADMINISTRATION

NINO LOMSADZE

Lawyer, Ph.D. in public administration

Consultant of the Analytical Service of the Tbilisi Court of Appeals

The functioning of a legal democratic state is unthinkable without the managerial approach of modern public administration. All major areas of public life are covered by the public administration system, which affects people's daily lives. Considering that the main burden of state management falls on public administration, it is necessary to use effective approaches to managerial principles.

The main principle values of the public administration system are the rule of law and the protection of citizens' rights, which are determined by the legal, political, managerial, and cultural approaches of public administration. Therefore, the scope of the public administration system is regulated by the use of managerial principles guided by law and legislation.

კასუხისმგებლობა აგრესიის აქტისთვის ქართულ სისხლის სამართალში და მისი განსჯადობის აქტუალური საკითხები

ხვირა ბეზიაშვილი

*საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის
უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტი*

შესავალი

2022 წლის 24 თებერვალს, მსოფლიოში და ჩვენი ქვეყნის მეზობლად განვითარებულმა დაუჯერებელმა და საზარელმა მოქმედებებმა, როდესაც მსოფლიოს ერთ-ერთმა უდიდესმა სახელმწიფომ რუსეთმა აგრესიული ომი დაიწყო უკრაინის წინააღმდეგ, უფრო მეტად აქტუალური და საინტერესო გახადა სისხლის სამართლის იმ ნორმების ირგვლივ კვლევების ჩატარება, რომელიც ეროვნული თუ საერთაშორისო სამართლებრივი აქტების დონეზე არეგულირებს ანალოგიურ პროცესებს, აძლევს მას სისხლისსამართლებრივ კვალიფიკაციას და უწესებს სასჯელს. აგრესიის აქტი, რომელიც კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად ითვლება, საუკუნეების მანძილზე ახდენდა თავის სამართლებრივ რეალიზაციას

მსოფლიოს ქვეყნების ეროვნულ კანონმდებლობაში და მისმა ჩამოყალიბებამ საერთაშორისო ასპარეზზე რთული, ხანგრძლივი და წინააღმდეგობებით სავსე პერიოდი განვლო. შესაბამისად, დღეს, როდესაც შუაგულ ევროპაში მძვინვარებს დაპყრობითი ომი, მასთან დაკავშირებით ჩატარებული ნებისმიერი სამეცნიერო კვლევა საინტერესო იქნება არა მარტო სამეცნიერო წრეებისთვის, სამართლის დარგის პრაქტიკოსი მუშაკებისთვის და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მსმენელთათვის, არამედ ნებისმიერი პროფესიის მოქალაქისთვის, რომელსაც გაუჩნდა უამრავი კითხვა XXI საუკუნისათვის უპრეცედენტო და საშიში ომის ირგვლივ.

მოცემული ნაშრომი ეხება მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობით რეგლამენტირებულ კაცობრიობის მშვიდობის, უშიშროებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წინააღმდეგ მიმართული კონკრეტული დანაშაულის – აგრესიის აქტის დაგეგმვას, მომზადებას, დაწყებასა და წარმოებას, აღნიშნულ მუხლში განხორციელებულ ცვლილებებს, მის ადგილს სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში, მის საერთაშორისოსამართლებრივ რეგლამენტაციას, მისი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის პროცედურებს და არსებულ გამოწვევებს. აღნიშნული საკითხი პრობლემატურია, რაც გულისხმობს, რომ საკვლევი თემის ირგვლივ არ არის ჩამოყალიბებული ერთიანი მიდგომა და წარმოდგენილი ნაშრომის ტრილში საკითხის სიღრმისეული წარმოჩენა თავისთავად განაპირობებს მოცემული თემის ირგვლივ დასმულ კითხვებზე მეცნიერულად დასაბუთებული პასუხების მიღებას.

საკვლევი თემის აქტუალობას, გარდა მსოფლიოში მიმდინარე შოკისმომგვრელი პროცესებისა, აგრეთვე განსაზღვრავს სამეცნიერო წრეებისა და პრაქტიკოსი იურისტების დიდი ინტერესი მოცემული საკითხისადმი და რაც მნიშვნელოვანია ანალოგიური კვლევების წარმოების დროს, საზოგადოების ფართო მასების ცხოველი ინტერესი მიმდინარე ომთან დაკავშირებით და იმის ცოდნა, თუ რამდენად არის შესაძლებელი სამართლის ნორმებით შეფასდეს, შეჩერდეს და დასრულდეს ევროპის კონტინენტზე დაწყებული ომი. მსოფლიოს ექვსივე კონტინენტზე მცხოვრები ადამიანების ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა რუსეთის მიერ დაწყებული აგრესიული ომის ირგვლივ გაჩენილი კითხვები და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით მათზე დისკუსიებისა და დებატების მოწყობა, რა დროსაც გარკვეული ადგილი ეთმობა საკითხს უკრაინისა და ევროპის რიგი ქვეყნების და საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს მიერ განხორციელებულ თუ განსახორციელებელ ქმედებებზე.

მსოფლიო თავისი არსებობის პერიოდში, მუდმივად იმყოფებოდა საომარ პირობებში, უხლოვარი დროიდან არაერთი აგრესიული ომის მაგალითი შემოგვინახა ისტორიამ, მათ შორის,

საქართველოს ისტორია გაჯერებულია დამპყრობლური ომების მაგალითებით, რასაც 2008 წლის აგვისტოშიც ჰქონდა ადგილი, როდესაც რუსეთმა დამატებით მოახდინა საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია. საკითხის შესწავლაში დაგვეხმარება XX საუკუნეში მსოფლიოში განხორციელებული ისეთი აგრესიული აქტების ირგვლივ არსებული სისხლის სამართალ-წარმოების მაგალითები, როგორც იყო ნიურნბერგის და ტოკიოს სამხედრო ტრიბუნალები, იუგოსლავიის და რუანდის პროცესები, აგრეთვე რუსეთის მიერ საქართველოსა და უკრაინის მიმართ განხორციელებული აგრესიის ფაქტების ირგვლივ მიღებული გადაწყვეტილებები, რაც საკვლევი თემის პრეცედენტული სამართლის ნიმუშებად იქნება გამოყენებული. ბოლო წლების მანძილზე, რამდენჯერმე განიცადა ცვლილება, როგორც რომის სტატუტმა და მასთან დაკავშირებულმა საერთაშორისო სამართლის ნორმების პაკეტმა, აგრეთვე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსმა და სხვა ეროვნულმა საკანონმდებლო აქტებმა, რაც დაკავშირებულია რომის სტატუტის და კამპალის ხელშეკრულების შესრულებასთან. ეს ცვლილებები თამამად შეიძლება განვაცხადოთ, რომ იყო საერთაშორისო საზოგადოების ცხარე დისკუსიებისა და მრავალწლიანი განხილვების საგანი. სამეცნიერო კვლევაში შევეცდებით მოვუძებნოთ ისეთ პრობლემატურ კითხვებს პასუხი, როგორც არის: აგრესიული აქტის, როგორც დანაშაულებრივი ქმედების სწორი გაგება და შეფასება, მისი დისპოზიციის განმარტება, რამდენად სწორად აქვს დაკავებული თავისი ადგილი აღნიშნულ დანაშაულებრივ ქმედებას სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში, როგორი არის საერთაშორისო სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების პრეცედენტები, ასამართლებენ თუ არა ომში გამარჯვებულებს (თუ აგრესიული ომი მათ მიერ არის წამოწყებული), იცნობს თუ არა მსოფლიო ასეთ პრეცედენტს, საკმარისი და დროული იყო და არის თუ არა აგრესიული აქტის მზადების და დაწყების დროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და საერთაშორისო თანამეგობრობის რეაგირებები, რამდენად ეფექტიანია საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს საქმიანობა, აქვს თუ არა მის გადაწყვეტილებებს პრევენციული და პრეცედენტული ძალა და რამდენად რეალურია მისი გადაწყვეტილებების მიღება და შესრულება იმ აგრესორი ქვეყნის პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობის მიმართ, რომლებიც არ დამარცხებულან ომში და უკავიათ უმაღლესი თანამდებობები.

საკითხის ირგვლივ აუცილებელია მეცნიერულად დასაბუთებული და ამომწურავი კვლევის ჩატარება, რასაც გარკვეულწილად, შევეცდებით მოცემული სასემინარო ნაშრომით, სადაც გარდა მოქმედი კანონმდებლობის თემატური განხილვისა, შევხებით აგრეთვე საკითხთან დაკავშირებულ საერთაშორისო სამართლის ნორმებს, რა დროსაც შევეცდებით ჩვენს მიერ დანახული პრობლემების იდენტიფიცირებას და ჩამოვაცალიებთ პრობლემის გადაჭრის გზებს.

თავი I. ნიურნბერგის და ტოკიოს სამხედრო ტრიბუნალები

XX საუკუნე ისტორიაში შევიდა ორი მსოფლიო ომის საუკუნედ. ზოგადად, მსოფლიოსთვის ომები რა თქმა უნდა, არ იყო და არ რჩება სიახლედ, მაგრამ კაცობრიობამ გადაწყვიტა საერთო ძალისხმევით გამოჩენა აგრესიული ომების წინააღმდეგ, რის გამოც გასული საუკუნის დასაწყისიდან, აქტიურად დაიწყო საუბრები ისეთი საერთაშორისო წესების ამოქმედებაზე, რაც მისაღები იქნებოდა ყველა ცივილიზებული სახელმწიფოსთვის და რომელიც დაიცავდა მსოფლიო მშვიდობას.

1918 წლის ნოემბერში, როდესაც მსოფლიო ჯერ კიდევ, გახვეული იყო პირველი მსოფლიო ომის ქარ-ცეცხლში, რომელმაც 1914-1918 წლებში, გარდა რამდენიმე მილიონი სამხედრო მოსამსახურისა, 13 მილიონზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე შეიწირა, ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა დევიდ ლოიდ ჯორჯმა სიტყვით გამოსვლის დროს განაცხადა, რომ ვინმეს პასუხი უნდა ეგო იმ ომის დანაშაულებისათვის, რომელმაც ათობით მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და მიუხედავად იმისა, გლეხი იყო თუ იმპერატორი, უნდა წარმდგარიყო მართლ-მსაჯულების წინაშე.¹

აგრესიული ომის თაობაზე საერთაშორისო სისხლისსამართლებრივი რეაგირების ზომების დაწესებას იმთავითვე ჰყავდა როგორც მომხრე, აგრეთვე მოწინააღმდეგეებიც. მაგალითად, 1927 წელს, ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ოსტინ ჩემბერლენმა თემთა პალატაში გამოსვლისას განაცხადა, რომ აგრესიის დეფინიცია უდანაშაულო პირებს დააზარალებდა, ხოლო დამნაშავეებს გაუადვილებდა სასჯელისგან თავის დაღწევას.²

აღნიშნული პროცესები დააჩქარა მეორე მსოფლიო ომმა, რომელმაც 1939-1945 წლებში შეიწირა 60 მილიონი ადამიანის სიცოცხლე.³ ამასთან, შეიქმნა და გამოყენებული იქნა ისეთი იარაღი, რომელიც საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ ერთი ქვეყნის და მისი მოსახლეობის არსებობას, არამედ პლანეტაზე სიცოცხლის არსებობასაც. სწორედ აღნიშნული საფრთხე გახდა ერთ-ერთი წინაპირობა, რომ მეორე მსოფლიო ომის დანაშაულებებზე შექმნილიყო საერთაშორისო სასამართლო, რომელიც განიხილავდა ფაშისტური გერმანიის უწყებებისა და კონკრეტული პირების მიერ კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებს.

1946 წლის 23 ოქტომბერს, აშშ-ის პრეზიდენტმა ჰარი ტრუმენმა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ასამბლეაზე განაცხადა, რომ ნიურნბერგის ტრიბუნალის წესდებით ომის დაგეგმვა, წამოწყება ან წარმოება, აგრესია დანაშაულია კაცობრიობის წინააღმდეგ, რისთვისაც ცალკეული პირები და სახელმწიფოები გასამართლდებიან საერთაშორისო სასამართლოს წინაშე.⁴

ჰიტლერული გერმანიის ომის ზოგიერთი დამნაშავის სასამართლო პროცესი გაიმართა ნიურნბერგში (გერმანია) 1945 წლის 20 ნოემბრიდან 1946 წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდში, რა

დროსაც საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წინაშე წარსდგნენ ნაცისტური გერმანიის უმაღლესი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწეები. თავად ტრიბუნალი ჩამოყალიბდა 1945 წლის 8 აგვისტოს, გაეროს წევრი 23 სახელმწიფოს გადაწყვეტილებით და დაკომპლექტდა ოთხი სახელმწიფოს – აშშ-ის, სსრკ-ის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მიერ პარიტეტის საფუძველზე წარდგენილი მოსამართლეებით. ისტორიის მკვლევარი დევი ჯონსი თვლის, რომ აშშ-მა გადაწყვეტი როლი შეასრულა სამხედრო დამნაშავეების სასამართლოს წინაშე წარდგენის საქმეში, ვინაიდან უინსტონ ჩერჩილს და იოსებ სტალინს მიაჩნდათ, რომ ისინი ყოველგვარი გასამართლების გარეშე უნდა დაეხვრიტათ.⁵ სამხედრო ტრიბუნალის მიერ გასამართლებული იქნა ნაცისტური ომის 24 ძირითადი დამნაშავე და ექვსი ჯგუფი, კერძოდ, მესამე რაიხის სამხედრო და პოლიტიკური ორგანიზაციები.⁶ ათთვიანი განხილვის შემდეგ, 1945 წლის 30 სექტემბერს, სამხედრო ტრიბუნალმა გამოაცხადა განაჩენი, რომლის მიხედვითაც, დამნაშავედ იქნენ ცნობილი ბრალდებულები, მათ მიმართ წარდგენილ ბრალდებებში, განაჩენში მითითებული იყო, რომ:

„...აგრესიული ომის გაჩაღება არის... უმძიმესი საერთაშორისო დანაშაული, რომელიც განსხვავდება სხვა სამხედრო დანაშაულებისგან მხოლოდ იმით, რომ თავის თავში კონცენტრირებული სახით შეიცავს ბოროტებას, რომელიც შეიცავს თითოეულ დანარჩენს.“⁷

სამხედრო ტრიბუნალმა ბრალდებულთა უმეტესობას სიკვდილით დასჯა ან სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა, ხოლო სამი მათგანი გაამართლა. აგრეთვე დანაშაულებრივ ორგანიზაციებად აღიარა SS, SD, გესტაპო და ნაცისტური პარტიის ხელმძღვანელობა თუმცა, არ მიიღო გადაწყვეტილება გერმანიის მინისტრთა კაბინეტის, უმაღლესი სარდლობისა და გენერალური შტაბის დანაშაულებრივ ორგანიზაციებად ცნობის შესახებ. ნიურნბერგის სამხედრო ტრიბუნალმა გადაწყვეტილება მიიღო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებების საფუძველზე და თანამედროვე მსოფლიოში იყო პირველი პრეცედენტი, როდესაც საერთაშორისო სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ორგანომ სისხლისსამართლებრივად შეაფასა აგრესიული ომის და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი სხვა დანაშაულები და კონკრეტული პირებისა და ორგანიზაციების მიმართ გამოიტანა განაჩენი და შეუფარდა სასჯელი, შესაბამისად ნიურნბერგის პროცესი შესაძლებელია ჩაითვალოს საერთაშორისო სისხლის სამართლის დაბადების მომენტად.⁸ ნიურნბერგის პროცესზე, ისტორიაში პირველად, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრათ აგრესიული ომების დაგეგმვაზე, მომზადებასა და გაჩაღებაზე პასუხისმგებელ პირებს, აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედება წარმოადგენს ჩვენი კვლევის მთავარ საგანს.

1946 წლის 19 იანვარს შეიქმნა საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალი შორეული აღმოსავლეთისთვის ე. წ. ტოკიოს პროცესი, რომელმაც გაასამართლა იაპონიის მთავარი სამხედრო დამნაშავენი. აღნიშნული ტრიბუნალი დაკომპლექტებული იყო 11 სახელმწიფოს მიერ, კერძოდ, წარმოდგენილი იყო შემდეგი სახელმწიფოებით: აშშ, სსრკ, ჩინეთი, დიდი ბრიტანეთი, ავსტრალია, კანადა, საფრანგეთი, ნიდერლანდები, ახალი ზელანდია, ინდოეთი, ფილიპინები. ტოკიოს ტრიბუნალი, რომელიც იაპონიის დედაქალაქში მიმდინარეობდა 1946-1948 წლებში, მოქმედებდა სისხლის სამართლის პროცესის დემოკრატიული პრინციპების შესაბამისად. იაპონელ სამხედრო დამნაშავეთა გასამართლება მოხდა 1945 წლის ბერლინის (პოსტდამის) კონფერენციისა და 1945 წლის მოსკოვის თათბირის გადაწყვეტილებათა საფუძველზე, სადაც იაპონიის კაპიტულაციის ერთ-ერთ პირობად გათვალისწინებული იყო სამხედრო დამნაშავეთა დასჯა.⁹ საერთაშორისო ტრიბუნალმა განიხილა 28 ბრალდებულის საქმე და განაჩენი გამოიტანა 25 პირის მიმართ, რომელთაგან 7 მთავარ სამხედრო დამნაშავეს მიესაჯა სიკვდილით დასჯა, 16 მსჯავრდებულს – სამუდამო პატიმრობა, ერთს – 20 წლით და კიდევ ერთს – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის განაჩენში მითითებულია, რომ ომამდელი და ომისდროინდელი იაპონიის პოლიტიკა მიმართული იყო აგრესიული ომების საწარმოებლად, რაც დადასტურდა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში აღნიშნული ქვეყნის აქტიური მოქმედებებით, ხოლო იაპონელი მილიტარისტები ჰიტლერული გერმანიის მთავრობასთან ერთად მსოფლიო ჰეგემონიას ესწრაფვოდნენ.¹⁰

ნიურნბერგისა და ტოკიოს სამხედრო ტრიბუნალებმა იმსჯელეს და გადაწყვეტილებები მიიღეს ისეთ დანაშაულებზე, როგორც არის: შეთქმულება აგრესიული ომის მომზადებისათვის და ამ ომის წარმოებაში პოლონეთის, ავსტრიის, ჩეხოსლოვაკიის, დანიის, ნორვეგიის, ბელგიის, იუგოსლავიის, საბერძნეთის, სსრ კავშირისა და სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ჩადენა, სამხედრო ტყვეების, ოკუპირებულ ტერიტორიებზე სამოქალაქო მოსახლეობის წამება და მასობრივი განადგურება, სამოქალაქო მოსახლეობის გერმანიაში გადაყვანა იძულებითი სამუშაოების შესასრულებლად, მძევალთა მკვლელობა, სახელმწიფო და კერძო საკუთრების გაძარცვა, სამოქალაქო ობიექტების, ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების არასამხედრო მიზნით განადგურება, სამხედრო დანაშაულობები, პოლიტიკური, რასობრივი და რელიგიური მოტივებით სამოქალაქო მოსახლეობის მასობრივი განადგურება და სხვ. სამხედრო ტრიბუნალებზე პირველად იქნა აღიარებული აგრესიის აქტი, როგორც უმძიმესი საერთაშორისო დანაშაული, სასამართლომ აღნიშნული ქმედების ჩადენისთვის დამნაშავედ ცნო, როგორც რიგი ფიზიკური პირები, აგრეთვე სახელმწიფო ორგანიზაციები. ნიურნბერგის პროცესზე პირველად გამოყენებულმა პრინციპმა, რომ პასუხისმგებლობისაგან არ თავისუფლდება ის პირი, ვინც ასრულებდა სხვის დანაშაულებრივ

ბრძანებას, შემდგომში ასახვა ჰპოვა გაეროს გენერალური ასამბლეის ორ რეზოლუციაში, კერძოდ, 1946 წლის 11 დეკემბრის 95 (I) რეზოლუცია, რომელმაც აღიარა სამხედრო ტრიბუნალების მიერ საერთაშორისო სამართლის პრინციპების გამოყენება და განაჩენი, ასევე, 1947 წლის 31 ოქტომბრის 170 (II) რეზოლუცია სამხედრო დამნაშავეთა გადაცემისა და დასჯის შესახებ, როგორც საერთაშორისოსამართლებრივმა პრინციპმა, რაც თავის მხრივ, საფუძვლად დაედო კონვენციას „სამხედრო დანაშაულთა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა მიმართ ხანდაზმულობის ვადის გამოუყენებლობის შესახებ.“¹¹

თავი II. იუგოსლავიის და რუანდის საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოები

როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, ნიურნბერგის და ტოკიოს პროცესებმა საფუძველი დაუდო თანამედროვე საერთაშორისო სისხლის სამართლის პრინციპებს და აგრეთვე, გახდა გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ დაარსებული რუანდის საერთაშორისო ტრიბუნალისა და იუგოსლავიის საერთაშორისო ტრიბუნალის შექმნის პროტოტიპი.

1991 წლიდან ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე, ეთნიკურ ნიადაგზე დაიწყო სამოქალაქო დაპირისპირება, აღნიშნული დაპირისპირების ერთ მხარეს წარმოადგენდნენ სერბები და მონტენეგროელები, ხოლო მეორე მხარეს – ხორვატები, ბოსნიელები და სლოვენელები, თავის მხრივ, ბოსნიაში შიდა კონფლიქტი ჰქონდათ ბოსნიელებს და ხორვატებსაც.¹²

აღნიშნულ პერიოდში, დაპირისპირების ესკალაციამ წარმოუდგენელი მასშტაბები და ხასიათი მიიღო, რასაც თვით დაპირისპირებული მხარეებიც კი, ვერ წარმოიდგენდნენ, რადროსაც ადგილი ჰქონდა ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების მასობრივ დარღვევებსა და მშვიდობიანი მოსახლეობის ეთნიკურ წმენდას, რომელიც თავის მხრივ, ხორციელდებოდა მასობრივი მკვლელობებითა და საერთაშორისო სისხლის სამართლის სხვა დანაშაულობათა ჩადენით. იუგოსლავიაში ჩადენილი დანაშაულები წარმოადგენს საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ დანაშაულებს, თავისი არსით და ხასიათით.¹³

1992 წლის 13 აგვისტოს, გაეროს უშიშროების საბჭომ გაეროს წევრ ქვეყნებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს მოუწოდა, რომ გადაეცათ ყველა ის ინფორმაცია, რაც ეხებოდა იუგოსლავიის ტერიტორიაზე ჩადენილ ომის დანაშაულებს, აღნიშნული რეზოლუციის საფუძველზე მოპოვებული ინფორმაციათა ერთობლიობის შესწავლის მიზნით, იმავე წლის ოქტომბერში, გაეროს ეგიდით შეიქმნა იუგოსლავიის კრიზისის შესახებ მიწოდებული ინფორმაციის შემსწავლელი კომისია, რომელმაც 1993 წლის თებერვალში დაადგინა ბოსნიაში ჩადენილი ომის, გენოციდისა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული სხვა დანაშაულებ-

ბის ჩადენის ფაქტი. სწორედ აღნიშნული კომისიის მიერ იქნა დადგენილი საერთაშორისო დანაშაულების ჩადენის ფაქტი და გაიცა რეკომენდაცია, დანაშაულის ჩამდენი პირების დასჯის მიზნით, შექმნილიყო საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალი,¹⁴ რაც შესრულდა და 1993 წლის 25 მაისს, გაეროს უშიშროების საბჭოს 827(1993)-ე რეზოლუციის საფუძველზე,¹⁵ ნიურნბერგის და ტოკიოს ტრიბუნალების შემდეგ, პირველად შეიქმნა სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი ყოფილი იუგოსლავიისათვის (ICTY), რომელმაც დაახლოებით 10 წლის მანძილზე განიხილა არაერთი საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს განსჯადი დანაშაული და გამოიტანა განაჩენი.

ყოფილი იუგოსლავიის სასამართლომ განიხილა ოთხი ტიპის დანაშაული, მათ შორის: 1949 წლის ჟენევის კონვენციის მძიმე დარღვევა, ომის კანონებისა და წესების დარღვევა, გენოციდი და კაცობრიობის წინაშე მიმართული დანაშაულები, აგრეთვე ისეთი დანაშაულები, როგორც არის: განზრახ მკვლელობა, დამონება, განადგურება, წამება, გაუპატიურება, პოლიტიკური, რასობრივი და რელიგიური ნიშნით დევნა და სხვა არაადამიანური ქმედებები. ამ შემთხვევაში სასჯელის უმაღლესი ზომა იყო სამუდამო პატიმრობა.¹⁶

საბოლოოდ, ზემოაღნიშნული ბრალდებებით იუგოსლავიის სამხედრო ტრიბუნალის მიერ გასამართლებული იქნა ასზე მეტი ადამიანი, უკანასკნელი მსჯავრდებული, მიმალვაში მყოფი სერბი გორან ჰაჯიჩი,¹⁷ რომელიც 2011 წლის 20 ივლისს დააკავეს.¹⁸ 2017 წელს, იუგოსლავიის სამხედრო ტრიბუნალმა უკანასკნელი განაჩენი გამოიტანა, ინსტიტუციამ საკუთარი საქმიანობა ფორმალურად, 2017 წლის 31 დეკემბერს შეწყვიტა.¹⁹

XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე სისხლიანი და საზარელი გენოციდი, რომელსაც ადგილი ჰქონდა, 1994 წლის 6 აპრილიდან იმავე წლის ივლისის შუა რიცხვებამდე, განხორციელდა აფრიკის კონტინენტზე, კერძოდ, რუანდას რესპუბლიკაში, რა დროსაც დაახლოებით 800 000-დან 1 071 000-მდე ადამიანი ძირითადად, ტუტსის ტომის წარმომადგენლები განადგურდა ჰუტუს ტომის ექსტრემისტული დაჯგუფებების მიერ. აღსანიშნავია, რომ გენოციდის მსხვერპლი გახდნენ აგრეთვე, ჰუტუს ტომის ის წარმომადგენლებიც, ვინც აღნიშნული მასობრივი ხოცვა-ჟლეტის წინააღმდეგ გამოდიოდა.²⁰ მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს ჯერაც არ ჰქონდა მოშუშებული ნაცისტური გერმანიის მიერ ებრაელი ხალხის მიმართ განხორციელებული გენოციდის შედეგები და რომ ყველა შეთანხმდა გაეცა დაპირება „ალარასოდეს“, გასულ საუკუნეში, მსოფლიომ კვლავ იხილა ისეთი საზარელი დანაშაულის ფაქტები, როდესაც ერთი ტომის ხალხი ცდილობდა მეორე ტომის წარმომადგენლების სრულ განადგურებას.²¹ გაეროს უშიშროების საბჭოს, 1994 წლის 8 ნოემბრის #955 რეზოლუციით შეიქმნა რუანდის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი (ICTR). ტრიბუნალის მიერ გასამართლებული იქნა 93 ადამიანი, მათ შორის, მალალი რანგის სამხედრო და სამთავრობო თანამდებობის

პირები, პოლიტიკოსები, ბიზნესმენები, აგრეთვე რელიგიური ლიდერები და მედიის წარმომადგენლები. ასევე, შეიქმნა მსოფლიო პრეცედენტი, როდესაც სახელმწიფოს მეთაურს, კერძოდ, რუანდას პრემიერ-მინისტრ ჟან კამბანდას, დაეკისრა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.²²

რუანდის ტრიბუნალმა, რომელიც მდებარეობდა ქალაქ არუშაში (ტანზანია), განიხილა სამი ძირითადი დანაშაული: გენოციდი, დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ და 1949 წლის კონვენციის საერთო მე-3 მუხლისა და II დამატებითი ოქმის დარღვევები (ისინი განსაზღვრავს წესებს, რომლებიც ეხება შიდა შეიარაღებულ კონფლიქტებს).²³ ამრიგად, ჩვენს მიერ განხილული იქნა მსოფლიოში შექმნილი ყველა დროის ოთხი საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალი და მის მიერ განხილული საქმეები და დანაშაულები.²⁴ აღნიშნულ ტრიბუნალებს უდიდესი როლი ენიჭებათ საერთაშორისო სისხლის სამართლის ჩამოყალიბებაში, გარდა იმისა, რომ შეიქმნა საერთაშორისო დანაშაულებზე გასამართლებისა და დასჯის მექანიზმები, მათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საერთაშორისო სისხლის სამართლის განვითარებაში. სამხედრო ტრიბუნალების მოქმედების ფარგლებში განისაზღვრა მთელი რიგი საერთაშორისო დანაშაულებების ცნება, შესაძლებელი გახდა დასჯილიყვნენ აღნიშნული დანაშაულის ჩამდენი პირები, სწორედ აღნიშნული ტრიბუნალების შექმნა, მათი საქმიანობა და მიღებული პრეცედენტული გადაწყვეტილებები გახდა საფუძველი შემდგომში, მსოფლიო აღჭურვილიყო მუდმივმოქმედი საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოთი, სამეცნიერო ნაშრომის შემდეგი თავი შეეხება სწორედ აღნიშნული სასამართლოს ჩამოყალიბების, საქართველოს მიერ საერთაშორისო სისხლის სამართლის ნორმების ეროვნულ კანონმდებლობაში ასახვის და აგრესიის აქტის კვლევის საკითხებს.

თავი III. აგრესიის აქტის სისხლისსამართლებრივი კვალიფიკაცია და მასზე რეაგირების მექანიზმები საერთაშორისო კანონმდებლობაში

ჩვენ შევეცადეთ სამეცნიერო ნაშრომის წინა ორ თავში განგვეხილა საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს და საერთაშორისო დანაშაულების წარმოქმნის საკითხები. სწორედ ომის გზა, რომელიც გასულ საუკუნეში განვლო მსოფლიომ, გახდა საფუძველი და ერთგვარი მოთხოვნილება, რათა გაეროს წევრი ქვეყნები შეთანხმებულიყვნენ იმ ქცევის წესებზე, რაც დღეის მდგომარეობით წარმოადგენს საერთაშორისო სისხლის სამართალს და რომელმაც მე-20 საუკუნის ბოლოს დაგროვილი პრაქტიკული გამოცდილების კვალობაზე, შეძლო ლოგიკური შედეგის დადება და დღეს, სახეზე გვაქვს საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო (ICC).

გაეროს გენერალური ასამბლეის 1974 წლის #3314 რეზოლუციის მიხედვით, აგრესიის აქტი განმარტებულია, როგორც ა) ერთი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მიერ სხვა სახელმწიფოში შეჭრა ან მასზე თავდასხმა, რომელსაც შედეგად მოსდევს ამ სახელმწიფოს ოკუპაცია ან ანექსია; ბ) ერთი სახელმწიფოს მიერ სხვა სახელმწიფოს დაბომბვის ან მის წინააღმდეგ იარაღის გამოყენება; გ) ერთი სახელმწიფოს პორტებისა და სანაპიროების ბლოკადა მეორე სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მიერ; დ) ერთი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მიერ მეორე სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებზე თავდასხმის განხორციელება; ე) ერთი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების გამოყენება სხვა სახელმწიფოში, თუ მათი იქ ყოფნა შეთანხმებულია მასპინძელ სახელმწიფოსთან, მაგრამ მათი გამოყენება ეწინააღმდეგება შეთანხმების პირობებს ან მათი იქ ყოფნა იმაზე მეტ ხანს გაგრძელდა, ვიდრე ეს შეთანხმებითაა გათვალისწინებული; ვ) ერთი სახელმწიფოს მიერ თავისი ტერიტორიით სარგებლობის ნებართვის მიცემა მეორე სახელმწიფოსათვის, მესამე სახელმწიფოს წინააღმდეგ აგრესიის აქტების განხორციელების მიზნით; ზ) შეიარაღებული ბანდფორმირებების, ჯგუფების, არალეგალური არმიისა და დაქირავებულების შეგზავნა სხვა სახელმწიფოში ძალადობის აქტების განხორციელების მიზნით, რომლებიც უთანაბრდება ზემოთ განსაზღვრულ აგრესიის აქტებს ან მათი არსებითი ჩართულობა აღნიშნულ ქმედებებში. 2010 წელს, კამპალაში ჩატარებული რომის სტატუტის გადასინჯვის შემდეგ, აგრესიის დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა ჩამოყალიბდა ჩვენს მიერ ხსენებული გაეროს რეზოლუციის მე-3 მუხლის შინაარსის მიხედვით, ამასთან რომის სტატუტის მე-8bis მუხლის პირველი აბზაციით დამატებით განისაზღვრა ორი ახალი დებულება, კერძოდ: აგრესიის დანაშაულის სუბიექტთა წრე შეზღუდულია იმ პირებით, რომლებსაც თავიანთი მდგომარეობით შესწევთ უნარი, ფაქტობრივად განახორციელონ სახელმწიფოს პოლიტიკური ან სამხედრო მოქმედებების კონტროლი ან ხელმძღვანელობა და ქმედების აგრესიად კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა აქვს ჩადენილი ქმედების სიმძიმეს, რადგან აგრესიის აქტი უნდა გამოიხატოს ისეთ მოქმედებაში, რომელიც თავისი ხასიათით, სიმძიმითა და მასშტაბით წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიის აშკარა დარღვევას.²⁵

1998 წლის 17 ივლისს, რომში, ხანგრძლივი მოლაპარაკებების და დისკუსიის ფონზე, მსოფლიოს 120 სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ მიღებული იქნა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს დამაარსებელი წესდება, რომელიც აგრეთვე, ცნობილია როგორც „რომის სტატუტი“, აღნიშნული გადაწყვეტილება იყო პრეცედენტული, ვინაიდან მსოფლიო ისტორიაში, პირველად იქნა მიღებული გადაწყვეტილება მუდმივმოქმედი საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს შემოღების თაობაზე, რომელიც თავისი არსით რა თქმა უნდა, არ წარმოადგენს ეროვნული სასამართლოების შემცველ ინსტიტუტს.²⁶

რომის სტატუტი, მისი 126-ე მუხლის შესაბამისად,²⁷ ყველასათვის მოულოდნელად, მას შემდეგ, რაც მისი რატიფიცირება მოახდინა 60-მა ხელშემკვრელმა სახელმწიფომ, 2002 წლის 1 ივლისს შევიდა ძალაში, რის შემდეგაც წლების და თითქმის საუკუნის მანძილზე არსებული, ერთი შეხედვით, შეუძლებლად მიჩნეული სურვილი გახდა რეალობა და მსოფლიო დღეს ფლობს საერთაშორისო სისხლის სამართლის მუდმივმოქმედ მართლმსაჯულების ინსტიტუტს.²⁸

რაც შეეხება საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს განსჯადობას, მის იურისდიქციაში შედის გენოციდის დანაშაული, დანაშაულები კაცობრიობის წინააღმდეგ, სამხედრო დანაშაულები და აგრესიის დანაშაული,²⁹ სწორედ აგრესიის დანაშაული არის ჩვენი კვლევის მთავარი ობიექტი, რომელზეც დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი. სასამართლოს ადგილსამყოფელი არის ჰააგაში და სტატუტის მიხედვით, ნიდერლანდები წარმოადგენს მასპინძელ სახელმწიფოს.³⁰

რომის სტატუტის მე-8 მუხლით განსაზღვრულია აგრესიის ცნება და აგრესიის დანაშაული. აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად, სახელმწიფოები ვერ ჩამოყალიბდნენ აგრესიის დანაშაულის დეფინიციაზე, რის გამოც სტატუტის მე-5 მუხლში გაკეთდა ჩანაწერი, აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედების სამომავლო რეგლამენტაციაზე. რომის კონფერენციიდან გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ, კერძოდ, 2010 წელს, უგანდის დედაქალაქ კამპალაში ცხარე დისკუსიების ფონზე,³¹ მხარეები შეთანხმდნენ აგრესიის აქტის დეფინიციაზე და მიღებული გადაწყვეტილებით, აგრესიის დანაშაულად მიჩნეული იქნა შეიარაღებული თავდასხმის ყოველგვარი დაგეგმვა, მომზადება, გაჩაღება ან განხორციელება, რომელიც თავისი ხასიათიდან, სიმძიმიდან და მასშტაბიდან გამომდინარე, წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების აშკარა დარღვევას, ქარტიის თანახმად, გაეროს მთავარ მიზნებში შედის საერთაშორისო მშვიდობის დაცვა, ხოლო თავის მხრივ, სახელმწიფოები ვალდებული არიან ურთიერთშორის დავა გადაწყვიტონ მხოლოდ მშვიდობიანი გზით, რათა საფრთხე არ შეექმნას საერთაშორისო მშვიდობასა და სამართლიანობას. ამასთან, საერთაშორისო ურთიერთობებში თავი უნდა შეიკავონ ძალისმიერი მუქარის ან ძალის გამოყენებისაგან ამა თუ იმ სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.³²

სახელმწიფოებს, რომლებსაც რატიფიცირებული აქვთ რომის სტატუტი, ეწოდებათ მონაწილე სახელმწიფოები და მონაწილეობას ღებულობენ მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეაში, რომელიც იკრიბება წელიწადში ერთხელ, სადაც თანხმდებიან სასამართლოს ადმინისტრაციის ძირითად წესებზე და იხილავენ სასამართლოს მუშაობას. მონაწილე სახელმწიფოები იხილავენ მათ მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფების გაწეული მუშაობის შედეგებს და სხვა ICC-თვის მნიშვნელოვან საკითხებს, შეიმუშავენ ახალ პროექტებს და ICC-ს წლიურ ბიუჯეტს.³³

ICC მართლმსაჯულებას ახორციელებს კერძო პირების მიმართ, სწორედ ეს ნიშანი განასხვავებს მას მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოსგან (ICJ), რომელიც წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახელმწიფოთა შორის კამათის გადაწყვეტის მთავარ სასამართლო ორგანოს.³⁴

რომის სტატუტის მიხედვით, ICC-ის იურისდიქცია ვრცელდება მხოლოდ სტატუტის ძალაში შესვლის შემდეგ მომხდარ დანაშაულებზე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ სტატუტის ძალაში შესვლის თარიღი არის 2002 წლის 1 ივლისი.

ამასთან იმ სახელმწიფოების ტერიტორიაზე, რომელიც ძალაში შესვლის შემდეგ შეუერთდა რომის სტატუტს, ჩადენილ დანაშაულებზე სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდება მხოლოდ ამ სახელმწიფოსთვის სტატუტის ძალაში შესვლის მერე ჩადენილ დანაშაულებებზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ახალი წევრი სახელმწიფო ICC-ის იურისდიქციას აღიარებს უკუძალით.

თუმცა, ასეთ სიტუაციაშიც სასამართლოს იურისდიქცია არ გავრცელდება 2002 წლის 1 ივლისამდე მომხდარ დანაშაულებზე. მიგვაჩნია, რომ რომის სტატუტის აღნიშნული დათქმა არ შეესაბამება სამართლიანობის პრინციპებს, ვინაიდან მსოფლიოს საუკუნეების მანძილზე ახსოვს კაცობრიობის და მშვიდობის წინააღმდეგ მიმართული უამრავი დანაშაულები, რომელიც გამოირჩეოდა თავისი სისასტიკით და რომელმაც მრავალი ათეული და ასეული მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა ბოლო ორი საუკუნის მანძილზე. შესაბამისად, ასეთ ქმედებებზე თუნდაც სიმბოლური (ვინაიდან, მათი ჩამდენი პირები აღარ არიან ცოცხალი) გადაწყვეტილებების მიღებას ჩვენი აზრით, ექნება საკმაოდ მნიშვნელოვანი პრევენციული ხასიათი, ვინაიდან საერთაშორისო სისხლის სამართლის დანაშაულის ჩამდენ პირებს, არ ექნებათ დაუსჯელობის სინდრომი და ეცოდინებათ, რომ თავიანთი აღზევების მომენტში არსებული სტატუსის მიუხედავად, მსოფლიო არ ივიწყებს მათ მიერ ჩადენილ საზარელ ქმედებებს და ისტორია მათ პიროვნებას სამართლიანად დაუმკვიდრებს დამნაშავის სახელს.

ICC-ის შემადგენლობაში შედის ოთხი ორგანო: ხელმძღვანელობა, პალატები, პროკურორის ოფისი და კანცელარია. ყველა ორგანოს აქვს განსაკუთრებული ფუნქცია და უფლებამოსილებები. სასამართლოს ჰყავს 18 მოსამართლე, რომელიც განაწილებულია წინასასამართლო (შედგება შვიდი მოსამართლისაგან), სასამართლო (შედგება ექვსი მოსამართლისაგან) და სააპელაციო (შედგება ხუთი მოსამართლისაგან) დეპარტამენტებში.

ICC-ის პროკურორის ოფისი წარმოადგენს სასამართლოს დამოუკიდებელ ორგანოს. მის უფლებამოსილებებში შედის ICC-ის იურისდიქციაში მყოფ შესაძლო ჩადენილ დანაშაულებებზე ინფორმაციის მიღება და განხილვა. კერძოდ, ადგენს, არსებობს თუ არა გონივრული საფუძველი გენოციდის, კაცობრიობის წინაშე დანაშაულებების, სამხედრო დანაშაულებების

ან აგრესიის დანაშაულის გამოძიების დაწყებისათვის და ამ დანაშაულებების სავარაუდო ჩამდენთა სასამართლოს წინაშე წარდგენისთვის. თავის მხრივ, პროკურორის ოფისი დაყოფილია სამ დეპარტამენტად: საგამოძიებო დეპარტამენტი – პასუხისმგებელი გამოძიებების ჩატარებაზე (მტკიცებულებების შეგროვება და გადამოწმება, ეჭვმიტანილთა, დაზარალებულთა და მოწმეთა დაკითხვა); სისხლისსამართლებრივი დევნის დეპარტამენტი – აქტიურად მონაწილეობს როგორც გამოძიების პროცესში, აგრეთვე სასამართლოს სხვადასხვა პალატების წინაშე ახორციელებს ბრალდების მხარდაჭერას; იურისდიქციის, კომპლემენტარულობისა და თანამშრომლობის დეპარტამენტი – განიხილავს საგამოძიებო დეპარტამენტის მიერ მოპოვებულ ინფორმაციას, აგრეთვე სისხლისსამართლებრივი დევნის საკითხებს, მსჯელობს სასამართლო განხილვისათვის საქმეთა დასაშვებობის საკითხებზე და ეხმარება პროკურორის ოფისს საკუთარი ფუნქციების შესრულებისათვის, სხვა აუცილებელი პირობების უზრუნველყოფაში.

ვეთანხმებით მოსაზრებას, რომ აგრესიის აქტი, შესაძლოა გამოიხატოს შეიარაღებულ თავდასხმაში (act of aggression), რაც წარმოადგენს ერთი სახელმწიფოს მხრიდან მეორე სახელმწიფოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის ხელყოფის აქტს³⁵ და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს განსჯადობის ასამოქმედებლად, კონკრეტული ქმედების მიმართ, საჭიროა გაეროს უშიშროების საბჭოს თანხმობა,³⁶ რაც ართულებს და პრობლემურს ქმნის საერთაშორისო ქმედითი ინსტრუმენტების ამოქმედების საკითხს.

მოცემულ თავში ჩვენ განვიხილეთ ის რთული გზა, რომელიც განვლო აგრესიის აქტის საერთაშორისო სამართალში რეგლამენტაციის პროცესმა, აგრეთვე მასზე რეაგირების საერთაშორისოსამართლებრივ ბერკეტებზე. აღსანიშნავია, რომ მსოფლიო დღეის მდგომარეობით შეთანხმდა აგრესიის აქტის დეფინიციაზე, ხოლო რამდენად ეფექტიანია საერთაშორისო სტრუქტურების მიერ მასზე რეაგირების საკითხი, ვის შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა მისი ჩადენისთვის და რა გამოწვევების წინ დგას დღეს მსოფლიო, ამას შემდეგ თავებში განვიხილავთ, მანამდე კი, მომდევნო თავი დაეთმობა აგრესიის აქტის, როგორც დანაშაულის რეგლამენტაციას ქართულ კანონმდებლობაში.

თავი IV. აგრესიის აქტის სისხლისსამართლებრივი კვალიფიკაცია

ქართულ კანონმდებლობაში

XXI საუკუნეში წარმატებით ვითარდება დემოკრატიული ქვეყნების სისხლის სამართლის კანონმდებლობის დაახლოების ტენდენცია, ამ პროცესს აქვს ორი ძირითადი მიმართულება: 1. სხვადასხვა ქვეყნების მიერ სისხლის სამართლის მისაღები ნორმების დაახლოება, მსგავსი

და მიახლოებული ნორმების დადგენის გზით; 2. სხვადასხვა სახელმწიფოში, ეტაპობრივად საერთაშორისო სისხლის სამართლის ნორმების ადაპტაცია და საბოლოოდ, მათი პრაქტიკაში დანერგვა გახდება საერთაშორისო ფუნდამენტური სამართლებრივი აქტის შექმნის საფუძველი.³⁷ გაეროს ინიციატივით და წევრ ქვეყნებთან მრავალწლიანი კონსულტაციებით, მართლაც მოხდა ისეთი ნაციონალური სისხლის სამართლის კანონმდებლობების დაახლოება, როგორც არის რომანულ-გერმანული, საერთო სამართლის, მუსლიმური და სხვა სისტემები, სადაც გაჩნდა ერთმანეთთან მიახლოებული და ერთგვაროვანი ნორმები, თუმცა მიუხედავად აღნიშნულისა, ამ მხრივ კვლავაც რჩება ბევრი საკითხი ღიად და სადავოდ.³⁸

მეცნიერთა ერთი ნაწილი დადებითად აფასებს საერთაშორისო დანაშაულებს ხელყოფის ობიექტის, ქმედების სუბიექტის და ქმედების საკვალიფიკაციო ნიშნების მიხედვით, ორ კატეგორიად დაყოფას. კერძოდ, საერთაშორისო დანაშაული, რომლისთვისაც პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია საერთაშორისო სამართლით (მაგ., გენოციდი, დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ, ომის დანაშაული, აგრესიის აქტი) და საერთაშორისო ხასიათის დანაშაული, რომლისთვისაც პასუხისმგებლობა დაწესებულია საერთაშორისო კონვენციებით (მაგ. ტერორიზმი, ფულის გათეთრება, იარაღისა და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვა, მეკობრეობა, ტრეფიკინგი და სხვ.).³⁹

საერთაშორისო დანაშაულების შესახებ მოსაზრებები ჯერ კიდევ, მე-19 საუკუნიდან იღებს სათავეს, რომელიც დროთა განმავლობაში დაიხვეწა და მასთან ბრძოლა გასცდა ეროვნულ საზღვრებს.⁴⁰ ამასთან, დღის წესრიგში მუდამ იდგა საკამათო საკითხი, საერთაშორისო დანაშაულის შესახებ პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე. მეცნიერთა ერთ ნაწილს იმთავითვე მიაჩნდა, რომ სახელმწიფოსათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება არღვევდა სისხლის სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს,⁴¹ რუმინელმა მკვლევარი ვესპასიან პელლა, ყურადღებას ამახვილებდა იმ გარემოებაზე, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება სახელმწიფოს, კონკრეტული პირის დანაშაულებრივი ქმედებების საფუძველზე და ეს პირი იქნება ამ სახელმწიფოს მეთაური, საკითხი იქნებოდა პრობლემური, ვინაიდან სახეზე გვექნებოდა დამნაშავის მიერ წინააღმდეგობის გაწევის დროს სახელმწიფოს რესურსების გამოყენების რეალური საშიშროება, რაც თავის მხრივ, შესაძლებელია გაგებული იქნეს, როგორც საერთაშორისოსამართლებრივი მექანიზმების არაეფექტიანობაზე დასმული აქცენტი, ვინაიდან მაგალითად, საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს არ გააჩნია ასეთ შემთხვევებში, რაიმე სახის სამართლებრივი ან ძალისმიერი ბერკეტი.⁴²

აღნიშნული პოზიციის საწინააღმდეგოდ, მეცნიერთა ერთი ნაწილი თვლის, რომ საერთაშორისო დანაშაულის ფაქტებზე, აუცილებელია პასუხისმგებლობა დაეკისროს სახელმწიფოსაც, რომლის მესვეურებმაც ჩაიდინეს აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედება.⁴³

უფრო მეტიც, მეცნიერთა ერთი ნაწილი თვლიდა, რომ კონკრეტული პირის მიერ სახელმწიფო რესურსებით ჩადენილ დანაშაულებზე პასუხი უნდა ეგო აგრეთვე, აღნიშნული ქვეყნის მოსახლეობასაც და მათ მომავალ თაობებსაც,⁴⁴ რასაც კატეგორიულად ვერ დავეთანხმებით, რადგან ასეთ შემთხვევებში, სახეზე გვექნება მშვიდობიან მოქალაქეთა უფლებების მასობრივი დარღვევის ფაქტი.

რაც შეეხება ქართულ სისხლის სამართლის კოდექსში აგრესიის აქტის რეგლამენტაციის საკითხს, უნდა აღინიშნოს, რომ ეს პროცესი საკმაოდ საინტერესო და მნიშვნელოვანი ცვლილებების ფონზე განხორციელდა. იმისათვის, რომ უკეთ წარმოვაჩინოთ აგრესიის აქტის ჩადენის პასუხისმგებლობისა და მისი განსჯადობის საკითხები, მიზანშეწონილია, გავეცნოთ ქართულ კანონმდებლობაში მისი აღმოცენების, განვითარებისა და საერთაშორისო კანონმდებლობასთან შესაბამისობის საკითხებს.

თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ 1999 წლამდე, საქართველოში მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში, აგრესიის აქტი ან აგრესიული ომის გაჩაღება,⁴⁵ როგორც დანაშაულებრივი ქმედება არ არსებობდა. ამასთან, აღნიშნულ კოდექსში გვხვდებოდა საერთაშორისო სამართლის განსჯადი ისეთი დანაშაულები ან დანაშაულის შემადგენელი ნაწილები, როგორც არის: მაროდირობა (მოკლულთა და დაჭრილთა ნივთების გატაცება),⁴⁶ ძალადობა მოსახლეობის მიმართ საომარი მოქმედების რაიონში,⁴⁷ ცუდი მოპყრობა სამხედრო ტყვეებისადმი⁴⁸ და წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ნიშნების უკანონო ტარება და ამ ნიშნების ბოროტად გამოყენება.⁴⁹

„სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდების“ რატიფიცირების თაობაზე, საქართველოს პარლამენტმა დადგენილება მიიღო 2003 წლის 16 ივლისს.⁵⁰ შესაბამისად, სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდება საქართველოს ტერიტორიაზე ან საქართველოს მოქალაქეების მიერ აღნიშნული პერიოდის შემდგომ ჩადენილ დანაშაულებზე. მიუხედავად აღნიშნულისა, 1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსში, წინმსწრებად და სრულყოფილად იქნა ასახული რომის სტატუტით გათვალისწინებული საერთაშორისო დანაშაულები, რაც იმაზეც მეტყველებს, რომ სისხლის სამართლის კოდექსზე მომუშავე სპეციალისტები, გარდა პროგრესული და კვალიფიციური მიდგომებისა, ითვალისწინებდნენ სამომავლოდ, საქართველოს მიერ რომის სტატუტის რატიფიცირების შესაძლებლობას.

მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მე-14 კარი წარმოადგენს კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს. კარი შედგება ერთი თავისაგან, კერძოდ, XLVII თავისგან, რომელიც წარმოადგენს კაცობრიობის მშვიდობის, უშიშროებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს,⁵¹ რომელიც მოიცავს 10 მუხლს და წარმოადგენს კაცობრიობის მშვიდობის, უშიშროებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული

სამართლის საწინააღმდეგო დანაშაულებს. მოცემულ თავში რეგლამენტირებულია ჩვენი კვლევის მთავარი ობიექტი – აგრესიის აქტი.⁵² როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განსახილველი დანაშაულებრივი ქმედება, მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში თავდაპირველად ფორმულირებული იყო, როგორც აგრესიული ომის მომზადება ან წარმოება, რომელმაც დროთა განმავლობაში განიცადა გარკვეული ცვლილებები. კერძოდ, 2006 წლის 28 აპრილის ცვლილებით, მუხლის მეორე ნაწილისათვის დაწესებული მინიმალური სასჯელის ოდენობა – 10 წელი გაიზარდა 15 წლის ვადით, რაც კანონმდებლის მიერ ახსნილი იყო სასჯელის ზედა და ქვედა ზღვარის საკმაო ვარიაციულობით.⁵³

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 აგვისტოს გადაწყვეტილებით, საქართველოს პარლამენტში მომხსენებლად დაინიშნა საქართველოს იუსტიციის მინისტრის მაშინდელი მოადგილე, რომელსაც დაევალა „2010 წლის 11 ივნისს ქ. კამპალაში, უგანდა „სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდების“ მიმოხილვით კონფერენციაზე მიღებული ცვლილებების“ და თანდართული კანონპროექტის „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს პარლამენტში წარდგენა.⁵⁴

რაც შეეხება კამპალას კონფერენციაზე მიღებულ გადაწყვეტილებას, ამაზე ვრცლად ვისაუბრეთ კვლევის წინა ნაწილში,⁵⁵ რომლის შედეგებიც აგრეთვე, შეეხო ქართულ სისხლის სამართლის კოდექსს და 2014 წლის 30 ოქტომბერს განხორციელებული ცვლილებით, იგი შესაბამისობაში მოვიდა კამპალას კონფერენციაზე შემუშავებულ აგრესიის აქტის განმარტებასთან. კერძოდ, შეიცვალა როგორც სსკ-ის 404-ე მუხლის დასახელება, აგრეთვე მისი დისპოზიციაც და იგი ჩამოყალიბდა, როგორც აგრესიის აქტის დაგეგმვა, მომზადება, დაწყება ან წარმოება. აღნიშნული ცვლილებით მუხლის სახელწოდება და დისპოზიცია შესაბამისობაში მოვიდა რომის სტატუტთან.⁵⁶

საქართველოს სსკ-ის 404-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის საფუძვლები არის გაეროს, ნიურნბერგის, ტოკიოს, იუგოსლავიისა და რუანდის ტრიბუნალების წესდებები, აგრეთვე, გაეროს გენერალური ასამბლეის 1974 წლის 14 დეკემბრის #3314 რეზოლუციის მიხედვით, აგრესიის აქტის განმარტება.⁵⁷

რაც შეეხება განსახილველი დანაშაულის შემადგენლობას, მისი ობიექტია მსოფლიოში მშვიდობის დაცვა და განმტკიცება, აგრეთვე სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანი ურთიერთობის შენარჩუნება და მშვიდობიან გარემოში თანაარსებობა. განსახილველი დანაშაულებრივი ქმედება შედგება ორი ნაწილისგან, რომელიც განაპირობებს დანაშაულის ობიექტურ მხარეს. კერძოდ, პირველი ნაწილით რეგლამენტირებულია აგრესიული აქტის დაგეგმვა ან/და მომზადება, რომელიც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით – შვიდიდან თხუთმეტ წლამდე, ხოლო მეორე ნაწილით – დაწყება ან/და წარმოება, შესაბამისად მეორე ნაწილით

გათვალისწინებული სანქცია უფრო მკაცრია და სასჯელის სახედ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით – თხუთმეტიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას.

აგრესიის აქტის დაგეგმვა, მომზადება, დაწყება ან წარმოება თავისი შინაარსით და ბუნებით შესაძლებელია გამოიხატოს მხოლოდ პირდაპირ განზრახვაში და მისი ჩამდენი პირი – დანაშაულის სუბიექტი ფორმალურად შესაძლებელია იყოს 14 წელს მიღწეული ნებისმიერი ფიზიკური შერაცხადი პირი.⁵⁸

საქართველოს სსკ-ის 404-ე მუხლის შენიშვნის მიხედვით, მოცემული ქმედებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება პირს, რომელსაც თავისი მდგომარეობის გამო, აქვს სახელმწიფოს პოლიტიკური ან სამხედრო მოქმედებების ეფექტიანი კონტროლის ან ხელმძღვანელობის შესაძლებლობა. აღნიშნული ჩანაწერი იძლევა საფუძველს ვარაუდისთვის, რომ დანაშაულს ჰყავს სპეციალური სუბიექტი, კერძოდ კი, პირი ვის ხელშიც თავმოყრილია უმაღლესი პოლიტიკური და სამხედრო ძალაუფლება. მაგალითად, პრეზიდენტი, უმაღლესი მთავარსარდალი, პრემიერ-მინისტრი, თავდაცვის მინისტრი, შეიარაღებული ძალების მეთაური, სარდალი და სხვა. როგორც წესი, აღნიშნულ თანამდებობებს დემოკრატიულ ქვეყნებში იკავებენ სრულწლოვანი, გარკვეული განათლებისა და გამოცდილების მქონე პირები, შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ 14 წლის ფიზიკური პირისათვის აღნიშნული დანაშაულის ჩადენა თეორიულად არ არის გამორიცხული, განსაკუთრებით აბსოლუტური მონარქიის ქვეყნებში. რაც შეეხება „აგრესიის აქტის“ განმარტებას, გაეროს წესდებისა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, იგი ნიშნავს სახელმწიფოს მიერ შეიარაღებული ძალების გამოყენებას სხვა სახელმწიფოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ან სხვაგვარად, რაც ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას. პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება ისეთი აგრესიის აქტის დაგეგმვისთვის, მომზადებისთვის, დაწყებისთვის ან წარმოებისთვის, რომელიც თავისი ხასიათით, სიმძიმითა და მასშტაბით ამკარად არღვევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას.

საქართველოს სსკ-ის 404-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედება განეკუთვნება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გამომძიებლის უწყებრივ საგამოძიებო ქვემდებარეობას.⁵⁹

საქართველოს პარლამენტის მიერ 2003 წლის 14 აგვისტოს მიღებული იქნა კანონი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან საქართველოს თანამშრომლობის შესახებ, რომელიც არეგულირებს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს 1998 წლის 17 ივლისის წესდების – რომის სტატუტის საფუძველზე დაფუძნებულ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან საქართველოს თანამშრომლობის საკითხებს, განსაზღ-

ვრავს საერთაშორისო სასამართლოსთან საქართველოს თანამშრომლობაზე უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოსა და საერთაშორისო სასამართლოსთან თანამშრომლობისას სამართლებრივი ურთიერთდახმარების ფორმებს.

საქართველოში საერთაშორისო სასამართლოსთან თანამშრომლობაზე უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოა საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, რომელიც უზრუნველყოფს თანამშრომლობის თაობაზე საერთაშორისო სასამართლოს თხოვნის მიღებას, მისი შესრულებისთვის აუცილებელი ღონისძიებების განხორციელებას, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში, თხოვნათა შესრულებისთვის საქართველოს შესაბამის სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობის კოორდინაციას.⁶⁰

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, თავის კომპეტენციის ფარგლებში უფლებამოსილია პირი გადასცეს საერთაშორისო სასამართლოს, აგრეთვე საერთაშორისო სასამართლოს თხოვნის შესაბამისად, საქართველოს პროკურატურას დაავალოს რომის სტატუტის 70-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, განახორციელოს სისხლისსამართლებრივი დევნა.⁶¹

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ გამოძიების ფარგლებში მოპოვებულ მტკიცებულებებს გადასცემს საერთაშორისო სასამართლოს, რის საფუძველზეც, ამ უკანასკნელს შეეძლება დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა კონკრეტული პირ(ებ)ის მიმართ.⁶²

საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდება საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილ იმ დანაშაულთა მიმართ, რომლებიც სტატუტის შესაბამისად, საერთაშორისო სასამართლოს განსჯადობას განეკუთვნება. თუ საერთაშორისო სასამართლო მიიჩნევს, რომ დანაშაულებრივი ქმედება მისი განსჯადია, იუსტიციის სამინისტროს უფლება აქვს, პროკურატურასთან შეთანხმებით, მიიღოს საერთაშორისო სასამართლოს თხოვნა ან სტატუტის მე-19 მუხლის შესაბამისად, გაასაჩივროს საერთაშორისო სასამართლოს განსჯადობა, ხოლო განსჯადობის თაობაზე კითხვების არარსებობის შემთხვევაში, იუსტიციის სამინისტრო საქმის მთლიან მასალას უგზავნის საერთაშორისო სასამართლოს, რაც თავის მხრივ, იწვევს საქართველოში პირის მიმართ დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერებას.⁶³

იუსტიციის სამინისტროს შეუძლია საერთაშორისო სასამართლოს გადაუგზავნოს ის მტკიცებულებები, რომელიც მოიპოვა პროკურატურამ გამოძიების ფარგლებში და ამ მტკიცებულებით შესაძლებელია დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა ან უკვე დაწყებული საერთაშორისო გამოძიება გაადვილდება.⁶⁴ იმ შემთხვევაში, თუ გამოძიების ფარგლებში შეკრებილი მტკიცებულებების ანალიზი ცხადყოფს, რომ ჩადენილია დანაშაული, რომლის განხილვაც განეკუთვნება საერთაშორისო სასამართლოს განსჯადობას, იუსტიციის სამინისტ-

ტრო იღებს გადაწყვეტილებას, რომის სტატუტის მე-14 მუხლის შესაბამისად, აღნიშნულის თაობაზე აცნობოს საერთაშორისო სასამართლოს და გაუგზავნის თხოვნას, რათა საქმეზე გააგრძელოს შემდგომი გამოძიება.⁶⁵

რაც შეეხება საჭიროების შემთხვევაში, საერთაშორისო სასამართლოს მიერ ძებნის, დაკავების ან სხვა იძულების ღონისძიების თხოვნას აგრეთვე, შესაძლებელია წარიმართოს ინტერპოლის მეშვეობითაც. თხოვნა უნდა შეიცავდეს: საქმის არსებითი გარემოებების სრულყოფილ მიმოხილვას, ასევე მათ სამართლებრივ კვალიფიკაციას; დეტალურ და სრულ ინფორმაციას იმ პირზე, რომლის მიმართაც წარმოებს სისხლის სამართლის საქმე, ასევე დეტალურ ცნობებს პირზე, ადგილზე ან ობიექტზე, რომელთა დადგენა და ამოცნობა საჭიროა აღნიშნული თხოვნის შესასრულებლად; თხოვნის ობიექტის, ასევე შესასრულებელი პროცედურებისა და მოთხოვნილი დახმარების სრულყოფილ მიმოხილვას.⁶⁶ ანალოგიურად, საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციას დაქვემდებარებული დანაშაულის გამოვლენის დროს, საქართველოს გენერალურ პროკურატურას, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მეშვეობით უფლება აქვს თხოვნით მიმართოს საერთაშორისო სასამართლოს.⁶⁷

აღნიშნული პროცედურული ნორმები ნაყოფიერ ნიადაგს აძლევს საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებს, ICC-თან მჭიდრო თანამშრომლობის განხორციელების და საერთაშორისო დანაშაულების ეფექტიანი გამოძიების მხრივ.

აქვე დავეთანხმებით მეცნიერთა ერთი ნაწილის მოსაზრებას, რომ კაცობრიობის მშვიდობის, უშიშროებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ბოლო თავში მოთავსება ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების პრიმატს. გარდა აღნიშნულისა, ამ თავით გათვალისწინებული დანაშაულები თავიანთი ხასიათით და საშიშროების ხარისხით აღემატება თუნდაც, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებს.⁶⁸ შესაბამისად, ამ მხრივ, მიზანშეწონილია სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში განხორციელდეს ტექნიკური ხასიათის საკანონმდებლო ცვლილებები, რაც ხელს შეუწყობს მოქმედი კანონმდებლობის განვითარებასა და სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ზოგად პრინციპებთან შესაბამისობაში მოყვანას.

აღნიშნული თავის შეჯამებისათვის უნდა ითქვას, რომ აგრესიული აქტის დაგეგმვის, მომზადების, განხორციელების და წარმოების სუბიექტი არის მხოლოდ ფიზიკური პირი და არა სახელმწიფო. შესაბამისად, გამოძიების ფარგლებში საქმეზე მტკიცებულებების შეკრება უნდა წარმოებდეს კონკრეტული პირების მიმართ, რაც შესაძლოა იყოს ერთგვარად პრობლემური, ვინაიდან აღნიშნული ქმედების ინიციატორის მიმართ პირდაპირი მტკიცებულებების შეკრება

მოითხოვს განსაკუთრებულ და დიდ ძალისხმევას. ფაქტია საქართველოს სსკ-ის 404-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული არ არის სტანდარტული და მარტივად გამოსაძიებელი დანაშაული, მაგრამ მისი სრულყოფილი, ობიექტური, ყოველმხრივი და ეფექტიანი გამოძიების გარანტი არის ის საერთაშორისო ბერკეტები, რაზეც მოცემულ თავში გვექონდა საუბარი.

როგორც შესავალში აღვნიშნეთ, მსოფლიოში მიმდინარე პროცესები და საქართველო-რუსეთის 2008 წლის საომარი მოქმედებების სამართლებრივ ჭრილში განხილვა დაგვეხმარება საკვლევი პრობლემატიკის უკეთ წარმოჩენაში და კვლევის შემდეგი თავი დაეთმობა აღნიშნულ საკითხს.

თავი V. რუსეთის აგრესიული ომი საქართველოს და უკრაინის მიმართ და მისი სისხლისსამართლებრივი კვალიფიკაცია

იმისათვის, რომ საერთაშორისო დანაშაულებზე გავრცელდეს შიდასახელმწიფოებრივი იურისდიქცია, საჭიროა სახელმწიფომ მოახდინოს რომის სტატუტის იმპლემენტაცია შიდა კანონმდებლობაში (nullum crimen). თავის მხრივ, საერთაშორისო აქტის იმპლემენტაცია, სახელმწიფოს აძლევს შესაძლებლობას, რომ საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს განსჯად საქმეებზე, ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით, შეძლოს სისხლის-სამართლებრივი დევნის და მართლმსაჯულების განხორციელება. ეს მექანიზმი წარმოშობს კომპლემენტარულობის პრინციპს, რომლის მიხედვით, საერთაშორისო სისხლის სამართლის დანაშაულზე რეაგირების უფლება ეძლევა სახელმწიფოს, ხოლო თუ სახელმწიფოს არ სურს ან არ ძალუძს აღნიშნული დანაშაულების გამოძიება, ასეთ შემთხვევაში ამოქმედდება საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო.⁶⁹

2008 წლის აგვისტოში, რუსეთმა სრულმასშტაბიანი აგრესია განახორციელა საქართველოს მიმართ, რაც გამოიხატებოდა რუსეთის შეიარაღებული ძალების კერძოდ, სამხედრო ტექნიკის, ტანკების, არტილერიის, ასობით თვითმფრინავისა და ათასობით რუსი ჯარისკაცის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე აგრესიული შეტევის განხორციელებაში, რა დროსაც განადგურდა მშვიდობიანი მოსახლეობა და ინფრასტრუქტურა. ეს დადასტურებულია Human Right Watch-ის მიერ მოპოვებული თანამგზავრული ფოტოებითაც, აღნიშნული აგრესიული აქტის მთავარი მიზანი იყო ქართველთა გენოციდი, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა და სეპარატისტული რეჟიმის წახალისება – ძირძველი ქართული მოსახლეობა გაედევნათ მათი საცხოვრებელი ადგილებიდან.

რუსეთ-საქართველოს ომი იყო რეგიონში რუსეთის იმპერიალისტური ზრახვების გამოვლინების საწყისი ეტაპი და ვფიქრობთ, მსოფლიო მყისიერად და ქმედითად უნდა ჩა-

რეულიყო მის სამართლებრივ შეფასებაში, რაც სამწუხაროდ, არ განხორციელდა და 2014 წელს და 2022 წელს ხელი შეუწყო უკრაინაში რუსეთის ფედერაციას აგრესიის აქტების განხორციელებაში, რაც დღესაც გრძელდება. გასაგებია, რომ რუსეთი არ არის რომის სტატუსის მონაწილე ქვეყანა, მაგრამ საერთაშორისო თანამეგობრობამ აუცილებლად უნდა მიიღოს ზომები და ხელი შეუშალოს აგრესორ ქვეყანას „ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარებაში,“ მოახერხებს თუ არა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილი დემოკრატიული სასამართლო მართლწესრიგი უხეში ძალის დაძლევის საერთაშორისო სამართლით, ამაზე იქნება დამოკიდებული მსოფლიოს მომავალი. ფაქტია, რომ „უკანონობამ კანონის ძალის დაჯახნა ვერ უნდა მოახერხოს.“⁷⁰

2008 წლის აგვისტოში, რუსეთის მიერ საქართველოში განხორციელებული აგრესიის აქტის ICC-ის პროკურორის ოფისის მიერ გამოძიების აუცილებლობაზე და აგრეთვე, რუსეთის მიერ გაეროს უშიშროების საბჭოს ფარგლებში ვეტოს გამოყენების პრობლემატიკაზე აპელირებენ საერთაშორისო დარგის სპეციალისტები,⁷¹ რასაც ვეთანხმებით და მიგვაჩნია, რომ მსოფლიო დღესაც დგას აღნიშნული დილემის წინაშე, რასაც ნათლად ადასტურებს უკრაინაში განვითარებული საზარელი მოვლენები.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომთან დაკავშირებით ICC-ის პროკურორის ოფისი იძიებდა სასამართლოს იურისდიქციაში შემავალ 2 ტიპის დანაშაულს. კერძოდ, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს და ომის დანაშაულებს. აღნიშნული გამოძიების ფარგლებში რა თქმა უნდა, ჩართული იყვნენ ქართველი სამართალდამცავები, რომლებმაც მოიპოვეს უმნიშვნელოვანესი მტკიცებულებები. ფაქტია, გამოძიებისა და მისი მასალების შეფასების პროცესი დროში გაიწელა, მაგრამ 2021 წლის 21 იანვარს, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა სასამართლომ გამოიტანა ისტორიული გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით რუსეთის ფედერაცია ახორციელებს საქართველოს განუყოფელი რეგიონების – აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის უკანონო ოკუპაციასა და ეფექტიან კონტროლს და არღვევს 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას. ნიშანდობლივია, რომ სტრასბურგის სასამართლომ დაადასტურა ის ფაქტიც, რომ 2008 წლის აგვისტოს ომი ორ სახელმწიფოს – რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის მიმდინარეობდა და რუსეთი საქართველოს ტერიტორიაზე შეიჭრა.⁷² 2008 წლის აგვისტოს ომის საქმეზე სტრასბურგის სასამართლოს შემდეგ, საქართველომ მორიგი გამარჯვება მოიპოვა ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში. კერძოდ, ჰააგის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, რუსეთის მიერ საქართველოს მიმართ განხორციელებული საომარი მოქმედებების დროს, ქართველი სამოქალაქო ტყვეების წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტზე, სასამართლოს პროკურორმა დაკავების ბრძანებები

გამოსცა სეპარატისტული რეჟიმის 3 მაღალჩინოსანი ბრალდებულის მიმართ. გამოძიების ფარგლებში აგრეთვე, გამოკვეთილია რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების აწ გარდაცვლილი სამხედრო მაღალჩინოსნის როლი, რომელმაც გამოძიების ვარაუდით, განზრახ ხელი შეუწყო ზემოხსენებული დანაშაულების ჩადენას.⁷³ როგორც აღვნიშნეთ, რუსეთის ფედერაცია არ არის ICC-ის წევრი სახელმწიფო. რუსეთმა 2016 წელს გაიწვია, 16 წლით ადრე, რომის სტატუტზე გაკეთებული ხელმოწერა და ამით ჰააგის სასამართლოს და მთელ მსოფლიოს აჩვენა, რომ არც უკრაინისა და არც საქართველოს სიტუაციების გარშემო მიმდინარე საკითხებზე არ აპირებს მასთან თანამშრომლობას.⁷⁴

ICC აგრესიის დანაშაულზე თავის იურისდიქციას ახორციელებს იმ შემთხვევაში, თუ აგრესიის აქტი ჩადენილი იქნება მონაწილე სახელმწიფოს მიერ, სასამართლოს არ გააჩნია იურისდიქცია აგრესიის დანაშაულზე, თუ ამ დანაშაულს ადგილი ჰქონდა არამონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე ან დანაშაულის ჩამდენი პირი არ არის მონაწილე სახელმწიფოს მოქალაქე. მსოფლიოში მიმდინარე შემზარავი მოვლენების ფონზე უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების უკრაინაში შეჭრამ დაარღვია გაეროს წესდების აკრძალვა აგრესიაზე და იგი შეიძლება ჩავთვალოთ აგრესიის დანაშაულად სისხლის საერთაშორისო სამართლის მიხედვით.⁷⁵ მიუხედავად აღნიშნულისა, არსებობს დიდი დაბრკოლებები, რომლებიც ხელს უშლის რუსეთის ლიდერების გასამართლებას ICC-ში, ვინაიდან არც უკრაინა და არც რუსეთი არ არის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდების ხელმოწერი ქვეყანა.⁷⁶

აქვე უნდა შევხებით სამწუხარო რეალობას იმასთან დაკავშირებით, რომ რომის სტატუტით გათვალისწინებული მოცემულობა, რომ გაეროს უშიშროების საბჭომ მიმართოს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პრაქტიკულად, შეუძლებელია, ვინაიდან რუსეთის ფედერაცია გაეროს უშიშროების საბჭოში სარგებლობს ვეტოს უფლებით, ამასთან ამ მხრივ, იმედისმომცემი არ იქნება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პოზიცია.⁷⁷

შექმნილ პრობლემურ მოცემულობაში ექსპერტთა გარკვეული ნაწილი მანც თვლის, რომ აგრესიის დანაშაული შეიძლება გასამართლდეს სახელმწიფოს დონეზე, რუსეთში, უკრაინასა ან სხვა ქვეყნებში, რომლებშიც დაშვებულია ომის დანაშაულებზე საერთო იურისდიქცია.⁷⁸ კატეგორიულად ვერ დავეთანხმებით იმ რუსი მეცნიერების მოსაზრებებს, რომლებიც ცდილობდნენ და ცდილობენ საქართველოსა და უკრაინაში რუსეთის აგრესიის აქტების გამართლებას და მის მონათვლას თითქოსდა რუსეთის ფედერაციის მიერ მსოფლიო წესრიგის, მშვიდობისა და ჰუმანიტარული მიზნებით განხორციელებულ სამშვიდობო ოპერაციად,⁷⁹ რაც საკმაოდ ცინიკურად ჟღერს იმ ფონზე დღეს, როდესაც რუსეთი უკრაინის წინააღმდეგ აწარმოებს აგრესიულ ომს, რომელსაც უკვე შეეწირა უამრავი მშვი-

დობიანი მოქალაქის და მათ შორის, ასობით ბავშვის სიცოცხლე,⁸⁰ ყოველივე აღნიშნულს სათანადო პასუხს სცემს ICC-ის გადაწყვეტილება, რომელსაც მთელი მსოფლიო ელოდა. დღეისათვის უკვე გაცემულია და მოქმედებს დაკავების ბრძანება ომის აგრესორი მხარის პრეზიდენტის მიმართ.

საკვლევი თემის ირგვლივ აგრეთვე, საინტერესო რაკურსს ქმნის ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ეხება კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს და მისი ჩამდენი პირებისადმი ისტორიული რევიზიის ჩატარების მცდელობებს. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, ევროპის სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებებით, აშკარად ნეგაციონისტური პოზიციები ჩაითვალა სიტყვის თავისუფლებად. მაგალითად, საქმეზე მარი-ფრანსუა ლეჰიდუქსი და ჟაკ ისორნი საფრანგეთის წინააღმდეგ, ევროპის სასამართლომ საფრანგეთის ხელისუფლებას, რომელმაც დასაჯა მ. ლეჰიდუქსი და ჟ. ისორნი, საფრანგეთის კოლაბორაციონისტი მარშალის ანრი ფილიპ პეტენის რეაბილიტაციის მცდელობისთვის (ეს უკანასკნელი გასამართლებული იქნა ნიურნბერგის პროცესზე და ომის დანაშაულების გამო, სხვა ნაცისტ დამნაშავეებთან ერთად მიესაჯა სიკვდილით დასჯა და სამოქალაქო უფლებების ჩამორთმევა), დაუდგინა გამოხატვის თავისუფლების დარღვევა და ჩათვალა, რომ მომჩივნები მაღალ შეფასებას აძლევდნენ არა ნაცისტურ რეჟიმს, არამედ კონკრეტულ პიროვნებას, კერძოდ მარშალ პეტენს. გარდა აღნიშნულისა, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ერთობ დელიკატურ საკითხზე, კერძოდ, ხანდაზმულობის ვადებზე და აღნიშნა, რომ „ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, ისეთივე უადგილოა მსგავსი შენიშვნების გაკეთება 40 წლის შემდეგ,⁸¹ როგორც იქნებოდა 10-20 წლით ადრე.“⁸² ჩვენი აზრით, აღნიშნული გადაწყვეტილება იმსახურებს ობიექტურ კრიტიკას, ვინაიდან მიუხედავად დროისა და პიროვნების სხვა დადებითი მხარეებისა და დამსახურებებისა, არ უნდა შეიქმნას კანონიერი პლატფორმები კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულის ჩამდენ პირთა რეაბილიტაციის ან სხვაგვარი რეანიმაციისა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მიუხედავად გასული წლების თუ საუკუნეების, წარმოვიდგინოთ სამომავლო პერსპექტივაში, თუნდაც ისეთი პირების გამართლების მცდელობა, როგორებიც იყვნენ ადოლფ ჰიტლერი, ჰერმან გერინგი, იოზეფ მენგელე, ადოლფ ეიხმანი, ჰასან ნგებე, ფერდინანდ ნაჰიმანა, ჟან-ბოსკო ბარაიაგვიზა, სლობოდან მილოშევიჩი და სხვა ან როგორც დღევანდელ რეალობაში არის აგრესორი ქვეყნის რუსეთის პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობა. უდავო იქნება, რომ ასეთ ვითარებაში საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს გადაწყვეტილებები დაკარგავს თავის პრევენციულ ძალას და თავის ძირითად ფუნქციას.

დასკვნა

ნიურნბერგის, ტოკიოს, იუგოსლავიის და რუანდის ტრიბუნალები როგორც აღვნიშნეთ იყო პრეცედენტული, ვინაიდან საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლომ განიხილა და გადაწყვეტილება მიიღო საერთაშორისო სისხლის სამართლის მძიმე დანაშაულის ფაქტებზე, მაგრამ მიმდინარე და წინა საუკუნეში, მსოფლიო ისტორიას ახსოვს უამრავი საერთაშორისო დანაშაულის ჩადენის საზარელი ფაქტები, რომელთა ნაწილზე მსოფლიოს საზოგადოება შეთანხმდა და აღიარა საერთაშორისო დანაშაულად, ხოლო ნაწილი არ აღიარებულა. სამწუხაროდ, დღემდე არ უმსჯელია საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს: 1492-1900 წლებში, აბორიგენი ინდიელი მოსახლეობის მასობრივ განადგურებაზე, რაც შედეგად მოჰყვა ევროპელთა მიერ „ახალი სამყაროს“ კოლონიზაციას და რასაც ათობით მილიონი აბორიგენი ამერიკელის სიცოცხლე შეეწირა, ლეოპოლდ II-ის მიერ გატარებულ პოლიტიკაზე, რომელსაც 1885-1908 წლებში კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მრავალი მილიონი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, 1915-1923 წლებში სომეხთა გენოციდზე, რა დროსაც განხორციელდა სომეხი ხალხის სისტემური განადგურება ოსმალეთის მმართველთა მიერ, 1932-1933 წლებში, საბჭოთა კავშირში ე.წ. „გოლოდომორზე“, რომელსაც მრავალი მილიონი უკრაინელი შეეწირა, 1975-1979 წლებში განხორციელებულ კამბოჯას გენოციდზე, როდესაც გენერალ პოლ პოტის სისხლიან პოლიტიკას მრავალი მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, 1914-1923 წლებში, თურქეთის ქემალისტური მთავრობის მიერ ბერძენთა გენოციდზე, რომელსაც ეთნიკური ბერძენების სისტემური განადგურება მოჰყვა აღმოსავლეთ თრაკიასა და მცირე აზიაში, 1967-1970 წლებში განხორციელებულ ნიგერიის სამოქალაქო ომზე, რომელიც წარმოებდა ეთნიკურ და პოლიტიკურ ნიადაგზე ჩრდილოეთში მცხოვრებ მუსლიმ ჰაუსას და სამხრეთში მოსახლე ქრისტიან იგბოს ხალხებს შორის, რასაც მილიონობით მშვიდობიანი მოსახლის სიცოცხლე შეეწირა, 2014-2015 წლებში მასობრივი ძალადობა და გენოციდი ისლამური სახელმწიფოს (ISIS) მიერ ერაყსა და სირიაში, რომელმაც აგრეთვე მილიონობით მშვიდობიანი მოქალაქის სიცოცხლე შეეწირა. ამ შემზარავი ფაქტების ჩამონათვალი სამწუხაროდ, არასრულია და მათი ჩამდენი პირები არ არიან დასჯილი, ხოლო გერმანელი ნაცისტებისა და იაპონელი სამხედრო დამნაშავეების გამორჩეულად და სრული სიმკაცრით დასჯა, რა დროსაც სამხედრო ტრიბუნალმა სასჯელის უმაღლესი ზომა სიკვდილით დასჯა გამოიყენა, ბადებს საფუძვლიან ვარაუდს, რომ საერთაშორისო სისხლის სამართალი თავისი სრული სიმკაცრით, მხოლოდ ომებში და კონფლიქტებში დამარცხებული ძალების მმართველ პირებზე მოქმედებს. მსოფლიოს ქვეყნები შეთანხმდნენ, რომ კაცობრიობის წინააღმდეგ

ჩადენილი დანაშაული არავის უნდა ეპატიოს, რათა დაცული იყოს საერთაშორისო მშვიდობა და დღეს უკვე პლანეტის არსებობაც, რომელსაც თანამედროვე ატომურმა თუ სხვა იარაღმა შეუქმნა განადგურების საფრთხე. ყოველივე აღნიშნულის ფონზე, საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს განსაკუთრებული გამოწვევების წინაშე აყენებს, რუსეთის მიერ 2008 წელს, საქართველოს მიმართ განხორციელებული აგრესიული ომის შესახებ დაგვიანებული და ჩვენი აზრით, არასაკმარისი გადაწყვეტილების გამოტანის და სამეცნიერო ნაშრომზე მუშაობის პერიოდში უკრაინის მიმართ განხორციელებული აგრესიული ომის გამოძიებისა და განხილვის პროცესში.

რომის სტატუტის მიხედვით ICC-ის იურისდიქცია ვრცელდება მხოლოდ სტატუტის ძალაში შესვლის შემდეგ მომხდარ დანაშაულებზე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სტატუტის ძალაში შესვლის თარიღი არის 2002 წლის 1 ივლისი. ამასთან, იმ სახელმწიფოების ტერიტორიაზე, რომელიც ძალაში შესვლის შემდეგ შეუერთდა რომის სტატუტს, ჩადენილ დანაშაულზე სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდება მხოლოდ ამ სახელმწიფოსთვის სტატუტის ძალაში შესვლის მერე ჩადენილ დანაშაულებებზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ახალი წევრი სახელმწიფო ICC-ის იურისდიქციას აღიარებს უკუძალით. თუმცა, ასეთ სიტუაციაშიც, სასამართლოს იურისდიქცია არ გავრცელდება 2002 წლის 1 ივლისამდე მომხდარ დანაშაულებზე. მიგვაჩნია, რომ რომის სტატუტის აღნიშნული დათქმა არ შეესაბამება სამართლიანობის პრინციპებს, ვინაიდან მსოფლიოს საუკუნეების მანძილზე ახსოვს კაცობრიობისა და მშვიდობის წინააღმდეგ მიმართული უამრავი დანაშაულები, რომელიც გამოირჩეოდა თავისი სისასტიკით და რომელმაც მრავალი ათეული და ასეული მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა ბოლო ორი საუკუნის მანძილზე. შესაბამისად, ასეთ ქმედებებზე თუნდაც სიმბოლური (ვინაიდან მათი ჩამდენი პირები აღარ არიან ცოცხალი) გადაწყვეტილებების მიღებას, ჩვენი აზრით, ექნება საკმაოდ მნიშვნელოვანი პრევენციული ხასიათი, ვინაიდან საერთაშორისო სისხლის სამართლის დანაშაულის ჩამდენ პირებს არ ექნებათ დაუსჯელობის სინდრომი და ეცოდინებათ, რომ მიუხედავად თავიანთი აღზევების მომენტში არსებული სტატუსისა, მსოფლიო არ ივიწყებს მათ მიერ ჩადენილ საზარელ ქმედებებს და ისტორია მათ პიროვნებას სამართლიანად დაუმკვიდრებს დამნაშავის სახელს.

რომის სტატუტის მიხედვით, საერთაშორისო დანაშაულის ჩამდენი პირის თანამდებობა ან ყოფილი თანამდებობა, რომელიც მას ეკავა დანაშაულის ჩადენის მომენტში, არ წარმოადგენს მისთვის იმუნიტეტს. ICC-ის წინაშე პასუხი შესაძლოა აგოს სახელმწიფოს ან მთავრობის მეთაურმა, მინისტრმა ან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირმა და აღნიშნულის გათვალისწინებით საზოგადოებაში გაჩენილი კითხვები, თუ რატომ იგვიანებს საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს გადაწყვეტილებები იმ შემთხვევაში,

როდესაც აშკარა არის ამა თუ იმ ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის პირების ქმედებაში დანაშაულის ნიშნები, ხდება აქტუალური.

გაეროს უშიშროების საბჭო არის უფლებამოსილი გამოიყენოს ეფექტიანი ბერკეტები აგრესორის ქმედებების შესაჩერებლად, მათ შორის, უფლებამოსილია გასცეს რეკომენდაციები ეკონომიკური სანქციების გამოყენებაზე, ბლოკადაზე და ა. შ. ამასთან, საჭიროების შემთხვევაში, რაც გამოიხატება საერთაშორისო მშვიდობისა და სამართლიანობის აღდგენის უზრუნველყოფაში, გამოიყენოს სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ძალები და საშუალებები, მსოფლიოში მიმდინარე პროცესებმა ცხადყო, რომ აღნიშნული უფლებამოსილების სრულყოფილად ამოქმედების საკითხი დღეს უკვე აღარ არის პრობლემური და სახეზე გვაქვს, როგორც ევროსტრუქტურების, აგრეთვე ICC-ის ქმედითი ნაბიჯები.

ნაშრომს დავასრულებთ, 2022 წლის 28 აპრილს, ICC-ის მთავარი პროკურორის კარიმ ხანის მიერ გაჟღერებული სიტყვებით: „ახლა საუბრის დრო არ არის, ახლა მოქმედების დროა, საერთაშორისო სამართალმა უნდა აღადგინოს სამართლიანობა და დაიცვას ხალხი,“ ვეთანხმებით ამ პათოსს და ვიმედოვნებთ, რომ საერთაშორისო სისხლის სამართალი თავის როლს ეფექტიანად შეასრულებს მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების მხრივ.

შენიშვნები:

- ¹ კლაუს კრესი, აგრესიის დანაშაულზე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ურისდიქციის ამოქმედების შესახებ, ხელახალი გამოცემა 2018, გვ. 8 (გიორგი დგებუაძის თარგმანი), <https://constcourt.ge/files/2/Journal2018.2/Claus%20Kre-2018.2ka.pdf> [01.04.2022].
- ² იქვე, გვ. 9.
- ³ იხ.: <http://www.nationalww2museum.org/learn/education/forstudents/ww2-history/ww2-by-the-numbers/world-wide-deaths.html> [01.04.2022].
- ⁴ ჰ. ტრუმენის მიმართვის ტექსტი გაეროს გენერალურ ასამბლეაზე, 23.10.1946, <https://perma.cc/9R39-B9SS> [01.04.2022]
- ⁵ Dave Johns, Defining Justice, FRONTLINE WORLD (Jan. 24, 2006), http://www.pbs.org/frontlineworld/stories/iraq501/defining_index.html [01.04.2022].
- ⁶ ეროვნული არქივი, ომის მთავარი დამნაშავეების სასამართლო პროცესი, <https://www.archives.gov/iwg/research-papers/trial-of-war-criminals-before-1945.html> [01.04.2022].
- ⁷ Ferencz DM. Current U.S. Policy on the Crime of Aggression: History in the Unmaking? Case Western Reserve Journal of International Law. 2016; P 190, <https://search.ebscohost.com/login.aspx?direct=true&db=lgh&AN=115284952&site=ehost-live>.
- ⁸ Satzger, internationales und europäisches strafrecht, 5. auflage 2011, §13, Rn. 12, <https://www.beck-shop.de/satzger-nomoslehrbuch-internationales-europaeisches-strafrecht/product/33742691> [02.04.2022].
- ⁹ Foreign relations of the United States : diplomatic papers : the Conference of Berlin (the Potsdam Conference), 1945 Volume I 1945, p. 85-95, <https://search.library.wisc.edu/digital/APOWN6XXJYOWIY8X> [02.04.2022].
- ¹⁰ შორეული აღმოსავლეთის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის განაჩენი, <https://tile.loc.gov/storage-services/service/ll/llmlp/Judgment-IMTFE-Vol-I-PartB-Chapter-V/Judgment-IMTFE-Vol-I-PartB-Chapter-V.pdf> [02.04.2022].
- ¹¹ კონვენცია „სამხედრო დანაშაულთა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა მიმართ ხანდაზმულობის ვადის გამოუყენებლობის შესახებ“, 1968, <https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi24.pdf> [02.04.2022].
- ¹² International Criminal Tribunal for the former Yugoslavia, 2017, <https://www.icty.org/> [05.04.2022].
- ¹³ Gerhard Werle and Florian Jeßberger, Principles of ICL (2014), 14, par. 45.
- ¹⁴ დგებუაძე გ., დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის მოდელი საერთაშორისო სისხლის სამართალში და მისი განვითარება ანგლო ამერიკული და გერმანული სისხლის სამართლის სისტემების ზეგავლენით, სადოქტორო დისერტაცია, თბ., 2017, გვ. 51.
- ¹⁵ Resolution 827 (1993)/adopted by the Security Council at its 3217th meeting, on 25 May 1993, <https://digitallibrary.un.org/record/166567> [05.04.2022].
- ¹⁶ Mandate and Crimes under ICTY Jurisdiction, <https://www.icty.org/en/about/tribunal/mandate-and-crimes-under-icty-jurisdiction> [11.04.2022].
- ¹⁷ THE INTERNATIONAL CRIMINAL TRIBUNAL FOR THE FORMER YUGOSLAVIA CASE NO. IT-04-75-I THE PROSECUTOR OF THE TRIBUNAL AGAINST GORAN HADZIC, <https://www.icty.org/x/cases/hadzic/jind/en/had-ii040716e.htm> [11.04.2022].
- ¹⁸ The Guardian, Goran Hadžić, last Yugoslav war fugitive arrested, dies, Wed 13 Jul 2016 01.36 BST, <https://www.theguardian.com/law/2016/jul/13/goran-hadzic-last-yugoslav-war-fugitive-arrested-dies> [11.04.2022].

- ¹⁹ ICTY President Agius delivers final address to United Nations General Assembly, <https://www.icty.org/en/press/icty-president-agi-us-delivers-final-address-to-united-nations-general-assembly> [11.04.2022].
- ²⁰ American Journal of International Law 1996-07: Vol 90 Iss 3, p. 501-519, https://archive.org/details/sim_american-journal-of-international-law_1996-07_90_3/page/n3/mode/2up [11.04.2022].
- ²¹ Zach Beauchamp, Rwanda's Genocide- What Happened, Why It Happened, and How It Still Matters, Vox (Apr. 10, 2014), <https://www.vox.com/2014/4/10/5590646/rwandan-genocide-anniversary> [11.04.2022].
- ²² Satzger, International and European CL (2012), 195.
- ²³ ომის დანაშაულების დასჯა: სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალები, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის საკონსულტაციო სამსახური, 2003, https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_law/war%20crimes.pdf [11.04.2022].
- ²⁴ ნიურნბერგის, ტოკიოს, იუგოსლავიის და რუანდის ტრიბუნალების შესახებ, რა თქმა უნდა, უფრო მეტის თქმა შეიძლება, მაგრამ საკითხის ღრმა კვლევა სცდება ჩვენი კვლევის საგანს და ნაშრომში მოტანილი მოკლე ისტორიული ექსკურსი მიგვაჩნია საკმარისად, რათა უკეთ იქნას წარმოდგენილი ჩვენი კვლევის პრობლემატიკა და სსკ-ის 404-ე მუხლის წარმოშობის საკითხი (ავტ. შენიშვნა).
- ²⁵ ტურავა მ., საერთაშორისო სისხლის სამართლის საფუძვლები, მერიდიანი, თბ., 2015, გვ. 138-140.
- ²⁶ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო, მიმოხილვა, საჯარო ინფორმაციის და დოკუმენტაციის დეპარტამენტი, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს კანცელარია, გვ. 1., <https://ombudsman.ge/res/docs/2019041316385033891.pdf> [12.04.2022].
- ²⁷ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდება, მიღებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უფლებამოსილ წარმომადგენელთა დიპლომატიურ კონფერენციაზე, 17 ივლისი, 1998, რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2003 წლის 16 ივლისის №2479-რს დადგენილებით, მუხლი 126-ის მიხედვით, წესდება ძალაში შევა მე-60 სარატიფიკაციო სიგელის, მიღების, დამტკიცების ან შეერთების შესახებ დოკუმენტის გაეროს გენერალურ მდივანთან დეპონირებიდან მე-60 დღის შემდეგ მომდევნო თვის პირველ დღეს., <https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi-axali2.pdf> [12.04.2022].
- ²⁸ ზატცგერი ჰ., საერთაშორისო დანაშაულები რომის სტატუტის მიხედვით, განსაკუთრებით დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ, ჟურ. „მართლმსაჯულება და კანონი,“ თბ., 2011, #4(31)*11, გვ. 16 (თარგმანი ბაჩანა ჯიშკარიანი).
- ²⁹ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდება, 17.07.1998, მუხ. 5, <https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi-axali2.pdf> [12.04.2022].
- ³⁰ იხ.: იქვე, მუხ. 3.
- ³¹ კრესი კ., აგრესიის დანაშაულზე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციის ამოქმედების შესახებ, ხელახალი გამოცემა 2018, გვ. 11-14 (გიორგი დგებუაძის თარგმანი), <https://constcourt.ge/files/2/Journal2018.2/Claus%20Kre-2018.2ka.pdf> [20.04.2022].
- ³² United Nations Charter: Preamble, გაეროს წესდება: პრეამბულა, <https://www.un.org/en/about-us/un-charter/preamble>; <https://www.un.org/en/about-us/un-charter/chapter-7> [13.04.2022].

- ³³ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიმოხილვა, საჯარო ინფორმაციის და დოკუმენტაციის დეპარტამენტი Registry, International Criminal Court, <https://ombudsman.ge/res/docs/2019041316385033891.pdf> [18.04.2022], გვ. 3-4.
- ³⁴ INTERNATIONAL COURT OF JUSTICE, <https://www.icj-cij.org/en/court> [18.04.2022].
- ³⁵ ზატცვერი ჰ., საერთაშორისო დანაშაულები რომის სტატუტის მიხედვით, განსაკუთრებით დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ, ჟურ. „მართლმსაჯულება და კანონი“, თბ., 2011, #4(31)*11, გვ. 22 (თარგმანი ბაჩანა ჯიშკარიანი).
- ³⁶ იხ.: იქვე, გვ. 22
- ³⁷ Голик Ю. В., Перспективы развития уголовного права, Уголовное право XXI веке, Материалы международной научной конференции 2001 года.
- ³⁸ ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., თოდუა ნ., მუმლაძე დ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი II), თბ., 2005, გვ. 314.
- ³⁹ Вадапалас В.Д., Развитие института международно-правовой ответственности, Международное право в современном мире. М.: Международные отношения, 1991. С. 44.; Нурис П. М., Международные правонарушения и ответственность государства, Вильнюс 1973, С. 126.
- ⁴⁰ ხუციშვილი ქ., სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო – ახალი პერსპექტივა საერთაშორისო დანაშაულთან ბრძოლაში, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, ტ. V., #1, გვ. 31.
- ⁴¹ Phillimore R., Commentaries upon International Law. London: Butterworth, 1879, P. 5, https://books.google.ge/books?id=b2QwAAAAIAAJ&printsec=frontcover&source=gbs_ge_summary_r&cad=0#v=onepage&q&f=false [03.05.2022].
- ⁴² Pella V. Le Code des Crimes Contre la paix et la securite de l'humanite. Geneve: Revue de Droit international, de Sciences diplomatiques et politiques, 1957. P. 83, <https://www.worldcat.org/title/code-des-crime-contre-la-paix-et-la-securite-de-lhumanite/oclc/715102512> [03.05.2022].
- ⁴³ Ginsburgs G. Nuremberg and Criminal State , Kontinuitat und Neubeginn. Staat und Recht in Europa zu Beginn des 21. Jahr-hunderts. Baden-Baden, 1999. P. 591-592.
- ⁴⁴ Farhad M. International Criminal Responsibility of States. Stockholm: University of Stockholm, 1985. P. 177. <https://unov.tind.io/record/20217> [03.05.2022].
- ⁴⁵ საქართველოს სსკ-ის 404-ე მუხლის დღეს მოქმედი რედაქცია წარმოადგენს დანაშაულებრივ ქმედებას აგრესიის აქტის დაგეგმვა, მომზადება, დაწყება ან წარმოება. აღნიშნული მუხლი 2014 წლამდე იწოდებოდა, როგორც აგრესიული ომის მომზადება ან წარმოება. აღნიშნულ საკითხს ვრცლად შევხებით სასემინარო ნაშრომის ამ თავში (ავტ. შენიშვნა).
- ⁴⁶ სსსრ სისხლის სამართლის კოდექსი, 1960 წლის რედაქცია, მუხ. 284.
- ⁴⁷ იქვე, მუხ. 285.
- ⁴⁸ იქვე, მუხ. 286.
- ⁴⁹ იქვე, მუხ. 287.
- ⁵⁰ საქართველოს პარლამენტის დადგენილება „სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდების“ რატიფიცირების თაობაზე, <https://www.matsne.gov.ge/document/view/42022?publication=0> [05.05.2022].
- ⁵¹ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999, კარი მეოთხმეტე, თავი XLVII.
- ⁵² იქვე, მუხ. 404.
- ⁵³ განმარტებითი ბარათი კანონპროექტზე „სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების და დამატების შეტანის თაობაზე“, 28.04.2006წ., <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/113502> [05.05.2022].

- ⁵⁴ საქართველოს მთავრობის განკარგულება №1385, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2451374?publication=0> [05.05.2022].
- ⁵⁵ იხ.: სქოლიო 25, 31.
- ⁵⁶ განმარტებითი ბარათი კანონპროექტზე „სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების და დამატების შეტანის თაობაზე“, 30.10.2014, <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/34874> [05.05.2022].
- ⁵⁷ ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., თოდუა ნ., მუმლაძე დ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი II), მეხუთე გამოცემა, თბ., 2017, გვ. 593.
- ⁵⁸ იქვე, გვ. 594.
- ⁵⁹ საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანება №3, სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის შესახებ, 2019 წლის 23 აგვისტო, <https://matsne.gov.ge/ka/document/download/4638682/0/ge/pdf> [05.05.2022].
- ⁶⁰ საქართველოს კანონი „სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან საქართველოს თანამშრომლობის შესახებ“, თბ., 2003, მუხ. 3.
- ⁶¹ იქვე. მუხ. 3, მე-2 ნაწ. „ზ“ და „თ“ ქვებ.
- ⁶² იქვე. მუხ. 3, მე-2 ნაწ. „ლ“ ქვებ.
- ⁶³ იქვე. მუხ. 6.
- ⁶⁴ იქვე. მუხ. 7.
- ⁶⁵ იქვე. მუხ. 8.
- ⁶⁶ იქვე. მუხ. 9.
- ⁶⁷ იქვე. მუხ. 15.
- ⁶⁸ ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., თოდუა ნ., მუმლაძე დ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი II), მეხუთე გამოცემა, თბ., 2017, გვ. 574–575.
- ⁶⁹ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდება, მიღებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უფლებამოსილ წარმომადგენელთა დიპლომატიურ კონფერენციაზე, 17 ივლისი, 1998, რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2003 წლის 16 ივლისის №2479-რს დადგენილებით, მუხლი 17, <https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi-axali2.pdf> [13.04.2022].
- ⁷⁰ ალექსიძე ლ., საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის შეიარაღებული შემოჭრის საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტები, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, თბ., 2008, გვ. 8.
- ⁷¹ აბრამიშვილი ნ., რუსეთ-საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტი და ძალის გამოყენების აკრძალვა საერთაშორისო სამართლის ფარგლებში, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, თბ., 2008, გვ. 48; ანთელავა თ., რამდენიმე მოსაზრება 2008 წლის აგვისტოში საქართველოში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შესაძლო რეაგირების თაობაზე, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, თბ., 2008, გვ. 69; თითბერიძე მ., აგრესიის დანაშაული XXI საუკუნეში – წარუმატებლობა, დაპირებები, პერსპექტივა, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, თბ., 2008, გვ. 87; ლონლაძე თ., საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დაცვა XXI საუკუნეში (რუსეთის ფედერაციის მაგალითი), საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, თბ., 2008, გვ. 103–104.
- ⁷² საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, [https://mfa.gov.ge/News/saqartvelos-sagareo-saqmeta-saministros-ganck-\(67\).aspx](https://mfa.gov.ge/News/saqartvelos-sagareo-saqmeta-saministros-ganck-(67).aspx) [19.04.22].
- ⁷³ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო: საქართველოს მორიგი გამარჯვება 2008 წლის აგვისტოს ომის საქმეზე, <https://justice.gov.ge/?m=articles&id=Upl8kINlaj> [19.04.22].

- ⁷⁴ ცხომელიძე ო., სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო – შითები და გამოწვევები საქართველოს კონტექსტში, <https://civil.ge/ka/archives/313211> [19.04.22].
- ⁷⁵ McIntyre J., Guilfoyle D., Tamsin Phillipa Paige Is international law powerless against Russian aggression in Ukraine? No, but it's complicated The Conversation 25 February 2022, <https://theconversation.com/is-international-law-powerless-against-russian-aggression-in-ukraine-no-but-its-complicated-177905> [18.04.2022]; David J. Scheffer, Can Russia Be Held Accountable for War Crimes in Ukraine?, Last updated April 4, 2022, <https://www.cfr.org/article/can-russia-be-held-accountable-war-crimes-ukraine> [18.04.2022]; Amnesty International UK, Ukraine: Russia's invasion is 'crime of aggression' under international law, 01 Mar 2022, <https://www.amnesty.org.uk/press-releases/ukraine-russias-invasion-crime-aggression-under-international-law> [18.04.2022].
- ⁷⁶ Statement of ICC Prosecutor, Karim A. A. Khan QC, on the Situation in Ukraine: „I have been closely following recent developments in and around Ukraine with increasing concern,“ 25 February 2022, <https://www.icc-cpi.int/news/statement-icc-prosecutor-karim-aa-khan-qc-situation-ukraine-i-have-been-closely-following> [18.04.2022].
- ⁷⁷ Dannenbaum T., Mechanisms for Criminal Prosecution of Russia's Aggression Against Ukraine, March 10, 2022, <https://www.justsecurity.org/80626/mechanisms-for-criminal-prosecution-of-russias-aggression-against-ukraine> [18.04.2022]; Siddique H., Could the international criminal court bring Putin to justice over Ukraine?, Wed 2 Mar 2022, <https://www.theguardian.com/world/2022/mar/02/could-international-criminal-court-bring-putin-to-justice-over-ukraine> [18.04.2022].
- ⁷⁸ Trahan J., A Reminder of the Importance of the Crime of Aggression: Considering the Situation of Russia and Ukraine, 17 April 2022, <http://opiniojuris.org/2022/02/04/a-reminder-of-the-importance-of-the-crime-of-aggression-considering-the-situation-of-russia-and-ukraine> [18.04.2022]; McIntyre J., Guilfoyle D., Tamsin Phillipa Paige Is international law powerless against Russian aggression in Ukraine? No, but it's complicated The Conversation 25 February 2022, <https://theconversation.com/is-international-law-powerless-against-russian-aggression-in-ukraine-no-but-its-complicated-177905> [18.04.2022]; Quell M., Ukraine has few legal options to hold Russia accountable for invasion, February 24, 2022, <https://www.courthousenews.com/ukraine-has-few-legal-options-to-hold-russia-accountable-for-invasion> [18.04.2022].
- ⁷⁹ РОССИЙСКО-УКРАИНСКИЙ КОНФЛИКТ: ПЕРСПЕКТИВЫ И ПАРАМЕТРЫ МИРОТВОРЧЕСКОЙ МИССИИ ООН НА ДОНБАССЕ, Киев, август 2018, Миротворческая операция должна не заморозить конфликт, а способствовать его урегулированию, Андрей ЗАГОРСКИЙ, С. 57; Все новые инициативы и предложения по урегулированию могут рассматриваться только в рамках сформулированных российских констант, Дмитрий ДАНИЛОВ, С. 64; Перспективы миссии ООН видятся крайне туманными, Татьяна ПАРХАЛИНА, С. 71; Если Украина не попытается продвинуться по пути урегулирования, другие участники переговоров будут выжидать, Сергей УТКИН, С. 75; Прогресс или кризис международных отношений будут сказываться на России и Украине и на состоянии конфликта между ними, Михаил СУББОТИН, С. 79;
- ⁸⁰ Офіс Генерального прокурора, Ювенальні прокурори, <https://www.gp.gov.ua/ua/posts/yuvenalni-prokurori-221-ditini-zaginuli-cerez-zbroinu-agresiyu-rf-v-ukrayini> [18.04.2022].
- ⁸¹ ევროპის სასამართლომ მ. ლეჰიდუქსის და ჟ. ისორნის საჩივარი განიხილა 1998 წელს (ავტ. შენიშვნა).
- ⁸² ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, საქმე Lehideux et Isorni v. France, საქმე #24662/94. კვლევა (გრანტის #PHDF-22-541) განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით.

RESPONSIBILITY FOR AN ACT OF AGGRESSION IN THE CRIMINAL LAW OF GEORGIA AND CURRENT ISSUES OF ITS ENFORCEMENT

KHVICHA BEGIASHVILI

David Agmashenebeli University School of Law PhD student

Against the backdrop of ongoing hostilities in the world, the problems identified in the article are relevant today, it has become interesting to study those norms of criminal law that regulate similar processes at the level of national or international legal acts, give them a criminal qualification and impose punishment. It must be said that the act of aggression, which is considered a crime against humanity, has had its legal realization for centuries, both in the national legislation of the countries of the world, and its formation in the international arena has passed a difficult, long and full of contradictions period, therefore, today, when a war of conquest is raging in the heart of Europe, any scientific research conducted in connection with it, will be interesting not only for scientific community, legal practitioners and students of higher educational institutions, but also for citizens of any profession who have many questions about the unprecedented and dangerous war for the 21st century.

This scientific work is related to the planning, preparation, initiation and production of a specific crime – an act of aggression against peace, security and international humanitarian law

regulated by the current criminal law, the changes made in the mentioned article, its place in the special part of the Criminal Code, its international legal regulation, its investigative and judicial review procedures and existing challenges. The mentioned issue is problematic, which means that a unified approach has not been established around the research topic, and the in-depth presentation of the issue in the context of the presented work in itself leads to receiving scientifically substantiated answers to the questions asked around the given topic. This research (grant#PHDF-22-541) has been supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG).

გოგირთი მოსაგრება ორგანიზებული დანაშაულებრივი ფორმირების ოპერატიული დამუშავების განსაკუთრებულობის შესახებ

კობა ბუაძე

*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
სამართლის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი*

1. ოპერატიული დამუშავებისათვის გათვალისწინებული წინაპირობები

საგულისხმოა, რომ ოპერატიულ საგამოძიებო პრაქტიკასა და თეორიაში ოპერატიული დამუშავება ერთ-ერთი ურთულესია და განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ფაქტიურად, ეს პროცესი ერთ-ერთი ქვაკუთხედია ოპერატიულ საქმიანობაში. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა ემყარება ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, იურიდიული პირების უფლებების დაცვისა და პატივისცემის, კანონიერების, კონსპირაციის, ღია და ფარული მეთოდების შეხამების პრინციპებს.¹

ოპერატიული პრაქტიკის თავისებურებიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ორგანიზებული დანაშაულებრივი ფორმირების ოპერატიული დამუშავებისათვის საჭიროა შევისწავლოთ შემდეგი გარემოებები:

- მონაწილეთა ოდენობა და ხელმძღვანელთა პიროვნული „მე“, მათი ერთიანობა და მიზანი;
- ცალკულ წევრთა პიროვნული და საქმიანი დახასიათების ძირითადი მაჩვენებლები;
- მონაწილეთა წევრად გახდომის მოტივები;
- ლიდერები;
- მართვის მეთოდები, მიზნები, რესურსები, ტექნიკური აღჭურვილობა;
- ორგანიზაციული სტრუქტურა, შეთანხმებები მოქმედების დროს;
- ორგანიზაციული ცვლილებები და მათი მიზანი;
- ჩადენილ დანაშაულთა მაგალითების შესწავლა და განხილვა;
- დანაშაულებრივი ქმედების პროფილი;
- ურთიერთობა სხვა დაჯგუფებებთან.

ამასთან, ოპერატიული დამუშავების პროცესში შინაგან საქმეთა ორგანოებზე დაკისრებულია ამოცანათა მთელი წრე:

- არ დაუშვას ან შეზღუდოს მოქმედებისაგან ყოველი ასეთი ფორმირება;
- გამოიცილოს ან შეამციროს ორგანიზებულ ფორმირებათა ზემოქმედება საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებზე;
- არ დაუშვას ან დროულად აღკვეთოს დანაშაული, რომელსაც ამზადებს დანაშაულებრივი ფორმირება;
- დანაშაული აღკვეთოს მთელი მოცულობით ან გახსნას დაფიქსირებული დანაშაულებრივი ქმედებანი;
- ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების მსვლელობისას, განახორციელოს მტკიცებულებათა შეგროვება, რათა კარგად დასაბუთდეს ამსრულებელთა, ორანიზატორთა და სხვათა როლი დანაშაულის ჩადენაში;
- სისხლის სამართლის დევნის აღძვრისა და გამოძიების პროცესში თვალყური ადევნოს დამუშავებული დანაშაულებრივი ფორმირების საქმიანობას;
- უზრუნველყოს დანაშაულებრივი ფორმირების ლიდერების ცხოვრებისა და საქმიანობის გაშიფრვა, ასევე მათი, ვინც სასჯელს იხდის ან გათავისუფლდნენ სასჯელისაგან.²

მიგვაჩნია, რომ ორგანიზებული დანაშაულებრივი ფორმირებების ოპერატიული დამუშავებისათვის აუცილებელია:

- მათ ყოველ რგოლში დახვეწილად იქნას ფიქსირებული დანაშაულებრივი ნიშნები, თუ რას და როგორ მოქმედებდა მათი თითოეული წევრი;
- გამოვლენილი და გაშიფრული უნდა იყოს თითოეული დანაშაულებრივი მიმართულება და ფაქტები.

როგორც ოპერატიული პრაქტიკა ცხადყოფს, ამ ღონისძიების განხორციელება ხდება ორგანიზებულად, ერთობლივი შეთანხმებითა და დაგეგმვით და არა ერთეული ოპერატიული მუშაკის მიერ, რაოდენ გამოცდილიც უნდა იყოს იგი. ამის განხორციელებისათვის უნდა შეიქმნას ოპერატიული პრაქტიკის მცოდნე პროფესიონალთა სპეციალური ჯგუფი.

2. საინფორმაციო წყაროს მოპოვების აუცილებლობა

მიგვაჩნია, რომ დანაშაულებრივი ფორმირების მიმართ საინფორმაციო წყაროების მოპოვებისათვის აუცილებელია:

- დანაშაულებრივი ფორმირების ყოველი სტრუქტურული რგოლის ფუნქციის შესწავლა და ანალიზი;
- დაზუსტდეს ყველა ინფორმაციის წარმოშობის წყარო, მოხდეს მათი დეტალური შესწავლა–შეფასება მომავალი გამოყენების თვალსაზრისით, შემდგომი ოპერატიული დამუშავების საჭიროებისათვის.

ორგანიზებული დანაშაულებრივი ფორმირება წარმოადგენს მრავალსახეობრივ მიზნობრივ სისტემურ ერთიანობას, რომელიც შედგება ურთიერთმოქმედი კრიმინალური ჯგუფებისაგან და ხასიათდება ჯგუფებსა და პირებს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირით.³

მისი სამართლებრივი წინააღმდეგობა ვრცელდება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და როგორც წესი მოიცავს:

- ეკონომიკურ სფეროს, რომელიც ფლობს ფინანსებს, კრედიტებს, ჯარიმებს, საბიუჯეტო დაფინანსებას, შიდა ეკონომიკურ და რეგიონულ კავშირებს და სხვა პარამეტრებს;

- ეკონომიკის მატერიალურ-ნივთიერ სპექტრს, პრივატიზაციას, რესურსებს, მის მიმოქცევას ბაზარზე, მომწოდებლებს, შუამავლებს, მომხმარებლებს, მწარმოებლებს;
- საინვესტიციო ციკლის შესწავლას ამა თუ იმ ორგანიზაციაში: ფულადი სახსრებისა და საფინანსო აქტივის მოძრაობა ე. ი. ფასიანი ქაღალდების მიმოქცევა, კაპიტალის დაბანდება ორგანიზაციებში, აღჭურვილობის შექმნა საქონლის მოძრაობა, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ;
- მოღვაწეობა ქვეყნის მართვის სისტემასთან დამოკიდებულებაში;
- სამართლებრივი ურთიერთობა სათანადო ორგანოებთან;
- საქონლის წარმოება, მომარაგება და გასაღება, მომსახურება ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან;
- ურთიერთობა უცხოეთის ორგანიზაციებთან.⁴

3. ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა დაგეგმვა

მიგვაჩნია, რომ მაშინ, როდესაც მიღებული ინფორმაციების საფუძველზე უკვე იწყება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა დაგეგმვა, პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ საკითხებს:

- უნდა გააანალიზდეს ინფორმაციის მთელ სისტემა, რათა გადაწყდეს საკმარისია თუ არა ცნობები იმისათვის, რომ სწორი ანალიზი გავუკეთოთ დანაშაულებრივი ფორმირების მოქმედების მასშტაბებს, ხერხებს, მეთოდებს, მონაწილეთა ერთიანობას;
- როგორია დანაშაულებრივი ფორმირების მიერ ნედლეულის, ვალუტისა და სხვათა რესურსების მოძრაობის სტრატეგია, მოძრაობა ბაზარზე;
- როგორია დანაშაულებრივი ფორმირებისა და მასში შემავალი ჯგუფებისა და პირების მოქმედება, რამდენად დახვეწილად ახორციელებენ კონკრეტულ დანაშაულებრივ ქმედებას და საბაზრო სიტუაციას;
- როგორი განსაკუთრებულობა აქვს საბაზრო კონიუნქტურას და რა სახით შეიძლება იგი გამოვიყენოთ დანაშაულებრივი ფორმირების ირგვლივ;
- როგორი ტენდენცია შეიმჩნევა დანაშაულებრივი ფორმირების დღევანდელი და მომავალი მოქმედებების სივრცეში და როდის იქნება ხელსაყრელი მათი დაფიქსირება ოპერატიულ-სამძებრო ორგანოების მიერ;
- რამდენად ბუსტია მიღებული ინფორმაციები და რომელი პოზიციიდან არის აუცილებელი დამატებით მისი გადამოწმება;

- რისგან შედგება დანაშაულებრივი ფორმირების მოქმედების გეგმის არსი და როგორია მისი ურთიერთობა საქმიან წრეებთან ბიზნესში.

ზემოთ ჩამოთვლილ კითხვებზე პასუხი გვაძლევს საშუალებას, გავიგოთ ფორმირების განზრახვები მომავლისათვის, ბუნებრივად გავზარდოთ დროის რესურსი ჩვენი მოქმედებისა, რომელიც ადეკვატური უნდა იყოს მათი მოქმედებისა, დავგეგმოთ შესაძლებელი ღონისძიებები ნებისმიერი მოვლენების შესატყვისად.

ყოველი ოპერატიული დამუშავების დროს აუცილებელია, განისაზღვროს ჩამონათვალი საკითხების სიღრმისეულობა, მისი მიღების წყარო და ამაზე დაყრდნობით დაიგეგმოს ოპერატიულ მოქმედებათა კომპლექსი. თუმცა, ყველა ოპერატიული მუშაკი ვალდებულია, ამა თუ იმ ოპერატიული ღონისძიებების განხორციელების დროს, შეინახოს სახელმწიფო საიდუმლოების არსი. კერძოდ, იგი გულისხმობს ორგანიზაციულ-სამართლებრივ, კრიპტოგრაფიულ და ოპერატიულ ღონისძიებათა ერთობლიობას, რომელთა განხორციელების მიზანია სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილება.⁵

4. მთქიცვბულებბის მოკოვბბ, რბც აუცილებელია დბნბშბულებრივი ფორმირების წმვრტბ ბრბლბულობისბბთვის

მიგვბჩნბბ, რომ სისხლის სამართლის პროცესის პოზიციებიდან, დანაშაულებრივი ფორმირების წევრტბ ბრბლბულობის ბბდგენბ სბჭბროებს შემდგეი მტკიცებულებების არსებობბს:

- ორგბნიზებული დბნბშბულებრივი ფორმირების შემქმნის ღონისძიებები ბბ მიზნები;
- მოქმედებბ ფორმირების ხელმძღვბნელობისბბთვის;
- წევრტბ სბცციელის მიმბრტბულებბ;
- კრიმბნბლური მოქმედების სფერო;
- დბნბშბულის ბბდგენის ხერხები ბბ მეთოდები;
- უშბბლო დბნბშბულებრივი ქმედებები, რომელიც დბნბშბულის სხვბდბსხვბ შემბდგენლობბს ქმნის.

ფბქტბ, ოპერატიული მუშბკის მოქმედების ბსეთი მიმბრტბულებბით წბრმბრტვბ სბჭბრობბ იმისბბთვის, რომ მივილოთ რებლური ლოგიკური კბვშირები ბნუ დბმოკბდებულებბ მტკიცებულებბბბბ შორის.

დანაშაულებრივი ფორმირების საქმიანობის თითოეული მიმართულება ხასიათდება განსაკუთრებული ნიშნებით, აშუქებს თითოეული წევრის მოქმედების სპეციფიკას და აერთიანებს მთლიანად დანაშაულებრივ ფორმირებას.⁶

აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, ოპერატიული პრაქტიკისათვის აუცილებელია ოპერატიულმა მუშაკებმა დაადგინონ და დააფიქსირონ ნიშნების შემდეგი ჯგუფები:

- 1) ნიშნები, რომლებიც განსაზღვრავენ სპეციალურ ბუნებას, როგორც ე. წ. მაკროსოციალურ ნიშნებს და ახასიათებს დანაშაულებრივი ფორმირების პირად შემადგენლობას. ასეთებს მიეკუთვნება: დადგენა დანაშაულებრივად ორიენტირებული პირებისა, რომელთაც აქვთ ანტისაზოგადოებრივი მიდრეკილებები, მათი ცხოვრების წესი და საქციელი პროფესიულ დამნაშავეთა გარემოში;
- 2) მორგანიზებელი ნიშნები მიმართული კრიმინალური გარემოს კონსოლიდაციისათვის, დანაშაულებრივი ფორმირების განმტკიცებისათვის. მათზე შეიძლება მეტყველებდეს: დიდი და პატარა დანაშაულებრივი ჯგუფების ლიდერების პირადი თვისებები; დანაშაულებრივი „სამყაროს“ ავტორიტეტები, რომელთაც შესწევთ უნარი უზრუნველონ კრიმინალური გარემოს შეთანხმებული საქმიანობა; ავტორიტეტების პირადი მყარი კონტაქტები ანალოგიური კრიმინალური ჯგუფების ლიდერებთან, აგრეთვე ერთობლივი საქმიანობის სხვადასხვა ფორმები (ეს მოქმედებები შეიძლება მიმართული იყოს გავლენის სფეროების გადანაწილებაზე, ნედლეულის ბაზები, შემოსავლის არხები, საბაზრო ინფრასტრუქტურის ზონები და სხვა);
- 3) მმართველობითი ნიშნები დანაშაულებრივი ფორმირების წევრთა შორის, ფუნქციების განაწილება, ცალკეული მონაწილის მოქმედების პარამეტრები;
- 4) ლიდერი – ეს არის მხოლოდ ერთ-ერთი ადგილი დანაშაულებრივი ფორმირების სტრუქტურაში, რომელიც განიხილება როგორც მართვის უმნიშვნელოვანესი სუბიექტი დანაშაულებრივ სტრუქტურაში. ტრადიციის მიხედვით, პატარა ჯგუფის ლიდერები ვალდებული არიან ყველა თავისი ქმედებები შეათანხმონ ფორმირების მთავარ ლიდერთან;
- 5) სამოქალაქო ნიშნები, რომლის მიხედვითაც ნაწილდება, თუ რა უნდა შეასრულოს ფორმირების ცალკეულმა წევრებმა დანაშაულებრივი მოქმედების დროს.

ნიშანდობლივია, რომ დიდი თანხების რეალიზაციის აუცილებლობისათვის იყენებენ საბანკო დაწესებულებებს, კომერციულ ფირმებს, საფონდო ბირჟებს და სხვა. ამისათვის, არის საკონტაქტო ფორმები ბანკის მუშაკებთან, რომლებიც პასუხისმგებელი არიან საბანკო ოპერაციებზე.⁷

5. ორგანიზაციული დანაშაულებრივი ფორმირების წინააღმდეგ მოქმედება და მისი ნეიტრალიზაცია ოპერატიული დახმავების მსვლელობაში

დანაშაულებრივი ფორმირების წინააღმდეგ მოქმედების ფორმები, მისი ოპერატიული დამუშავების დროს მოიცავს სხვადასხვა ხერხებისა და მეთოდების გამოყენების კომპლექსს, რომელიც მიმართულია დამნაშავეობის წინააღმდეგ, რათა ეფექტიანად მოხდეს დანაშაულის თავიდან აცილება. დანაშაულებრივი ფორმირების მიზანია – შეაუსტოს ან გაანეიტრალოს ოპერატიული ორგანოების მოქმედება, უზრუნველყოს უსაფრთხოება, თავისი უპირატესობა და თავის დაცვა სამართალდამცავი ორგანოებისაგან.

გადაწყვეტილების მიღება დანაშაულის ჩადენის შესახებ დამოკიდებულია იმ ინფორმაციების შეგროვებაზე და მათ ხარისხობრივ მხარეზე, რომელიც გვიმტკიცებს წარმატების მიღწევის შესაძლებლობას და გამორიცხავს ქმედების გამჟღავნების შესაძლებლობას.⁸

დანაშაულებრივი აქციის ყველაზე უფრო საიმედო და უსაფრთხო განხორციელება ხდება შემდეგი გარემოებების დაცვის ვითარებაში: ტრანსპორტის იდენტიფიკაციის მოხდენის შეუძლებლობა, მონაწილეთა ჩაცმულობისა და ინდივიდუალური ნიშნების შენიღბვა, სამალავი ადგილების მომზადება, შემთხვევის ადგილის დაუყოვნებლივი და სწრაფი მიტოვება, ამსრულებელთა დაცვა და სწრაფი გადამალვა; შეუფერხებლად გადასვლა შემთხვევის ადგილიდან პირველ სამალავამდე; საგულისხმოა, რომ დამნაშავენი ხშირად განსაკუთრებულ ზომებს ღებულობენ დანაშაულის კვალის დასაფარად, ესწრაფვიან დანაშაულის იარაღების გადამალვას და ა. შ.

დამნაშავეთა მოქმედებანი უფრო ტიპიურად შემდეგში გამოიხატება:

- 1) დამალვა ან განადგურება იარაღებისა და საშუალებებისა, რითაც დანაშაული განხორციელდა, ასევე კვალისა;
- 2) სანდო არხების გამოყენება იმისათვის, რომ გამოძიებას მიაწოდონ ცრუ ინფორმაცია და მონაცემები;
- 3) იმ მოწმეთა და დამსწრეთა დადგენა, რომლებიც დაიკითხა ამ კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეზე, მოხდეს გაცნობა მათ მიერ გაცემული ჩვენებებისა და ჩატარების შესატყვისი ღონისძიებები;
- 4) მოსყიდვა, დაშინება, ფიზიკური ზემოქმედება დაზარალებულზე და მოწმეებზე, რათა მათ დამალონ ან შეცვალონ ჭეშმარიტება;
- 5) მოახდინონ გავლენა გამოძიებელზე, მაღლამდგომი თანამდებობის პირებისაგან მათი მოსყიდვის გზით;
- 6) მოხდეს დაქირავება მაღალკვალიფიციური ადვოკატებისა;

- 7) მოხდეს ფორმირების მნიშვნელოვან წევრთა შენიღბვა, დოკუმენტებისა და საცხოვრებელი ადგილების შეცვლა უცხო ქვეყნებში გადასვლით;
- 8) საპატიმრო ადგილებში მაქსიმალურად უნდა იყოს გამოყენებული მეთვალყურეობა, რათა სისტემატურად იქნას მიწოდებული ინფორმაცია პატიმრებზე, მათი ჩვენებების თავდაჭერილობისა და სხვა საჭირო მიმართულებებით, რომ გამოძიებას გაუჭირდეს მოახდინოს გავლენა, განხორციელდეს გაქცევები, იარაღებისა და სხვა საშუალებების გადაცემა და ა. შ.

6. ორგანიზებული დანაშაულებრივი ფორმირების თავისებურებანი

ორგანიზებული დანაშაულებრივი ფორმირება თავისთავად ქმნის კრიმინალურ ტაქტიკას, რომელიც მოქმედებს სამართალდამცავი ორგანოების წინააღმდეგ. ეს არის:

- 1) დანაშაულებრივი საქმიანობის მაორგანიზებელი ღონისძიებების ბლოკი;
- 2) ღონისძიებათა სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს დანაშაულებრივ ქმედებათა შენიღბვას;
- 3) მოქმედებები, რომელიც მიმართულია ხელისუფლების ორგანოების სისტემასთან ეფექტიანი კონტაქტისათვის, რათა საჭიროების შემთხვევაში, გარანტირებული იყოს დანაშაულებრივი ფორმირების წევრთა ინტერესების დაცვა;
- 4) ღონისძიებათა ბლოკი, რომელიც უზრუნველყოფს დანაშაულებრივი ფორმირების ტექნიკის უპირატესობას;
- 5) მოქმედებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ეკონომიკური ძალაუფლების ხელში ჩაგდებას;
- 6) ძალოვანი გავლენა იმ ნაწილზე, რომელიც ხელს უწყობს ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის არსი და შინაარსი დიდი ხანია შემეცნებული აქვს საზოგადოებას. სიტყვა – ძებნას, ბევრ ქვეყანაში აქვს ღრმა ისტორიული ფესვები და მისი შინაარსი ყოველთვის იყო მეტად ვრცელი და მრავალმნიშვნელოვანი. ძებნად მიიჩნევა პროცესუალური ფორმა, რომლის მიხედვითაც, დანაშაულის გახსნასა და გამოძიებას ახდენენ სამართალდამცავი, სახელმწიფო ორგანოები და არა თვით დაზარალებულები ან მათი წარმომადგენლები. ეს სიტყვა ოდითგანვე ნიშნავდა ჭეშმარიტების დადგენისათვის საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარებას, მტკიცებულებათა შეგროვებას, ამას გარდა, იგი გულისხმობდა დამნაშავეთა დადგენა-დაკავებას.

დროის გასვლის შემდეგ, ეს მსჯელობა თანდათან შევიწროვდა და XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან მოკვლევა და გამოძიება ჩამოშორდა მას და ტერმინმა – „ძებნამ“ თავისი ახალი, კანონიერი შინაარსი შეიძინა, როგორც გამოძიების საიდუმლო მეთოდმა, სადაც ჩართულია მრავალი ოპერატიული ღონისძიება: სიტყვიერი გამოკითხვა, საიდუმლო მეთვალყურეობა და სხვა კანონით დაშვებული მეთოდები.

ოპერატიულ-სამძებრო მოღვაწეობა დამოუკიდებელი და სპეციფიკური საქმიანობაა შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაობაში. მისთვის ნიშანდობლივი და დამახასიათებელი ნიშნებია: ნორმატიულ-სამართლებრივი ხასიათი; სახელმწიფო სამართალდამცავი და სპეცსამსახურების კომპეტენცია, რომელიც გაერთიანებულია მათ მიერ გამოყენებული მე-თოდებისა და საშუალებების მრავალმიზნობრივ მიმართულებებთან.

სწორედ სამძებრო საქმიანობის სამართლებრივი ხასიათი მდგომარეობს იმაში, რომ ის ეყრდნობა სამართლის ნორმებს და დეტალურად რეგლამენტირდება როგორც საკანონმდებლო, ასევე კანონქვემდებარე აქტებით, მათ შორის, საქართველოს კანონით „ოპერატიულ სამძებრო საქმიანობის შესახებ“, „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ და საქართველოს კანონით „საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ.“ კერძოდ, ნორმატიულ აქტებს, რომლებიც ეხება სააგენტოს მიერ ფარული საგამოძიებო მოქმედებისა და ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების განხორციელებას, აგრეთვე ამ მოქმედებისა და ღონისძიებების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის გაცნობას, დამუშავებას, შენახვას, გაცემასა და განადგურებას, კომუნიკაციის რეალურ დროში მოპოვების სტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობის არქიტექტურისა და შესაბამისი ინტერფეისების განსაზღვრას, კომუნიკაციის რეალურ დროში მოპოვების ნახევრად სტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობის გამოყენებით განხორციელებული კომუნიკაციის შინაარსის და მისი მაიდენტიფიცირებელი მონაცემების მოპოვების წესსა და პროცედურას გამოსცემს სააგენტოს უფროსი.⁹

გასათვალისწინებელია ისიც, რომ სამართალდამცავი ორგანოების კომპეტენციის ფარგლებში, მათ მიერ განხორციელებული ღონისძიებები სახელმწიფოში არსებული დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის რეალური ღონის მხვენებელია.

შენიშვნები:

- ¹ საქართველოს კანონი ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ, მუხლი 2 (ცვლილებებითა და დამატებებით), 1999.
- ² Игощев О.Т., Оперативно-следственное действие, М., 2012, с. 29.
- ³ Гушин А.Н., Оперативно-розыскная деятельность, М., 2010, с. 284.
- ⁴ Мельникова Э. Б., Личность преступника и индивидуализация уголовного наказания, М., 2009, с. 114.
- ⁵ საქართველოს კანონი „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“, მუხლი 25 (ცვლილებებითა და დამატებებით), 2015.
- ⁶ Михайлов В.И., Преступления и уголовно-правовой анализ и общие вопросы оперативно-розыскной деятельности. М., 2010, с. 26
- ⁷ Дубаносов Е.С., Основы оперативно-розыскной деятельности, М., 2019, с. 99.
- ⁸ Шумилов А.Ю., Состав оперативно-розыскного мероприятия и основы его юридического анализа, М., 2014, с. 177.
- ⁹ საქართველოს კანონი „საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ“ (ცვლილებებითა და დამატებებით), 2017.

SOME OPINIONS ABOUT THE SPECIFIC NATURE OF THE OPERATIONAL PROCESSING OF ORGANIZED CRIMINAL FORMATIONS


KOBA BUADZE

Akaki Tsereteli State University

Associated professor of the Law Department

During the operational search activity, in order to avoid unjustified restriction of the interest of individuals in the name of state interest, it is necessary that the operational search activity and practice of law enforcement agencies should be conducted in such a way that the balance between private and state interests is protected based on the law. We believe that operational search measures should have a more preventive nature, although they should be carried out continuously both before and after the investigation.

The law of Georgia on operative search activity clearly defines the measures that are carried out to prevent crime or to identify the person who committed illegal actions. It is a fact that it is necessary to conduct an operative case by an independent operative worker in order to establish without fail the real relationships of the criminal group, to cover the specifics, nature, tendencies



of the self-inflicted offender's illegal actions, and the manner of their self-inflicted behavior. Certain forms of actions against criminal formation, and during its operational processing, it is necessary to use a number of complex ways and methods in order to effectively prevent crime.

The rule of law should mean the establishment of such an order as to actually ensure the protection of state and public security. Obviously, the law enforcement system should play a major role in this matter. Operational search activity is an independent and specific activity. It should be conducted within the framework of the normative legal nature so that the constitutional rights and privileges of the citizens are equally protected.

დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოთივით ჩადენილი დანაშაულის სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცების პროცესი და სტანდარტები

ნათი გელოვანი

*აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიულ და
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი*

შესავალი

საქართველოს კონსტიტუციის¹ თანახმად, ყველა პირი ითვლება უდანაშაულოდ, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება სასამართლოს მიერ კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდგომში – სსსკ) მე-5 მუხლის თანახმად, პირი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით.² ამავე კოდექსის მესამე მუხლის მე-13 ნაწილის თანახმად კი, გამამტყუნებელი

განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა.³

სასამართლო გამამტყუნებელ განაჩენს იღებს ერთმანეთთან შეთანხმებული და ურთიერთშემავსებელი მტკიცებულების ერთობლივად არსებობის შემთხვევაში, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა პირის ბრალეულობაში. სსსკ-ის მე-9 მუხლის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე, სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე. სსსკ-ის მიზნებისთვის მხარეებს წარმოადგენენ: ბრალდებული, მსჯავრდებული, გამართლებული, მათი ადვოკატი, გამომძიებელი და პროკურორი. საპროცესო კანონმდებლობა მხარეს უფლებას აძლევს დააყენოს შუამდგომლობა, მოიპოვოს, სასამართლოს მეშვეობით გამოითხოვოს, წარადგინოს და გამოიკვლიოს ყველა შესაბამისი მტკიცებულება. მხარეები თავად განსაზღვრავენ მოსაპოვებელი მტკიცებულებების სახეებს და მოქმედების სტრატეგიას, მოსამართლე კი, გადაწყვეტილებას იღებს იმ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რაც წარმოდგენილია სასამართლოში.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის (შემდგომში ევროპული კონვენცია) მე-6 მუხლის მიხედვით: „ყოველი პირი, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, ითვლება უდანაშაულოდ, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად.“ სასამართლო პრაქტიკა ცალსახად მიუთითებს, რომ მტკიცების ტვირთი აკისრია ბრალდების მხარეს, ბრალდებულს არ გააჩნია ვალდებულება ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა, ნებისმიერი ეჭვი ბრალდებულის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს (*Barbera v. Spain* 1988 (10590/83 Plenary Court) § 77). უდანაშაულობის პრეზუმფცია დაირღვევა, თუ მტკიცების ტვირთი ბრალდების ნაცვლად დაცვას დაეკისრება (*Telfner v. Austria*, § 15). კონვენციის მე-6 მუხლი *inter alia*, მოითხოვს, რომ სასამართლო მისი მოვალეობის შესრულებას არ შეუდგეს იმ წინასწარ ჩამოყალიბებული აზრით, რომ ბრალდებულს ჩადენილი აქვს ბრალად შერაცხული ქმედება, დანაშაულის ჩადენის ფაქტის მტკიცების ვალდებულება აკისრია ბრალდების მხარეს, თუ არსებობს ეჭვი, ის აუცილებლად უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.

მოცმულ ნაშრომში წარმოდგენილია დასაბუთებული, ფაქტებზე და არგუმენტებზე მითითებით, საპროცესო კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, მსჯელობა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის როლის მნიშვნელობაზე დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცების პროცესში; განხილული და გააანალიზებულია მტკიცებითი სტანდარტები და შეფასებულია თითოეული სტანდარტით განსაზღვრული მტკიცებულებების ერთობლიობის შინაარსი.

1. დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის ცნება

იურიდიული ლიტერატურა და პრაქტიკა დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის არაერთ ტერმინს იცნობს – „თეორიასა და პრაქტიკაში დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულს რამდენიმე სახელწოდება აქვს – დისკრიმინაციული დანაშაული, სიძულვილით მოტივირებული და-ნაშაული, სიძულვილის დანაშაული, შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაული და სხვა. არსებითად, თითოეული ცნება ერთი შინაარსის მატარებელია, კერძოდ: დანაშაულის ჩადენის მოტივი არის სიძულვილი, შიში, ზიზღი თუ სტერეოტიპული, მიკერძოებული დამო-კიდებულება.“⁴ აღნიშნული განმარტება შეესაბამება ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის განმარტებას, რომ სიძულვილის დანაშაულები ეს არის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულები, რომლებიც მოტივი-რებულია მიკერძოებული (შეუწყნარებლობით) დამოკიდებულებით.⁵

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობა ცალკე დანაშაულად არ ითვალის-წინებს ქმედებას – დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანა-შაული ან სიძულვილით მოტივირებული დანაშაული, თუმცა, საქართველოს სისხლის სა-მართლის კოდექსის ცალკეული მუხლები ითვალისწინებენ ამ გარემოებას, როგორც ქმე-დების დამამძიმებელ გარემოებას ან ქმედების შემადგენლობის ნაწილს.⁶ საკითხის მსგავს მოწესრიგებას ვხვდებით შვედეთის, დიდი ბრიტანეთის, ხორვატიის, ნორვეგიის და არაერ-თი სხვა ქვეყნის სისხლის სამართლის კოდექსში. თუმცა, აღნიშნული ქვეყნების საკანონ-მდებლო ხარჩო არ იცნობს იმდენად ფართო ჩამონათვალს დისკრიმინაციის ნიშნებისა, როგორც ეს გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით.⁷

გამომდინარე ამ დანაშაულის ბუნებიდან და მისი ჩადენის მოტივის ლატენტური ხასი-ათიდან, ძალიან დიდი ყურადღება და მუშაობა სჭირდება იმ ინდიკატორების დადგენას და შემდგომში შეფასებას, რომლებიც მიუთითებენ, რომ დანაშაული შეიძლება ჩადენილი იყოს შეუწყნარებლობის მოტივით. ინდიკატორები წარმოადგენენ ობიექტურ კრიტერი-უმებს, რომლებიც მოტივზე მსჯელობის საფუძველს იძლევიან.⁸ მოტივზე მიმანიშნებელი არაერთი ინდიკატორი შეიძლება არსებობდეს, მაგ.: დაზარალებულის ან მოწმის აღქმა, დანაშაულის ჩადენის დროს გაკეთებული კომენტარები, შემთხვევის ადგილზე დატოვებუ-ლი წარწერები თუ გრაფიტები, დანაშაულის ჩადენის თარიღი ან ადგილი (მაგ.: აღდგომის დროს ეკლესიის დაზიანება, ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის კვირე-ულის პერიოდში, ქალ უფლებადამცველზე თავდასხმა და ა. შ.) და სხვა.⁹

სწორედ ამ ინდიკატორებზე დაყრდნობით მოპოვებული მტკიცებულებები შეიძლება გახდეს დანაშაულის მოტივის (და არა მხოლოდ მოტივის) დამადასტურებელი მტკიცებულებები. შესაბამისად, მხარეებმა, რომლებიც მტკიცებულებებს მოიპოვებენ, ყურადღება უნდა გაამახვილონ ყველა დეტალზე, რომელიც შეიძლება მათთვის მნიშვნელოვანი გარემოების დადასტურების წყარო გახდეს.

2. მხარეთა თანასწორობის და შეჯიბრებითობის პრინციპი და მისი შინაარსი

საქართველოს სსსკ მხარეთა შეჯიბრებითობას და თანასწორობას პრინციპის დონეზე ითვალისწინებს, რომლის მოქმედება დამოკიდებულია ორი მხარის: ბრალდების და დაცვის არსებობაზე. შესაბამისად, ლოგიკურია, რომ მისი მოქმედება იწყება დაცვის მხარის გამოკვეთის შემდეგ, რაც საწყის ეტაპზე ერთგვარ უპირატესობაშიც კი, ამყოფებს ბრალდების მხარეს.

შეჯიბრებითობის და თანასწორობის პრინციპი არის გარანტია მხარისათვის, რომ მას აქვს უფლება და შესაძლებლობა მოიპოვოს და წარმოადგინოს მტკიცებულება. ამასთან, სწორედ აღნიშნული პრინციპი იძლევა შესაძლებლობას მხარემ მონაწილეობა მიიღოს მეორე მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევაში, მისი სანდოობის საკითხის შესწავლის პროცესში და სხვა. აღნიშნული პრინციპი: „ეფუძნება მხარეთა თანაბარ შესაძლებლობას აღიჭურვონ სათანადო საპროცესო ინსტრუმენტებით და გამოიყენონ ისინი საიმისოდ, რათა წარადგინონ მათი პოზიციების სასარგებლო არგუმენტები. იმავდროულად, ამ პრინციპის უმთავრესი მიზანი არის სწორი გადაწყვეტილების მიღების ხელშეწყობა და ამ მიზნისთვის ეს პრინციპი ეყრდნობა ორივე მხარის მიერ არგუმენტების თავის უფლებადა წარდგენის შესაძლებლობას.“¹⁰

როგორც ბრალდების, ასევე დაცვის მხარეს, უფლება აქვს თავად განსაზღვროს მოქმედების სტრატეგია – რა მტკიცებულებებს მოიპოვებს, საიდან მოიპოვებს, საერთოდ მოიპოვებს თუ არა რაიმე სახის მტკიცებულებებს და ა. შ. მხარეს არ ავალდებულებს კანონი ან სასამართლო კონკრეტული მტკიცებულების მოპოვებას,¹¹ დაცვის მხარე სრულად გათავისუფლებულია საკუთარი თავის უდანაშაულობის მტკიცების ვალდებულებისგან, რაც უდანაშაულობის პრეზუმფციიდან გამომდინარეობს.

საქართველოს სსსკ-ის თანახმად, სასამართლო შემფასებლის როლიდან გამომდინარე, არ არის უფლებამოსილი რომელიმე მხარეს მიუთითოს მტკიცებულების მოპოვებაზე, თითოეული მხარე თავად აგებს პასუხს საკუთარი ქმედებისთვის. თუმცა, პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც მოსამართლე კითხვების დასმის მეშვეობით გარკვეულწილად, უბიძგებს რომელიმე მხარეს (ძირითად შემთხვევაში, დაცვის მხარეს ან ბრალდებულს, რომელსაც

არ ჰყავს ადვოკატი) კონკრეტული ქმედების განხორციელებისკენ ან განხორციელებისგან თავის შეკავებისკენ. თუ ბრალდების მხარეს შეეძლო საკუთარი პოზიციების განმამტკიცებელი მტკიცებულების მოპოვება და არ/ვერ მოიპოვა, ეს შეიძლება ბრალდებულის უდანაშაულოდ ცნობის საფუძველი გახდეს. თავის მხრივ, მართალია, დაცვის მხარეს არ ეკისრება უდანაშაულობის მტკიცების ვალდებულება თუმცა, მისმა არასწორმა მოქმედებამ (მაგ. აღიარებამ) ან უმოქმედობამ შეიძლება შეუქცევადი შედეგი გამოიწვიოს.

საქართველოს სსსკ-ის კანონმდებლობა ორივე მხარეს თანაბრად აღჭურავს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპით, ორივე მხარეს აძლევს შესაძლებლობას მოიპოვოს, სასამართლოში წარმოადგინოს, გამოიკვლიოს, როგორც საკუთარი ისე მეორე მხარის მტკიცებულებები, ეჭვქვეშ დააყენოს წარმოდგენილი მტკიცებულებების სანდოობა და სხვა. ამასთან, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ მოცემული პრინციპი მოქმედებს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებიდან, სამართალწარმოების დასრულებამდე (აღნიშნული ასევე, გამომდინარეობს ბრალდებულის უფლებიდან იყოს მოსმენილი – Right to be heard).¹² შეჯიბრებითი და თანასწორი პროცესის პირობებში, სასამართლო, რომელიც თავად არ ახდენს მტკიცებულებების მოპოვებას და შემოიფარგლება მხოლოდ მხარეთა მიერ წარმოდგენილი და სასამართლოზე გამოკვლეული მტკიცებულებებით, უზრუნველყოფს მხარეებს შორის თანაბარი და თანასწორი მდგომარეობის არსებობას.¹³ სწორედ აღნიშნულის საფუძველზე ეძლევათ მხარეებს შესაძლებლობა შევიდნენ ერთმანეთის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების სიღრმისეულ კვლევაში, დააყენონ მოწმის ჩვენების სანდოობა კითხვის ნიშნის ქვეშ (მაგ.: თუ აღიქვა მოცემული დანაშაული, როგორც სიძულვილით მოტივირებული დანაშაული და რა აფიქრებინებს მას, რომ სწორედ ამგვარი დანაშაულის შემსწრე იყო), მოპოვებული მტკიცებულების რელევანტურობა მოცემულ საქმესთან (მაგ.: რა მნიშვნელობა აქვს ბრალდებულის წარსულ ცხოვრებას მის მიერ ჩადენილ დანაშაულთან) და ა. შ. სწორედ ამ ქმედებების განხორციელებით ახდენს მხარე საკუთარი პოზიციის განმამტკიცებას და მოსამართლის დარწმუნებას.

3. მტკიცების სტანდარტი

საქართველოს სსსკ მტკიცებულების ცნების საკმაოდ ფართო განმარტებას გვთავაზობს თუმცა, ის არ ითვალისწინებს მტკიცებულებათა სახეების თუ ფორმების ჩამონათვალს, ფართო ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლევა – „მტკიცებულება არის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული წყაროებიდან და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით მიღებული ცნობები, რომლებიც შეიცავს ინფორმაციას

ქმედების ფაქტობრივი გარემოებების შესახებ, მართლწინააღმდეგობის შესახებ, ბრალის შესახებ, ქმედების ჩამდენის შესახებ, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების შესახებ, ზიანის არსებობის შემთხვევაში მიყენებული ზიანის ხასიათისა და ოდენობის შესახებ.¹⁴

საქართველოს კანონმდებლობა არც იმ შესაძლო მტკიცებულებების ჩამონათვალს ითვალისწინებს, რომლებიც შეიძლება მიუთითებდეს დანაშაულის ჩადენის მოტივზე, როგორც ეს გათვალისწინებულია მაგალითად, დიდი ბრიტანეთის ან საფრანგეთის კანონმდებლობით, სადაც მითითებულია, რომ მაგალითად, დანაშაულის ჩადენის დროს ან მის შემდეგ, დანაშავის მიერ მსხვერპლის მიმართ გამოვლენილი მტრობა შეიძლება გახდეს რასობრივი სიძულვილის დამადასტურებელი მტკიცებულება.¹⁵

კანონმდებელი არ იცნობს მტკიცებულებათა რანგირებას თუ რიგითობას, არცერთ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა, ის უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით.¹⁶ მტკიცებულებები შეიძლება იყოს გამამტყუნებელი ან გამამართლებელი, პიროვნული ან ნივთიერი, პირველადი ან ნაწარმოები, პირდაპირი ან არაპირდაპირი და სხვა.¹⁷ შეფასების დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, არსებული მტკიცებულება სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში რა დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა, არსებობს თუ არა უტყუარი მტკიცებულებები გამამტყუნებელი განაჩენის მისაღებად.¹⁸ მტკიცებულების მთავარი არსი მდგომარეობს მის შინაარსში, რა ფაქტობრივი თუ სამართლებრივი გარემოების დადასტურებას თუ უარყოფას ახდენს ის, რაც გამორიცხავს რომელიმე მტკიცებულებისთვის უპირატესობის მინიჭებას მხოლოდ მისი დროში უფრო ადრე მოპოვების, წარმომდგენი მხარის თუ სხვა გარემოების მიხედვით.

საქართველოს სსსკ-ის კანონმდებლობა კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების ოთხ მტკიცებით სტანდარტს იცნობს: დასაბუთებული ვარაუდი, საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად საკმარისი მტკიცებულებები, ალბათობის მაღალი ხარისხი და გონივრულ ეჭვს მიღმა. თითოეული მტკიცებითი სტანდარტი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის სხვადასხვა ეტაპზე გამოიყენება და ადგენს იმ მინიმალურ მტკიცებულებით სტანდარტს, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს მიღებული გადაწყვეტილება.

3.1. დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი

დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი არის საქართველოს სსსკ-ით გათვალისწინებული მტკიცებითი სტანდარტის ყველაზე დაბალი საფეხური, რომელიც აუცილებელია ნებისმიერი საგამოძიებო თუ საპროცესო მოქმედების შესასრულებლად. შეუძლებელია განხორციელდეს

რაიმე სახის ქმედება, თუ სახეზე არ არის მინიმუმ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი – ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც მოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა, საქართველოს სსსკ-ით პირდაპირ გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისთვის ან/და აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისთვის გათვალისწინებული მტკიცებითი სტანდარტი.

დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და მტკიცებულებათა მოპოვების მნიშვნელობის კონტექსტში, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საგამოძიებო ორგანოს, დანაშაულის თაობაზე შეტყობინების მიღების წუთიდან აქვს ვალდებულება, იმუშაოს ამ მოტივის არსებობის დადგენაზე. „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფების მიერ დისკრიმინაციის პრევენციისა და ამ ნიშნით ჩადენილ სამართალდარღვევებზე ეფექტიანი რეაგირების ღონისძიების განხორციელების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 23 დეკემბრის №47 ბრძანებაში პირდაპირ არის მითითებული, რომ თუ გამოძიების დაწყებისას, ცნობილი იყო დანაშაულის ჩადენის სავარაუდო მოტივი, აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია უნდა მიეთითოს გამოძიების დაწყების აღრიცხვის ბარათის (ფორმა №1) დანაშაულის ფაბულის ველში.¹⁹ დანაშაულის თაობაზე შეტყობინების მიღების წუთიდან და შემდგომ, უკვე გამოძიების დაწყების აღრიცხვის ბარათის (რომელიც ყველა სისხლის სამართლის საქმეში არის პირველი დოკუმენტი) ალების დროიდან, საგამოძიებო ორგანოს უკვე ევალება ამ დანაშაულის მოტივზე მუშაობა. შესაბამისად, დანაშაულის მოტივზე მიმთითებელი პირველი დოკუმენტი შეიძლება გამოძიების დაწყების აღრიცხვის ბარათი იყოს, რაც თავის მხრივ, ბრალდების მხარეს ავალდებულებს, გამოძიების მიმდინარეობის დროს, შეისწავლოს ყველა ის გარემოება, რომელიც მოცემულ საკითხთან იქნება დაკავშირებული.

დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი გამოიყენება ცალკეული საგამოძიებო და საპროცესო მოქმედების, პირის ბრალდებულად ცნობის, ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების და სხვა ქმედების განსახორციელებლად. ამ ეტაპზე მხარეებს არ ესაჭიროებათ იმ ოდენობით მტკიცებულებების წარმოდგენა, რაც აუცილებელია პირის მიმართ მისი დამნაშავეობის თაობაზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მისაღებად. შესაბამისად, გამოძიების დაწყების აღრიცხვის ბარათში დანაშაულის მოტივთან დაკავშირებით მითითებული ინფორმაცია შეიძლება დასტურდებოდეს მხოლოდ ერთი სხვა მტკიცებულებით – მაგალითად, შეტყობინების განმასხორციელებელი მოწმის გამოკითხვის ოქმით. მაგალითად, ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლომ გენდერული დისკრიმინაციის

მოტივის დადასტურებისთვის საკმარისად მიიჩნია დაზარალებულის ჩვენება, სადაც ის მიუთითებდა ბრალდებულის მესაკუთრულ დამოკიდებულებაზე, მის მიერ განხორციელებულ მუდმივ კონტროლზე და ბრალდებულის მოთხოვნაზე, რომ დაზარალებული იყო ქალი და ყველაფერში უნდა დამორჩილებოდა კაცს.²⁰ შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ თუ გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით მიღებული განაჩენით დანაშაულის მოტივის შერაცხვისთვის საკმარისია ერთი მტკიცებულების არსებობა, ამ მტკიცებულების არსებობა მით უფრო საკმარისია ამ სტანდარტზე უფრო მსუბუქი სტანდარტით გადაწყვეტილების მისაღებად.

3.2. საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად საკმარისი მტკიცებულებების სტანდარტი

საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად საკმარისი მტკიცებულებათა სტანდარტი საქართველოს სსსკ-ში 2014 წლის 24 ივლისს განხორციელებული ცვლილების შედეგად გაჩნდა. აღნიშნულ სტანდარტში მოიაზრება, როგორც დასაბუთებული ვარაუდის, ისე აღბათობის მაღალი ხარისხის და გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტები, იმის მიხედვით, თუ სისხლის სამართლის პროცესის რომელ სტადიაზე განიხილება საპროცესო შეთანხმების დამტკიცების საკითხი.²¹

საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად საკმარისი მტკიცებულებები წარმოადგენს მტკიცებულებათა იმ სტანდარტს, რომელიც დაარწმუნებდა ობიექტურ პირს, რომ ბრალდებულმა ჩაიდინა დანაშაული, იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდებული აღიარებს დანაშაულს, სადავოდ არ ხდის ბრალდების მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს და უარს ამბობს სასამართლოს მიერ მისი საქმის არსებითი განხილვის უფლებაზე.

მოცემულ სტადიაზე, შეჯობრებითობისა და თანასწორობის პრინციპი ფაქტობრივად წყვეტს მოქმედებას, ვინაიდან, დაცვის მხარე თანხმდება საპროცესო შეთანხმების გაფორმებას, აღიარებს ბრალად შერაცხულ ქმედებას, არ სურს საკუთარი ანდა ბრალდების მხარის მტკიცებულებების გამოკვლევა, უდავოდ ხდის საქმის ფაქტობრივ გარემოებებს და უარს ამბობს სასამართლოს მიერ საქმის არსებით განხილვაზე, ფაქტობრივად დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი ბრალდებულის აღიარებით ჩვენებასთან ერთად, დასტურდება საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებების ერთობლიობით. შეიძლება ითქვას, რომ ამ სტანდარტით ყველაზე უფრო მარტივად ხდება დანაშაულის და მასთან დაკავშირებული საკითხების (დანაშაულის ჩადენის მიზნის, მოტივის (თუ მასზე მითითებულია ბრალდების შესახებ დადგენილებაში), დროის, ადგილის და სხვა) არსებობის დადასტურება.

3.3. ალბათობის მაღალი ხარისხის სტანდარტი

ალბათობის მაღალი ხარისხის სტანდარტი დასაბუთებულ ვარაუდზე უფრო მაღალი სტანდარტია, რომელიც გამოიყენება სასამართლო განხილვის ეტაპზე – წინასასამართლო სხდომის მიმდინარების ეტაპზე, რა დროსაც წინასასამართლო სხდომის მოსამართლე სხდომაზე წარმოდგენილ მტკიცებულებებს მიიჩნევს ურთიერთშეთავსებად და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობად, რომლებიც ქმნიან ვარაუდის მაღალ ხარისხს, რომ მოცემულ საქმეზე გამოტანილ იქნება გამამტყუნებელი განაჩენი და სწორედ ამ ვარაუდზე დაყრდნობით იღებს გადაწყვეტილებას, საქმე გადასცეს არსებითი განხილვისთვის. რა თქმა უნდა, თუ საქმეში არ იქნება საკმარისი მტკიცებულებები ან არსებული მტკიცებულებები დაუშვებლად იქნება მიჩნეული, წინასასამართლო სხდომის მოსამართლე არ გადასცემს საქმეს არსებითი განხილვის ეტაპზე და განჩინების მიღებით შეწყვეტს პირის მიმართ სისხლისსამართლებრივ დევნას.

წინასასამართლო სხდომის ეტაპზე დასაშვებად მიჩნეული მტკიცებულებების არსებითი განხილვის ეტაპზე გამოკვლევის შედეგად, საქართველოს სსსკ-ის 260-ე მუხლით გათვალისწინებულ სხვა საკითხებთან ერთად, უნდა დადგინდეს, ამ კატეგორიის დანაშაულისთვის მნიშვნელოვანი ორი გარემოება: 1. ჩაიდინა თუ არა პირმა მისთვის ბრალად შერაცხული ქმედება; 2. დანაშაულის ჩადენის მოტივი იყო თუ არა დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი.

საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს იმ მტკიცებულების სახელდებით ჩამონათვალს, რომელთა არსებობაც აუცილებელია დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივის შერაცხვისათვის, რაც ლავირების საშუალებას აძლევს როგორც ბრალდების მხარეს, ისე სასამართლოს. სტანდარტი არის მხოლოდ ერთი – მტკიცებულებები უნდა იყოს ურთიერთშეთავსებადი და დამაჯერებელი თუმცა, რა სახის და რამდენი მტკიცებულება შეიძლება იყოს ურთიერთშეთავსებადი და დამაჯერებელი – კანონით არ არის განმარტებული.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ მტკიცებითი სტანდარტის ამ ეტაპზე, სასამართლოს ყველაზე ნაკლები შესაძლებლობა აქვს შევიდეს მათ შინაარსში და იმსჯელოს დანაშაულის ჩადენის მოტივზე, ვინაიდან, მათი შინაარსობრივი გამოკვლევა არსებითი განხილვის ეტაპზე უნდა მოხდეს.

3.4. გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი

გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი არის სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ობიექტურ პირს დაარწ-

მუნებდა პირის ბრალეულობაში, მოცემული სტანდარტი მტკიცებითი სტანდარტის ყველაზე უმაღლესი საფეხურია, რა დროსაც მთავარი აქცენტი გადატანილია ეჭვის ხარისხზე და არა ვარაუდზე.

მოცემულ შემთხვევაში, იგულისხმება, რომ საქმეში არსებობს ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც არა მოსამართლეს, არამედ ნებისმიერ „ობიექტურ პირს,“ რომელიც ობიექტური, მიუკერძოებელი და ნეიტრალურია, დაარწმუნებს პირის ბრალეულობაში, „მოცემული მტკიცებულებითი სტანდარტი ნიშნავს, რომ ობიექტურად დამკვირვებელ პირს (ამ შემთხვევაში მოსამართლეს ან ნაფიც მსაჯულს) სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებების შედეგად ცალკეული ფაქტების არსებობაში, ბრალდებულისთვის წარდგენილი ბრალდების ჭეშმარიტებაში და ამ უკანასკნელის ბრალეულობაში გონივრული ეჭვის საფუძველიც არ უნდა გააჩნდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ნებისმიერი ეჭვი უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ (ე. წ. In dubio pro reo-ს პრინციპი).“²²

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების²³ ანალიზზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ თავად დანაშაულის არსებობის დადასტურებისთვის – გამამტყუნებელი განაჩენის მისაღებად, მინიმუმ ერთი პირდაპირი მტკიცებულების არსებობა არის აუცილებელი და მხოლოდ ირიბ ჩვენებაზე დაყრდნობით ამგვარი გადაწყვეტილების მიღება დაუშვებელია. ამგვარი განმარტება არ არსებობს დანაშაულის ჩადენის მოტივთან მიმართებით, რაც განსხვავებული ინტერპრეტაციის შესაძლებლობას უშვებს.

სასამართლოს მიერ ამ სტანდარტით მიღებული გადაწყვეტილება არის პირველი ინსტანციის სასამართლოში ბოლო საფეხური, შეფასდეს დანაშაული ჩადენილია დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით თუ არა. სასამართლოს, ამ კატეგორიის დანაშაულთან დაკავშირებით, პირის დამნაშავეობაზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღების რამდენიმე ალტერნატივა გააჩნია: უდანაშაულოდ ცნოს პირი ბრალად შერაცხულ ქმედებაში, სრულად ცნოს დამნაშავედ პირი ბრალად შერაცხულ ქმედებაში (ამ დროს მოტივის დამადასტურებელ მტკიცებულებად სასამართლო პრაქტიკის თანახმად, მიიჩნევა: დაბარალეულის ჩვენება, მოწმის ჩვენება,²⁴ შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს მოპოვებული ნივთიერი მტკიცებულება,²⁵ დაბარალეულის ჩვენება და ბრალდებულის აღიარება ერთობლივად,²⁶ მსხვერპლსა და დაბარალეულს შორის არსებული მიმოწერა და ფოტო-ვიდეო ჩანაწერი,²⁷ რომელიც შეუწყნარებლობის მოტივზე მიუთითებს, დანაშაულის ჩადენის ადგილი და სხვა.) ან დამნაშავედ ცნოს პირი ბრალად შერაცხულ ქმედებაში ნაწილობრივ, მათ შორის, შეუძლია ამოურიცხოს დანაშაულის ჩადენის მოტივი და განმარტოს, რომ საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებები არ არის საკმარისი დანაშაულის ჩადენის მოტივის დადასტურებისთვის, მაგალითად, როგორც ეს მოხდა ვიტალი საფაროვის სისხლის სამართლის საქმეზე.²⁸

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი (ოდირი) განმარტავს, რომ ამ კატეგორიის საქმეებში დანაშაულის ჩადენის მოტივის მამტიციებელი რამდენიმე ინდიკატორი (შესაბამისად, მის საფუძველზე მოპოვებული მტიციებულება) შეიძლება არსებობდეს: მოწმის/დაზარალებულის აღქმა; დანაშაულის ჩადენის დროს, შემდეგ ან მანამდე გაკეთებული კომენტარები, წერილობითი განცხადებები, ჟესტები ან გრაფიტი; რასობრივი, ეთნიკური, გენდერული და კულტურული განსხვავებები დაზარალებულსა და ბრალდებულს შორის; დანაშაულის სიძულვილით მოტივირებული ჯგუფების მიერ ჩადენა; ქმედების ჩადენის მდებარეობა და დრო; წარსულში მომხდარი ინციდენტები; მოტივის არარსებობა და სხვა.²⁹ აღნიშნულ გარემოებებზე ამახვილებს ყურადღებას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაც.³⁰

საერთაშორისო დოკუმენტების³¹ ანალიზისა და საქართველოს პრაქტიკის შესწავლის საფუძველზე, საქართველოსთან მიმართებით, შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე მტიციებულება, რომელიც ამ კატეგორიის დანაშაულზე მოტივის დამადასტურებელ მტიციებულებად მიიჩნევა. კერძოდ: მოწმის/დაზარალებულის ჩვენება, რომელიც მიუთითებს დანაშაულის ჩადენის მოტივზე, დანაშაულის ჩადენის დრო, დანაშაულის ჩადენის ადგილი, მიმოწერის ამსახველი ინფორმაციის დათვალიერების ოქმები და თავად ეს მიმოწერები, სხვა მტიციებულებებთან ერთობლიობაში – ბრალდებულის აღიარება.³² სწორედ ამ მტიციებულებებზე დაყრდნობით იღებს სასამართლო გადაწყვეტილებას არის თუ არა დანაშაული სიძულვილის მოტივით ჩადენილი.

დასკვნა

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ სისხლის სამართალწარმოება, რომელიც შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპს ეფუძნება, მტიციებულებათა მოპოვებისა და მათი ამა თუ იმ გადაწყვეტილების მისაღებად საკმარისობის თვალსაზრისით, რამდენიმე მნიშვნელოვან გარემოებას ითვალისწინებს. თითოეული ქმედება, რომელიც სამართალწარმოების ეტაპზე ხორციელდება, მოითხოვს გარკვეული სახის მტიციებულებით სტანდარტს, რომლის არარსებობის შემთხვევაში ჩატარებული საგამოძიებო თუ საპროცესო მოქმედების ან/და მიღებული გადაწყვეტილების სანდოობა და კანონშესაბამისობა დგება ეჭვის ქვეშ.

მტიციებულებების მოპოვება გამოძიების დაწყების მომენტიდან, გამოძიების დაწყების ბარათის (ფორმა N1) აღებიდან იწყება, სწორედ ამ დროიდან იწყებს ბრალდების მხარე მტიციებულებების შეგროვებას. შესაბამისად, გამოძიების დაწყების აღრიცხვის ბარათი შეიძლება იყოს ის პირველი მტიციებულება, რომელშიც ასახული იქნება ინფორმაცია დანა-

შაულის ჩადენის დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივის თაობაზე. სისხლის-სამართლებრივი დევნის დაწყების ეტაპიდან კი, როდესაც უკვე ხდება კონკრეტული პირის იდენტიფიცირება, მას წარმოეშობა უფლება მოიპოვოს მტკიცებულებები, მონაწილეობა მიიღოს ბრალდების მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულებების გამოკვლევაში და ა. შ.

სამართალწარმოების თითოეულ ეტაპზე – სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებიდან სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, გადაწყვეტილების მიმღებს უნდა გააჩნდეს იმ მტკიცებულებათა საკმარისი ერთობლიობა, რომელიც აუცილებელია კონკრეტული გადაწყვეტილების მისაღებად (პირის ბრალდებულად ცნობისთვის დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის არსებობა, გამამტყუნებელი განაჩენის მისაღებად გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის არსებობდა ა. შ.). საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მტკიცებულებების სახელდებით ჩამონათვალს და აქცენტს მხოლოდ მათ შინაარსზე, ურთიერთთავსებადობაზე და დასაბუთებულობაზე აკეთებს. ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, მხოლოდ ირიბ ჩვენებაზე დაყრდნობით, გამამტყუნებელი განაჩენის მიღება არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი, რაც გვაძლევს საფუძველს დასკვნისთვის, რომ გამამტყუნებელ განაჩენს მინიმუმ, ერთი პირდაპირი მტკიცებულება სჭირდება, სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში. თუმცა, დანაშაულის ჩადენის მოტივის დამადასტურებელი მტკიცებითი სტანდარტის თაობაზე საქართველოს სასამართლოს არ უმსჯელია და ქართულ პრაქტიკაზე დაყრდნობით, ამის განსაზღვრა საკმაოდ რთულია, სასამართლოს მიერ მიღებული განაჩენები მწირ დასაბუთებას მოიცავენ დანაშაულის ჩადენის მოტივთან დაკავშირებით,³³ რაც ფაქტობრივად შეუძლებელს ხდის მსჯელობის განვითარებას იმ საკითხზე, თუ რა მტკიცებულებებზე დაყრდნობით მიიჩნია სასამართლომ მოტივის არსებობა დადასტურებულად.

დანაშაულის დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენის არსებობის დადასტურების ვალდებულება გააჩნია ბრალდების მხარეს, თუ მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები არ იქნება საკმარისი და წარმოშობს ეჭვებს, ყველა ეჭვი უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ. მოცემულ პროცესში შესაძლებელია დაცვის მხარე სრულიად უმოქმედო იყოს ან თავად წარმოადგინოს საკუთარი უდანაშაულობის დამადასტურებელი მტკიცებულებები. თუმცა, დაცვის მხარის მოქმედების თუ უმოქმედობის შემთხვევაშიც კი, სასამართლომ გადაწყვეტილება წარმოდგენილ მტკიცებულებებზე დაყრდნობით უნდა მიიღოს, გაითვალისწინოს ყველა ის ინდიკატორი, რომელიც შესაძლებელია მიუთითებდეს დანაშაულის ჩადენის მოტივზე: დანაშაულის ჩადენის დრო და ადგილი, დანაშაულის ჩადენის დროს გაკეთებული კომენტარები, დაზარალებულის/მოწმის აღქმა და სხვა. სწორედ ამ ინდიკატორებზე დაყრდნობით მოპოვებული მტკიცებულებები შეიძლება ადასტურებდნენ

დანაშაულის ჩადენის მოტივს, თუ ეს მტკიცებულებები ობიექტურ პირს დაარწმუნებდა პირის დამნაშავეობაში დამნაშავედ ცნოს ბრალდებული, ხოლო თუ ასეთი მტკიცებულებები არ იქნება წარმოდგენილი, გაამართლოს ის. აღნიშნულიდან გამომდინარეობს თითოეულ ეტაპზე მტკიცებულებების მოპოვების განსაკუთრებული მნიშვნელობა.

საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა არ იძლევა ზუსტ პასუხს დანაშაულის ჩადენის შეუწყნარებლობის მოტივის დამადასტურებელი მტკიცებითი სტანდარტის თაობაზე, რაც შეიძლება არც იყოს საკანონმდებლო ხარვეზი თუ სწორად მოხდება განმარტება – მოტივთან, ისევე როგორც დანაშაულის სხვა გარემოებებთან მიმართებით, გადაწყვეტილების მიმღები უნდა ხელმძღვანელობდეს იგივე მტკიცებითი სტანდარტით, რა სტანდარტიც მიემართება მთავარ გადაწყვეტილებას – პირის ბრალდებულად ცნობას, პირის დამნაშავედ ცნობას და სხვა. ორაზროვნების თავიდან აცილების მიზნით, სასურველია, ორი მიმართულებით აქტივობების განხორციელება: 1. შეფასდეს მოტივთან მიმართებით რა მტკიცებითი სტანდარტის მოთხოვნა არის საქართველოს კანონმდებლობასთან და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში; 2. საერთაშორისო სტანდარტის და ქართული კონტექსტის მხედველობაში მიღებით, საქართველოს სსსკ-ს დაემატოს ნორმა, რომელიც სიძულვილის მოტივის ინდიკატორებზე გაამახვილებს ყურადღებას და გაითვალისწინებს ამ ინდიკატორების სახელდებით და ღია („და სხვას“ მითითებით) ჩამონათვალს.

შენიშვნები:

- ¹ საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებები, სარეგისტრაციო კოდი: 010.010.000.01.001.000.116, 31-33, 24/08/1995;
- ² საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 41(48), 13/08/1999.
- ³ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 41(48), 13/08/1999.
- ⁴ გელოვანი ნ., დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის ერთიანი, 2020 (ოქტომბერ-დეკემბერი) წლის ანგარიშის ანალიზი, ჟურ. „სამართალი და მსოფლიო“, 2022, 8(2), 37, https://lawandworld.ge/PDF/printversionPDF/LawandWorld_N22_Print_Version.pdf [17.02.2023].
- ⁵ OSCE/ODIHR Gender-Based Hate Crime, Hate Crime Reporting, ODIHR Publishing, Warsaw, Poland, <https://www.osce.org/files/f/documents/f/1/480847.pdf> [17.02.2023].
- ⁶ გელოვანი ნ., დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაული ქართულ სისხლის სამართალში, ჟურ. „მართლმსაჯულება და კანონი“, 2022, 14(3), 116, <https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/martlmsajuleba-da-kanoni-2022w-n3.pdf> [17.02.2023].
- ⁷ იხ.: შედეთის სისხლის სამართლის კოდექსის მეხუთე მუხლი, ხორვატიის სისხლის სამართლის კოდექსის 87-ე მუხლი, ასევე, ვრცლად იხ.: გელოვანი ნ., დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაული ქართულ სისხლის სამართალში, ჟურ. „მართლმსაჯულება და კანონი“, 2022, 14(3), 117, <https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/martlmsajuleba-da-kanoni-2022w-n3.pdf> [17.02.2023].
- ⁸ OSCE/ODIHR, Understanding Hate Crimes A Handbook for Ukraine, 2015, Warsaw, Poland, p. 9, <https://www.osce.org/files/f/documents/4/9/208176.pdf> [17.02.2023].
- ⁹ ჯალალანია ლ., ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), ოპერაციული სახელმძღვანელო დოკუმენტი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე ჩადენილი დანაშაულების გამოძიებისა და პრევენციის შესახებ, 2017, გვ. 50-57, <https://socialjustice.org.ge/ka/products/operatsiuli-sakhelmdzghvanelo-dokumenti-seksualuri-orientatsiisa-da-genderuli-identobis-safudzvelze-chadenili-danashaulebis-gamodziebisshesakheb> [17.02.2023].
- ¹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება №1/8/594 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ხათუნა შუბითიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.“ II, 27.
- ¹¹ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 25 ივნისის №1/ბ-139-13 განჩინება.
- ¹² ტრექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2010, 114.
- ¹³ თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2014, 74.
- ¹⁴ მეიშვილი ზ., ჯორბენაძე ო., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, თბ., 2007, 276.
- ¹⁵ OSCE/ODIHR, Hate Crime Caws a Practical Guide, ODIHR Publishing, Warsaw, Poland, 2009, p. 52, <https://www.osce.org/files/f/documents/3/e/36426.pdf> [17.02.2023].

- ¹⁶ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 41(48), 13/08/1999. მუხლი 82.
- ¹⁷ თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2014, 202-205.
- ¹⁸ საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებები, სარეგისტრაციო კოდი: 010.010.000.01.001.000.116, 31-33, 24/08/1995, მუხლი 31.
- ¹⁹ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 23 დეკემბრის №47 ბრძანება;
- ²⁰ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 5 თებერვლის განაჩენი.
- ²¹ ავტორთა კოლექტივი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, რედაქტორი – გ. გიორგაძე, თბ., 2015, 32.
- ²² იქვე, 33.
- ²³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება, საქმეზე №1/1/548.
- ²⁴ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 05 სექტემბრის განაჩენი.
- ²⁵ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 01 აპრილის განაჩენი.
- ²⁶ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 5 თებერვლის განაჩენი.
- ²⁷ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 25 აგვისტოს განაჩენი.
- ²⁸ საქართველოს სახალხო დამცველის სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება ვიტალი საფაროვის სისხლის სამართლის საქმეზე, <https://ombudsman.ge/res/docs/2019100717365940559.pdf> [17.02.2023].
- ²⁹ OSCE/ODIHR, Understanding Hate Crimes A Handbook for Ukraine, 2015, Warsaw, Poland, p. 9-10, <https://www.osce.org/files/f/documents/4/9/208176.pdf> [17.02.2023].
- ³⁰ ECtHR, Case of Identoba and Others v. Georgia, no.73235/12, 12/05/2015, Case of 97 Members of the Gldani Congregation of Jehovah's Witnesses and 4 Others v. Georgia, no. 71156/01, 03/05/2007. Case of Aghdgomelashvili and Japaridze v. Georgia, no. 7224/11, 22/03/2021. Case of Begheluri and Others v. Georgia, no. 28490/02, 07/10/2014. Case of Tkheidze v. Georgia, no. 33056/17, 08/07/2021, Case A and B v. Georgia, no. 73975/16, 10/02/2022.
- ³¹ დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის მიერ შემუშავებული დოკუმენტები, რომლებიც შეიცავენ ინფორმაციას ამ კატეგორიის დანაშაულის ინდიკატორებთან დაკავშირებით.
- ³² გელოვანი ნ., დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით დანაშაულის ჩადენისთვის პირის პასუხისგებაში მიცემისთვის საკმარისი მტკიცებულებათა ერთობლიობა და ამ მოტივის მნიშვნელობა სასჯელის განსაზღვრის დროს, ჟურ. „სამართალი და მსოფლიო,“ 2022, 8(4), 126-127, <https://lawandworld.ge/PDF/printversionPDF/Lawandworld-N24-Print-Version.pdf> [17.02.2023].
- ³³ გელოვანი ნ., დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით დანაშაულის ჩადენისთვის პირის პასუხისგებაში მიცემისთვის საკმარისი მტკიცებულებათა ერთობლიობა და ამ მოტივის მნიშვნელობა სასჯელის განსაზღვრის დროს, ჟურ. „სამართალი და მსოფლიო,“ 2022, 8(4), 116-127, <https://lawandworld.ge/PDF/printversionPDF/Lawandworld-N24-Print-Version.pdf> [17.02.2023].

ბიბლიოგრაფია

სამართლებრივი აქტები:

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;
3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;
4. შვედეთის სისხლის სამართლის კოდექსი;
5. ხორვატიის სისხლის სამართლის კოდექსი;
6. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 23 დეკემბრის №47 ბრძანება.

სამეცნიერო ლიტერატურა:

1. ავტორთა კოლექტივი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, რედაქტორი – გ. გიორგაძე, თბ., 2015;
2. მეიშვილი ზ., ჯორბენაძე ო., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, თბ., 2007;
3. თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2014;
4. ტრექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2010;
5. ჯალაღანია ლ., ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), „ოპერაციული სახელმძღვანელო დოკუმენტი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე ჩადენილი დანაშაულების გამოძიებისა და პრევენციის შესახებ“, 2017;
6. გელოვანი ნ., დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივიტი ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის ერთიანი, 2020 (ოქტომბერ-დეკემბერი) წლის ანგარიშის ანალიზი, შურ. „სამართალი და მსოფლიო“, 2022, 8(2);
7. გელოვანი ნ., დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივიტი ჩადენილი დანაშაული ქართულ სისხლის სამართალში, შურ. „მართლმსაჯულება და კანონი“, 2022, 14(3);
8. გელოვანი ნ., დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივიტი დანაშაულის ჩადენისთვის პირის პასუხისგებაში მიცემისთვის საკმარისი მტკიცებულებათა ერთობლიობა და ამ მოტივის მნიშვნელობა სასჯელის განსაზღვრის დროს, შურნ. სამართალი და მსოფლიო, 2022, 8(4);
9. საქართველოს სახალხო დამცველის სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება ვიტალი საფაროვის სისხლის სამართლის საქმეზე, <https://ombudsman.ge/res/docs/2019100717365940559.pdf>.

საქართველოს საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოს

გადაწყვეტილებები:

1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 25 ივნისის №1/ბ-139-13 განჩინება;
2. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 05 სექტემბრის განჩინება;
3. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 5 თებერვლის განჩინება;
4. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 01 აპრილის განჩინება;

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 25 აგვისტოს განაჩენი;
6. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება №1/8/594;
7. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება, საქმეზე №1/1/548.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები:

1. ბარბარე ესპანეთის წინააღმდეგ, №10590/83, 06.12.1998;
2. ტელფნერი ავსტრიის წინააღმდეგ, № 33501/96, 20.03.2001;
3. იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, №73235/12, 12.05.2015;
4. გლდანის კონგრეგაციის 97 წევრი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, №71156/01, 03.05.2007;
5. აღდგომელაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, №7224/11, 22.03.2021;
6. ბეღელური და სხვები საქართველოს წინააღმდეგ №28490/02, 07.10.2014;
7. თხელიძე საქართველოს წინააღმდეგ, №33056/17, 08.07.2021;
8. ა და ბ საქართველოს წინააღმდეგ, №73975/16, 10.02.2022.

საერთაშორისო დოკუმენტები:

1. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია;
2. OSCE/ODIHR, Gender-Based Hate Crime, Hate Crime Reporting, ODIHR Publishing, Warsaw, Poland, <https://www.osce.org/files/f/documents/f/1/480847.pdf>
3. OSCE/ODIHR, Understanding Hate Crimes A Handbook for Ukraine, 2015, Warsaw, Poland, p. 9, <https://www.osce.org/files/f/documents/4/9/208176.pdf>
4. OSCE/ODIHR, Hate Crime Caws a Practical Guide, ODIHR Publishing, Warsaw, Poland, 2009, p. 52, <https://www.osce.org/files/f/documents/3/e/36426.pdf>



THE APPROVAL PROCESS AND STANDARDS FOR CRIMES COMMITTED ON THE GROUNDS OF INTOLERANCE

NATI GELOVANI

Ph.D. student at the Faculty of Law and Social Sciences of East European University

According to the Constitution of Georgia, a person is considered innocent until his/her guilt is proven by the law, by a legally binding court decision. However, no one is obliged to prove his/her innocence. The burden of proving the accusation rests with the accuser.

The crime provided by the Criminal Code of Georgia, the motive of which is hatred, intolerance, or contempt, is evaluated as a crime committed with the motive of intolerance based on discrimination, and like other crimes, to prosecute a person for the mentioned crimes, it is necessary to have evidence confirming the commission of the fact provided by the Criminal Code, as well as the motive of intolerance for committing this crime.

The obligation to examine the bias motive within the full, comprehensive, and objective investigation stipulated by the procedural legislation rests with the law enforcement officers. Based on its strategy, the defense party determines whether to

present any kind of evidence in court. This right rises from the principle according to which no one is obliged to prove his/her innocence and the court is obliged to administer justice, to make a final decision based on the presented evidence, and, in addition, it must be substantiated.

It is a constitutional principle that legal proceedings are conducted based on equality and competition between the parties. Evidence obtained by violation of law has no legal force. The national law requires that any final judgment granted at the trial stage be reasoned, and supported by evidence. Obtaining evidence and presenting it to the court is carried out by the parties based on the principle of competition and equality.

ადგილობრივი და საერთაშორისო კანონმდებლობა როგორც გენდერული თანასწორობის დაცვის მექანიზმი

თებია გოგინჯანიძე

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
სამართლის ფაკულტეტის დოქტორანტი

შესავალი

ქალთა უფლებების დაცვა ხორციელდება როგორც ეროვნული საკანონმდებლო აქტებით, ისე საერთაშორისო ხელშეკრულებებით.

საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიური ჩართულობა, საერთაშორისო ხელშეკრულებები და ევროპული ლიბერალიზმის ტრადიციების პოპულარიზაცია საქართველოში რთულად, მაგრამ მაინც წინ მიიწევს.

სახელმწიფოებს აქვთ ვალდებულება შეასრულონ სხვადასხვა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. პერიოდული ანგარიშებისა და რეკომენდაციების გზით, სახელმწიფო ასე მუდმივი ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება.

საქართველოს კონსტიტუცია, კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ და სხვადასხვა საკანონმდებლო ნორმები, უზრუნველყოფს ქალებისა და მამაკაცების თანასწორ უფლებებს.

ქართული კანონმდებლობა და გენდერული თანასწორობა

საბჭოთა კავშირის ნგრევისა და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, საქართველოში სრულიად ახალი წესრიგი დამყარდა. ღირებულებათა გადაწყობის პროცესი დღემდე რთულად მიმდინარეობს.

სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული აქტივობები, ქალთა უფლებების დაცვისა და გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად, გამოხატულია საკანონმდებლო აქტებში და იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებში, რომლებსაც ეტაპობრივად უერთდება ჩვენი სახელმწიფო.

1994 წელს, საქართველო შეუერთდა გაერთიანებული ერების კონვენციას, ქალთა ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ¹ და იკისრა ვალდებულება – შეესრულებინა კონვენციის მოთხოვნები. 1995 წელს, საქართველო პეკინის სამოქმედო პლატფორმას შეუერთდა.

1999 წელს, შემუშავდა და ხელი მოეწერა, პრეზიდენტის 511-ე ბრძანებულებას, „საქართველოში ქალთა უფლებების დაცვის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ.“² აღნიშნული ბრძანებულება შედგება თექვსმეტი მუხლისაგან. მოხსენიებულია სხვადასხვა სამთავრობო უწყებები, სამინისტროები, რომლებსაც პრეზიდენტი გენდერული თანასწორობის კუთხით, აძლევს დავალებებს. კონკრეტულად, პარლამენტს დაევალა – ქალთა პოზიციების გასაუმჯობესებლად დროებითი, სპეციალური ღონისძიებების უზრუნველყოფა. საგარეო საქმეთა სამინისტროს – მოლაპარაკებების პროცესში ქალთა აქტიური ჩართულობა. ჯანდაცვის სამინისტროს – ქალის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, ღონისძიებების გატარება. ასევე, შესაბამის უწყებას დაევალა – შრომით ბაზარზე, ქალთა პირდაპირი ან ირიბი დისკრიმინაციის შემთხვევების მოკვლევა და გამოვლენა.³ მნიშვნელოვანია, რომ პირველად, ქალთა სავალდებულო კვოტირების შესახებ, საკანონმდებლო დონეზე საუბარი, სწორედ ამ ბრძანებულებაში იყო. პრეზიდენტმა ქალთა პოზიციების გაუმჯობესების მიზნით, პოლიტიკურ წარმომადგენლობებში, ქალთა კვოტებზეც ისაუბრა.

მორიგი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტი, მიღებული იქნა 2000 წლის 25 თებერვალს. საქართველოს პრეზიდენტის 64-ე ბრძანებულება „ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის გეგმის (2000–2004) დამტკიცების შესახებ.“⁴ აღსანიშნავია, რომ აღნიშნული საკანონმდებლო აქტი არ აღმოჩნდა ფუნქციური. მასში წარმოდგენილი თარიღები არ იქნა დაცული და მოგვიანებით, ყველა დათქმული ვადა, შეცვლილი იყო ახალი ვადით.⁵

გენდერული თანასწორობის საკონსულტაციო საბჭო საქართველოში 2004 წელს შეიქმნა, ხოლო მომდევნო წელს დამტკიცდა გენდერული თანასწორობის სამთავრობო კომისია.⁶

2006 წელს, მიღებული იქნა საქართველოს პარლამენტის დადგენილება, გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფციის დამტკიცების თაობაზე.⁷ აღნიშნული კონცეფცია წარმოადგენს ძალიან მნიშვნელოვან დოკუმენტს. ამ აქტით, ნორმატიულ ენაზე განიმარტა რიგი ტერმინები. კერძოდ: გენდერი, გენდერული თანასწორობა, სქესის ნიშნით დისკრიმინაცია და ა. შ. შემდეგ წელს კი, პარლამენტმა დაამტკიცა გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განსახორციელებელი ღონისძიებები. გაიწერა, რომ ეს გეგმა უნდა შესრულებულიყო 2007-2009 წლებში. ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ის ღონისძიებები, რომლებიც უნდა განხორციელებულიყო განათლების სფეროში.⁸ მომხდარიყო ამ სისტემაში გენდერთან დაკავშირებული სტერეოტიპების ჩანაცვლება ახალი, გენდერულ თანასწორობაზე ორიენტირებული ხედვით. ეს უნდა განხორციელებულიყო განათლების ყველა საფეხურზე. ასევე, გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო გენდერული ასპექტები საგანმანათლებლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებში.

2006 წელი მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის დაცვის კუთხით. ამავე წელს ასევე, მიღებული იქნა საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ.“⁹ კანონის მიზანი იყო ოჯახის წევრთა უფლებრივი თანასწორობის აღიარებით, მათი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ასევე, ძალადობის თავიდან აცილება და სარეაბილიტაციო ღონისძიებების ხელშეწყობის უზრუნველყოფა. ამ კანონში განმარტებულია ისეთი მნიშვნელოვანი ტერმინები, როგორც არის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა, ეკონომიკური ძალადობა, სექსუალური ძალადობა, იძულება, უგულებელყოფა და ა. შ. ასევე, გაწერილია ოჯახში ძალადობის პრევენციის გამოვლენისა და აღკვეთის მექანიზმები. კანონი განმარტავს დამცავი და შემაკავებელი ორდერის გამოწერის წესს, მოქმედების ვადებსა და მუშაობის მექანიზმს.¹⁰

მოგვიანებით, 2009 წელს, საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოიცა 665-ე ბრძანებულება, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა იდენტიფიცირების წესის დამტკიცების თაობაზე.¹¹

ასევე, მნიშვნელოვანი აღმოჩნდა 2010 წელი, როდესაც მიიღეს საქართველოს კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ.“¹² ეს კანონი გარდა იმისა, რომ ადგენს ქალისა და მამაკაცის თანასწორ უფლებებს, თავისუფლებებს და შესაძლებლობებს მათი რეალიზაციისათვის, ამავე დროს, პირველად განმარტავს ნორმატიულ დონეზე „თანასწორი მოპყრობის ტერმინს.“ იგი განიმარტა, შემდეგნაირად: „განათლების, შრომისა და სოციალური პირობების დადგენისას, საოჯახო ურთიერთობებსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სხვა სფეროებში ორივე სქესის პირთა თანასწორი უფლებებისა და შესაძლებლობების აღიარება, სქესის ნიშნით დისკრიმინაციის დაუშვებლობა.“¹³

2014 წელს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო ყველაზე მოცულობითი სამოქმედო გეგმა 2014–2016 წლებისათვის.¹⁴ გეგმა მოიცავს უამრავ პუნქტს, მათ შორის: საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს გაძლიერება, სასამართლო სისტემაში დასაქმების პროცესში გენდერული პარამეტრების გათვალისწინება და გენდერული სტატისტიკის წარმოება, აღმასრულებელ ხელისუფლებასთან გენდერული თანასწორობის უწყება-თაშორისი კომისიის შექმნა, საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია გენდერული თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებულ საერთაშორისო სტანდარტებთან, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ფორმირების პროცესში გენდერული თანასწორობის ასპექტების გათვალისწინება, საჯარო სამსახურის რეფორმის დროს გენდერული პარამეტრების გათვალისწინება, ეროვნული სტატისტიკის მონაცემთა ბაზებში გენდერული სტატისტიკის განახლება, განათლების სფეროში მოქმედ ძირითად კანონებში გენდერული თანასწორობის ასპექტების გათვალისწინება, ზოგადი განათლების სფეროში გენდერული თანასწორობის დანერგვის ხელშეწყობა, ტექნიკური მიმართულებებში გენდერული ბალანსის გაუმჯობესება, საკუთარ უფლებებსა და ვალდებულებებზე ახალგაზრდობის ინფორმირებულობის დონის ამაღლება არაფორმალური განათლების გზით, გენდერული სტერეოტიპებისა და გენდერული უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლა ცნობიერების ამაღლების გზით, აგრობიზნესში ქალთა მონაწილეობის გაზრდა, სპორტულ ცხოვრებაში, სასოფლო სამეურნეო საქმიანობაში ქალთა ცოდნის დონის, დასაქმების გაზრდა და ჩართულობა, პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალისა და მამაკაცის თანაბარი მონაწილეობის ხელშეწყობა, არჩევით ორგანოებში ქალთა მონაწილეობის გაზრდა, გადაწყვეტილების მიღებაში ქალთა მონაწილეობის გაზრდა, ძალოვან უწყებებში ქალთა დასაქმება და გენდერული სტერეოტიპების მსხვრევა, პატიმარი ქალის უფლებების დაცვა, გენდერული ნიშნით ძალადობის აღმოფხვრა და სხვა უამრავი ასპექტი, რომელიც მოიცავს ცხოვრების ყველა მნიშვნელოვან სფეროს.¹⁵

საქართველოს სასამართლო სისტემაში გადაწყვეტილებები გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით, ძალიან ბევრია. ყველაზე ხშირად, იგი ეხება ქალის დეკრეტული შვებულების საკითხებს ან გენდერულ დისკრიმინაციას სამსახურში მიღების ან უშუალოდ მუშაობის დროს. არასახარბიელოა სისხლისსამართლებრივი დანაშაულები, ჩადენილი გენდერული დისკრიმინაციის ნიშნით.

გავცანით რა, გადაწყვეტილებებს უნდა ითქვას, რომ უკეთესი მდგომარეობაა, თუ ეს ეხება სამოქალაქო უფლებების დაცვას, ხოლო უფრო რთულია მდგომარეობა სისხლის სამართლის საქმეებზე. ხშირად მოძალადე უდანაშაულოდ არის ცნობილი, ხოლო კასაციას დაუშვებლად აქვს მიჩნეული საჩივარი. რეალურად, ქალს არ გააჩნია ბერკეტი, ამტკიცოს კაცის მხრიდან

ძალადობის შემთხვევები, განსაკუთრებით, თუ ეს არ არის ხილული და ფიზიკური ძალადობა და წარმოადგენს ეკონომიკურ, სექსუალურ ან ვერბალურ ძალადობას.

საერთაშორისო და რეგიონული ინსტრუმენტები

ქალთა უფლებების დაცვა და განვითარება, გარდა ადგილობრივი საკონონმდებლო აქტებისა, მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული საერთაშორისო და რეგიონულ ინსტრუმენტებთან.

1948 წლის 10 დეკემბერს, გაეროს გენერალური ასამბლეამ მიიღო ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაცია.¹⁶ აღნიშნული დეკლარაცია ისტორიაში პირველად, წარმოადგენდა იმ ძირითადი სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების ერთიანობას, რომლითაც ყველა ადამიანი უნდა სარგებლობდეს, განურჩევლად სქესისა, რასისა თუ რელიგიური კუთვნილებისა.¹⁷

დეკლარაციით გათვალისწინებული ყველა უფლება თანაბრად ვრცელდება ქალის მიმართაც. დეკლარაციის პირველივე მუხლში ხაზგასმულია, დაცული უფლებით თანაბრად სარგებლობა სქესის მიუხედავად, რაც იმპერატიულად მიუთითებს რომელიმე სქესის უფლებათა შეზღუდვის დაუშვებლობის შესახებ.¹⁸ მოგვიანებით, 1966 წელს, მიღებული იქნა ორი უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო პაქტი: სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (ICCPR)¹⁹ და ასევე, სოციალური, კულტურული და ეკონომიკური უფლებების შესახებ (ICESCR).²⁰

ყველა საერთაშორისო ინსტრუმენტის მიმოხილვა სტატიის მიზნებისათვის, მეტისმეტად რთული იქნება, ამიტომ გამოვყოფთ სტამბოლის კონვენციას როგორც ყველაზე მნიშვნელოვანს.

2011 წლის 11 მაისს, ქალთა უფლებების დაცვის კუთხით, სტამბოლში ხელი მოეწერა უმნიშვნელოვანეს კონვენციას.²¹

ამ კონვენციაზე მუშაობა ევროსაბჭოს ექსპერტების მიერ ჯერ კიდევ, 2008 წელს დაიწყო. კონვენციის პირველი ტექსტი 2010 წელს უკვე მზად იყო, ხოლო მასზე მუშაობა საბოლოოდ, 2011 წელს დასრულდა.

კონვენციის რატიფიცირება მოახდინა 33 ქვეყანამ. კონვენციის მთავარი მიზანი არის ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია, მსხვერპლის დაცვა და მოძალადეზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება.

კონვენცია აყალიბებს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის ვალდებულებას ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობის მიღწევის უფრო ვრცელ კონტექსტში.

კონვენცია წევრ სახელმწიფოებს სთხოვს ძალადობის პრევენციას, მსხვერპლის სათანადო დაცვას და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ნორმების მისადაგებას მოძალადის მიმართ. კონვენცია მოიცავს არა მხოლოდ ოჯახურ ძალადობას, იქნება ეს ფიზიკური, ეკონომიკური, ფსიქოლოგიური თუ სექსუალური ხასიათის, არამედ ყველა სახის სექსუალურ ძალადობას, გაუპატიურებას. კონვენცია შეეხება ნებისმიერი წარმომავლობის ქალებსა და გოგონებს, მიუხედავად მათი ასაკისა, რასობრივი კუთვნილებისა, სოციალური წარმომავლობისა, მიგრანტის სტატუსის თუ სექსუალური ორიენტაციისა. კონვენცია აღიარებს, რომ არსებობს ქალთა და ბავშვთა გარკვეული ჯგუფები, რომლებიც ძალადობის მსხვერპლად ქცევის უფრო მაღალი რისკის ქვეშ იმყოფებიან და სახელმწიფოებმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ მათი განსაკუთრებული საჭიროებანი. გარდა ამისა, სახელმწიფოებს მოვუწოდებთ, მიუსადაგონ კონვენცია ოჯახში ძალადობის ისეთ მსხვერპლებსაც, როგორებიც არიან კაცები, ბავშვები და ხანდაზმულები.²²

კონვენცია მოითხოვს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას ან სხვა სამართლებრივი სანქციების ამოქმედებას, თუ სახეზეა:

1. ოჯახური ძალადობა (ფიზიკური, სქესობრივი, ფსიქოლოგიური თუ ეკონომიკური);
2. დევნა (აკვიტებული დევნა/გადაკიდება); სექსუალური ძალადობა, გაუპატიურების ჩათვლით;
3. სქესობრივი შევიწროება;
4. იძულებითი ქორწინება;
5. ქალის გენიტალიების დაცვეთა;
6. იძულებითი აბორტი და იძულებითი სტერილიზაცია.

კონვენცია მკაფიოდ აცხადებს, რომ ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა არ არის პირადი საქმე. პირიქით, იგი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ოჯახის შიგნით მომხდარ დანაშაულს ბევრად უფრო ძლიერი ტრავმის გამოწვევა შეუძლია, ამიტომ ამგვარი დანაშაულის ჩამდენს უფრო მკაცრი სასჯელი უნდა მიესაჯოს, როდესაც მსხვერპლი მისი მეუღლე, პარტნიორი ან ოჯახის წევრია.

კონვენცია ხელშემკვრელ სახელმწიფოებს იმპერატიულად მოუწოდებს მოახდინონ ისეთი ქმედებების კრიმინალიზაცია, როგორიცაა ოჯახში ძალადობა, ასევე, ადევნება. კონვენციის ეს მოთხოვნები ეროვნულ კანონმდებლობაში ასახული იქნა სისხლის სამართლის კოდექსის 126 პრიმა მუხლის მიღებით (ოჯახში ძალადობა) 2012 წელს და სისხლის სამართლის კოდექსის 151 პრიმა მუხლის (ადევნება) მიღებით – 2017 წელს. გარდა ამისა, კონვენცია მოუწოდებს

სახელმწიფოებს სისხლის სამართლის ან სხვა საშუალებებით, მოახდინონ სქესობრივი შევიწროების წინააღმდეგ შესაბამისი ნორმების მიღება.²³ კონვენცია ასევე, ეხება იძულებითი აბორტისა და იძულებითი სტერილიზაციის თემებს.²⁴

უაღრესად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ კონვენციაში განმარტებულია გენდერის ცნება და ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც ტერმინი „გენდერი“ ჩნდება საერთაშორისოსამართლებრივ ინსტრუმენტებში. კონვენციის მიხედვით, გენდერი არის: სოციალურად კონსტრუირებული როლების, ქცევების, საქმიანობებისა და მახასიათებლების ნაკრები, რომელსაც ესა თუ ის საზოგადოება ქალისთვის ან კაცისთვის შესაფერისად მიიჩნევს.

კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობას აღიარებს ადამიანის უფლებების დარღვევად და დისკრიმინაციის ფორმად. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფოებს შესაბამისი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ, თუ ისინი ამგვარ ძალადობაზე ადეკვატურ რეაგირებას არ მოახდენენ.

ეს გახლავთ პირველი საერთაშორისო კონვენცია, რომელშიც მოცემულია გენდერის განსაზღვრება. ეს ნიშნავს, რომ ქალი და მამაკაცი არა მხოლოდ ბიოლოგიურად არიან მდებარეობითი და მამრობითი სქესისა, არამედ ასევე, განეკუთვნებიან სოციალურ კონსტრუქციაზე აგებულ გენდერის კატეგორიას, რომელიც ქალებისა და მამაკაცების კონკრეტულ როლებსა და ქცევის წესებს განსაზღვრავს. კვლევებმა აჩვენა, რომ გარკვეული როლებისა და ქცევების მიღებამ, შესაძლოა ქალთა მიმართ ძალადობა დასაშვებ მოვლენად აქციოს.

კონვენცია სახელმწიფოებს მოუწოდებს, რომ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ჩართონ შესაბამისი სახელმწიფო უწყებები და სამსახურები, რათა ეს პრობლემა კოორდინირებული ძალისხმევით გადაიჭრას. ეს კი ნიშნავს, რომ უწყებები და არასამთავრობო ორგანიზაციები ცალ-ცალკე კი არ უნდა მუშაობდნენ, არამედ მათ თანამშრომლობის პროტოკოლები/მემორანდუმები უნდა შეიმუშაონ.²⁵

1946 წელს დაფუძნდა გაეროს ქალის სტატუსის კომისია (CSW). მისი ძირითადი მიზანი იყო საერთაშორისო ინსტრუმენტებში, ეროვნულ კანონმდებლობაში და სხვადასხვა კონვენციებში, ქალთა მიმართ დისკრიმინაციული ნორმების შეცვლა. ამავე კომისიის მიერ შემუშავდა ისეთი მნიშვნელოვანი აქტი, როგორც არის ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია.²⁶

ზედმიწევნით გაწერილი რეკომენდაციები და კონვენციის მუხლები აზრს კარგავს, თუკი არ არსებობს კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების აღსრულების მექანიზმები.

ამ მიზნით, კონვენცია ითვალისწინებს, სპეციალური კომიტეტის შექმნას. კომისია შედგება მონაწილე წევრი სახელმწიფოების მიერ შერჩეული 23 წევრისაგან. წევრებზე მოქმედებს როტაციის პრინციპი და ისინი აირჩევიან ოთხი წლის ვადით.²⁷

სახელმწიფოები ვალდებული არიან ანგარიშები წარუდგინონ კომისიას საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების მიერ კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ. პირველი ანგარიში, რომელსაც ეწოდება საინიციატივო ანგარიში, წარდგენილი უნდა იყოს რატიფიცირებიდან ერთი წლის შემდეგ, ხოლო პერიოდული ანგარიშები, ოთხ წელიწადში ერთხელ.²⁸ მოსმენის და განხილვის შემდეგ, კომისია ამზადებს შესაბამის რეკომენდაციებს და წინადადებებს, რათა აღმოფხვრან შესაბამისი ხარვეზები.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს ოფიციალურ ანგარიშებთან ერთად, კომისიას შეიძლება წარედგინოს ჩრდილოვანი ანგარიშები. მას როგორც წესი, წარადგენს არასამთავრობო ორგანიზაციები, სამოქალაქო სექტორი და ა. შ.²⁹

კომისიაში სახელმწიფოთა ანგარიშების განხილვის გარდა, უმნიშვნელოვანესი შესაძლებლობაა, მონაწილე სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ მყოფი პირის მიერ წარდგენილი საჩივრების პროცედურა, რომელიც დადგენილია კონვენციის ფაკულტატური ოქმის მე-2 მუხლით.³⁰ ფაკულტატური ოქმის მე-4 მუხლის მიხედვით, საჩივარი უნდა ეხებოდეს კონვენციის დებულებების დარღვევას, ხოლო მე-6 მუხლი ადგენს შესაბამის ვადებსა და პროცედურებს. ასევე მნიშვნელოვანია, ფაკულტატური ოქმის მე-7 მუხლი, რომელის მიხედვითაც, კომიტეტი საჩივრის შესწავლის შემდეგ, დაინტერესებულ მხარეებს აწვდის თავის მოსაზრებებსა და რეკომენდაციებს, გატარებული ღონისძიებების შესახებ.³¹

დასკვნა

გენდერული თანასწორობის მიღწევა საკანონმდებლო რეგულაციებით შესაძლებელია, მაგრამ ძალიან რთულია.

მიუხედავად უამრავი კონვენციის არსებობისა ქალების მშვიდობისა და დაცვის სფეროში, არცერთ მათგანს არ გააჩნია სავალდებულო იურიდიული ძალა. ეს რეზოლუციები სახელმწიფოს სთავაზობს, მხოლოდ კონფლიქტის შემდგომ პერიოდებში ქალთა და გოგონათა უფლებების დაცვას, ახსენებს სახელმწიფოებს სავალდებულო იურიდიული ძალის მქონე სხვადასხვა ვალდებულებების შესრულებას და ა.შ. ანუ სამწუხაროდ, რეალურ დროს, მიმდინარე პროცესში, ისინი ვერ იცავენ ქალების უფლებებს და არ წარმოადგენენ რაიმე ქმედით ბერკეტს.

რაც შეეხება უშუალოდ საქართველოს. 1991 წლიდან დღემდე, ბევრი ქმედითი ნაბიჯი გადაიდგა გენდერული თანასწორობის მიღწევისა და დაცვის მიზნით. იმედი გვაქვს, მომავალი გაცილებით პოზიტიური იქნება.

შენიშვნები:

- ¹ მიღებულია გენერალური ასამბლეის მიერ 1979 წლის 18 დეკემბერს, ძალაშია 1981 წლის 3 სექტემბრიდან, რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 22 სექტემბრის N561 დადგენილებით.
- ² <https://matsne.gov.ge/ka/document/view/113068?publication=0>
- ³ იქვე.
- ⁴ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/113572?publication=0>
- ⁵ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/116632>
- ⁶ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1287532?publication=0>
- ⁷ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/44014>
- ⁸ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/7828>
- ⁹ <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/26422?publication=3>
- ¹⁰ იქვე.
- ¹¹ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/105724?publication=0>
- ¹² <https://matsne.gov.ge/ka/document/view/91624?publication=9>
- ¹³ იქვე.
- ¹⁴ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2235622?publication=0>
- ¹⁵ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2235622?publication=0>
- ¹⁶ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მიღებულია 1948 წლის 10 დეკემბერს, საქართველოში ძალაშია საქართველოს უზენაესი საბჭოს 1991 წლის 15 სექტემბრის დადგენილება
- ¹⁷ <https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi3.pdf>
- ¹⁸ მესხი მ., ქალის უფლებათა დაცვა ადამიანის უფლებათა დაცვის უნივერსალური და რეგიონული ინსტრუმენტებით, სახელმძღვანელო წიგნი I, გამომც. ულტრა, 2021, გვ.14.
- ¹⁹ საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ (international covenant on civil and political rights), მიღებულია 1966 წლის 16 დეკემბერს და ძალაშია 1976 წლის 23 მარტიდან.
- ²⁰ საერთაშორისო პაქტი ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ (international covenant on economic, social and cultural rights), მიღებულია 1966 წლის 16 დეკემბერს რეზოლუციით და ძალაშია 1976 წლის 23 მარტიდან.
- ²¹ <https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/documentAccessError.jsp?url=https://rm.coe.int:443/CoERMPublicCommonSearchServices/sso/SSODisplayDC TMContent?documentId= 09000016800d383a>
- ²² <https://rm.coe.int/1680464e72>
- ²³ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 126 პრიმა.
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=241#>
- ²⁴ <https://www.coe.int/en/web/istanbul-convention/key-facts>
- ²⁵ <https://rm.coe.int/1680464e72>
- ²⁶ მესხი მ., ქალის უფლებათა დაცვა ადამიანის უფლებათა დაცვის უნივერსალური და რეგიონული ინსტრუმენტებით, სახელმძღვანელო წიგნი I, გამომც. ულტრა, 2021, გვ. 46.
- ²⁷ მესხი მ., ქალის უფლებათა დაცვა ადამიანის უფლებათა დაცვის უნივერსალური და რეგიონული ინსტრუმენტებით, სახელმძღვანელო წიგნი I, გამომც. ულტრა, 2021, გვ. 38.
- ²⁸ იქვე.
- ²⁹ იქვე.
- ³⁰ მესხი მ., ქალის უფლებათა დაცვა ადამიანის უფლებათა დაცვის უნივერსალური და რეგიონული ინსტრუმენტებით, სახელმძღვანელო წიგნი I, გამომც. შპს ულტრა, 2021, გვ. 40.
- ³¹ ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, კონვენციის ფაკულტატური ოქმი, მიღებულია 1999 წლის, 6 ოქტომბერს გენერალური ასამბლეის 28-ე სხდომაზე და ძალაშია 2000 წლის 22 დეკემბრიდან.

ბიბლიოგრაფია:

1. მესხი მ., ქალის უფლებათა დაცვა ადამიანის უფლებათა დაცვის უნივერსალური და რეგიონული ინტრუმენტებით, სახელმძღვანელო წიგნი I, გამომც. ულტრა (2021).
2. ქალის მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია, 1994 წელი, მიღებულია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის მე-13 სესიაზე.
3. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ (international covenant on civil and political rights), მიღებულია 1966 წლის 16 დეკემბერს და ძალაშია 1976 წლის 23 მარტიდან.
4. საერთაშორისო პაქტი ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ (international covenant on economic, social and cultural rights), მიღებულია 1966 წლის 16 დეკემბერის რეზოლუციით და ძალაშია 1976 წლის 23 მარტიდან.

ინტერნეტი რესურსები:

1. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/113068?publication=0>
2. <https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi3.pdf>
3. <https://www.un.org/womenwatch/daw/cedaw/text/econvention.htm>
4. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/113572?publication=0>
5. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/116632>
6. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1287532?publication=0>
7. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/44014>
8. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/7828>

(ყველა ინტერნეტ რესურსთან ბოლო წვდომა, გადამოწმებულია 20.02.2023)

LOCAL AND INTERNATIONAL LEGISLATION AS A MECHANISM FOR GENDER EQUALITY PROTECTION

TEBEA GOGISVANIDZE

Ph.D. candidate of law

Caucasus International University

According to international human rights law, human rights and freedoms apply equally to all people regardless of their gender, race, cultural characteristics, religious principles, and level of development.¹

The loud conversation about the protection of women's rights, and manifestations of various activism and movements, clearly revealed the gaps and the topics that needed legal refinement and support.

What is needed legislation-wise to not have any gender discrimination? This article discusses the existing legislation in Georgia in the direction of gender equality and the protection of women's rights, as well as international mechanisms and agreements.

The first chapter of the article is dedicated to national legislation, while the second chapter presents a brief overview of international legislation. Analyzing all international instruments for the purpose of this article would be too difficult, so we have singled out the Istanbul Convention as the most important.

¹ M. Meskhi, protecting women's rights using universal and regional instruments of human rights protection. Guide manual I. 2021. Printing house Ultra. p. 9

საგანგებო მდგომარეობის დროს ადამიანის უფლებათა შეზღუდვისა და შეჩერების საკითხი საქართველოს კონსტიტუციაში

ლევან ბისელია

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
სამართლის ფაკულტეტის დოქტორანტი

საგანგებო დებულებები უცხო არ არის ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციისათვის. კერძოდ, საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია იცნობდა ადამიანის უფლებათა „დროებითი შეჩერების“ მექანიზმს.¹ 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია დასაშვებად მიიჩნევდა ადამიანის უფლებათა „შეზღუდვას“,² ხოლო მოქმედი საქართველოს კონსტიტუციის 71(4) მუხლი უშვებს, როგორც ადამიანის უფლებების შეზღუდვას, ასევე შეჩერებას.³ თუ თვალს გადავავლებთ საგანგებო დებულებების ასახვის ისტორიას საქართველოს კონსტიტუციაში, ვერსად ვერ ვნახავთ იმის დასაბუთებას, თუ რატომ გახდა აუცილებელი და საჭირო ადამიანის უფლებათა შეჩერების მექანიზმის შემოტანა საქართველოს კონსტიტუციაში ან რამდენად შეესაბამება ეს დებულება საერთაშორისო სტანდარტებს, რამდენად არის

თავსებადი ადამიანის უფლებათა არსთან და საერთოდ კონსტიტუციურ წესრიგთან. ამ საკითხების განხილვა და მასზე ყურადღების გამახვილება მნიშვნელოვანია, რამეთუ ის შეეხება ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს.

საქართველოს კონსტიტუციით ადამიანი არის უმაღლესი ფასეულობა. საქართველოს კონსტიტუცია „ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას, ხალხი და სახელმწიფო შეზღუდულნი არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით.“⁴⁴ გარდა ამისა, მოქმედი კონსტიტუცია მიუთითებს, რომ „სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით,“ რაც ადამიანის უფლებათა დაცვის მყარ გარანტიად მიიჩნევა. გარდა ამისა, საქართველოს კონსტიტუცია აღიარებულია სახელმწიფოს უზენაეს კანონად და რომ „სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება კონსტიტუციითა და კანონით დადგენილ ფარგლებში.“ კონსტიტუცია ასევე ამბობს, რომ „საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლით აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს,“ რაც ადამიანის უფლებათა დაცვის კიდევ ერთი მყარი გარანტიაა.

საქართველოს კონსტიტუციურ სისტემას საფუძვლად სამი ფუნდამენტური პრინციპი უდევს, „რომელთაგან უმნიშვნელოვანესია დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი, რომლებიც ერთმანეთთან არის დაკავშირებული. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის ფუნქციად ხელისუფლების შეზღუდვა და სახელმწიფოსგან ინდივიდის თავისუფლების უზრუნველყოფა განისაზღვრება.“⁴⁵ რაც შეეხება ადამიანის ძირითად უფლებებს, სწორედ მასში აისახება ყველაზე უკეთ სახელმწიფოს სამართლით შეზღუდვის იდეა. როგორც დავინახეთ, საქართველოს კონსტიტუცია ადამიანს აღიარებს უმაღლეს ფასეულობად და უმაღლესი ფასეულობა ის იმიტომ არის, რომ ყველა სხვა დებულებები მას უნდა შეესაბამებოდეს. ვერ უნდა იარსებოს იმ სიკეთემ, რომელიც გადაწონის კონსტიტუციით აღიარებულ ამ უმაღლეს ფასეულობას.

საქართველოს კონსტიტუციაში ადამიანის უფლებებს უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია და მეორე თავშია მოცემული. ამ თავში მოცემულია ადამიანის უფლებები, რომელთა შეზღუდვის საფუძვლადაც დასახელებულია „შეზღუდვა კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის ან მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით.“⁴⁶ საგანგებო მდგომარეობის დროს კი, შეიძლება „შეზღუდოს ან შეჩერდეს ადამიანის უფლებები მასობრივი არეულობის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის, სამხედრო გადატრიალების, შეიარაღებული ამბოხების, ტერორისტული აქტის, ბუნებრივი ან ტექნოგენური კატასტროფის

ან ეპიდემიის დროს ან სხვა შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები მოკლებულნი არიან კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა ნორმალური განხორციელების შესაძლებლობას, საქართველოს პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრის წარდგინებით, აცხადებს საგანგებო მდგომარეობას.⁴⁷ გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ „ძირითადი უფლებების სფეროში კანონმდებელი ვერ ჩაერევა. ძირითადი უფლებები წინასახელმწიფოებრივია იმ გაგებით, რომ ისინი მოქმედებენ სახელმწიფოს მიმართ ყოველგვარი დასაბუთების გარეშე და პირიქით, სახელმწიფო ყოველთვის ვალდებულია დაასაბუთოს ადამიანის უფლებების შეზღუდვის მართლზომიერება. აღნიშნული თვალსაზრისით, ძირითადი უფლებები ინდივიდის უფლებებია, ხოლო სახელმწიფოსთვის – ვალდებულება. იურიდიული თვალსაზრისით, ძირითადი უფლებები სამართლის ნორმაა. ძირითადი უფლება, როგორც სამართლის ნორმა ნორმატიული ხასიათისაა და მაშასადამე, სავალდებულო ძალა აქვს. როგორც კონსტიტუციურ ნორმას, ძირითად უფლებებს აქვს უზენაესი იურიდიული ძალა. საქართველოს კონსტიტუცია ძირითად უფლებებს განმარტავს როგორც უშუალოდ მოქმედ სამართალს. კონსტიტუციით განმტკიცებული ძირითადი უფლებები არ მოითხოვს შემდგომ დაკონკრეტებას მიმდინარე კანონებში. ისინი შეიძლება უშუალოდ იქნას გამოყენებული სამართლის შეფარდების პროცესში.“⁴⁸

საქართველოს რეალობაში, არასოდეს დამდგარა ადამიანის უფლებათა შეჩერების მექანიზმის არაკონსტიტუციურობის საკითხი და საკონსტიტუციო სასამართლოს მასზე არასოდეს არ უმსჯელია. „დემოკრატიული ქვეყნების კონსტიტუციათა უმრავლესობა იცნობს ადამიანის უფლებათა „შეზღუდვის“ მექანიზმს. გამონაკლისი რამდენიმე სახელმწიფოა (პორტუგალია, ესპანეთი, თურქეთი), რომელთა კონსტიტუციები შეიცავენ ტერმინს – „შეჩერება“, მაგრამ აქაც გაზიარებულია ძირითადი უფლების შეზღუდვის კონსტიტუციური არსი. ეს ტერმინი, როგორც გრამატიკულად, ისე სამართლებრივად, მოქმედი ნორმისთვის იურიდიული ძალის გაუქმებას ნიშნავს (თუნდაც, ეს დროებითი იყოს), რაც ეწინააღმდეგება ბუნებითი უფლებების არსს, რომლის მიხედვითაც, ადამიანის უფლებები ბუნებითი უფლებებია და ეს უფლებები მხოლოდ იმიტომ აქვს ადამიანს, რომ ის ადამიანია.“ ზოგიერთ უფლებას (ღირსება, სიცოცხლის უფლება) ჯერ კიდევ, დედის წიაღში გაჩენილი ნაყოფი ფლობს, სხვები კი, დაბადებისთანავე წარმოიშობიან. შესაბამისად, ამ ე. წ. „წინარე სახელმწიფოებრივ“ უფლებებს ვერც სახელმწიფო და ვერც რაიმე სხვა სოციალური, ტერიტორიული წარმონაქმნი ვერ მიანიჭებს და, მით უმეტეს, ვერ ჩამოართმევს ადამიანს.“ „არსში“ იგულისხმება სახელმწიფოს მხოტავი სამართლებრივი ძალა, რომლითაც ძირითადი უფლება აიძულებს სახელმწიფოს ამა თუ იმ ვალდებულების შესრულებას.“⁴⁹

საქართველოს კონსტიტუცია, როგორც აღვნიშნეთ, შესაბამისობაში უნდა იყოს საერთაშორისო სამართლით აღიარებულ პრინციპებთან. საქართველო არის წევრი როგორც „საერთაშორისო პაქტის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“, რომლის 4(1)

მუხლი რთავს ნებას ხელშემკვრელ სახელმწიფოებს გადაუხვიონ ადამიანის უფლებებიდან საგანგებო მდგომარეობის დროს.¹⁰ ასევე, საქართველო არის წევრი და რატიფიცირებული აქვს „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია,“ რომლის მე-15(1) მუხლი ასევე, რთავს ხელშემკვრელ ქვეყნებს უფლებას გადაუხვიონ ადამიანის უფლებებიდან საგანგებო მდგომარეობის დროს.¹¹ ძალიან საინტერესოა ყურადღება მივაქციოთ ტერმინს „გადახვევა“ (Derogation), რამეთუ ერთიანობაში უნდა განვიხილოთ ამ ტერმინის მნიშვნელობა და მისი კავშირი საქართველოს კონსტიტუციაში შეზღუდვისა და შეჩერების მექანიზმთან. თუ ჩვენ გადავხედავთ საერთაშორისო პაქტს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტი მიუთითებს, რომ პაქტის მონაწილე ქვეყნებს შეუძლიათ გადაუხვიონ პაქტით ნაკისრ ვალდებულებებს, იმდენად რამდენადაც ამას მოითხოვს მდგომარეობის სიმძაფრე, იმ პირობით, რომ ის შეუთავსებელი არ იქნება საერთაშორისო სამართლის სხვა ვალდებულებებთან და არ იქნება დისკრიმინაციული, კანის ფერის, რასის, სქესის, ენის, რელიგიის და სოციალური წარმოშობის საფუძველზე. ამ მე-4 მუხლის გარდა, რომელიც კონკრეტულად საგანგებო დებულებებს შეეხება, პაქტი ითვალისწინებს ადამიანის უფლებების შეზღუდვას კანონის საფუძველზე და დემოკრატიულ საზოგადოებაში საჭიროებიდან გამომდინარე, საზოგადოებრივი უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობის, მშენებლის ან სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. მსგავსი ფორმულირება გვაქვს ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაშიც. არსად არ გვხვდება სიტყვა შეჩერება, რამეთუ ორივე დოკუმენტში ცალსახად გათვალისწინებულია ადამიანის უფლებათა არსი და მისი ბუნება. საქმეში, „ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ ევროპის კომისიამ პროპორციულობის პრინციპთან დაკავშირებით განაცხადა, რომ სახელმწიფოს არ შეუძლია დაეყრდნოს საგანგებო მდგომარეობის არსებობას, რათა გაამართლოს ნებისმიერი ღონისძიების გატარება. კომისიამ მიუთითა, რომ სახელმწიფომ კონკრეტულად უნდა დაუკავშიროს გასატარებელი ღონისძიება შექმნილ მდგომარეობას.¹² თავის მხრივ, პროპორციულობა გულისხმობს, არის თუ არა საშუალება (კანონი), რომლითაც სახელმწიფო ზღუდავს ძირითად უფლებას, შეზღუდვის მიზნის პროპორციული, თანაბრობით.¹³ თავისთავად პროპორციულობის ტესტი და მისი მოთხოვნა მიუთითებს არა ადამიანის უფლებების შეჩერებაზე, არამედ მხოლოდ შეზღუდვაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, პროპორციულობის მოთხოვნა აზრს დაკარგავდა. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია თავის ზოგად კომენტარებში 2001 წლის 31 აგვისტოს აღნიშნავს, რომ პაქტის მე-4 მუხლს უდიდესი მნიშვნელობა აქვს პაქტით გათვალისწინებული ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით.¹⁴ ამავე კომენტარებში მიუთითებს, რომ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისას, სახელმწიფოებმა უნდა იმოქმედონ თავიანთი კონსტიტუციისა და კანონის სხვა დებულებების

შესაბამისად, ასევე, ხაზი გაესვა პროპორციულობის პრინციპის მნიშვნელობას. კომისიამ აღნიშნა, მიუხედავად იმისა, რომ საგანგებო სიტუაციის დროს ზოგიერთი უფლება შეიძლება დაექვემდებაროს მკაცრ შეზღუდვას, ასეთმა შეზღუდვებმა არ უნდა გაანადგუროს ადამიანის პიროვნების თანდაყოლილი უფლებების არსი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ყოველთვის უნდა არსებობდეს უწყვეტობა უფლების კანონიერად დაცული არსების მიმართ.

პაქტში დეროგაციის (გადახვევა) დებულებების შემოღება პირველად, გაერთიანებული სამეფოს მიერ იყო შემოთავაზებული, რომელიც ითხოვდა ომის დროს კონვენციის დებულებების ღიად შეჩერებას. ამერიკა წინააღმდეგი იყო დეროგაციის დებულებების, ის მხარს უჭერდა ზოგადი შეზღუდვის პუნქტებს. სსრკ კი, მომხრე იყო უმცირესი შეზღუდვის. საფრანგეთმა 1949 წელს, მეხუთე სესიაზე გამოთქვა მოსაზრება, რომ გარკვეული უფლებები არ ექვემდებარება შეზღუდვას არავითარ პირობებში და რომ პაქტიდან გადახვევა უნდა მოხდეს გამონაკლის შემთხვევებში და გამორჩეულად საჯაროდ. ამავდროულად, ძალიან დიდი კამათი მიმდინარეობდა ტერმინის შერჩევასთან დაკავშირებით. თავდაპირველი ვერსია – საჯარო საგანგებო მდგომარეობა ძალიან ნეიტრალური ტერმინი იყო და ძნელი იყო იმის დადგენა თუ რა შემთხვევაში იქნებოდა ეს დასაშვები. ლიბანის თქმით „საჯარო საგანგებო მდგომარეობა იყო ძალიან ბუნდოვანი“ და შეიძლება გამოეწვია ძალიან დიდი ინტერპრეტაციები. ამერიკა და ფინეთიც ასევე, იყვნენ ამ დებულების წინააღმდეგი. 1950 წელს, მეექვსე სესიაზე დამკვიდრდა პრინციპი, რომელიც აკისრებდა პასუხისმგებლობას აღმასრულებელ ხელისუფლებას კონსტიტუციური გარანტიების შეჩერებაზე. ბოლო არსებითი დისკუსია გაიმართა მერვე სესიაზე 1952 წელს, როდესაც გაერთიანებული ერების წინადადებით, პირველი პარაგრაფი დამკვიდრდა შემდეგი რედაქციით, „საგანგებო მდგომარეობა, რომელიც საფრთხეს უქმნის ერის სიცოცხლეს.“ საფრანგეთის წინადადებით, გადაწყდა დაემატებინათ ოფიციალური გამოცხადების მოთხოვნა, რათა თავიდან აცილებულიყო თვითნებური ქმედება. დისკუსიებმა ჯანსაღი გავლენა მოახდინეს პიროვნების თეორიულ დაცვაზე საგანგებო სიტუაციებში იმით, რომ სახელმწიფოთა მოქმედების თავისუფლება ადამიანის უფლებათა სფეროში შეიზღუდა:

1. განსაკუთრებული საფრთხის პრინციპით;
2. ოფიციალური გამოცხადების პრინციპით;
3. გარკვეული უფლებების შეუზღუდაობის პრინციპით;
4. მკაცრი აუცილებლობის პრინციპით;
5. სხვა საერთაშორისო ვალდებულებებთან თავსებადობის პრინციპით;
6. არადისკრიმინაციის პრინციპით;
7. საერთაშორისო შეტყობინების პრინციპით.

„ადამიანური უსაფრთხოების წლებმა, რამაც გლობალური კატაკლიზმები გამოიწვია, აუცილებლობას აძლევდა შემქმნელებს, არ მიეცათ თავისუფალი ხელი მთავრობებისთვის კრიზისული სიტუაციების მართვაში. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, საგანგებო სიტუაციებში დეროგაციის (გადახვევა) დებულებები ადგენს საგულდაგულოდ აწონილ ბალანსს, ერთი მხრივ, სახელმწიფოს საჭიროებებსა და მეორე მხრივ, ცალკეულ პირთა უფლებას შორის, ჰქონდეთ მათი უფლებებისა და თავისუფლებების უმეტესი ნაწილი ეფექტიანად დაცული. გადახრის ინსტრუმენტი იყო მოქნილი სისტემა მთავრობების დასახმარებლად. გადახრის უფლება არ ნიშნავს, რომ დეროგირებულ სახელმწიფოებს აქვთ უფლება სურვილისამებრ იმოქმედონ. ეს არის უფლება, რომელიც შემოიფარგლება რამდენიმე პირობით, მათ შორის, ერთ-ერთია გარკვეული უფლებების შეუზღუდაობის პრინციპი, მკაცრი აუცილებლობისა და საერთაშორისო შეტყობინების პრინციპი.“ 2001 წლის ივლისის ნომერ 29-ე ზოგად კომენტარებში, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა აღნიშნა, რომ აუცილებელია კანონიერებისა და კანონის უზენაესობის შენარჩუნება იმ დროს, როცა ის ყველაზე მეტად საჭიროა. კომიტეტი ასევე მიუთითებს, რომ ნებისმიერი გადახრის ზომის გამოყენების დროს, უნდა მოხდეს შეზღუდვა იმ დოზით, რასაც მოითხოვს სიტუაციის აუცილებლობა.

თუ გადავხედავთ როგორც „ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას“, ასევე „საერთაშორისო პაქტს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“, სადაც საუბარია მხოლოდ უფლებათა შეზღუდვაზე, ვნახავთ რომ არსად არ არის გამოყენებული ტერმინი „შეჩერება“, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ როგორც პაქტი, ასევე კონვენცია შეუსაბამოდ მიიჩნევა ადამიანის უფლებათა არსის რაიმე ფორმით შეჩერებას ან მის დაკნინებას. აქვე აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია გარკვეული უფლებების შეზღუდვის საფუძვლად აცხადებს კანონს და თუ ის აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობისა ან მორალის, ან და სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. იგივე პირობებია მოცემული ჩვენს კონსტიტუციაში. კონსტიტუციისა და კანონის მთავარი მიზანი უნდა იყოს საჯარო და კერძო ინტერესების ბალანსი, არ შეიძლება არსებობდეს ის საერთო მიზანი, რომელიც თანხვედრაში არ იქნება კერძო ინტერესებთან, ამიტომ საზოგადოების ინტერესების დაცვის მოტივით, ინდივიდუალური უფლებებისა და თავისუფლებების შეჩერება წინააღმდეგობრივია ადამიანის ძირითად უფლებებთან.

გარდა ამისა ის მუხლები, რომელიც მუხლების შეჩერების უფლებაც აქვს პრეზიდენტს, ესენია მე-13(2,6), 14(2), მე-15(2), მე-17(3,5,6), 18(2), 19(3) მუხლები. ამ მუხლების შეზღუდვას ისედაც ითვალისწინებს კონსტიტუცია კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული

მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დასაცავად. ამ შემთხვევაში რჩება განცდა, რომ შეჩერება ემთხვევა შეზღუდვას, მაგრამ საფუძველშივე ეს მიდგომა მცდარია, ის ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა არსს, რამეთუ შეჩერება ადამიანის უფლებათა სრულ გაუქმებას ნიშნავს.

ემილი ჰაფნერ-ბარტონმა, კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორმა აღნიშნა, რომ „ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მიხედვით, სახელმწიფოებს შეუძლიათ შეზღუდონ ადამიანის უფლებების უმეტესობის განხორციელება, თუ ეს აუცილებელია სხვათა უფლებების ან კოლექტიური ინტერესების დასაცავად.“¹⁵ პროფესორმა დეროგაციები განმარტა, როგორც რაციონალური პასუხი გაურკვევლობაზე, რომელიც მთავრობებს საშუალებას აძლევს, იყიდონ დრო და ლეგალური სუნთქვის სივრცე ამომრჩევლებისგან, სასამართლოებისგან და ინტერესთა ჯგუფებისგან, რათა ებრძოლონ კრიზისებს სამოქალაქო და პოლიტიკური მიზნების დროებითი შეზღუდვით.“ ჯერალდ ნეუმანმა, საერთაშორისო სამართლის პროფესორმა განმარტა, რომ დეროგაციის პუნქტები არ ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებებს, პირიქით, შეიძლება ხელიც კი შეუწყოს მათ ეფექტიან დაცვას.

ევროპული კომისია ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ გადაუდებელ სიტუაციებში 2006 წლის 4 აპრილის დასკვნით ნაწილში აღნიშნავს, რომ „ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვა და გადახრები უნდა იყოს რეგულირებული კანონით და სასურველია, ჰქონდეს საფუძველი კონსტიტუციაში. ეს წარმოადგენს დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის შენარჩუნების სასიცოცხლო გარანტიას.“¹⁶ ვენეციის კომისია ასევე აღნიშნავს, რომ ბალანსი უნდა მოიძებნოს ეროვნულ უსაფრთხოებას, საზოგადოებრივ უსაფრთხოებას და საზოგადოებრივ წესრიგს შორის. საჯარო და კერძო ინტერესების დაბალანსება, სამართლიანობისა და პროპორციულობის შეფასება უნდა განისაზღვროს კონკრეტული სიტუაციისა და გარემოებების მიხედვით. თუმცა, დასკვნა ის არის, რომ შესაბამისი უფლება ან თავისუფლება შეიძლება არ შეიზღუდოს თავისი არსით.“

რაც შეეხება ადამიანის უფლებების არსთან დაკავშირებულ საკითხს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ „საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტით დაცული უფლება არ არის აბსოლუტური და იგი შეიძლება შეიზღუდოს ლეგიტიმური საჯარო მიზნის მისაღწევად, თანაბომიერების პრინციპის დაცვით ისე, რომ არ დაირღვეს ადამიანის უფლებათა არსი. დაუშვებელია ლეგიტიმური მიზნის მიღწევა განხორციელდეს ადამიანის უფლების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე.“¹⁷ საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ განმარტავს, რომ „მე-7 მუხლში ყურადღება გამახვილებულია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დანიშნულებაზე, არსზე – ისინი წარმოადგენენ წარუვალ

და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ეს უფლებები ადამიანის თანმდევია და გააჩნია იმიტომ, რომ ის ადამიანია. მათ გარეშე ადამიანი ვერ იქნება სახელმწიფოს არსებობის მიზანი. სახელმწიფოს არ შეუძლია მიანიჭოს ან წაართვას ძირითადი უფლებები, რადგან ის არ არის უფლებამოსილი, შეცვალოს ადამიანის არსი.¹⁸ საკონსტიტუციო სასამართლო იქვე განმარტავს, რომ „ძირითადი უფლებების თაობაზე არსებობს საერთაშორისო, საყოველთაო თანხმობა, რომ ისინი ყოველი ადამიანის წარუვალი და უზენაესი ღირებულებებია. ბუნებრივია, თავისთავად ეს არ ნიშნავს, რომ ყველა უფლება ყველა ადამიანს შეუზღუდავად აქვს. ამა თუ იმ ნიშნით დიფერენცირება და უფლებათა შეზღუდვა, მათ შორის, პირთა წრის მიხედვით, შესაძლებელია, მაგრამ იმ ზღვრამდე, ვიდრე ეს თავად უფლებას არ დაუკარგავს არსს.“ საკონსტიტუციო სასამართლო ასევე განმარტავს, რომ „ძირითადი კონსტიტუციური პრინციპები წარმოადგენენ ადამიანის ღირსების დაცვის სამართლებრივ გარანტიას. ადამიანის ღირსება და პიროვნული თავისუფლება კი მის ძირითად უფლებებში, მათ ადეკვატურ დაცვასა და სრულიად განხორციელებაში გამოიხატება, ამიტომ ამ უფლებებში სახელმწიფოს არათანაბრობიერი, გადამეტებული ჩარევა ხელყოფს ადამიანის ღირსებასაც.“¹⁹

რაც შეეხება ნორმის შეჩერების კონსტიტუციურობის საკითხს, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, „თუ საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნორმატიული აქტის მოქმედებას შეუძლია ერთ-ერთი მხარისათვის გამოუსწორებელი შედეგები გამოიწვიოს, მოცემული საკითხი განსახილველად გადაეცემა საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს, რომელსაც შეუძლია განმწესრიგებელ სხდომაზე პლენუმის სრული შემადგენლობის უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილებით, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ან უფრო ნაკლები ვადით, შეაჩეროს სადავო აქტის ან მისი სათანადო ნაწილის მოქმედება.“²⁰ საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ „ამ ორგანული კანონით ნორმის შეჩერება უზრუნველყოფს უფლებების ან საჯარო ინტერესის პრევენციულ დაცვას იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საფრთხე, რომ სადავო ნორმის მოქმედებამ შესაძლებელია გამოიწვიოს გამოუსწორებელი შედეგი.“ საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „გამოუსწორებელი შედეგის დადგომა ნიშნავს ისეთ ვითარებას, როდესაც ნორმის მოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს უფლების შეუქცევადი დარღვევა და დამდგარი შედეგის გამოსწორება შეუძლებელი იქნება ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის შემთხვევაშიც კი. ამასთან, პირს ასეთი შედეგის თავიდან აცილების სხვა სამართლებრივი შესაძლებლობა არ გააჩნია.“ როგორც დავინახეთ ამ მექანიზმის არსებობის საფუძველი ისევ ადამიანის უფლებების დაცვაა და არა მისი საერთოდ გაუქმება ან თუნდაც შეჩერება. რაც შეეხება საერთაშორისო სასამართლოს ადამიანის უფლებათა შესახებ, ის ამ საკითხებზე ვერ იმსჯელებდა, რამეთუ ამ საკითხების განხილვა მისი პრეროგატივა არაა.

სახელმწიფოებმა თვითონ უნდა განსაზღვრონ შეზღუდვის საფუძვლები, საერთაშორისო სასამართლოს შეუძლია იმსჯელოს მხოლოდ გატარებული ღონისძიებების შესაბამისობასა და გატარებული ღონისძიებების კანონიერებაზე ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით.

ადამიანის უფლებები „სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად არსებობს. მისი წყარო არ არის სახელმწიფო, კანონმდებლობა ან საზოგადოება. ეს უფლებები თანდაყოლილია. ისინი ჩვენ სწორედ იმიტომ გვეკუთვნის, რომ ადამიანებად დავიბადეთ. აქედან გამომდინარე, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, დაფიქსირებულია თუ არა ეს უფლებები კონსტიტუციაში ან სხვა საკანონმდებლო აქტებში, ვინაიდან ჩვენი კუთვნილი უფლებები და თავისუფლებები ყველა კონსტიტუციასა და კანონმდებლობაზე მაღლა დგას. ადამიანის უფლებები და თავისუფლებები წარუვალს და უზენაესი ადამიანური ღირებულებებია. ამ უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვა არ შეიძლება შემოიფარგლოს დროის რომელიმე მონაკვეთით და არ შეიძლება შეილახოს სხვა ღირებულებებით.“²¹ სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების მექანიზმის მთავარი მიზანი, როგორც უკვე აღინიშნა, პირის უფლების გამოუსწორებელი დარღვევის საფრთხის პრევენციაა. „აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ არსებული კანონმდებლობა უფლების დაცვის პრევენციული საშუალების მხოლოდ ერთადერთ სახეს – ნორმის მოქმედების შეჩერების მექანიზმს ითვალისწინებს. ამ მხრივ, სხვა ქვეყნების კანონმდებლობები რიგ შემთხვევებში, მეტი მოქნილობით ხასიათდებიან, მაგალითად, „საკონსტიტუციო სასამართლოს ორგანიზებისა და ფუნქციონირების შესახებ“ ალბანეთის რესპუბლიკის კანონის 59-ე მუხლის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, შეაჩეროს პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების საქმიანობა მანამ, სანამ საქმეზე მიღებული იქნება საბოლოო გადაწყვეტილება. „ბოსნია და ჰერცეგოვინას საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ რეგლამენტის“ 64-ე მუხლის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ შესაძლოა, მიიღოს ნებისმიერი დროებითი ღონისძიება, რომელსაც იგი საჭიროდ მიიჩნევს მხარეების ინტერესებისთვის ან საკონსტიტუციო სასამართლოში პროცესის შესაბამისი ფუნქციონირებისათვის. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის 32-ე მუხლი ადგენს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებას, გამოიყენოს დროებითი ღონისძიება იმ შემთხვევაში, თუ ეს „აუცილებელია სერიოზული ზიანის თავიდან ასაცილებლად, გარდაუვალი საფრთხის მოსაგერიებლად ან თუ არსებობს სხვა სერიოზული მიზეზი საზოგადოებრივი კეთილდღეობის დასაცავად.“ დროებითი ღონისძიება აგრეთვე გაგებულია როგორც სასამართლოს უფლება, შეაჩეროს კანონის ძალაში შესვლა.“²² საკონსტიტუციო სასამართლო საქმეში, „ა(ა)იპ ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC) და საქართველოს მოქალაქე ვახუშტი მე-

ნაბდე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ აღნიშნავს, რომ „მაშინაც კი, როდესაც არსებობს ლეგიტიმური საჯარო მიზანი, სამართლებრივი სახელმწიფოს მოთხოვნაა განხორციელებული ჩარევა იყოს შესაბამისი თანაზომიერების პრინციპთან, რომელიც სამართლებრივი სახელმწიფოს იდეიდან მომდინარეობს და მისი ძირითადი დატვირთვა არის ადამიანის უფლებების შეზღუდვისას, სახელმწიფოსთვის ფარგლების განსაზღვრა. ის უზრუნველყოფს თავისუფლებისა და მისი შეზღუდვის ერთგვარ გაწონასწორებულ, თანაზომიერ დამოკიდებულებას და კრძალავს ადამიანის უფლებების იმაზე მეტად შეზღუდვას, რაც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში. თანაზომიერების პრინციპი ადამიანის უფლებათა შეზღუდვის მართლზომიერების შეფასების კონსტიტუციური კრიტერიუმია. თანაზომიერების პრინციპი დგინდება, დასაშვებობის, აუცილებლობის და პროპორციულობის ელემენტების არსებობით. აღსანიშნავია, რომ ხსენებულ კუმულაციურ ელემენტებს ერთმანეთის მიმართ სუბსიდიური დამოკიდებულება აქვთ, ერთ-ერთი მათგანის დარღვევა ზოგადად, თანაზომიერების პრინციპის დარღვევას გულისხმობს. სამართლებრივ სახელმწიფოში დაუშვებელია უფლების იმაზე მეტად შეზღუდვა, რაც აუცილებელია შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად და დაუშვებელია შეზღუდვა, რომელიც ამ აღნიშნულ მოთხოვნებს არ ითვალისწინებს.“²³ ადამიანის ძირითადი უფლების არსი არც ერთ შემთხვევაში არ უნდა დაირღვეს, აღნიშნავს გერმანიის კონსტიტუციის 19(2) მუხლი,²⁴ მსგავსი განმარტება გვხვდება შვეიცარიის კონსტიტუციაში, რომლის 36(4) მუხლი ძირითადი უფლების არსს ხელშეუხებლად აცხადებს,²⁵ პორტუგალიის კონსტიტუციის მე-18(3) მუხლის მიხედვით, „უფლებების, თავისუფლებისა და მათი გარანტიების შემზღუდველი კანონები უნდა ატარებდეს აბსტრაქტულ და საყოველთაო ხასიათს და არ უნდა ჰქონდეს უკუქცევითი ძალა; ამასთან დაცული უნდა იყოს კონსტიტუციური დებულებების მოცულობა და არსი.“²⁶ ასევე, პოლონეთის კონსტიტუციის 31(3) მუხლი აღნიშნავს, რომ „კონსტიტუციური თავისუფლებებითა და უფლებებით სარგებლობის შეზღუდვა შესაძლებელია დადგენილ იქნეს მხოლოდ კანონით და მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგისთვის ან გარემოს, ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი მორალის ან კიდევ სხვა პირთა თავისუფლებებისა და უფლებების დასაცავად. ამ შეზღუდვებმა არ შეიძლება დაარღვიონ თავისუფლებებისა და უფლებების არსი,“²⁷ ესტონეთის კონსტიტუციის მე-11 მუხლის მიხედვით კი, „უფლებები და თავისუფლებები შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კონსტიტუციის შესაბამისად. ეს შეზღუდვები აუცილებელი უნდა იყოს დემოკრატიული საზოგადოებისათვის და არ უნდა იწვევდეს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების არსის დამახინჯებას.“²⁸

დასკვნა

გემოაღნიშულიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა შეზღუდვა საგანგებო მდგომარეობის დროს, სრულად პასუხობს იმ საჭიროებებს და მოთხოვნებს, რომელიც აუცილებელია შექმნილი მდგომარეობის სწრაფი აღმოფხვრისთვის. შეზღუდვის კონსტიტუციური ნორმა სრულ თანხვედრაშია საერთაშორისო სტანდარტებთან და კონსტიტუციურ წესრიგთან, ადამიანის უფლებათა არსთან თუმცა, შეზღუდვაც უნდა იყოს მიზნის პროპორციული, საჭირო და აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში. შეზღუდვამ არ უნდა დაამახინჯოს ადამიანის უფლებათა არსი. რაც შეეხება ტერმინს „შეჩერება“, ის ცალსახად არაკონსტიტუციურია, რადგან ის ადამიანის უფლებათა სრულ გაუქმებას ნიშნავს. ადამიანის უფლებათა ჩამორთმევა ან გაუქმება სრულიად წარმოუდგენელია, რამეთუ ადამიანს ეს უფლებები აქვს მხოლოდ იმიტომ, რომ ის ადამიანია, სახელმწიფო არ ანიჭებს მას, სახელმწიფო მხოლოდ ცნობს და აღიარებს ადამიანის ძირითად უფლებებს. ადამიანის უფლების გაუქმება შეუძლებელი და დაუშვებელია საგანგებო მდგომარეობის დროსაც კი, რამეთუ ის ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა არსს და საერთაშორისო სამართლის მოთხოვნებს, ამიტომ კონსტიტუციური ნორმა ადამიანის ძირითადი უფლების შეჩერების შესახებ ცალსახად, არაკონსტიტუციურია და უნდა გაუქმდეს.

შენიშვნები:

- ¹ მუხლი 43, მუხლი 44, საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია, <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4801430?publication=0> [05.03.2022].
- ² მუხლი 46, საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია, <https://emis.ge/acts/saqartvelos%20konstitucia.pdf> [05.03.2022].
- ³ საქართველოს კონსტიტუცია, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36> [05.03.2022].
- ⁴ მუხლი 4, საქართველოს კონსტიტუცია, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36> [05.03.2022].
- ⁵ კობახიძე ი., კონსტიტუციური სამართალი, სახელმწიფო მოწყობის სამართალი. ქ. თბილისი: გვ. 45.
- ⁶ მუხლი 14(2), 16(2), 17(5), საქართველოს კონსტიტუცია, 2019 წელი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36> [05.03.2022].
- ⁷ მუხლი 71(2), საქართველოს კონსტიტუცია, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36> [05.03.2022].
- ⁸ იზორია ლ., კორკელია კ., კუბლაშვილი კ., ხუბუა გ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., გამომც. მერედიანი, 2005, გვ. 5.
- ⁹ კუბლაშვილი კ., საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის ხარვეზები და გამოწვევები, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, N14, 2020 წლის ივლისი. გვ. 91, <https://clr.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2020/07/konstantine-kublashviligv.85-101.pdf> [05.03.2022].
- ¹⁰ საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1398335?publication=0> [05.03.2022].
- ¹¹ მუხლი 15, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0> [05.03.2022].
- ¹² კორკელია კ., ადამიანის უფლებათა დაცვა საგანგებო მდგომარეობის დროს: ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციისა და საქართველოს კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი. ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი. ქართული სამართლის მიმოხილვა, 2000, გვ. 65.
- ¹³ კუბლაშვილი კ., ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, თბ., 2017, გვ. 64.
- ¹⁴ International covenant on civil and political rights. General comment no.29, <http://docstore.ohchr.org/SelfServices/FilesHandler.ashx?enc=6QkG1d%2FPPrIC AqhKb7yhsjYoiCfMKoIRv2FVaVzRkMjTnjRO%2Bfud3cPvrcM9YR0iix49nIFOsUP04oTG7R%2Fo7TSsorhtwUUG%2By2PtsYr5BldM8DN9shT8B8NpbsC%2B7b0DxKR6zdESeXKjiLnNU%2BgQ%3D%3D> [05.03.2022].
- ¹⁵ Lebret A., COVID-19 pandemic and derogation to human rights“, p.1, <https://academic.oup.com/jlb/article/7/1/1/saa015/5828398?login=false> [05.03.2022].
- ¹⁶ European commission for democracy through law(venice commission) opinion on the protection of human rights in emergency, strasbourg, 2006 april 4, pg:13, [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2006\)015-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2006)015-e) [05.03.2022].

- 17 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება (საქმე N 2/11/747), <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4415506?publication=0> [05.03.2022].
- 18 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება (საქმე N1/466), <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=542> [05.03.2022].
- 19 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება (საქმე N1/3/407), <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1996918?publication=0> [05.03.2022].
- 20 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების – გიორგი პაპუაშვილის, კონსტანტინე ვარძელაშვილის, ქეთევან ერემაძის და მათი კოპაღიშვილის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2016 წლის 17 ივნისის №3/4/768, 769 საოქმო ჩანაწერზე, <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=2107> [05.03.2022].
- 21 ადამიანის უფლებები, ენციკლოპედიური ლექციკონი, <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=106> [05.03.2022].
- 22 ბარამაშვილი თ., მაჭარაშვილი ლ., სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების ინსტიტუტი საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში. გვ. 91, <https://constcourt.ge/files/2/Journal2019.1/T.Baramashvili-L.Macharashvili-2019.1ka.pdf> [05.03.2022].
- 23 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 21 თებერვალის გადაწყვეტილება (საქმე N577), <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1327> [05.03.2022].
- 24 გონაშვილი ვ., საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი III, კავშირი „იურისტები სამართლებრივი სახელმწიფოსთვის“, გამომც. თბილისელები, თბ., 2006, გვ. 73.
- 25 გონაშვილი ვ., საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი I, კავშირი „იურისტები სამართლებრივი სახელმწიფოსთვის“, გამომც. თბილისელები, თბ., 2008, გვ. 563.
- 26 გონაშვილი ვ., საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები ნაწილი V, კავშირი „იურისტები სამართლებრივი სახელმწიფოსთვის“, გამომც. თბილისელები, თბ., 2007, გვ. 624.
- 27 გონაშვილი ვ., საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი II, კავშირი „იურისტები სამართლებრივი სახელმწიფოსთვის“, გამომც. თბილისელები, თბ., 2005, გვ. 619.
- 28 გონაშვილი ვ., საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი III, კავშირი „იურისტები სამართლებრივი სახელმწიფოსთვის“, გამომც. თბილისელები, თბ., 2006, გვ. 244.

ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია, მუხლი 43, მუხლი 44, <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4801430?publication=0> [05.03.2022];
2. საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია, მუხლი 46, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=18#1> [05.03.2022];
3. საქართველოს კონსტიტუცია, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36> [05.03.2022];
4. საქართველოს კონსტიტუცია, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36> [05.03.2022];

5. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია, მუხლი 15, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0> [05.03.2022];
6. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, მუხლი 4, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1398335?publication=0> [05.03.2022].

სასამართლო პრაქტიკა:


1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება (საქმე N 2/11/747), <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4415506?publication=0> [05.03.2022];
2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება (საქმე N1/466), <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=542> [05.03.2022];
3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება, (საქმე N1/3/407), <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1996918?publication=0> [05.03.2022];
4. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების – გიორგი პაპუაშვილის, კონსტანტინე ვარძელაშვილის, ქეთევან ერემაძის და მაია კობაღიშვილის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2016 წლის 17 ივნისის №3/4/768, 769 საოქმო ჩანაწერზე, <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=2107> [05.03.2022].

THE QUESTION OF THE CONSTITUTIONALITY OF THE RESTRICTION AND SUSPENSION OF HUMAN RIGHTS DURING THE STATE OF EMERGENCY IN THE CONSTITUTION OF GEORGIA

LEVAN BESELIA

*Caucasus International University
Faculty of Law Ph.D. Student*

One of the most important issues in the Constitution of Georgia is the issue of declaring a state of emergency, during which the President of Georgia has the right to limit or suspend basic human rights by decree. The decree issued by the President on the restriction of human rights enters into force immediately after its issuance, and the suspension of the norm immediately after its approval by the Parliament. Both cases are gross interference with human rights. Focusing attention on these provisions during a state of emergency is not accidental, because at this time not only human rights are deviated from, but also the established constitutional order



between the legislative, executive, and judicial authorities is changed. Increased powers by the executive may be used for political purposes, which may also result in undue interference with human rights. In addition, a state of emergency is already a crisis situation, and interfering with human rights more than necessary may become the basis for creating more crises, in such a situation, the protection of human rights is of crucial importance. All provisions in the constitution regarding basic human rights affect the constitutional order as a whole, so the purpose of the research is to assess the constitutionality of the operation of these two norms, both from the point of view of national legislation and international law.

საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია
JUDGES ASSOCIATION OF GEORGIA
ტელ-ფაქსი/TEL-FAX: (+995 32) 292 34 90, +995 599 51 97 36

საქართველოს უზენაესი სასამართლო
THE SUPREME COURT OF GEORGIA
ტელ-ფაქსი/TEL-FAX: (+995 32) 299 70 01



9771312259002